



ეროვნული სასწავლო  
გეგმების ცენტრი  
NATIONAL CURRICULUM  
CENTER



საქართველოს  
განათლებისა  
და კულტურის  
სამინისტრო

# ინგლისური ენა

## I-VI კლასები

გზაგველევი მასწავლებლებისთვის

2011-2016 წლების ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით



თბილისი, 2011

## გზამკვლევზე

### მუშაობდნენ:

გულნარაჩხიკვაძე - ეროვნული სასწავლო გეგმების ცენტრი,  
უცხოური ენების ჯგუფის ხელმძღვანელი,  
ინგლისური ენის ექსპერტი

**იზაბელა პეტრიაშვილი** - ფილოლოგის მეცნიერებათა დოქტორი,  
ი. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი,  
ასოცირებული პროფესორი

**მაია ხაჩიაშვილი** - ფილოლოგის მეცნიერებათა დოქტორი.

ი. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ენების  
ცენტრი, ინგლისური ენის მასწავლებელი

**ნინო გურგენიძე** - ინგლისური ენის ცენტრი,  
ინგლისური ენის მასწავლებელი

**თამარ ჯაყელი** - ეროვნული სასწავლო გეგმების ცენტრი,  
ჰუმანიტარულ და საზოგადოებრივ მეცნიერებათა  
დეპარტამენტის უფროსი

**მაია უთურგაძე** - დ. უზნაძის სახელობის ფსიქოლოგის  
ინსტიტუტის ასაკობრივი და პედაგოგიური ფსიქოლოგის  
განყოფილების მეცნიერთანამშრომელი, ფსიქოლოგის  
მეცნიერებათა დოქტორი

### პროექტის კოორდინატორი:

**თამარ ჯაყელი** - ეროვნული სასწავლო გეგმების  
ცენტრი, ჰუმანიტარულ და საზოგადოებრივ  
მეცნიერებათა დეპარტამენტის უფროსი

### დიზაინერ-დამკაბადონებელი:

**მაკა ბერაია**

### ტექნიკური რედაქტორი:

**მარიამ ბერძენიშვილი**

UDC (უაკ) 811.111 (072)

უ - 958

ISBN 978-9941-0-3605-7

© ეროვნული სასწავლო გეგმების ცენტრი

მოცემული პუბლიკაციის ტექსტის გამოყენება დაშვებულია მხოლოდ არაკომერციული  
მიზნებისთვის, წყაროს მითითებით.

# სარჩევი

შესახებ	4
<b>თავი I. სრული-სრულების პირითადი პრიციპები</b>	
ა) დაყიდვით საფასური	6
<b>თავი II. გაფასება</b>	
<b>თავი III. დაყიდვითი საფასურის უფროული ენაბის</b>	
სტანდარტი და ტიპური აქტივობები	30
ა) ნაწილი I - დონე დ.I, დ.II	30
ბ) ნაწილი II - დონე დ.III, დ.IV	39
გ) ნაწილი II - დონე დ.III, დ.IV	50
<b>თავი IV. ინგლისური ენის სრულება</b>	
ა) ფონოლოგიური უნარ-ჩვევები	64
ბ) კითხვის სწავლება 5-6 წლის ასაკის მოსწავლეთათვის	79
გ) სასწავლო სტრატეგიები	96
დ) ნაწილი I - სანიმუშო აქტივობები (დ.I-დ.II)	102
ბ) ნაწილი II - სანიმუშო აქტივობები (დ.III-დ.IV)	130
გ) ნაწილი III - სანიმუშო აქტივობები (დ.V-დ.VI)	161
<b>თავი V. განვითარებული (შემაჯამახებელი) გაფასების ნიმუშები</b>	
რესურსები	196
გამოყენებული ლიტერატურა	
208	
209	

## შესავალი

წინამდებარე გზამკვლევი უცხოური ენების საგნობრივი პროგრამის დამხმარე მეთოდური რესურსია. აქ აღნერილია მეთოდოლოგიური მიდგომები და აქტივობათა ტიპები, რომელთა გამოყენებაც ხელს შეუწყობს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული მიმართულებებისა და შედეგების დაძლევას.

ეროვნულ პროგრამაზე დაფუძნებული სწავლებისას მნიშვნელოვანია, მასწავლებლებმა გააცნობიერონ, როგორ დაუკავშირონ ყოველდღიური სასწავლო პროცესი სტანდარტის მოთხოვნებს. გზამკვლევის შექმნის ამოცანაა, დახმარება გაუწიოს მასწავლებლებს სწავლების ყველა კომპონენტის - სტანდარტის შედეგების, სასწავლო მასალის, აქტივობებისა და მოსწავლეთა შეფასების ინტეგრირებაში მაღალი საგანმანათლებლო მიზნების მისაღწევად.

გზამკვლევი ხუთი თავისგან შედგება. შესავალ ნაწილში მოკლედ არის აღნერილი გზამკვლევის სტრუქტურა, ჩამოყალიბებულია მისი მიზნები და ამოცანები.

პირველ თავში საუბარია სწავლა-სწავლების ძირითად პრინციპებზე. აღნიშნულია, რომ შედეგზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის წარმართვა მოითხოვს სწავლა/სწავლების შემდეგი ძირითადი პრინციპების დაცვას:

1. ცოდნის კონსტრუირება;
2. გაღრმავებული სწავლება;
3. პოზიტიური სასწავლო გარემოს შექმნა;
4. მოტივაციის ამაღლება;
5. მოსწავლის ჩართულობა;
6. ინდივიდუალური მახასიათებლების გათვალისწინება;
7. ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინება.

აქვე, აღნერილია თითოეული მათგანი.

მეორე თავში განხილულია მოსწავლეთა შეფასების სისტემა. ჩამოყალიბებულია განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასებების მიზნები, გაანალიზებულია მათი არსი; ამავე თავში აღნერილია I-VI კლასების მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებები და შემოთავაზებულია კონკრეტული მეთოდოლოგიური რჩევები.

მესამე თავი 2011-2016 წლების ეროვნული სასწავლო გეგემის უცხოური ენების დაწყებითი საფეხურის სტანდარტების განხილვას ეთმობა. დაწყებითი საფეხურის სტანდარტი დაყოფილია ენის ფლობის დონეების მიხედვით: დ.I; დ.II; დ.III; დ.IV; დ.V; დ.VI. თითოეული დონის შესატყვისი სტანდარტი ექვს/შვიდ მიმართულებას აერთიანებს (მოსმენა, კითხვა, წერა, ლაპარაკი, კულტურათა, დიალოგი, უცხოური ენის პრაქტიკული გამოყენება (მედიაცია), სწავლის სწავლა). სტანდარტის დონეებისა და მიმართულებების საფუძველზე გზამკვლევის მასალა ორგანიზებულია სამ ნაწილად.

- I ნაწილი - დაწყებითი საფეხურის დონე - დ.I-II;
- II ნაწილი - დაწყებითი საფეხურის დონე - დ.III-IV;
- III ნაწილი - დაწყებითი საფეხურის დონე - დ.V-VI;

მოცემული ნაწილების განხილვა შემოთავაზებულია შემდეგი სტრუქტურის მიხედვით:

## მიმართულება:

შედეგი:	
ინდიკატორები:	
აქტივობები	შენიშვნა

თითოეული ნაწილის სქემაში მოცემულია აქტივობათა ჩამონათვალი შესაბამისი დონის სტანდარტის შედეგებისა და ინდიკატორების მიხედვით.

ამავე თავში აღნერილია ის განსაკუთრებული მიდგომები, რომლებიც გასათვალისწინებელია ადრეულ ასაკში მოზარდთა კითხვის უნარის გასავითარებლად, ამასთანავე, განხილულია იმ აქტუალურ უნარებთან დაკავშირებული პრობლემები, რომლებიც მნიშვნელოვანია 5-6 წლის მოზარდთათვის კითხვის სწავლებისას. აქვე მოცემულია აღნიშნული უნარების შესატყვისი აქტივობების ჩამონათვალი.

ამავე თავში საუბარია მოსწავლეთა ფონოლოგიური ცნობიერების განვითარების მნიშვნელობასა და მის მჭიდრო კავშირზე კითხვის სწავლების პროცესთან. ნიმუშებად შემოთავაზებულია აქტივობათარამდენიმეწყება, რომელიც კონკრეტული ფონოლოგიური უნარების განვითარებას ემსახურება. ამავე თავში აღნერილია სასწავლო სტრატეგიების მნიშვნელობა და მათი სანიმუშო ვერსიები.

მეოთხე თავი შეიცავს თითოეულ ნაწილში მოცემული შედეგებისა და ინდიკატორების შესატყვის აქტივობათა დეტალურ აღნერას შემდეგი სტრუქტურის მიხედვით:

შედეგი:
აქტივობის ინსტრუქცია/დასახელება
მიზანი/მიზნები
მასალა/რესურსები
კლასის ორგანიზება
აქტივობის მსვლელობა
განმავითარებელი/განმსაზღვრელი შეფასება
მეთოდიკური კომენტარები

სქემაში განსაზღვრულია თითოეული აქტივობის მიზანი/მიზნები, რეკომენდებული მასალების ჩამონათვალი, მითითებულია რესურსები, შემოთავაზებულია კონკრეტული აქტივობისთვის შესაფერისი კლასის ორგანიზების ფორმები და განმავითარებელი/განმსაზღვრელი შეფასებების გამოყენების ნიმუშები. მეთოდიკურ კომენტარებში კი მოცემულია აქტივობის ანალიზი და რჩევები, რაც პედაგოგებს ამ აქტივობების განხორციელებასა და სტანდარტით გათვალისწინებული შედეგების დაძლევაში დაეხმარება. კომენტარებში აგრეთვე აღნერილია, როგორ შეიძლება ამა-თუ იმ აქტივობის გამოყენება სტანდარტის სხვა მიმართულებებისა და შედეგების მისაღწევად.

მეხუთე თავში განხილულია განმსაზღვრელი შეფასების გამოყენების კონკრეტული ნიმუშები.

## თავი I

# სწავლა-სწავლების პირითადი პრიცესიანი დაცვისათვის საფასურზე

ეროვნული სასწავლო გეგმის ფუნდამენტური პრინციპია შედეგზე ორიენტირება, რაც გულისხმობს მოსწავლეთათვის ქმედითი, დინამიკური და ფუნქციური ცოდნის გადაცემას.

შედეგზე ორიენტირებული სასწავლო პროცესი მოითხოვს სწავლა-სწავლების შემდეგი ძირითადი პრინციპების დაცვას:

1. ცოდნის კონსტრუირება;
2. გაღრმავებული სწავლება;
3. პოზიტიური სასწავლო გარემოს შექმნა;
4. მოტივაციის ამაღლება;
5. მოსწავლის ჩართულობა;
6. ინდივიდუალური მახასიათებლების გათვალისწინება;
7. ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინება.

მოკლედ მიმოვიზილოთ თითოეული მათგანი.

## 1. ცოდნის პრიცესიანი ხელშეწყობა

სწავლა არის ცოდნის აგების პროცესი, რომელშიც მოსწავლე აქტიურად უნდა იყოს ჩართული. მზა ცოდნის გადაცემა ხელს არ უწყობს გააზრებულ და ხარისხიან სწავლებას. მართალია, მასწავლებელმა უნდა მართოს სწავლა-სწავლების პროცესი, მაგრამ მოსწავლესაც უნდა მისცეს დამოუკიდებლად ფიქრის საშუალება იმ მიზნით, რომ მან საკუთარ ცოდნასა და გამოცდილებაზე დაფუძნებით აღმოაჩინოს და გადაამუშაოს ახალი თემები. ამგვარი აქტიურობით ის უკეთესად გაიაზრებს და შეითვისებს ახლადშეძენილ ცოდნას. ცხადია, მოსწავლე შეცდომებსაც დაუშვებს და დაბრკოლებებსაც წააწყდება, მაგრამ მასწავლებლის დახმარებით, მსჯელობითა და კონსტრუქციული თანამშრომლობით, ის პრობლემებსაც გაუმკლავდება, ხარვეზებსაც შეავსებს და შეცდომებსაც გამოასწორებს. სწავლებისას სასურველი შედეგის მისაღწევად დიდი მნიშვნელობა ენიჭება სწავლას აღმოჩენის გზით და სწავლას მართვადი აღმოჩენის გზით. პირველ შემთხვევაში, მიუხედავად იმისა, რომ პროცესს მასწავლებელი მართავს, მოზარდები, უმეტესწილად, დამოუკიდებლად მუშაობენ. მეორე შემთხვევაში კი, მასწავლებელი არ საუბრობს პრობლემის გადაჭრის გზებსა და ხერხებზე, იგი მოსწავლეებს მხოლოდ აუცილებელ მასალას აწვდის, მათ დაკვირვებისკენ უბიძებს და აძლევს საკუთარი მოსაზრებების გამოთქმის საშუალებას. ამისათვის მოსწავლეებს სჭირდებათ ინტუიტიური და ანალიტიკური აზროვნების ამოქმედება. მასწავლებელს შეუძლია, დასვას მიმანიშნებელი კითხვები და დაეხმაროს მათ მოსაზრებათა არგუმენტირებასა და/ან უკუგდებაში. ამგვარი სამუშაოს ეტაპებია: შესავალი, ექსპერიმენტი, მსჯელობა (გააზრება), გამოყენება და შემოწმება.

ამგვარი მეთოდის გამოყენება მოსწავლეთა შემეცნებითი პროცესის განვითარე-

ბას უწყობს ხელს, რადგან სწავლებისას ისეთი მრავალფეროვანი ფორმების გამოყენებას საჭიროებს, როგორიცაა, მაგალითად, დისკუსია, ლიტერატურის საკითხებზე მუშაობა, ემპირიული ინფორმაციის შეგროვება და სხვა. შედეგად, ძლიერდება მოსწავლის მოტივაცია, რადგან მოზარდები თვალნათლივ ხედავენ საკუთარი შრომის ნაყოფს და ხედებიან, რომ ცოდნა არ ატარებს ფორმალურ ხასიათს. მყარდება კავშირი ცხოვრების უზუღვებელი გამოცდილებასთან. ჯგუფური მუშაობის დროს კი ვითარდება თანამშრომლობის უნარი. განსაკუთრებით ეფექტურია ამ ტიპის მუშაობის დაწყება მეხუთე-მეექვსე კლასებში.

## 2. გაღრმავებული სწავლება

შედეგზე ორიენტირება გულისხმობს მოსწავლისთვის მიწოდებული ინფორმაციის არა მხოლოდ დამახსოვრებას, არამედ ამ ინფორმაციის მყარ და ფუნქციურ ცოდნად გარდაქმნას. ამგვარი ცოდნის მიღება კი შესაძლებელია მხოლოდ გაღრმავებული სწავლებით, რაც გულისხმობს სასწავლო მასალის ეტაპობრივად და მრავალმხრივად დამუშავებას, ახალი საკითხების, ცნებების საფუძვლიანად და განსხვავებულ კონტექსტებში განხილვას, ათვისებული ცოდნის განმტკიცებას, საგანთაშორისი კავშირების გამოვლენასა და საერთო ასპექტების დამუშავებას.

## 3. პოზიტიური სასწავლო გარემოს შექმნა

სწავლა უნდა მიმდინარეობდეს მშვიდ და მოწესრიგებულ გარემოში, სადაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება პოზიტიურ ურთიერთობებსა და ინტერაქციას, მოსწავლე დაფასებული, აღიარებულია და თავადაა პასუხისმგებელი სწავლის პროცესსა და თვითგანვითარებაზე.

## 4. მოტივაციის ამაღლება

მოტივაცია განმსაზღვრელ როლს თამაშობს სწავლა-სწავლების პროცესში. მოტივაციის ამაღლება წარმოშობს სასწავლო აქტივობაში ჩაბმის სურვილს, ზრდის მასში მონაწილეობის ხარისხს, რაც, თავის მხრივ, ქმედითუნარიანობას ჰმატებს მოსწავლეს. მოტივირებული მოსწავლემიზანდასახულია და მზადარის პრობლემებისადასირთულების დასაძლევად. ამდენად, მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლება უმნიშვნელოვანესი ამოცანაა პედაგოგისთვის.

მოტივაციური პროცესების მართვა შესაძლებელია, თუ სასწავლო გეგმის შედგენისას მასწავლებელი დაფიქრდება იმ საშუალებებზე, რომლებიც მოსწავლეებს სწავლის სურვილს აღუძრავს და წინასწარ განსაზღვრავს (სასწავლო გეგმის ფარგლებში), რისი გაკეთებაა შესაძლებელი მათი მოტივაციის ასამაღლებლად.

უპირველესად, მნიშვნელოვანია მოზარდებს გაუჩნდეთ წინსვლის განცდა. ამისათვის თითოეულ მოსწავლეს, მიუხედავად მისი აკადემიური მიღწევებისა, საკუთარ

შესაძლებლობებსა და ცოდნაზე დაყრდნობით უნდა ჰქონდეს ეტაპობრივი პროგრესირების საშუალება. ამდენად, აუცილებელია, თითოეული მათგანისთვის შესაფერისი დავალებების შერჩევა სირთულის დონის მიხედვით. თუ მოსწავლეს მივცემთ ზედმეტად რთულ, მისთვის დაუძლეველ დავალებებს, ის ნინსვლის იმედს დაკარგავს. წარმატებული პედაგოგი უნდა ითვალისწინებდეს, რომ მოსწავლისთვის მთავარი „ასაკოპრივი“ წარმატების მიღწევის მოტივია. საინტერესოა, რა აქვთ საერთო ალპინისტს, რომელიც მწვერვალებს იპყრობს, ბავშვს, რომელიც გატაცებით თამაშობს კომპიუტერულ თამაშებს და მოსწავლეს, რომელიც ყოველთვის ცდილობს, უკეთესად ისწავლოს. თითოეულ მათგანს გაძლიერებული აქვს წარმატების მიღწევის მოტივი, რაც დაკავშირებულია პიროვნების სურვილთან თავი აარიდოს მარცხს. ასე რომ, აუცილებელია შექმნა ისეთი სასწავლო გარემოსი, რომელშიც ნებისმიერ მოსწავლეს ექნება ნინსვლის განცდა.

თანამედროვე სკოლაში სწავლის მოტივაციის განვითარების ტექნოლოგია მოსწავლეთა მიღწევის მოთხოვნილების განვითარებაზე იგება. ეს ტექნოლოგია გულისხმობს ისეთი პროგრამების შემუშავებას, რომლებშიც ბევრი სხვადასხვა სირთულის დავალებაა.

მოსწავლის დასაინტერესებლად აუცილებელია ყველა სახის სასწავლო მასალის გამოყენება. ამავდროულად, მნიშვნელოვანია მოსწავლის ინტერესების გათვალისწინება. სასურველია, გაკეთილის გეგმის მოსწავლეების ინტერესებთან შეთანხმებით დაგეგმვა. სასწავლო მასალა უნდა ჩავრთოთ „სამყაროს სურათში“, დაგუკავშიროთ ყოველდღიურ ცხოვრებისეულ გამოცდილებას. სასწავლო პროგრამების შესავსებად მასწავლებლისთვის მნიშვნელოვანია მოსწავლეთა ინტერესების გაცნობა. მოზარდის ინტერესების გამოსავლენად ყველაზე მარტივი ხერხი მოსწავლეთა პირდაპირი შეკითხვაა, მაგალითად, როგორ ატარებენ თავისუფალ დროს. მოსწავლეთა ინტერესების დადგენის შემდეგ, საჭიროა მათი გათვალისწინება სასწავლო პროცესში. გაკეთილის მსვლელობისას შეიძლება გამოვიყენოთ ყველაფერი, რაც გაზრდის მოსწავლეთა ცნობისმოყვარეობას - ახალი და უჩვეულო ფაქტები, შეხედულებები მოვლენებზე, თვალსაჩინო დამხმარე სახელმძღვანელოები, თვითნაკეთი ნივთები და სხვა.

მასწავლებელი ყოველთვის უნდა ცდილობდეს, ნათლად დაანახოს მოსწავლეს ამა თუ იმ აქტივობის მიზანი, ხელი შეუწყოს შესასრულებელი დავალების გააზრებაში და გააგებინოს, რა სარგებელს მოუტანს პიროვნული თუ სოციალური თვალსაზრისით და რას შესძენს ისეთს, რაც მას სკოლის გარეთაც გამოადგება. წინააღმდეგ შემთხვევაში, მისი მოტივაცია მკვეთრად დაიკლებს და იგი აქტივობისთვის მინიმალურად ან სრულიადაც არ დაიხარჯება.

## 5. მოსწავლის ჩართულობა

თანამედროვე საგანმანათლებლო პროცესი მოსწავლეთა განსაკუთრებულ აქტიურობას მოითხოვს. აქ იგულისხმება მონაწილეობა არა მხოლოდ საკუთარ, არამედ თანატოლების სწავლის პროცესში. გაკვეთილზე ჯგუფური მუშაობისას, პროექტებში მონაწილეობისას, წარმოდგენების დაგეგმვისა თუ განხორციელებისას მოსწავლეები ერთმანეთს ეხმარებიან სხვადასხვა კონცეფციის უკეთ გაგებაში, უნარ-ჩვევების დაუფლება-განვითარებასა და დამოკიდებულებების ჩამოყალიბებაში. შესაბამისად,

გაკვეთილებზე მოსწავლეების დასწრების უზრუნველყოფა სკოლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საზრუნოა.

## 6. ინდივიდუალური მახასიათებლების გათვალისწინება

ყველა მოსწავლე უნიკალური და განსხვავებულია თავისი ინდივიდუალური, ფიზიკური და ფსიქიკური მახასიათებლებით, ნიჭით, ემოციებით, ინტერესებით, პირადი გამოცდილებით, აკადემიური საჭიროებებით, აზროვნების მოდალობითა და სწავლის სტილით (აღქმის მოდალობებით). განვითარების თანაბარი შესაძლებლობის მისაცემად სკოლამ ყველა მოსწავლეს უნდა შესთავაზოს მრავალფეროვანი სასწავლო პროცესი, რაც გულისხმობს მრავალგვარი მეთოდის, მიდგომის, სტრატეგიის, პრობლემათა გადაჭრის გზების, აქტივობათა ტიპებისათვის შეფასების ხერხების გამოყენებას.

მესამე და მეოთხე თავებში შემოგთავაზებთ აქტივობათა და შეფასების ხერხების მრავალფეროვან სპექტრს. ყურადღებას შევაჩირებთ სწავლის სტილზე (ეარნინგ შტყლე) ანუ აღქმის მოდალობებზე.

თანამედროვე მკვლევარები მოსწავლეს ადარებენ ტელევიზორს, რომლის მსგავსად, მოსწავლესაც შეუძლია, სხვადასხვა არხით მიიღოს ინფორმაცია. როგორც წესი, ცალკეულ ინდივიდში რომელიმე ერთი არხი სხვებზე მეტადაა განვითარებული და, შესაბამისად, ისინი ინფორმაციის დამუშავებას ამ არხით ამჯობინებენ. სწორედ ეს არჩევანი განსაზღვრავს სასწავლო პროფილს. დადგენილია სამი ძირითადი სასწავლო პროფილი:

- ხედვითი (Visual- ვიზუალური);
- სმენითი (Auditory - აუდიტორული);
- კინესთეტიკური (Kinesthetic - კინესთეტიკური).

ზოგიერთი ადამიანი ინფორმაციას მხედველობით უკეთ აღიქვამს (ვიზუალები) და მასზე ამბობენ, „ფოტოაპარატით“ სწავლობსო. მასზე, ვინც სმენით უფრო იმ-ლად აღიქვამს ინფორმაციას (აუდიტორები), - „მაგნიტოფონით“ სწავლობსო. მასზე, ვინც ინფორმაციის უკეთ დამახსოვრებას სხვადასხვა მანიპულაციით - ხელის შეხებით/კეთებით, ჟესტიკულაციით, მიმიკით, მოძრაობებით - ამჯობინებენ (კინესთეტიკოსები), ამბობენ „უთავოდ“ სწავლობსო.

მაშასადამე, ადამიანს გარედან მიღებული ინფორმაციის აღქმისა და დამახსოვრების ინდივიდუალური უნარები აქვთ. ზოგი მხედველობით მიღებულ ინფორმაციას იმახსოვრებს უკეთ, ზოგი - სმენით აღქმულს, ზოგს კი მოქმედების შესრულებისას, კონკრეტული გარემოს შეგრძნება სჭირდება, რათა მიღებული ინფორმაცია დაიმახსოვროს. ეს უნარები, როგორც აღვნიშნეთ, ბავშვობიდანვე იჩენს თავს და, თუ ინფორმაციის მიწოდების ფორმა არ შეესაბამება ბავშვის აღქმის ინდივიდუალურ სისტემას, მას უჭირს ინფორმაციის გაგება. გაკვეთილი, რომლის 60-70% მასწავლებლის მონაცემებისგან შედგება, ხედვითი პროფილის მქონე მოსწავლეებისთვის ძნელად აღსაქმელია. მასწავლებელი დროდადრო ჩანაწერებს აკეთებს დაფაზე და ამგვარად უწყობს ხელს ვიზუალებს ინფორმაციის მიღებაში. ამ დროს კინესთეტიკოსები გაკვეთილიდან გამოთიშულნი არიან. თუ მათი

პროფილის შესაბამის აქტივობას არ ჩაერთავთ, ისინი მხოლოდ სპორტისა და ხელსაქმის გაკვეთილებზე შეძლებენ თავის წარმოჩენას. ამიტომ აუცილებელია, ასეთ მოსწავლეებს მათი ინდივიდუალური სტილის შესაბამისი აქტივობები შევთავაზოთ, მაგალითად, როლური თამაში, სიმულაციური აქტივობა, წაკეთობის შექმნა, დაფასთან გამოსვლა და მასწავლებლისგან მიღებული ინფორმაციის რუკაზე/ცხრილზე ჩვენება, სქემის შედგენა, სცენის დახატვა, მაკეტის შექმნა და სხვა.

ზოგჯერ მასწავლებლები ცდილობენ ასეთი მოსწავლეების ჩამოცილებას მათვის უინტერესო გაკვეთილებისგან, რათა სწავლებაში ხელი არ შეეშალოთ. ცხადია, ამას სასურველი შედეგი არ მოაქვს. სწავლებისა და განვითარების პროცესის უკეთ წარმართვისთვის აუცილებელია, მასწავლებელმა ყურადღება მიაქციოს თითოეული მოზარდის მიერ ინფორმაციის აღქმის ინდივიდუალურ სისტემას. სასურველია, მასწავლებელმა თავიდანვე ასწავლოს მოსწავლეს, თუ როგორ „მოარგოს“ ინფორმაცია მისთვის ხელსაყრელ აღქმის სისტემას. განსაკუთრებით ეს სჭირდებათ კინესთეტიკოსებს, რადგან სასკოლო სწავლების გარემო უპირატესად აუდიო-ვიზუალურია. მართალია, დაწყებითი კლასების ბოლო ეტაპზე, სწრაფი კითხვის უნარის ჩამოყალიბებასთან ერთად, ვიზუალების და კინესთეტიკოსების პრობლემის სიმწვავეც იკლებს, მაგრამ სიტყვიერად მიწოდებული ახსნა-განმარტებების გაგება მაინც როტულია.

## 7. ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინება

დაწყებითი კლასის მოსწავლის ფსიქიკა, ძირითადად, ვითარდება მისთვის წამყვანი საქმიანობის - სწავლის საფუძველზე. სასწავლო პროცესში ჩართვასთან ერთად, მოზარდი თანდათან ემორჩილება მის მოთხოვნებს, ხოლო ამ მოთხოვნების შესრულება, თავის მხრივ, გულისხმობს წარმოქმნას ფსიქიკის ახალი თავისებურებებისა, რომლებიც სკოლამდელებს არ გააჩნიათ. სასწავლო პროცესის წარმატებით განხორციელებისთვის აუცილებელია ბავშვის კოგნიტური (შემეცნებითი) უნარების მზაობის გათვალისწინება ყოველ კონკრეტულ ასაკობრივ საფეხურზე. ამჯერად, მიმოვისილავთ დაწყებითი კლასების მოსწავლეთა შემეცნებითი უნარების ასაკობრივ თავისებურებებს.

**აღქმა** - მოზარდთა ცალკეული ფსიქიკური პროცესის განვითარება უწყვეტად მიმდინარეობს სკოლის დაწყებით საფეხურზე. მართალია, სკოლაში წასვლისას მათ განვითარებული აქვთ აღქმის გარკვეული უნარები - კარგი მხედველობა, მახვილი სმენა, ერკვევიან ფორმებსა და ფერებში, მაგრამ სასწავლო პროცესში მათი აღქმა მხოლოდ ფერისა და ფორმის ცნობით და დასახელებით შემოიფარგლება. პირველკლასელებს არ შეუძლიათ აღქმული საგნების თვისებების სისტემური ანალიზი. ეს კარგად ჩანს ქვემოთ აღწერილ შემთხვევაში: პირველ კლასელებს დასახატად აძლევენ ფერად ქოთანს. ბავშვები ათვალიერებენ მას, მაშინვე ასახელებენ საგანს და იწყებენ ხატვას, მაგრამ ნიმუშისკენ აღარც იყურებიან. მათ წახატებში ქოთნები სხვადასხვა ფორმისა და ფერისაა. ბავშვები ვერ აანალიზებენ ვერც ფორმას და ვერც ფერს - არ აინტერესებთ მათი კონკრეტული თვისებები (ელფერი, ფორმის ნიუანსები). ეს აღქმის დიფერენციაციის ნაკლია.

აღქმული საგნის ნიშან-თვისებების ანალიზისა და დიფერენცირების პროცესი

დაკავშირებულია მოქმედების უფრო რთულ სახეობასთან, ვიდრე შეგრძნება და საგნის რომელიმე თვისების აღქმაა. მოქმედების ამ სახეობას დაკვირვება ჰქვია, რომელიც განსაკუთრებით ინტენსიურად სასკოლო სწავლების პერიოდში ვითარდება. გაკვეთილზე მოსწავლის სურადღებას მასწავლებელინარმართავს, ხოლო შემდეგი იგით ვითონა ყალიბებს ამა თუ იმ საგნისა და მოვლენის შესახებ აღქმით მიღებულ ინფორმაციას. ამის წყალობით აღქმა ხდება მიზანმიმართული. მასწავლებელი რეგულარულად უჩვენებს მოსწავლეებს საგნების და თვალიერების და მოსმენის შედეგად მიღებულ მონაცემებს (მათი თვისებების გამოვლინებების რიგს, მოძრაობის მარშრუტებს და სხვა). ამის შემდეგ მოსწავლე შეძლებს აღქმის მიმართულების დამოუკიდებლად დაგეგმვას, მის მიზანდასახულად განახორციელებას, მიზნის შესაბამისად მთავარისა და მეორეხარისხოვანი ნიშნების გამოყოფას, აღქმული ნიშნების იერარქიის დადგენას, ზოგადის გამოყოფას და ა.შ. ასეთი აღქმა სინთეზირდება სხვა შემეცნებით პროცესებთან (ყურადღებასთან, აზროვნებასთან), იღებს მიზანდასახული, ნებისმიერი დაკვირვების ფორმას. კარგად განვითარებული დაკვირვების უნარი მოზარდის პიროვნულ თვისებად გადაიქცევა. კვლევებით დადგენილია, რომ დაწყებით კლასებში სწავლებას ამ მნიშვნელოვანი ფსიქიკური ფუნქციის განვითარება შეუძლია.

**მეტყველება** - თითოეული ადამიანი მშობლიურ ენას იყენებს საკუთარი აზრების გამოსახატავად და სხვის მიერ გამოთქმულის გასაგებად. შეიძლება ითქვას, რომ ბავშვს დაბადებიდანვე „მზად ხვდება“ ენა, მაგრამ ის არა მხოლოდ ითვისებს მშობლიური ენის სიტყვებს და გრამატიკულ ფორმებს, არამედ ძალიან ადრეულ ასაკში იგებს ამ სიტყვების მნიშვნელობებს. თუმცა განვითარების სხვადასხვა ეტაპზე სიტყვის შინაარსი განსხვავებულად აღიქმება.

სიტყვა ყოველთვის აღნიშნავს რაღაცას - რაიმე ფაქტს, მოვლენას, საგანს, ნიშან-თვისებას ან დამოკიდებულებებს. მათი ასახვის სილრმე, მოცულობა და სისწორე იცვლება ბავშვის განვითარების პროცესში. ამიტომ როცა, მაგალითად, 2 წლის ბავშვი ამბობს სიტყვას - „დედა“, ეს მხოლოდ მის დედას ეხება, უფროსი სკოლამდელი ამ სიტყვაში იგულისხმებს, ვთქვათ, ლეკვის ან კნუტის დედასაც. მხოლოდ უფრო მოგვიანებით, სკოლის პერიოდში, მოსწავლეს შეუძლია, გაიგოს „მზე დედაა ჩემი, მთვარე - მამა ჩემი“. შეიძლება ითქვას, რომ ენა ზოგადია, მეტყველება კი - ინდივიდუალური. ამიტომ ერთი შეხედვით, მეტყველება ენაზე დარიბია, თუმცა იმავდროულად - მასზე მდიდარიც. რას ნიშნავს ეს პარადოქსი? ადამიანი სხვებთან ურთიერთობაში იყენებს მშობლიური ენის ლექსიკონისა და მრავალფეროვანი გრამატიკული სტრუქტურების მცირე ნაწილს. თუმცა მეტყველება მდიდარია იმით, რომ ადამიანი საუბრისას გამოხატავს დამოკიდებულებას იმ ობიექტებისადმი, იმ მოვლენებისადმირაზეც ლაპარაკობს და ვისაც ელაპარაკება. მეტყველება იძენს ინტონაციურ გამომხატველობას, იცვლება ტემპი, რიტმი, ხასიათი. ამიტომ ადამიანს სხვებთან ურთიერთობისას შეუძლია თქვას იმაზე მეტი, ვიდრე ნიშნავს სიტყვები, რომლითაც იგი საუბრობს (ეს არის ქვეტექსტი). მაგრამ იმისთვის, რომ ადამიანმა ზუსტად გააგებინოს აზრი სხვას, იმოქმედოს სხვაზე, ანუ გაუგონ სწორად, მან კარგად უნდა იცოდეს მშობლიური ენა.

ბავშვის მიერ მეტყველების დაუფლება არის მშობლიური ენის დაუფლების პროცესი, ეს არის უნარი ენის გამოყენებისა საკუთარი თავისა და გარემოს შესაცნობად, სხვებთან ურთიერთობის დასამყარებლად.

მოზარდის მეტყველების განვითარების ერთ-ერთი და განსაკუთრებით ინტენსიური ეტაპი სკოლაში სწავლის პერიოდია. მასწავლებლის მიმართვა კლასისადმი, განმარტებები, მითითებები, შენიშვნები, კითხვები, შესწორებები და ა.შ. გამოხატულია მეტყველების ფორმით.

იმისათვის, რომ მოსწავლემ სწორად დაიჭიროს ფანქარი, რვეულში გაავლოს პირველი ხაზი, განსაზღვროს, საიდან დაიწყოს წერა ან/და რომელი დავალება შესარულოს უპირველესად, მან უნდა მოუსმინოს მასწავლებელს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მომდევნო სტადიაში მნიშვნელოვანია მოსმენის უნარის განვითრება.

მოსმენა პირველ და მეორე კლასებში მოსწავლეთა შემეცნებითი მოქმედების ერთ-ერთი ძირითადი სახეა. ამ ეტაპზე მოზარდები უსმენენ და ეჩვევიან მასწავლებლის განმარტებებს, თვალყურს ადევნებენ მის მითითებებს და მოქმედებენ შესაბამისად. ამდენად, მეტად მნიშვნელოვანია მოსწავლეთა მოსმენის უნარის (ყურადღების კონცენტრაციის) განვითარებაზე ზრუნვა შესაბამისი აქტივობებით, მაგალითად, სიტყვების დაყოფა ნაწილებად/მარცვლებად, ბგერებად, მათგან სიტყვების შედგენა და სხვა.

მე-3/მე-4 კლასებში მოსწავლეთა ლექსიკური მარაგი მკვეთრად იზრდება. ლექსებისა და პროზის სისტემური მოსმენა ზრდის ზეპირ თუ წერით მეტყველებაში მხატვრული გამოთქმების გამოყენების შესაძლებლობას.

დაწყებითი საფეხურის პირველეტაპზე მეტად აქტუალურია წერა-კითხვის დაუფლება, რაც რთული პროცესია. ამისთვის აუცილებელია: 1) მოსმენილი ბგერების ერთმანეთისგან მკვეთრად განსხვავება, 2) ბგერის შესაბამისობის დადგენა წიგნში გარკვეულ ნიშანთან და ამ ნიშნის დამოუკიდებლად გამოსახვა ფურცელზე, 3) წაკითხული სიტყვის ყველა ასოს, როგორც ერთიან ბგერათა კომპლექსის ნარმოთქმა, 4) ნაცნობი საგნის ნიშან-თვისების ან მოქმედების აღმნიშვნელი სიტყვის ბგერების კომბინაციის გაგება.

შემდგომ ეტაპზე, სიტყვების დაბილოებებზე დაყრდნობითა და მაკავშირებელი სიტყვების დახმარებით, მოსწავლე იგებს სიტყვებს შორის კავშირის მნიშვნელობას და ეუფლება წინადადების შინაარსის განსაზღვრის უნარს.

დაწყებით კლასებში მოსწავლის მეტყველების განვითარება დაკავშირებულია კითხვის უნარ-ჩვევის გამომუშავებასთან, რაც ნიშნავს ასოების და მათი შეთანხმებების სწრაფ და სწორად აღქმას. ხმამაღლალი კითხვისას მნიშვნელოვანი ყურადღება უნდა დაეთმოს სწორი ინტონაციის დაცვას. მოსწავლეებმა უნდა გაითვალისწინონ წინადადებაში გამოყენებული სასვენი ნიშნები (მაგალითად, წერტილი, კითხვის და ძახილის ნიშნები, მძიმე და ა.შ.).

საინტერესოა გრამატიკის და ორთოგრაფიის დაუფლების თავისებურებები დაწყებით კლასებში. როდესაც მოსწავლეები სწავლობენ სიტყვის ანალიზს, მაგალითად, ეძებენ ერთნაირფუძინა სიტყვებს, მონათესავე სიტყვებს, ცვლიან მათ აზრს სხვადასხვა წინდებულითა და სუფიქსით, მოსწავლეები ეუფლებიან მშობლიური ენის ლექსიკას, ახერხებენ, შეარჩიონ სიტყვები საკუთარი აზრების თუ კონკრეტული საგნების ნიშან-თვისებების ზუსტად გამოსახატად. წინადადების აგებისას, თხრობისას, თხზულების დაწერისას ან მოთხრობის გეგმის შედგენისას მოსწავლეები ეუფლებიან გრამატიკულ წესებს. დაწყებითი კლასებიდანვე ასეთი სახის სამუშაო ეხმარება მოსწავლეებს მრავალფეროვან სამყაროში საგნებსა და მოვლენებს შორის ურთიერთკავშირის გააზრებაში, ახსნაში იმ დამოკიდებულებებისა, რომლებსაც ადამიანი ამყარებს ზოგჯერ საკუთარი სურვილით, ზოგჯერ - აუცილებლობით. მაგალითად, „მე წავალ“, „მე უნდა წავიდე“ და ა.შ.

დაწყებით საფეხურზე წერა-კითხვისა და მოსმენის უნარის დაუფლება მნიშვნელოვან

როლს ასრულებს მოსწავლეთა გაბმული მეტყველებისა და ზოგადი გონიერივი განვითარების საქმეში. ენობრივ მასალაზე აგებული სხვადასხვა ტიპის აქტივობებზე მუშაობა ავითარებს გაბმული მეტყველების უნარსა და ლოგიკურ აზროვნებას. ეს მიზანი მიიღება ასევე სხვადასხვა სასწავლო საგნის შესწავლის პროცესში მეცნიერული ცნებების აღქმისას, რომელიც ისეთ რთულ სააზროვნო ქმედებებს უკავშირდება, როგორიცაა, უპირველესად, ანალიზი, აპსტრაგირება, განზოგადება და სხვა. თითოეულ სასწავლო საგანს (მათემატიკა, ბუნებისმეტყველება, ხატვა, სპორტი, მუსიკა) აქვს თავისი შინაარსი და ტერმინოლოგია, რომელთა დაუფლება ამდიდრებს მოსწავლის ლექსიკასა და ენობრივ შესაძლებლობებს.

დაწყებით საფეხურზე არსებობს მრავალი შესაძლებლობა მოსწავლეთა ლოგიკური თუ ხატვანი მეტყველების განვითარებისთვის. თუ მასწავლებელი იმთავითებ განსაკუთრებულ ყურადღებას მიაქცევს აღნიშნულ საკითხს, ხელს შეუწყობს მომავალში მოსწავლეების მზაობას მხატვრული და სამეცნიერო ლიტერატურის აღსაქმელად.

რაც შეეხება უცხოურ ენას, მისი სასკოლო სწავლების თავისებურებები განსხვავდება ბუნებრივ სიტუაციაში ენის დაუფლებისგან. უცხოური ენის სწავლების სწორად წარმართვისთვის ამოსავალ წერტილად სწორედ ამ პროცესის კანონმზომიერება უნდა გამოვიყენოთ. უცხოური ენის სწავლების სისტემის შექმნისას, უპირველესად, გასარკვევია, როგორ ეუფლება ადამიანი ენას ბუნებრივ პირობებში.

რა განაპირობებს იმას, რომ ბავშვი ასე ადვილად ეუფლება ენის ურთულეს სისტემას? ეს არის თანდაყოლილი თვისება, რომელსაც ენობრივ უნარ-ჩვევას უწოდებენ. ეს სპეციფიკური ადამიანური უნარია, რომელიც მხოლოდ მაშინ ამოქმედდება, თუ ბავშვი დაბადებისთანავე ადამიანთა საზოგადოებაში აღმოჩნდება.

ენობრივი უნარი უნივერსალური ხასიათისაა - ის არა ერთი რომელიმე ენის შესწავლის, არამედ, საერთოდ, ენის შესწავლის უნარია, რაც იმას ნიშნავს, რომ ორი (ან თუნდაც სამი) ენის შესწავლის საჭიროების და ამისთვის გარკვეული პირობების დაცვის შემთხვევაში მოზარდი წარმატებით და უმტკიცნეულოდ დაეუფლება მათ.

უცხოური ენის შესწავლისას ენობრივი უნარი ყველაზე ეფექტურად ადამიანის სიცოცხლის პირველ წლებში მოქმედებს, შემდეგ მისი ეფექტურობა თანდათან იყლებს. უცხოური ენის შესწავლისთვის ყველაზე ხელსაყრელი 10-12 წლამდე ასაკია (ა. ალხაზიშვილი). ამ პერიოდს კრიტიკულ პერიოდს უწოდებენ, რადგან, თუ უცხოური ენის შესწავლის დრო აღნიშნულ პერიოდს გადასცდა, მისი დაუფლების შანსი მცირდება.

კრიტიკული პერიოდის ფარგლებშიც ენობრივი უნარი უფრო ეფექტური დასაწყისშია, ვიდრე ბოლოს. კრიტიკული პერიოდის პირველ ნახევარში (დაახლოებით, 6 წლამდე) ბავშვისთვის სასწავლო ქცევა ჯერ კიდევ უცხოა. ბავშვი ამ ასაკში ცოდნასა და ჩვევებს იძენს ე.წ. არასასწავლო ქცევაში, ვთქვათ, თამაშის დროს, სხვადასხვა საგნის მოხმარებისას და სხვ. . ბავშვი ვერ აცნობიერებს იმ ფაქტს, რომ მშობლიურ ენას სწავლობს და ამიტომ სწორედ ამ ასაკში აქვს მას შესაძლებლობა იოლად და ისეთივე წარმატებით დაეუფლოს მეორე ენას.

რა ხდება კრიტიკული პერიოდის მეორე ნახევარში, როცა ბავშვი სასკოლო ასაკს მიაღწევს? ამ დროს ბავშვი თავს მოსწავლედ აღიქვამს და სწავლა მისთვის თანდათანობით ძირითად ქცევად გარდაიქმნება. ამიტომ ძნელდება ისეთი ბუნებრივი (არასასწავლო) სიტუაციების შექმნა, რომელიც ხელსაყრელი იქნებოდა ენობრივი უნარის სრულყოფილად რეალიზაციისთვის (თამაში და სხვა).

აქედან გამომდინარე, ამ პერიოდში უცხოურ ენაზე ასამეტყველებლად საჭირო ხდება ენობრივი სისტემის ელემენტებზე წინასწარი გავარჯიშება. კერძოდ, მოსწავლემ ჯერ უნდა ივარჯიშოს ამა თუ იმ გრამატიკულ, ფონეტიკურ, გრაფიკულ, ლექსიკურ მასალაზე, შემდეგ ეტაპზე კი უნდა ივარჯიშოს მათ შერწყმულად გამოყენებაზე მთლიან ფრაზებში. პირველ ორ ეტაპზე სწავლება ხორციელდება სავარჯიშოებზე დაყრდნობით (ე.ი. ბავშვი სწავლობს და აღიქვამს ამას, როგორც სასწავლო პროცესს). ბოლოს კი, მოსწავლემ ეს მასალა ბუნებრივად უნდა გამოიყენოს სამეტყველო სიტუაციაში. მესამე ეტაპზე მასწავლებელი ქმნის ე.წ.“ბუნებრივ საურთიერთო სიტუაციებს”, მოსწავლე კი განახორციელებს ამ სიტუაციების შესატყვის სამეტყველო აქტებს უცხოურ ენაზე (ე.ი. ადამიანი აქაც სწავლობს, მაგრამ აღიქვამს ამას არა როგორც სწავლას, არამედ როგორც რეალურ ურთიერთობაში მონაწილეობას). ბუნებრივი საურთიერთო სიტუაცია, რომელიც სასწავლო ვითარებაში იქმნება, თითქოს, არაფრით განსხვავდება ნებისმიერი სხვა საურთიერთო სიტუაციისგან, რომელიც წარმოიშობა სასწავლო გარემოს მიღმა, მაგრამ სასწავლო პროცესში შექმნილ საურთიერთო სიტუაციას თავისი სპეციფიკა აქვს.

უცხოური ენის სწავლების პროცესში სასწავლო ამოცანის შესრულების დროს მოსწავლე შესასწავლი ენის გრამატიკული, ფონეტიკური და ლექსიკური სტრუქტურის დაუფლების გარდა, ამ ენაზე გარკვეულ ტექსტებსაც ქმნის. სასწავლო ამოცანის შესრულების პერიოდში მოსწავლეზე ვერ ვიტყვით, , რომ ის მეორე ენაზე საუბრობს.

რეალური საურთიერთო პროცესი სავარჯიშოს სახით ვერ წარიმართება . გარკვეული ტექსტის შექმნა რეალურ ურთიერთობაში მხოლოდ მონაწილეთა ქცევაში ჩართვის შემთხვევაშია გამოსადეგი, რათა დაკმაყოფილდეს მათი მოთხოვნილებები. ამგვარად, გარდა წმინდა სიტუაციებისა, რომლებიც მეორე ეტაპზე იქმნება, მასწავლებელმა ბუნებრივი საურთიერთო სიტუაციების შექმნაზეც (მესამე ეტაპზე) უნდა იზრუნოს, ანუ მან ხელი უნდა შეუწყოს ისეთი სიტუაციების შექმნას, როცა მოსწავლე უცხოურ ენაზე ილაპარაკებს არა იმიტომ, რომ დაავალეს, არამედ იმიტომ, რომ სხვაგვარად მისი მოთხოვნილებები ვერ დაკმაყოფილდება (მაგალითად, საჭირო ინფორმაციის მიღება მისთვის საინტერესო საკითხზე).

უცხოური ენის შემსწავლელი ლაპარაკს ვერ ისწავლის (თუნდაც მთლიან ფრაზებზე) მხოლოდ გავარჯიშების შედეგად. მან უნდა გააცნობიეროს, რომ იგი სხვა, არამშობლიურ ენაზე მოლაპარაკე ადამიანია. ეს კი მხოლოდ იმ სიტუაციაშია შესაძლებელი, როცა ის კი არ ეუფლება ლაპარაკის უნარს, არამედ რეალურად ლაპარაკობს.

სასწავლო აქტში მონაწილეობისას მოსწავლე ნაკლებადაა შეზღუდული დროში - მას შეუძლია გარკვეული დროის განმავლობაში დაფიქტრდეს, სწორად იყენებს გრამატიკულ ან ლექსიკურ ფორმებს თუ არა, ლექსიკონი დაიხმაროს თუ არა და ა.შ. ბუნებრივ საურთიერთო სიტუაციაში ეს შესაძლებლობა მას არ აქვს - სათქმელი სწორედ მაშინ უნდა ითქვას, როდესაც ამის საჭიროება ჩნდება, რადგან შემდგომ უკვე გვიან იქნება (შესაძლოა, ურთიერთობა არ შედგეს, საჭირო ინფორმაცია არ გადაიცეს ან დარჩეს გაუგებარი). ბუნებრივ სამეტყველო სიტუაციებში, რომლებსაც მასწავლებელი მესამე ეტაპზე ქმნის, მოსწავლე სწორედ ამას ეჩვევა (სათქმელი ითქვას საჭირო დროს).

მეორე ენაზე ლაპარაკის სწავლებისას ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია იმ ენობრივი მასალის სწორად შერჩევა, რომელსაც ეს პროცესი უნდა ეყრდნობოდეს. კერძოდ, შერჩევას მოითხოვს მხოლოდ ლექსიკური და გრამატიკული ერთეულები. რაც შეეხება ფონეტიკურ სისტემას, იმის გამო, რომ ამა თუ იმ სიტყვაში შეიძლება გარკვეულმა ბერებმა

ან ბეგერათშეთანხმებამ იჩინოს თავი, ძნელია რომელიმესთვის რაიმე უპირატესობის მინიჭება. ზოგ შემთხვევაში, გარკვეული ბეგერების სწორად წარმოთქმისთვის შეიძლება საჭირო გახდეს საარტიკულაციო აპარატის მომზადება და ამისათვის რამდენიმე სავარჯიშოს შერჩევა. მნიშვნელოვანია, რომ თვითონ მასწავლებელს ჰქონდეს კარგი გამოთქმა. მოზარდი, როგორც წესი, მხოლოდ სმენითაც ახერხებს სწორი (ან არასწორი) წარმოთქმის ათვისებას.

ბევრი მასწავლებლის აზრით, მოსწავლე იმ შემთხვევაში დაეუფლება უცხოურ ენას წარმატებით, თუ მისთვის მიწოდებული ენობრივი მასალა რაც შეიძლება მეტ საზოგადოებრივ, საყოფაცხოვრებო და ბუნებრივ მოვლენას ეხება (მაგალითად კინო, ცირკი, სხვადასხვა სახის საგნები, მცენარეები და მრავალი სხვა). თუმცა ეს საკამათო საკითხია, რადგან ჩვენ ბუნებრივ პირობებში ერთდროულად არ ვსწავლობთ ერთი თემის ყველა სიტყვას. ამ სიტყვებს ადამიანი მშობლიურ ენაზეც თანადათანობით (საჭიროების მიხედვით) ითვისებს. გარდა ამისა, თემატურად შერჩეული სიტყვების უმრავლესობა არსებითი სახელებია. ბავშვების მეტყველებასთან დაკავშირებული გამოკვლევები კი ცხადყოფს, რომ თამაშის დროს ბავშვი ყველაზე ხშირად ზმნებს იყენებს, არსებით სახელებს კი - ზმნებზე სამჯერ ნაკლებად.

ადამიანის მეტყველება ყოველთვის გარკვეულ შინაარსზეა აგებული. ის ლაპარაკს მაშინ იწყებს, როდესაც სჭირდება გადასცეს ან მიიღოს ინფორმაცია. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ინფორმაციის გადაცემისა და მიღების აუცილებლობას ადამიანის მოთხოვნილება განაპირობებს (ახლის გაების და გაებინების, რომლის მიხედვითაც იგი გარკვეულ ქცევებს განახორციელებს), გასაგები გახდება, რომ ამ ინფორმაციის შინაარსიც იმ მომენტში არსებულ მოთხოვნილებებზეა დამოკიდებული. აქედან გამომდინარე, შემუშავდა პრინციპი „შინაარსიდან სიტყვებისკენ“ (და არა „სიტყვებიდან შინაარსისკენ“). ასეთი მიდგომა არ უარყოფს თემატურ პრინციპს, არამედ რაციონალურ საფუძველს უქმნის მას. მაგალითად, თუ რომელიმე თამაში ან საურთიერთო სიტუაცია შეეხო, ვთქვათ, თემას „ოჯახი“ ან „ადამიანის გარეგნობა“ და სხვა, ამ მიდგომის მიხედვით მხოლოდ ის სიტყვები ჩაირთვება, რომლებიც ამ კონკრეტული თამაშის ან საურთიერთო სიტუაციის რეალიზაციას დასჭირდება. ამა თუ იმ სიტყვის შერჩევის კრიტერიუმი იქნება მხოლოდ ის, თუ რამდენად ეფექტურად ესადაგება ეს სიტყვა სასწავლო პროცესში შექმნილ საურთიერთო სიტუაციებს.

არსებითად, ამავე პრინციპით უნდა იჩირეოდეს გრამატიკული მასალაც: „შინაარსიდან - გრამატიკული ელემენტებისკენ.“ ამ პრინციპის რეალიზაცია გრამატიკული მასალის შერჩევისას არ გამორიცხავს მის მკაცრ რეგულირებას (გრამატიკული მასალის ზუსტად შერჩევას, სწორი ფორმების ფიქსაციას, შეცდომების მინიმუმამდე დაყვანას).

ბავშვებისთვის უცხოური ენის სწავლების მთელი პროცესი აგებულია გარკვეულ თავისებურებაზე - მათ, ენის ზრდასრული შემსწავლელებისგან განსხვავებით, ინფორმაციის ფიქსაცია მხოლოდ დამახსოვრებით შეუძლიათ. ლექსიკური მარაგის გამდიდრებას ხელს უწყობს თვალსაჩინო მასალა, მაგრამ გრამატიკის სწავლებისას ეს მეთოდი ყოველთვის არ გამოდგება.

ამ პრინციპის მიხედვით, გრამატიკული სტრუქტურების შემოტანა შეიძლება 2 გზით: ეს არის გათვალსაჩინოება (დემონსტრირება, საჭირო მოქმედების შესრულება, ჟესტისა და მიმიკის გამოყენება) და ისეთი სიტუაციების შექმნა, რომლებშიც ესა თუ ის გრამატიკული სტრუქტურა გამოიყენება.

რაც შეეხება გრამატიკული სტრუქტურების გამოყენების განმტკიცებასა და გავარჯიშებას, აქაც შეიძლება გამოვიყენოთ გათვალსაჩინოებისა და საკომუნიკაციო სიტუაციების შექმნის მეთოდები. მაგალითად, თამაში „პანტომიმა“ იმ მოქმედებების დასახელებისთვის, რომლებიც შეიძლება ვაჩვენოთ, როდესაც გვინდა გავაცნოთ დღის რეჟიმის მნიშვნელოვანი მომენტების აღმნიშვნელი რამდენიმე ზმნა და გამოვხატოთ უესტებით: ვიღვიძებ/გავიღვიძე (თვალებს ვახელ, ვიზმორები), ვდგები, ვიცვამ, ხელ-პირს ვიბან და ა.შ. სასურველია, უსტი, შეძლებისდაგვარად, ყველგან გამოვიყენოთ. ეს მნიშვნელოვნად გაუადვილებს ბავშვებს რისამედამახსოვრებას და გაზრდის გავარჯიშების ეფექტს. შესაძლებელია ამ თამაშის რამდენიმე ვარიანტის შექნა (მარტივიდან რთულის კენა):

**ა)** მასწავლებელი ასახელებს მოქმედებას და მოსწავლეები ასრულებენ მას (მოსმენა და გაგება);

**ბ)** მასწავლებელი უჩვენებს რაიმეს უესტებით და მოსწავლეები ასახელებენ მოქმედებას (რეაგირება სტერეოტიპული ფრაზებით);

**გ)** წამყვანის როლშია მოსწავლე - ის უჩვენებს რაიმე მოძრაობას და თანაკლასელები ასახელებენ მას;

**დ)** მოსწავლე თვითონ წარმოთქვამს ამათუ იმ სიტყვას ან ფრაზას და სხვა თანატოლები ასრულებენ მოქმედებას.

იმ გრამატიკული სტრუქტურების გასავარჯიშებლად, რომელთა ჩვენებაც უესტით შეუძლებელია, გამოიყენება სიტუაციების შექმნის მეთოდი. მაგალითისთვის წარმოგიდგენთ, როგორ შეიძლება მასწავლებელმა შემოიტანოს მეცადინეობაზე გრამატიკული სტრუქტურა „ეს არის...“. ის სთავაზობს მოსწავლეებს, წარმოიდგინონ, რომ მათთან სტუმრად მივიღნენ მეგობრები და სურთ საოჯახო ალბომის დათვალიერება. ისინი რიგრიგობით უხსნიან ერთმანეთს: „ეს არის...“. კითხვითი ფორმის „ეს ვინ არის?/ ეს რა არის“ გავარჯიშებისთვის შეიძლება „სტუმრებმაც“ გვაჩვენონ თავისი ალბომი და მოსწავლეებმა დასვან კითხვები. არ არის სასურველი ერთ მეცადინეობაზე ორ ვარიანტზე მეტის შეთავაზება.

ამ თამაშის შინაარსი და ფორმა შეიცვლება სიტუაციის, სასწავლო მასალის, მოსწავლის ან მასწავლებლის ინტერესების გათვალისწინებით. მთავარია, კარგად გვესმოდეს თამაშების შერჩევის პრინციპი და არ დაგვავიწყდეს, შეძლებისდაგვარად, თავი ავარიდოთ პირდაპირ თარგმანს და შევცვალოთ ის სხვა ვერბალური და არავერბალური ხერხებით.

ალსანიშნავია, რომ შესასწავლი მასალის თემატური ჩამონათვალი და თითოეული თემის მოცულობა დაკავშირებული უნდა იყოს მოზარდის ყოველდღიურ საქმიანობასთან - კვება, ტანსაცმლისა და სხვადასხვა ნივთის, სათამაშოს გამოყენება, გარემოში არსებული საგნები და მოვლენები (მაგალითად, მხოლოდ იმ საგნების სახელები, რომლებსაც ის იყენებს ხატვისას, ის ნივთები, რომლებიც ახლა თოთახშია და სხვა).

თემები ირჩევა ბავშვების ინტერესების გათვალისწინებით - რა მოსწონთ, რა იწვევს დადებით ემოციებს და სხვა. ამ პრინციპების მთავარი დანიშნულებაა, მოსწავლე არა პასიური მსმენელი იყოს, არამედ საკუთარი გამოცდილების გამოყენებით შეძლოს სათქმელის გადმოცემა. და ამისთვის საკუთარი გამოცდილება გამოიყენოს.

**ყურადღება - 6** წლის ასაკიდან ბავშვის ძირითადი საქმიანობას სკოლაში სწავლაა, რასაც არსებითი ცვლილებები შეაქვს ფსიქიკური პროცესების მიმდინარეობაში. რა თქმა უნდა,

სასწავლო პროცესის განსხვავებული მოთხოვნების შესაბამისად, იცვლება ბავშვების (უკვე მოსწავლის) ყურადღების მობილიზაციის ხარისხი. სკოლისთვის მოუმზადებლობა, უპირველესად, გამოიხატება იმაში, რომ მოსწავლეს არ აქვს მასწავლებლის მოთხოვნებზე, საკუთარ ქმედებებსა და საჭირო შინაარსებზე ყურადღების კონცენტრაციის უნარი. აღნიშნული უნარი, რომელიც აუცილებელია კლასში მუშაობისათვის, მხოლოდ ნაწილობრივ შეიძლება განვითარდეს საბავშვო პალში ან ოჯახში. იგი ყალიბდება უშუალოდ სასწავლო პროცესში. პირველკლასელს ჯერ კიდევ აქვს შემორჩენილი სკოლამდელისთვის დამახასიათებელი ნიშნები - ხანმოკლეა მათი ყურადღების მობილიზაციის უნარი; მათ არ შეუძლიათ ერთდროულად უსმინონ მასწავლებელს და ათვალიერონ ნახატები; შეიძლება სწრაფად გაუმჯობესონ კონკრეტულ დავალებას, თუმცა ასევე მალე დაივინყონ მისი შესრულებისთვის გამოყენებული მოქმედებები და ხერხები, რადგან ყოველთვის კონცენტრირებული არიან მათ წინაშე დასმულ საკითხზე. მათვის მთავარია მხოლოდ სწორი პასუხის მიღება. დაწყებითი სწავლების პირველ ეტაპზე მოზარდები არ მიმართავენ ყურადღებას მთავარ საკითხებზე მოთხოვნაში, ნახატსა თუ წინადადებაში. მაგალითად, თუ ამოცანაში მნიშვნელოვანია წითელი და ყვითელი ვარდების, მათზე მჯდარი პეპლების რაოდენობა, მოსწავლები სწრაფად გადაინაცვლებენ რიცხვებიდან პეპლების ფერებზე, იხსენებენ, სად ნახეს ასეთი ჰეპლები და ვარდები. ასე ხდება მოთხოვნის შემთხვევაშიც. ისინი ყურადღებას ამახვილებენ არა მთავარზე, არამედ დეტალებზე, რომლებიც მათში სხვადასხვა ასოციაციას აღძრავს. ამის მიზეზია ამ ასაკისთვის დამახასიათებელი მოვლენების სიტუაციური აღქმა. ისინი ვერ ხედავენ არსებით კავშირებს მოვლენებს შორის, ამიტომ ვერ ამჩნევთ მთავარს. ზოგჯერ მასწავლებელიც თავისდაუნებურად ხელს უწყობს ამ პროცესებს - ის ყურადღებას ამახვილებს უმნიშვნელო/მეორეხარისხოვან ელემენტზე. კომპლექსური აღქმისას, როცა აქცენტი რომელიმე კომპონენტზე კეთდება, ეს ინვეცია მოსწავლეთა ყურადღების სრულ მობილიზაციას ამ ელემენტზე, როგორიც შეიძლება აღმოჩნდეს, მაგალითად, მოთხოვნის ან ზღაპრის მეორეხარისხონაში, მათი ცალკეული ქმედებები (დარბოდა, დაარტყა, იცინოდა, აგრეთვე გარევნული ნიშნები: მაგალითად, „ჯაჭვი, რომელზეც ხმალი ეკიდა“, „კაბა, რომელიც ძალიან თეთრი იყო“ და სხვა). ამავე მიზეზით უკეთ და უფრო ხშირად იმახსოვრებენ კონკრეტულ მაგალითებს, რომლებიც მასწავლებელმა გაკვეთილზე მოყვანა, ვიდრე წესს, რომლის გასაგებადაც ეს მაგალითები გამოიყენა.

ის ფაქტი, რომ დაწყებითი კლასის მოსწავლეებს ყურადღების მხოლოდ მოკლე დროით მობილიზების უნარი აქვთ და ერთდროულად არ შეუძლიათ რამდენიმე აქტივობაზე კონცენტრირება (მაგალითად, უყუროს დაფას, უსმინოს მასწავლებლის განმარტებებს), ზოგიერთი მასწავლებლისთვის გონებრივი გაფანტულობის მახასიათებელია, რაც არასწორია. მოსწავლეთა ყურადღების მობილიზებისთვის აუცილებელია სასწავლო პროცესის სწორად ორგანიზება, მაგალითად, გაკვეთილის მსვლელობისას სათანადო ტემპის დაცვა, მოსწავლეთათვის გასაგები განმარტებებისა და ინსტრუქციების მიცემა, მრავალფეროვანი აქტივობებისა და სამუშაო ფორმების გამოყენება და სხვა.

ყურადღების მობილიზების უნარი გულისხმობს ყურადღების ხანგრძლივად კონცენტრირებას საჭირო მოვლენაზე/ობიექტზე, რაც არსებითი ნიშანია ადამიანის ზოგადი მზაობისა ნებისმიერი საქმიანობისადმი.

**მეხსიერება და ფანტაზია - მეხსიერების ფუნქცია მიღებული ინფორმაციის შენახვა-**

აღდგენაა. თუმცა ადამიანი თავის საქმიანობაში არ იყენებს მხოლოდ ადრე აღქმულ ინფორმაციასა და გამოცდილებას. ყოველივე, რაც უნახავს და გაუგია, შეიძლება აღდგეს ახალი კავშირებითა და უჩვეულო კომპინაციებით. როდესაც ადამიანი ასახავს რეალობას კომბინირებული შთაბეჭდილებებით, ახალი რამ წარმოიქმნება. ეს არის ფანტაზია. რაც უფრო ორიგინალურია ეს კომბინაციები, მით მეტი მნიშვნელობა აქვს მას ადამიანის შემდგომი საქმიანობისთვის და მით უფრო მაღალია ადამიანის შემოქმედებითი ფანტაზიაც.

სასწავლო მოქმედება მოზარდისგან მოითხოვს საკუთარი მეხსიერების მართვას - საჭირო მასალის დამახსოვრებას და მის აღდგენას საჭირო დროს. ეს შეიძლება ეხებოდეს მისთვის არც თუ ისე საინტერესო, რთულ და საკმაოდ დიდი მოცულობის მასალას. შესასწავლი შინაარსების სპეციფიკა და მეხსიერებისადმი ახალ მოთხოვნები, რა თქმა უნდა, არსებით ცვლილებებს შეიტანს მის ფუნქციონირებაში. ცვლილებები გულისხმობს მეხსიერების მოცულობის და/ან „სიმძლავრის“ გაზრდას (მეოთხეკულასელი 2-3 ჯერ მეტს იმახსოვრებს, ვიდრე პირველი-მეორე კლასის მოსწავლე). დადგინდა, რომ დამახსოვრების სიმტკიცე და სისწრაფე განსაკუთრებით იზრდება მეორე-მეოთხე კლასებში, ხოლო მეხუთე-მეექვსე კლასებიდან მისი ზრდის პროცესი ნელდება. თუმცა ამ პერიოდში მატულობს დამახსოვრების სპეციფიკური ხერხების გამოყენება. ამ ხერხების დაუფლება ავითარებს ნებისმიერ მეხსიერებას (როცა მოზარდი მიზანდასახულად ცდილობს მასალის დამახსოვრებას). ამ პერიოდში შესაძლებელია რაციონალური ხერხების სწავლება. ბავშვებმა ხშირად არც იციან, რა უნდა ისწავლონ, დაიმახსოვრონ მინიდებული მასალიდან. ამიტომ დიდ დროს ხარჯავენ მასალის ბევრჯერ გამეორებაზე, თუმცა შედეგი მაინც არ არის ადეკვატური. ამ ასაკში თვისიობრივ ცვლილებებს განიცდის ის, თუ რა და როგორ ინახება მეხსიერებაში. სკოლამდებადი, პირველ რიგში, მასალას იმახსოვრებენ კონკრეტულად, ხატოვნად, რეალური საგნების ფორმით ან მათი გამოსახულებით. ასევე ხდება პირველ კლასში. მაგრამ სასწავლო მასალაში სიტყვიერი შინაარსების გაგება, ზოგიერთ შემთხვევაში, მოითხოვს დაუკონკრეტულებელი მასალის დამახსოვრების უნარს. ხატოვანი მასალის დამახსოვრებას უპირატესობა მეოთხე კლასამდე ენიჭება. მხოლოდ მეოთხე კლასიდან და ზემოთ განყენებული მნიშვნელობის სიტყვების დამახსოვრება უფრო ნაყოფიერია. . ეს შედეგად მოსდევს საწყის ეტაპზე აბსტრაქტული აზროვნების განვითარების პროცესს, როცა მოზარდი აღარარის მიჯაჭვული კონკრეტულ შინაარსებზე. იგი ყალიბდება დაწყებით კლასებში თეორიული ცოდნის, განსაკუთრებით გრამატიკული, მათემატიკური და საბუნებისმეტყველო ცნებების დაუფლების პროცესში. არსებობს რაციონალური დასწავლის ხერხების კომპლექსი, რომელიც ეხმარება მოსწავლეს, დროის მოკლე მონაცემთში მიიღოს სასურველი შედეგი, მაგალითად: 1) ნაიკითხე დავალება, 2) ჩანერე მოკლედ, 3) უპასუხე კითხვებს, დაასახელე საკვანძო კითხვა, 4) გაიაზრე და წარმოიდგინე, რას ეხება ტექსტის თემატიკა, 5) შეადგინე გეგმა, 6) ჩამოაყალიბე შინაარსი, 7) დასვი შეკითხვები და უპასუხე. არსებობს უფრო ზოგადი ხერხებიც: ტექსტის მიზნის განსაზღვრა, განვლილ მასალასთან კავშირის დადგენა, მთავარი აზრის გამოყოფა, მონაცემების დაჯგუფება, სათაურის შერჩევა, ტექსტის ნაწილებს შორის კავშირის პოვნა. თუმცა, თუ ბავშვებს აქვთ მატერიალური საყრდენი, პროდუქტულობა მატულობს. ამიტომ დამახსოვრების ხელშეწყობისთვის მისაღებია თვალსაჩინოების რაციონალური გამოყენება: ნახატები, სქემები, ნახაზები, რომლებიც შექმნილია სიტყვიერ საფუძველზე.

მეხსიერების განვითარების ერთ-ერთი ზოგადი ხერხია შესწავლილი მასალის გამეორების პროცესის ორგანიზება, კერძოდ: ა) მასალის გამეორება გარკვეული პერიოდის

განმავლობაში (მაგალითად, პირველ დღეს 5-ჯერ, მეორე დღეს-3-ჯერ და ა.შ.), ბ) მასალის გამეორებისთვის განსხვავებული ხერხების გამოყენება (ინდივიდუალურად, ერთხმად, ჯაჭვისებურად, მასწავლებლის მოსმენით), გ) მოსწავლეთა თვითკონტროლის დაწესება შესწავლილი მასალის იმ ნაზილებზე, რომლებსაც სუსტად ფლობს ან არ იცის და ა.შ.

პედაგოგიური პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ რაციონალური დასწავლის ხერხების გამოყენებით შესაძლებელია მოსწავლის მეხსიერების გაუმჯობესება. ხოლო ვინაიდან მეხსიერება გონივიგანვითარების ერთ-ერთი მხარეა, ხდება ზოგადი ინტელექტუალური განვითარების სრულყოფა.

მეხსიერების განვითარება გავლენას ახდენს ფანტაზიის განვითარებაზეც. საკუთარი ქმედებების წინასწარი წარმოდგენა ფანტაზიის განვითარების დასაწყისია. იგი ყალიბდება მიბაძვისა და ბავშვის აქტივობის საფუძველზე, დიუზურიდან ხდება უფრო შემოქმედებითი და მდიდარი. ახალი სტრუქტურების შექმნა სიტყვებით, წინადადებებითა და ფიგურებით მოითხოვს ახალი სახეების შექმნას, ხოლო წიგნზე მუშაობას მოსწავლე მიჰყავს განზოგადებულ სახეებამდე (რაც ავტორების შემოქმედებითი ფანტაზიის ნაყოფია). მათი გაგება მკითხველის ფანტაზიის მონაწილეობის გარეშე წარმოუდგენელია.

მეხსიერების და ფანტაზიის მოქმედება იცვლება იმ მოტივების ცვლილებათა მიხედვით, რომლებიც მოსწავლისგან მოითხოვენ მიზანდასახულ დამახსოვრებასა და აღქმული მასალის გახსენებას, ახალი ნახატისა თუ თხზულების შექმნას. თამაშის მოტივები გარდაიქმნება სასწავლო მოტივებად, მიბაძვა და უნებლიერ მოქმედება კი - შემოქმედებითად, რომლის მართვასაც ბავშვი თანდათან სწავლობს.

**ნებისყოფა** - სასწავლო საქმიანობას, რომელიც 5-6 წლიდან მთლიანად განსაზღვრავს ბავშვის ცხოვრების სტილს, რა თქმა უნდა, არსებითი ცვლილებები შეაქვს მისი ნებისყოფის განვითარებაშიც. რადგანაც სწავლა ძირითადი, აუცილებელი საქმიანობა ხდება, ბავშვისადმი წაყენებულია როგორც ზოგადი, ისე კონკრეტული მოთხოვნები. სწორედ ამ მოთხოვნებისადმი დამორჩილების აუცილებლობა იქცევა ბავშვის ნებისყოფის ჩამოყალიბების მნიშვნელოვან ფაქტორად. მაგალითად, აუცილებელია დილით დროულად ადგომა, სკოლაში მისვლა ზარის დარეკვამდე, დაჯდომა მხოლოდ იმ ერთ ადგილზე, რომელიც მასწავლებელმა მიუჩინა. საჭიროა ბევრი წესის დაცვა გაკვეთილზეც, მაგალითად, ადგეს, როდესაც პასუხობს ან სვამს შეკითხვას, აზრის გამოსათქმელად ითხოვოს ნებართვა ხელის აწევით და ა.შ. ყოველი ასეთი წესი მოზარდისაგან მოითხოვს საკუთარი ქცევის, აზრებისა და სურვილების დამორჩილებას.

მასწავლებლის შეფასებები კიდევ უფრო ააქტიურებს ამ ნებისყოფის მნიშვნელობას. ასე იწრთობა პატარა მოსწავლების ნებისყოფა, განსაკუთრებით - თავშეკავების უნარი.

მკვეთრად იცვლება მოტივებიც, რომლებიც უბიძგებენ ბავშვს ნებისყოფის დაძაბვისკენ. უკვე მეორე კლასში შესამჩნევად იზრდება საზოგადოებრივი აზრისა და დამოკიდებულებების როლი. თუ პირველკლასელს უფრო მასწავლებლის შეფასება აღელვებს, მეორე კლასიდან, უფრო მეტად კი მესამე და მეოთხე კლასებში, ისინი დაინტერესებული არიან საკუთარი ადგილის დამკვიდრებით თანატოლებს შორის, ამიტომაც მნიშვნელოვანია თანაკლასელთა პიროვნული დამოკიდებულებები მათ მიმართ.

ნებისყოფას დიდი მნიშვნელობა აქვს მოზარდის პიროვნების ჩამოყალიბების საქმეში. ეს პროცესი ვერ იქნება განცალკევებული მათი ინტერესებისგან, გარშემომყოფებთან ურთიერთობისგან, უფროსებთან, თანატოლებთან და საკუთარ თავთან

დამოკიდებულებებისგან. ნებისყოფის განვითარება წარმოუდგენელია ფანტაზიის, მეხსიერების, მორალური ცვლილებების გარეშე. მათი შესამჩნევი ცვლილებები სწორედ მოზარდდობის საწყის ეტაპზე იწყება.

**აზროვნება** - დაწყებითი კლასების მოსწავლეების აზროვნების განვითარებაში ორი ძირითადი სტადია გამოიყოფა. პირველ სტადიაზე (დაახლოებით, პირველ-მეორე კლასებში) მათი სააზროვნო მოქმედება ჯერ კიდევ ჰგავს სკოლამდელის აზროვნებას. სასწავლო მასალის ანალიზი უფრო მეტად თვალსაჩინოებსა და მოქმედებებს ეფუძნება, საყრდენი მოსწავლეთათვის რეალური საგნები ან მათი უშუალო შემცვლელები, გამოსახულებებია. ისინი საგნისა და სიტუაციის შესახებ მსჯელობენ ცალმხრივად, ყურადღებას აქცევენ ერთეულ, გარეგან ნიშანს. მათი დასკვნები ეყრდნობა თვალსაჩინო წინაპირობებს, რომლებიც აღქმაში ესახებათ, ხოლო დასკვნას ასაბუთებენ არა ლოგიკური არგუმენტებით, არამედ აღქმით მიღებული ცნობებით.

განზოგადებები, რომლებსაც ამ სტადიაზე აღწევენ ბავშვები, მიმდინარეობს საგანთა თვალშისაცემი ნიშნების „ზენოლით“. ასეთი ნიშნებია უტილიტარული (გამოყენებითი) და ფუნქციური (რა ფუნქცია აქვს). მათი განზოგადები აფიქსირებს მხოლოდ ზედაპირულ ნიშნებს.

ხშირია შემთხვევები, როცა სასწავლო საგნების ელემენტები, რომლებსაც მოსწავლეები ეუფლებიან სკოლაში, ისეთი სახით ეძლევათ, რომ განზოგადებები თითქმის სრულად ეყრდნობა რომელიმე კონკრეტულ სიტუაციაზე დაკვირვებას, მათი ფორმულირება ხდება დეტალური აღწერით. ასეთი მასალის შედარების საფუძველზე ისინი გამოყოფენ მსგავს გარეგნულ ნიშნებს და უსადაგებენ მათ შესაბამის სიტყვებს. ხოლო თუ ცოდნის შეფასების მთავარი კრიტერიუმი არის მოსწავლის უნარი, მოიყვანოს შესატყვისი კონკრეტული მაგალითი ან ილუსტრაცია, მოზარდის აზროვნების ეს თავისებურება იქცევა სწავლებაში თვალსაჩინოების გამოყენების ძირითად პირობად.

სისტემური სწავლების საფუძველზე მესამე კლასისთვის მოზარდების აზროვნების ხასიათი იცვლება. ამ ცვლილებასთან არის დაკავშირებული განვითარების მეორე სტადიაც. უკვე პირველ და მეორე კლასებში მასწავლებლის განსაკუთრებული ამოცანა მოსწავლეებისთვის ცალკეულ ელემენტებს შორის არსებული კავშირების ჩვენებაა, ყოველწლიურად იზრდება მოცულობა იმ დავალებათა, რომლებიც მოითხოვს ასეთ კავშირებსა და დამოკიდებულებებზე მითითებას. მესამე კლასში მოსწავლეები უკვე აღიქვამენ ცნებებს შორის განსხვავებებსა და დამოკიდებულებებს, ახერხებენ კლასიფიცირებას.

საგანთა და მოვლენათა კლასიფიცირების უნარის ჩამოყალიბებით სუსტდება მათი აღქმაზე მიჯაჭვულობა (იმის გააზრება, რომ ნებისმიერი საგანი თუ მოვლენა რომელიმე კლასის, ჯგუფის წარმომადგენელია და თითოეულ წევრთან აქვს საერთო თვისებები და ა.შ.), ე.ი. გრძელდება გონებრივი მუშაობა სასწავლო მასალაზე - ისინი ახალ სააზროვნო ხერხებსა და საშუალებები იძენენ.

მე-2 სტადიის ბოლოსთვის მოსწავლეები ახერხებენ განზოგადებას (არ ოპერირებენ მხოლოდ ერთეული საგნებიდან გამომდინარე დასკვნით). იზრდება მსჯელობათა წილი, რომლის დროსაც თვალსაჩინო მომენტები მინიმუმამდე დადის და ობიექტები ხასიათდება სხვა საგნებთან/ობიექტებთან არსებითი კავშირებით.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ მასწავლებლები და მშობლები 7-8 წლის მოზარდებში უკვე ამჩნევენ უკმაყოფილებას საგანთა მხოლოდ უბრალო დათვალიერებით - მათ სურთ,

იცოდნენ, რატომ არიან ისინი ასე მოწყობილი, რატომ შეიქმნა საერთოდ? და ა.შ. კითხვა „რატომ“ ძალიან აქტუალურია სკოლამდელებშიც, მაგრამ ისინი ნებისმიერი პასუხით კმაყოფილდებიან. სხვა მდგომარეობაა მოსწავლეებთან - უფროსებისგან, მასმედიდან წამოსული ინფორმაციის კვალდაკვალ მოზარდებს აღარ აკმაყოფილებს შემთხვევითი, ზედაპირული პასუხები და ითხოვენ ისეთ განმარტებებს, რომლებიც შეესაბამება გარემოს შესახებ ფაქტებისა და წარმოდგენების სისტემას. რა თქმა უნდა, სკოლამ გვერდი არ უნდა აუაროს ამ გარემოებებს. მან უნდა წაახალისოს და განავითაროს მათი თეორიული მსჯელობის ჩანასახი, მისცეს მათ საჭირო განმარტებები მიზეზების, შედეგებისა და საარსებო პირობების შესახებ.

ამგვარად, კონკრეტულ და ხატოვან აზროვნებასთან ერთად, თანდათანობით ისწავლება განყენებული აზროვნების მარტივი ხერხები პატარებისთვის, რომლებიც ეძებენ მიზეზებს, საგანთა და მოვლენათა არსს, ითხოვენ განმარტებას.

**ფსიქო-სოციალური განვითარება** - სასწავლო საქმიანობის დასაწყისშივე მოსწავლის ინტერესებში ხდება ცვლილებები, ჩნდება ახალი მიმართულებები. ცნობილია, რომ სკოლამდელი პერიოდის ბოლო ეტაპზე, ძირითადად, საბავშვო ბალებში ჩატარებული მუშაობის შედეგად, მათ უჩნდებათ სწავლის მოთხოვნილება-ინტერესი სკოლისადმი, სწავლისადმი, ზოგადად, სასკოლო ცხოვრებისადმი.

მოზარდი ისწრაფვის მისთვის საინტერესო - მოსწავლის ადგილის დასაკავებლად: სურს დიდი ბავშვებივით სკოლაში სიარული, ჩანთის ტარება, მერხთან ჯდომა, ჰქონდეს წიგნები და ა.შ. თუმცა ეს სწრაფვა მოსწავლეობის გარეგანი მდგომარეობისადმი, როგორც ყველა მოთხოვნილება, დაკმაყოფილების შემთხვევაში ქრება. თუ პირველ ხანებში მოსწავლეები ძალიან კმაყოფილები არიან ახალი მდგომარეობით, გარკვეული პერიოდის შემდეგ ეს განცდები ნელ-ნელა უფერულდება. მოტივი - „მინდა, ვიყო მოსწავლე“ აქტუალური აღარ არის. თუმცა სკოლისადმი სწრაფვა პირველკლასელებთან თვითონ სწავლისადმი ინტერესშიც არის გამოხატული და თუ სასწავლო საქმიანობა რაციონალურადაა ორგანიზებული, ეს მოტივი არ გაქრება, პირიქით, შესაძლებელია გაძლიერდეს კიდეც.

დაწყებითი სწავლების პირველ ეტაპზე მოსწავლეების ინტერესები, ძირითადად, შემდეგი თავისებურებებით ხასიათდება:

- მიმბაძველობა, რომელიც, ხშირად, შემთხვევით წარმოიქმნება;
- არამდგრადობა-ხანმოკლეობა, სწრაფი და უმიზეზო ცვლილებები ყოველგვარ საქმიანობაში;
- ინტერესთა გაფანტულობა, სხვადასხვა დაუკავშირებელი სფეროებისადმი ინტერესი. (სვამებ უამრავ კითხვას, რომელიც სრულებით არ ეხება სასწავლო მასალას);
- ზედაპირულობა(აინტერესებთ მხოლოდ ზედაპირული ფაქტები, განსაკუთრებით - მკვეთრი და უჩვეულო. სიღრმეში გარკვევა არ აინტერესებთ);
- განსაკუთრებული ინტერესი უახლოესი შედეგისადმი, რომელიც ემყარება საკუთარ ცხოვრებისეულ გამოცდილებას ან მოვლენის დროში სიახლოვეს (ძირითადი შეკითხვები, რომლებიც მათ ინტერესს გამოხატავს, მაგალითად, ასეთია: “შეასრულე დღეს დავალება? რამდენი შეცდომა გქონდა დღეს? რა გითხრა მასწავლებელმა?”).

- 4-6 კლასებში ეს ინტერესები იცვლება, რაც გარკვეულ პირობებთანაა დაკავშირებული. პირობები, რომელიც ხელს უწყობს ამ ასაკში სწავლისადმი სტაბილური დამოკიდებულების ჩამოყალიბებას:

**1)** ახალი და უკვე ნაცნობი ინფორმაციის სწორი შეთანხმება მთავარი პირობაა მოზარდებში შემეცნებითი ინტერესების გასაჩენად. ის, რაც სრულიად უცნობია (ანუ წინამდებრები ცოდნის უქონლობა), არ იწვევს მათში ინტერესს, მაგალითად, ინფორმაცია ბუნების მოვლენებზე, სიტყვის შემადგენლობაზე, რიცხვებზე (განსაკუთრებით პირველ ეტაპზე). ასევე კარგად ნაცნობი რამაც უინტერესობა მათვის. მასწავლებელმა უნდა მოახერხოს ძველსა და ნაცნობში ახალი შინაარსის ჩვენება: ნიშან-თვისებები, დამოკიდებულებები სხვა მოვლენებთან თუ ობიექტებთან და ა.შ.

**2)** შემოქმედებითი პროცესების მიმდინარეობისას აქტიურობის, ინიცირების შესაძლებლობა (მაგალითად, წინადადების, მაგალითის, გეგმის რეკონსტრუირება), რაც ზრდის მოსწავლის ინტერესს.

**3)** ინტერესი ჩნდება წარმატების მიღწევისას. მოსწავლის ინტერესი იზრდება მის მიერ წარმატებით შესრულებული დავალების კვალდაკვალ. 4) ინტერესის შემდგომ განმტკიცებაში დიდი მნიშვნელობა აქვს შესწავლილი მასალის პრაქტიკულ გამოყენებას, რაც, თავის მხრივ, აჩენს ახალ კითხვებს და ხელს უწყობს შემეცნებითი პროცესების განვითარებას.

ამგვარად, მოზარდის ფსიქოლოგიური მრავალმხრივობის განვითარების პროცესი ვერ აიხსნება და დახასიათდება ერთი რომელიმე სფეროს ცვლილებით. ეს არის რთული და მრავალმხრივი პროცესი, რომლის განვითარებისთვის პედაგოგიური პირობებიც განსხვავებული იქნება.

## თავი II გენერაცია

### მოსწავლის გენერაციის მიზანი

მოსწავლის შეფასების მიზანია სწავლა-სწავლების ხარისხის მართვა, რაც გულისხმობს სწავლის ხარისხის გაუმჯობესებაზე ზრუნვასა და კონტროლს.

მოსწავლის აკადემიური მიღწევა ხშირად და მრავალმხრივად უნდა შეფასდეს, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლეთა განვითარებას, მათი შესაძლებლობების გამოვლენასა და სხვადასხვა პოტენციალის მქონე მოსწავლეთათვის თანაბარი პირობების შექმნას.

### განვითარების და განვითარების გენერაცია

სკოლაში გამოიყენება ორი ტიპის შეფასება: განმსაზღვრელი და განმავითარებელი.

**განმსაზღვრელი შეფასება** აკონტროლებს სწავლის ხარისხს, ადგენს მოსწავლის მიღწევის დონეს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებთან მიმართებაში. განმსაზღვრელ შეფასებაში იწერება ქულა (ნიშანი).

**განმავითარებელი შეფასება** აკონტროლებს თითოეული მოსწავლის განვითარების დინამიკას და ხელს უწყობს სწავლის ხარისხის გაუმჯობესებას. განმავითარებელი შეფასებისას მასწავლებელი მოსწავლეთა საქმიანობას ამოწმებს არა მათი მიღწევის დონის განსასჯელად და ქულების დასაწერად, არამედ მათ დასახმარებლად. მასწავლებელი აკვირდება თითოეულ მოსწავლეს სწავლის პროცესში, სწავლობს მათ საჭიროებებს, რათა თითოეულ მათგანს მაქსიმალურად შეუწყოს ხელი წინსვლაში. ასეთ კონსტრუქციულ სასწავლო გარემოში მოსწავლეებს არ აფერხებთ მარცხის/წარუმატებლობის შიში და ნებისმიერ შემთხვევაში მასწავლებლის რჩევისა და მხარდაჭერის იმედი აქვთ. ცოდნის დონის მიუხედავად, მოსწავლეები იძენენ ახალ ცოდნას, ამდიდრებენ გამოცდილებას და იუმჯობესებენ უნარებს.

განმავითარებელი შეფასების პროცესში უნდა ჩაერთოს მასწავლებელიც და მოსწავლეებიც. მასწავლებლის დახმარებით, მოსწავლეები თავადაც უნდა ცდილობდნენ, საკუთარი მოთხოვნილებების დადგენას, ძლიერი და სუსტი მხარეების, შემაფერხებელი ფაქტორების გამოვლენას. ამგვარ პროცესებში მოსწავლეების ჩართვა თვითშეფასებისა და თვითგანვითარების უნარებს აყალიბებს და ზრდის მათ ქმედითუნარიანობასა და პასუხისმგებლობას.

მნიშვნელოვანია, აღვნიშნოთ, რომ განმავითარებელი შეფასების შემთხვევაში, მოსწავლე ფასდება საკუთარ თავთან, საკუთარ მიღწევებთან მიმართებით, რაც მას საშუალებას აძლევს, იგრძნოს წინსვლა და ირწმუნოს, რომ შეუძლია სიძნელეთა ეტაპობრივად გადალახვა.

განმავითარებელი შეფასებისას გამოიყენება ისეთი საშუალებები, როგორიცაა სიტყვიერი კომენტარი, რჩევა-დარიგება, დაკვირვების ფურცელი, თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების სქემა, ცოდნის ათვისების ან უნარის განვითარების ეტაპების აღმნიშვნელი დონეები (მაგალითად, ათვისებულია/ფლობს, ათვისების/დაუფლების პროცესშია, ასათვისებელია/დასაუფლებელია). ათვისების თუ ფლობის დონეებით შედგენილი

შეფასების ან თვითშეფასების სქემები მასწავლებელსაც და მოსწავლესაც საშუალებას აძლევს კონკრეტული ცოდნი თუ უნარის ათვისების პროცესის დინამიკაში დანახვა.

## განეავითარებელი და განესაზღვრებელი შეფასების სერიალური აღწერილობა

	განეავითარებელი	განესაზღვრებელი
<b>მიზანი</b>	<ul style="list-style-type: none"> <li>• სწავლის ხარისხის გაუმჯობესება;</li> <li>• მოსწავლის განვითარების ხელშეწყობა.</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• სწავლის ხარისხის გაკონტროლება;</li> <li>• მოსწავლის მიღწევის დონის დადგენა ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებთან მიმართებაში;</li> <li>• აკადემიური მოსწრების დონის განსაზღვრა.</li> </ul>
<b>შეფასების საგანი</b>	<ul style="list-style-type: none"> <li>• სწავლის პროცესი</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• სწავლის შედეგი</li> </ul>
<b>შეფასების შედეგად მიღებული გადაწყვეტილება</b>	<ul style="list-style-type: none"> <li>• წინსვლის ხელშესაწყობად განსხვავებული აქტივობის შერჩევა, სწავლების სტრატეგიის შეცვლა, რჩევა-დარიგების მიცემა და სხვ.</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• მომდევნო ეტაპზე (კლასში/საფეხურზე) დაშვება/არდაშვება</li> </ul>
<b>წარმარტების კრიტერიუმების განსაზღვრა</b>	<ul style="list-style-type: none"> <li>• კონკრეტული მოსწავლის წინსვლის საფუძველზე (საკუთარ მიღწევებთან მიმართებით - რა დონეს ფლობდა, რა დონეს ფლობს)</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• იმის საფუძველზე, თუ რამდენად მიაღწია სტანდარტით განსაზღვრულ შედეგებს (ყველასათვის საერთო, სტანდარტით დადგენილ ნორმასთან მიმართებაში)</li> </ul>
<b>შეფასების საშუალებები</b>	<ul style="list-style-type: none"> <li>• თვით/ურთიერთშეფასების რუბრიკა;</li> <li>• კითხვარი;</li> <li>• სიტყვიერი (ზეპირი/წერილობითი) კომენტარი;</li> <li>• უნარის განვითარების დონის აღწერა.</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• ქულა</li> </ul>

## საგნის სემესტრული ქულის შემადგენლი ნაცილები (კომპონენტები)

სემესტრის მანძილზე მოსწავლეები ფასდებიან სამი კომპონენტის მიხედვით: ა) საშინაო დავალება; ბ) საკლასო დავალება; გ) შემაჯამებელი დავალება. სამივე კომპონენტს ერთნაირი წონა აქვს.

საშინაო და საკლასო დავალებათა კომპონენტებში გამოიყენება როგორც განმსაზღვრული, ისეგანმავითარებელი შეფასება. შემაჯამებელი დავალების კომპონენტში მხოლოდ განმსაზღვრული შეფასება გამოიყენება.

შემაჯამებელი კომპონენტი აფასებს ერთი სასწავლო მონაკვეთის (თემა, თავი, პარაგრაფი) შესწავლა-დამუშავების შედეგად მიღწეულ შედეგებს სტანდარტის მოთხოვნებთან მიმართებით - კონკრეტული სასწავლო ერთეულის დასრულებისას მოსწავლემ უნდა შეძლოს სტანდარტით განსაზღვრული ცოდნისა და უნარების წარმოქმნა.

ასე რომ, შემაჯამებელი დავალებები უნდა აფასებდეს საგნის სტანდარტით განსაზღვრულ შედეგებს და აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

- დავალების თითოეულ ტიპის უნდა ახლდეს თავისი შეფასების ზოგადი რუბრიკა;
- ზოგადი რუბრიკა უნდა დაზუსტდეს კონკრეტული დავალების პირობისა და განვლილი მასალის გათვალისწინებით;
- 10 ქულა უნდა გადანაწილდეს რუბრიკაში შემავალ კრიტერიუმებზე;
- მითითებული უნდა იყოს საგნობრივი სტანდარტის ის შედეგები, რომელთა შეფასებასაც ემსახურება შემაჯამებელი დავალება.

სტანდარტის მოთხოვნათა დასაკმაყოფილებლად, აუცილებელია შემაჯამებელი დავალების მრავალგვარი ფორმის გამოყენება.

როგორც მოგეხსენებათ, ეროვნული სასწავლო გეგმა თითოეული საგნისთვის განსაზღვრავს სემესტრის განმავლობაში ჩასატარებელი შემაჯამებელი დავალებების სავალდებულო მინიმალურ რაოდენობას. საგანში, როგორც მეხუთე, ისე მეექვსე კლასში, შემაჯამებელ დავალებათა სავალდებულო მინიმალური რაოდენობა პირველსა და მეორე სემესტრებში ოთხ-ოთხია.

თითოეული შემაჯამებელი დავალება ფასდება კონკრეტული ნიშნით. მოსწავლე ვალდებულია, შეასრულოს კლასში ჩატარებული ყველა შემაჯამებელი დავალება. იმ შემთხვევები, თუ მოსწავლე გაცდენის გამო ვერ შეასრულებს რომელიმე შემაჯამებელ სამუშაოს, სკოლა ვალდებულია, მისცეს მას გაცდენილი შემაჯამებელი დავალებების აღდგენის საშუალება. შემაჯამებელი აღდგენითი სამუშაო უნდა დაინიშნოს სემესტრის მსვლელობისას. შემაჯამებელ დავალებათა აღდგენის წესი განისაზღვრება სასკოლო სასწავლო გეგმით.

სემესტრის მსვლელობისას ჩატარებული შეფასებების შემდეგ რეკომენდებულია კომენტარების დაწერა მათვის, ვინც დადებითი სემესტრული შეფასების მისაღებად აუცილებლად უნდა გამოასწოროს საკუთარი შედეგი. ასევე, შეიძლება დაინეროს კომენტარი, თუ მოსწავლემ წინა შეფასებასთან შედარებით მნიშვნელოვნად გააუმჯობესა თავისი მოსწრება. ამის აღნიშვნა მნიშვნელოვან სტიმულს მისცემს მოსწავლეს სემესტრის ბოლომდე სწავლის ხარისხის შესანარჩუნებლად.

## განვითარებული გენერაცია V-VI კლასებში

როგორც აღვნიშნეთ, განმავითარებელი შეფასება ხელს უწყობს, შექმნას პოზიტიური და კონსტრუქციული გარემო, რომელშიც თითოეულ მოსწავლეს ექნება იმის განცდა, რომ შეუძლია წინსვლა და დაბრკოლებების გადაღახვა. მართლაც, განმავითარებელი შეფასება ზომავს კონკრეტული მოსწავლის პირად წინსვლას. V-VI კლასიდან განმავითარებელ შეფასებასთან ერთად შემოდის განმსაზღვრელი შეფასებაც. განმსაზღვრელი შეფასების შემოღება კონსტრუქციულ გარემოს გარკვეულ საფრთხეს უქმნის. მასწავლებელს დიდი სიფრთხილე მართებს, რომ მთავარი პრიორიტეტი - ცოდნის აგების პროცესში თითოეულმა მოსწავლემ იგრძნოს თანადგომა - არ გადაფაროს განსჯითმა დამოკიდებულებამ და არ შეიქმნას გარემო, რომელშიც გამარჯვებულები და დამარცხებულები ჩნდებიან. მართლაც, განმსაზღვრელი შეფასება ყველას საერთო საზომით აფასებს საერთო ნორმასთან<sup>1</sup> მიმართებით. განმსაზღვრელ შეფასებაში წარმატების კრიტერიუმი ემყარება არა კონკრეტული მოსწავლის შესაძლებლობებს, არამედ საერთო ნორმის მოთხოვნებს. ამიტომ იკარგება იმ მოსწავლეთა ძალისხმევის კვალი, რომლებსაც წინსვლა აქვთ, მაგრამ ჯერ კიდევ დაშორებული არიან საერთო მოთხოვნებს. მათ, ფაქტობრივად, ცოდნის ეტაპობრივად კონსტრუირების საშუალება ერთმევათ. ბუნებრივია, ამ უკანასკნელთა სასკოლო მოტივაცია ეტაპობრივად კლებულობს, რაც, ცხადია, უარყოფითად აისახება სწავლის შედეგებზე. ისინი საკუთარ თავში ვეღარ პოულობენ სიძნელეთა დაძლევის რესურსებს, საკუთარი შესაძლებლობების რწმენას კარგავენ, ფიქრობენ, რომ ვერ შეცვლიან მოვლენათა კურსს, ვერ იმოქმედებენ მათი წარმატების განმზღვრელ ფაქტორებზე. მათი გონება დაკავებულია არა ახალი ცოდნის შეძენითა და უნარების განვითარებით, არამედ მხოლოდ და მხოლოდ არასასურველი შეფასებების აცდენაზე ფიქრით. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მათი სტრატეგიები მიმართულია არა სწავლა-განვითარებისკენ, არამედ - თავდაცვისკენ. თუკი საკუთარ შესაძლებლობებში დარწმუნებული მოსწავლე იღებს ნებისმიერ გამოწვევას და მზად არის ამა თუ იმ სიძნელესთან შესაჭიდებლად, მოტივაციადაქვეითებული მოსწავლე პირიქით - თავს არიდებს სასწავლო აქტივობებს, რომელთა შესრულება მის გაზრდა-განვითარებას შეუწყობდა ხელს.

ამ ყველაფრის გათვალისწინებით, V კლასიდან განმსაზღვრელი შეფასების შემოღების მიუხედავად, მასწავლებელმა პრიორიტეტულობა უნდა შეუნარჩუნოს განმავითარებელ შეფასებას, რომელიც თითოეული მოსწავლის წინსვლისა და განვითარების ხელშემწყობი ინსტრუმენტია.

<sup>1</sup> ცხადია, კონკრეტულ კლასში მიღებულ საერთო ნორმას განსაზღვრავს საგნის სტანდარტის მოთხოვნები.

## შეფასების კომპონენტები უცხოურ ენერგიი

### საშინაო და საკლასო დავალებათა კომპონენტები

შეიძლება შეფასების შემდეგი ცოდნა და უნარ-ჩვევები

#### ენერგიური ცოდნა და უნარები

- ლექსიკური ცოდნა
- გრამატიკული ცოდნა
- ლექსიკური და გრამატიკული უნარ-ჩვევები (ცოდნის კონტექსტში გამოყენება)
- გამოთქმა
- მართლწერა

#### კომუნიკაციური უნარები

- კითხვა-გაგება
- ხმამაღალი კითხვა
- მოსმენა-გაგება
- ზეპირი კომუნიკაცია (ინტერაქცია, გაბმული ლაპარაკი, ზეპირი გამოსვლები)
- წერითი კომუნიკაცია

#### კულტურა

- შესწავლილი საკითხების ცოდნა
- კულტურული თავისებურებების ამოცნობა-გაანალიზება

#### სასიცოცხლო უნარ-ჩვევები

- შემოქმედებითობა
- თანამშრომლობა (მეწყვილესთან, ჯგუფის წევრებთან)
- სასწავლო სტრატეგიების გააზრებულად გამოყენება (კითხვის, წერის, მოსმენისა და ზეპირმეტყველების)
- სტრატეგიების გააზრებულად გამოყენება სასწავლო საქმიანობის ხელშეწყობის მიზნით
- სასწავლო აქტივობებში მონაწილეობის ხარისხი

#### უნარ-ჩვევები ფასდება შემდეგი დავალებებით

- სხვადასხვა ტიპის გრამატიკული და ლექსიკური სავარჯიშოებით (სწორი ფორმის ამოცნობა, ფორმის/კონსტრუქციის ტრანსფორმირება ნიმუშის მიხედვით, კონტექსტის მიხედვით სწორი ფორმის წარმოება, შეცდომების ამოცნობა-გასწორება, სინონიმებისა და ანტონიმების დაკავშირება/მოფიქრება, ნაკლულ ტექსტში სიტყვების ჩასმა და სხვა);
- სხვადასხვა ტიპის საკითხავი და მოსასმენი ამოცანის გადაჭრა (შემოხაზე სწორი ვარიანტი; მონიშნე, სწორია თუ არა; იპოვე სწორი თანმიმდევრობა, ამოცანი

- უცნობი სიტყვები კონტექსტის მიხედვით, შეაფასე შენი მეწყვილის/საკუთარი ნაწერი, შეაფასე გამომსვლელები და სხვა);
- სხვადასხვა ტიპის ზეპირი აქტივობის შესრულება დამოუკიდებლად, მეწყვილესთან ერთად თუ ჯგუფურად (გაინაწილეთ როლები და გაითამაშეთ მეწყვილესთან ერთად, ჩამოართვი ინტერვიუ თანაკლასელს, წარმოადგინე კლასის წინაშე შენი ჯგუფის ნამუშევარი, გადმოეცი შენი მოსაზრება და დაასაბუთე, იმსჯელე, დაახასიათე, მოყევი და სხვა);
  - სხვადასხვა ტიპის ტექსტის შექმნა დამოუკიდებლად, მეწყვილესთან ერთად თუ ჯგუფურად (მისწერეთ წერილი მეგობარს ზაფხულის არდადეგების შესახებ, ჯგუფურად მოამზადეთ სტატია ცნობილი მსახიობის შესახებ, შეადგინეთ ბიოგრაფიული ცნობარი, დაასრულეთ ამბავი, დაიყავით ჯგუფებად და შეადგინეთ კინორეკლამა/ტურისტული გზამკვლევი; დაწერეთ თქვენი მოსაზრება ამ საკითხის შესახებ, დაასაბუთეთ და სხვა);
  - პროექტის განხორციელება.

**შენიშვნა: დაწყებით კლასებში განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა შემდეგ უნარ-ჩვევებს:**

- სმამალალი კითხვა
- ჩუმი კითხვა (მარტივი საკითხავი ამოცანების დამოუკიდებლად გადაჭრა);
- გამოწერა
- გადაწერა
- კარნახით წერა

## შემაჯამებელი დავალებების პომარენტი

შემაჯამებელი დავალების კომპონენტი უკავშირდება სწავლა-სწავლების შედეგს. ამ კომპონენტში უნდა შეფასდეს ერთი სასწავლო მონაკვეთის (თემა, თავი, პარაგრაფი, საკითხი) შესწავლა-დამუშავების შედეგად მიღწეული შედეგები. კონკრეტული სასწავლო ერთეულის დასრულებისას მოსწავლემ უნდა შეძლოს უცხოური ენების სტანდარტით განსაზღვრული ცოდნისა და უნარების წარმოჩენა. შესაბამისად, შემაჯამებელი დავალებები უნდა ამონმებდეს უცხოური ენების სტანდარტებით განსაზღვრულ შედეგებს.

## შემაჯამებელ დავალებათა ტიპები

სტანდარტის მოთხოვნათა დასაფარად, რეკომენდებულია შემაჯამებელ დავალებათა მრავალფეროვანი ფორმების გამოყენება. უცხოური ენების შემაჯამებელ დავალებათა ტიპები შეიძლება იყოს:

- მოსმენილი ან ზეპირი ტექსტის გაგება - გააზრება
- სტანდარტით განსაზღვრული სხვადასხვა სახის ტექსტების შედგენა
- როლურ თამაშებში, სიმულაციურ სიტუაციებში მონაწილეობა

- ინტერაქცია კონკრეტული საკითხის/თემის ირგვლივ
- საუბარი კონკრეტული თემის/საკითხის შესახებ
- ზეპირი მოხსენება
- განხორციელებული პროექტი
- და სხვა

## **მოთხოვები, რომელსაც უდა აკმაყოფილობის შემაჯამარებელი დავალებები**

- დავალების თითოეულ ტიპს უნდა ახლდეს თავისი შეფასების ზოგადი რუბრიკა (თუ რეცეფციული (კითხვა, მოსმენა) დავალებაა, მაშინ შეფასების სქემა უნდა ახლდეს თითოეულ ტესტურ კითხვას);
- ზოგადი რუბრიკა უნდა დაზუსტდეს კონკრეტული დავალების პირობისა და განვლილი მასალის გათვალისწინებით;
- 10 ქულა უნდა გადანაწილდეს რუბრიკაში შემავალ კრიტერიუმებზე;
- მითითებული უნდა იყოს სტანდარტის ის შედეგები, რომელთა შემოწმებასაც გმისახურება შემაჯამებელი დავალება.

## თავი III.

# დაწყებითი საფეხურის უცხოური ენების სტანდარტი და ტიკური აქტივობები

### პირველი ნაწილი

#### ღ.I-ღ.II

**მიზანთულება:** მოსმენა

**შედეგი:** უცხ.ღ.I.2./უცხ.ღ.II.2. მოსწავლეს შეუძლია მოსმენილი ილუსტრირებული  
მინიდიალოგების/მონოლოგების გაგება.

**შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:**

- სმის ტემპრით ამოიცნობს პერსონაჟებს;
- რეპლიკებს აკავშირებს პერსონაჟებთან;
- ინტონაციით გამოხატულ ემოციებს უკავშირებს ილუსტრირებულ  
პერსონაჟთა გამომეტყველებას;
- ამოიცნობს ნასწავლ სიტყვებს და მათზე დაყრდნობით რეპლიკებსა და  
ნინადადებებს აკავშირებს შესაბამის ილუსტრაციასთან.

#### აქტივობები

1. მოსმენილი რეპლიკის მიხედვით პერსონაჟის ამოცნობა და მისი განსახიერება  
არავერბალური საშუალებებით (მიმიკა, უესტიკულაცია...).
2. მოსმენის შედეგად პერსონაჟის ილუსტრაციის ამოცნობა, შემოხაზვა, მონიშნვა  
ან გაფერადება.
3. მოსმენის შედეგად სიტყვის/ რეპლიკის შესატყვისი ილუსტრაციის პოვნა.
4. მოსმენის შედეგად ემოციის/ინტონაციის დაკავშირება ილუსტრირებული  
პერსონაჟის გამომეტყველებასთან.

**შედეგი:** უცხ.ღ.I.3./უცხ.ღ.II.3. მოსწავლეს შეუძლია მოსმენილი ილუსტრირებული  
აღწერითი/ნარატიული ხასიათის ტექსტების გაგება.

**შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:**

- ამოიცნობს აღწერილ პერსონაჟს, ცხოველს, საგანს და აკავშირებს მას  
შესაბამის ნახატთან/უესტიკულაციით განასახიერებს/ ხატავს/ მიუთითებს  
რეალურ საგანზე;
- ამოიცნობს პერსონაჟს, ცხოველს, საგანს აღწერილი ნიშან-თვისებების  
მიხედვით

(მაგალითად, წითელი, მრგვალი, დიდი, პატარა) და მიუთითებს/აფერადებს/შემოხაზავს მას;

- ამოიცნობს და მიუთითებს მათ ადგილმდებარეობას (მაგალითად., მაგიდაზე, რვეულზე, ჩანთაში, ყუთში);
- ამოიცნობს კონკრეტულ მოქმედებებს და განასახიერებს ან მიუთითებს მათ სურათზე

(მაგალითად, საუზმობს, ვარჯიშმობს, კითხულობს, ცურავს და სხვა);

- აკავშირებს მოქმედებებს პერსონაჟებთან;
- ამოიცნობს მოქმედებათა თანამიმდევრობას.

### აქტივობები

5. მოსმენილი ტექსტის შესაბამისი ილუსტრაციის პოვნა, შემოხაზვა, მონიშნვა ან მითითება.
6. ნაცნობი სიტყვის გაგონებისას ტაშის შემოკვრა/ფეხის დაბაკუნება.
7. მოსმენის შედეგად პერსონაჟის ამოცნობა (ხმით, ინტონაციით, რეპლიკით).
8. მოსმენის შედეგად პერსონაჟის განსახიერება.
9. მოსმენის შედეგად პერსონაჟის მიბაძვა (ხმით, მიმიკით, უსტიკულაციით...).
10. მოსმენილი ნაამბობის შედეგად ილუსტრაციების დალაგება თხრობის თანმიმდევრობით.

### მიმართულება: კითხვა

**შედეგი:** უცხ.დ.1.5. მოსწავლეს შეუძლია ნაცნობი და ხშირად გამოყენებული სიტყვების ორთოგრაფიული ხატის პირდაპირი გზით (გაშიფრვის გარეშე) ამოცნობა.

### შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- ამოიცნობს საკუთარ და თანაკლასელთა სახელებს;
- ამოიცნობს ზეპირმეტყველებაში შესწავლილ და ხშირად გამოყენებულ სიტყვებს;
- სიტყვათა ჩამონათვალში, ნასწავლ ტექსტში პოულობს წინასწარ მითითებულ ნაცნობ სიტყვებს;

### აქტივობები

11. დაფაზე დაწერილი თანაკლასელების სახელების ამოცნობა.
12. ილუსტრირებული ბარათების (ცხოველები, ბუნება, ...) დაკავშირება (ხაზით/ისრით) მათ ორთოგრაფიულ ხატთან.

13. სიტყვათა ლაპირინთში ნაცნობი სიტყვების ამოცნობა, შემოხაზვა ან გაფერადება.
14. მიკროტექსტში ერთნირი სიტყვების ამოცნობა, შემოხაზვა ან გაფერადება.
15. მასწავლებლის მიერ ნაჩვენები ილუსტრაციისთვის ორთოგრაფიული ბარათის მისადაგება.
16. ნაბეჭდი და ხელნაწერი ბარათების ილუსტრაციებისთვის მისადაგება.

**შედეგი:** უცხ.დ. I.6. /უცხ.დ. II.5. მოსწავლეს შეუძლია სიტყვების, წინადადებების გაშიფრა-წაკითხვა.

### შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- ასხვავებს ნაბეჭდ და ნაწერ ასოებს;
- ასხვავებს მთავრულ და არამთავრულ ნაბეჭდ ასოებს;
- აკავშირებს ნაბეჭდ ასოებს შესაბამის ნაწერ ასოებთან;
- დამახსოვრებულ სიტყვებში ამოიცნობს ასოებს/ასოთშენაერთებს და აკავშირებს მათ შესაბამის ბგერებთან;
- ადარებს ერთმანეთს სიტყვის შემადგენელი ასოებისა და ბგერების რაოდენობას და გამოაქვს სათანადო დასკვნა (მაგალითად, მეტი ასოა და ნაკლები ბგერა იმიტომ, რომ ერთი ასო არ იკითხება ან ორი ასო ერთ ბგერად გამოითქმის);
- დამახსოვრებულ სიტყვებზე დაყრდნობით აანალიზებს სხვა სიტყვებს, ამოიცნობს მათში ანალოგიურ ასოებს/ასოთშენაერთებს და აკავშირებს შესაბამის ბგერებთან;
- შიფრავს და ხმამაღლა კითხულობს სიტყვებს, მოკლე წინადადებებს;
- დამახსოვრებულ სიტყვებში ამოიცნობს ასოებს/ასოთშენაერთებს და აკავშირებს მათ შესაბამის ბგერებთან;
- შიფრავს სიტყვებს, მოკლე წინადადებებს.

### აქტივობები

17. ილუსტრაციების შესაბამისი სიტყვების პოვნა და მათი დამარცვლით წაკითხვა.
18. ნასწავლი/ნაცნობი სიტყვის პოვნა/შემოხაზვა, ამოკითხვა ცხრილში ან სიტყვათა ჯაჭვში.
19. ჯგუფური თამაში "ჩამოხრჩობანა": მასწავლებლის მიერ ჩაფიქრებული სიტყვის გამოცნობა (სიტყვის პირველი და ბოლო ასოების ან სიტყვაში ასოების რაოდენობის მიხედვით, როდესაც საწყისი ასო მოცემულია).

20. ნაბეჭდი და ხელნაწერი ასოების პოვნა/შემოხაზვა/ერთმანეთთან დაკავშირება.
21. წინადადებაში/სიტყვათა ჯაჭვში სიტყვების გამოყოფა/განცალკევება.
22. რამდენიმე წინადადებიდან ილუსტრაციის შესაბამისი წინადადების პოვნა/შემოხაზვა.
23. სიტყვათა ჯაჭვში განსხვავებული/ზედმეტი სიტყვის გადახაზვა/გაფერადება.
24. სიტყვებით წინადადების აწყობა.

**შედეგი:** უცხ.დ. II.6. მოსწავლეს შეუძლია მცირე ზომის ილუსტრირებული ტექსტების გაგება და მათში ინფორმაციის მოძიება.

#### შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- ნაცნობ სიტყვებსა და ილუსტრაციებზე დაყრდნობით ამოიცნობს ორ-სამ-წინადადებიანი მიკროტექსტის შინაარსს;
- მოსმენისას დამუშავებულ ტექსტში მოიძიებს ნაცნობ სიტყვებს წინასწარ მიცემული ინსტრუქციის მიხედვით (მაგალითად, ხილის, ცხოველების და ა.შ. აღმნიშვნელ სიტყვებს);
- ტექსტში მოცემულ ინფორმაციაზე დაყრდნობით ასრულებს კონკრეტულ ქმედებას (ასრულებს ნახატს, პოულობს შესატყვის ილუსტრაციას და სხვა).

#### აქტივობები

25. ილუსტრაციების მიხედვით ტექსტის სათაურის/შინაარსის განსაზღვრა.
26. ტექსტის სათაურის წაკითხვა და ილუსტრაციებზე დაკვირვებით მისი შინაარ-სის შესახებ აზრის გამოთქმა.
27. ტექსტის წაკითხვა და გარკვეული ნაწილების მიხედვით მოცემულ კითხვებზე (ვინ, სად, როდის და ა.შ.): ა) მართებული პასუხის არჩევა, მონიშნვა ან შემოხა-ზვა; ბ) ზეპირად პასუხის გაცემა.
28. ტექსტზე მუშაობა: ა) ტექსტის აბზაცებად დაყოფა; ბ) აბზაცების ილუსტარა-ციებთან დაკავშირება; გ) ილუსტრაციების დანომრვა; დ) ილუსტრაციებისთ-ვის წარწერების მისადაგება.
29. ილუსტრაციის ან გეგმის მიხედვით ცალკეული მონაკვეთებისგან ტექსტის აწყობა.
30. წაკითხული ტექსტის გეგმის შედგენა.
31. ტექსტისა და ილუსტრაციის შედარება და განსაზღვრული რაოდენობის (4,6...) შეცდომის პოვნა.
32. მოცემული წინადადების წაკითხვა, მისი პოვნა ტექსტში და შესაბამისი აბზა-ცის მითითება.

## მიმართულება: წერა

**შედეგი:** უცხ.დ.I.7./უცხ.დ.II.7. მოსწავლეს შეუძლია ასოების, სიტყვების, წინადაღებების წერა.

### შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- აღწერს კონკრეტული ასოს ზედა/ქვედა/შუა ნაწილებს (მაგალითად, სად არის სწორი ხაზი, რგოლი, რკალი; საით მრგვალდება რკალი; რამდენი რკალია და ა.შ.);
- ხელის სწორი მოძრაობით გამოსახავს ნაცნობი ასოს ფორმას;
- ხელის სწორი მოძრაობით რვეულში გამოწერს ანბანის მთავრულ და არამთავრულ ასოებს;
- იცავს ბადეში ასოს ჩაწერის წესებს (სტრიქონზე განლაგება, ზომა და მოხაზვის მიმართულება);
- ნაწერიდან ან ნაპეჭდი წყაროდან გადმოწერს იმ სიტყვებს, რომელთა ასობების ურთიერთშესაბამისობაც შესწავლილი აქვს.
- ავსებს გაკვეთილების ცხრილს, დღის განრიგს, ანკეტას პირადი მონაცემებით;
- მოდელის მიხედვით წერს ლია ბარათს;
- ავსებს ნაკლულ ტექსტს საჭირო ინფორმაციით (გამოტოვებული სიტყვებით).
- ნაწერიდანან ნაპეჭდი წყაროდან გადაიწერს სიტყვებს, მოკლეწინადაღებებს.

### აქტივობები

33. წერტილების შეერთებით ასოს მიღება.
34. ასოების გამოძერნვა პლასტილინით.
35. დაფიდან ნაცნობი ასოების/სიტყვის/წინადაღებების გადაწერა.
36. დაფიდან გადმოწერილი ნაცნობი სიტყვისთვის ილუსტრაციის მიხატვა.
37. საკუთარი სახელის დაწერა და გულსაბნევის/სამაგიდე ბარათის დამზადება.
38. ლოკოკინის მოძრაობის მსგავსად ხელით ასოს გამოხატვა.
39. ასოების დაჯგუფება (მუცლიანი, ხაზიანი, ფეხიანი ...).
40. სიტყვების/წინადაღებების დაფიდან გადწერა ილუსტრაციის/ნახატის დასათაურების მიზნით.
41. ჯგუფური თამაში "ჩამოხრჩობანა": მასწავლებლის მიერ ჩაფიქრებული სიტყვის გამოცნობა (სიტყვის პირველი და ბოლო ასოების ან სიტყვაში ასოების რაოდენობის მიხედვით, როდესაც საწყისი ასო მოცემულია).

## მიმართულება: ლაპარაკი

**შედები: უცხ.დ.I.8./უცხ.დ.II.8. მოსწავლეს გამომუშავებული აქვს ელემენტარული ფონოლოგიური უნარ-ჩვევები.**

### შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- განარჩევს მსგავსი უღერადობის სიტყვებს, მარცვლებს;
- სიტყვას ჰყოფს მარცვლებად, მარცვლებს ამთლიანებს სიტყვებად;
- ამოიცნობს მარცვლების რაოდენობას და მათ წარმოადგენს შესაბამისი რაოდენობის სიმბოლოებით (მაგალითად, ერთმარცვლიან სიტყვას - ერთი რკალით, ორმარცვლიანს - ორი რკალით და ა.შ.);
- ამოიცნობს იმ სიტყვებს, რომლებშიც შედის წინასწარ მითითებული ბგერა/ მარცვალი;
- ამოიცნობს სიტყვაში მითითებული მარცვლის ადგილმდებარეობას (და-საწყისში, შუაში, ბოლოში) და სიმბოლურად გამოსახავს მას (მაგალითად, სამმარცვლიანი სიტყვის გამომხატველი სამი რკალიდან აფერადებს მითითებული მარცვლის შესაბამის რკალს);
- სურათებით წარმოდგენილ ან მასწავლებლის მიერ ჩამოთვლილ სიტყვებში ამოიცნობს იმ სიტყვებს, რომლებიც იწყება/მთავრდება წინასწარ მითითებული ბგერით;
- სურათებით წარმოდგენილ ან მასწავლებლის მიერ ჩამოთვლილ სიტყვებს აჯგუფებს თავიდურა ბგერის მიხედვით;
- სიტყვას შლის ბგერებად, ბგერებს ამთლიანებს სიტყვებად;
- მასწავლებლის მიერ ჩამოთვლილ სიტყვებში ამოიცნობს იმათ, რომლებიც შეიცავენ წინასწარ მითითებულ ბგერას;
- მოსმენილ მარტივ წინადადებაში გამოჰყოფს სიტყვებს და სიმბოლური ნიშნით აღნიშნავს მათ რაოდენობას (მაგალითად, ბიჭი ბურთს თამაშობს – სამი ხაზი: ----- ----- -----);
- სიმბოლურად გამოხატავს სიტყვებს და მათში შემავალი მარცვლების რაოდენობას (მაგალითად, ორმარცვლიანი სიტყვა – ერთი ხაზი ორი რკალით : --- ბიჭი).

### აქტივობები

42. ბგერების, მარცვლების, სიტყვების მოსმენა-გამეორება.
43. მასწავლებლის მაგალითზე სიტყვის/ფრაზის (წმამალლა, ჩუმად, ემოციურად და ა.შ) გამიეორება.
44. მითითებული ასო-ბგერის გაგონებისას ხელის აწევა, ფეხის დაბაკუნება ან ტაშის დაკვრა.

45. მასწავლებლის მიერ ნასროლი ბურთის დაჭერა; ბურთის სროლისას წარმოთქმული სიტყვის გამეორება და ბურთის უკან დაბრუნება მასწავლებლისთვის.
46. დასახელებული სიტყვის დამარცვლა და ჯგუფთან ერთად გამეორება.
47. მოსმენილი სიტყვის დამარცვლა და თითოეული მარცვლის დაფიქსირება ტა-შის დაკვრით ან ფეხის ბაკუნით.
48. უცნობი ტექსტის მოსმენისას მითითებული სიტყვის ამოცნობა და მისი დათვლა (რამდენჯერ შეხვდა მითითებული სიტყვა).

**შედეგი:** უცხ. დ. I. 9. უცხ. დ. II. 9. მოსწავლეს შეუძლია უცხოური ენის ბგერების, ულერადობის, ინტონაციის აღქმა, მიბაძვა-გამეორება.

#### შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- ზეპირად კითხულობს ლექსებს, გათვლებს, ასრულებს სიმღერებს;
- ლექსის/სიმღერის შინაარსს ადეკვატურად უსადაგებს არავერბალურ მეტყველებას (ინტონაციას, მიმიკას, ჟესტიკულაციას, რიტმულ მოძრაობებს);
- იმეორებს მასწავლებლის მიერ წარმოთქმულ ბგერებს, სიტყვებს, მოკლე ფრაზებს, ენის გასატეხებს;
- ტექსტების წარმოთქმისას იცავს შესაბამის ინტონაციას, მახვილებს, რიტმულ სეგმენტებს.

#### აქტივობები

49. არავერბალური ელემენტების თანხლებით (მიმიკა, ჟესტიკულაცია, რიტმული მოძრაობები) სიმღერის შესრულება.
50. ენის გასატეხების/გათვლის სწრაფად და გამართულად წარმოთქმაში თანაკლა-სელებთან/მეწყვილესთან შეჯიბრება.
51. სასკოლო ჩანთის ჩალაგება (ნივთების დასახელება თანმიმდევრობით): "ჩანთა-ში ჩავდე წიგნი, რვეული, ფანქარი....".
52. ემოციის განსახიერება: "გაბრაზებული", "მხიარული", "მოწყენილი....".
53. მასწავლებლის მიბაძვით გათვლის, ლექსის ან სიმღერის გამეორება შესაბამისი ინტონაციით/ჟესტიკულაციით, რიტმული მოძრაობებით.
54. მასწავლებლის მიბაძვით ენის გასატეხის გამეორება გამოთქმის თავისებურე-ბების, ინტონაციის დაცვით.

**შედეგი:** უცხ.დ.I.10./უცხ.დ.II.10. მოსწავლეს შეუძლია მარტივ ინტერაქციაში მონაწილეობა.

### შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- თითო სიტყვით პასუხობს მარტივ კითხვებს ან რეაგირებს მათზე არავერბალური საშუალებებით (მაგალითად, ეს ბურთი რა ფერისაა? – წითელი; სად არის მანქანა? – მიუთითებს შესაბამის ნახატს).
- მოკლედ პასუხობს კითხვებს მისთვის ნაცნობ თემატიკაზე ან რეაგირებს მათზე არავერბალური საშუალებებით (საკუთარი თავის შესახებ - რა აქვს, რა ჰყავს, რა ჰქვია, რას აკეთებს, რომელი მოსწონს, რომელი უნდა - ასახელებს ან მიუთითებს შესაბამის ილუსტრაციას და სხვა);
- მარტივი ნაკეთობების, თვალსაჩინოებების დამზადებისას იყენებს ცალკეულ სიტყვებს (მომეცი, მინდა და სხვა).

### აქტივობები

55. ილუსტრაციების მიხედვით პერსონაჟის მახასიათებლების (ფერი, ფორმის, ზომის და ა.შ.) დასახელება.
56. თამაში „ცივა/ცხელა“ /„ზამთარი/ზაფხული“ (მასწავლებლის მიერ დამალული ნივთის პოვნა).
57. ჩაფიქრებული სიტყვის/ნივთის/საგნის გუნდისთვის ან კლასისთვის ერთი სიტყვით ახსნა (თამაში „ასოციაციობანა“).
58. მასწავლებლის/თანაკლასელის მიერ ნასროლი ბურთის დაჭერა და სიტყვების ჯაჭვის გაგრძელება (მაგალითად, ორშაბათი, სამშაბათი... - ოთხშაბათი; - კალამი, ფანქარი ..., - საშლელი და სხვა).
59. ილუსტრაციებზე გამოსახული პერსონაჟების/ნივთების ამოცნობა/დასახელება.
60. თანაკლასელის უესტების მიხედვით პერსონაჟის, ცხოველის ან საგნის ამოცნობა და დასახელება.
61. საგნის/პერსონაჟის ერთი სიტყვით დახასიათება (დიდი, პატარა, ლამაზი, ...).
62. სიტყვების დასაწყისის მოსმენა და მათი დასრულება.
63. მასწავლებლის შეკითხვაზე მოკლე პასუხების გაცემა (ნაცნობი თემატიკის ირგვლივ).
64. მეწყვილისთვის/თანაკლასელისთვის ინტერვიუს ჩამორთმევა (რა გქვია? რამდენი წლის ხარ? ...).
65. საკუთარი თავის შესახებ მასწავლებლის მარტივ კითხვებზე პასუხის გაცემა (სახელი, გვარი, რა მოსწონს, რამდენი წლისაა...).

66. რა შეეძლა მხატვარს? ორ ილუსტრაციას შორის განსხვავებების დასახელება.
67. მითითებული ფერის მიხედვით თანაკლასელებისთვის გაცვლით ერთი და იმავე ფერის ბარათების შეგროვება ("მომეცი, გეთაყვა, ლურჯი", "აი, თეთრი ბარათი"...).

### მიმართულება: კულტურათა დიალოგი

**შედეგი:** უცხ.დ.I.11. უცხ.დ.II.11. მოსწავლეს შეუძლია ინფორმაციის ამოცნობა კულტურის სფეროდან, უცხო და მშობლიური სოციოკულტურული გარემოს შედარება.

#### შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- აკვირდება და ამოცნობს სასწავლო მასალაში მოცემული კულტურის, სოციოკულტურის
- რეალიებს (მაგალითად, ცნობილი პიროვნების ილუსტრაცია, ჩატმულობა, ნუგბარი და სხვა);
- პოულობს სასწავლო მასალაში გამოვლენილ კონკრეტულ მსგავსებებსა და განსხვავებებს (მაგალითად, სადღესასწაულო მორთულობა, ტიპური საუზმე და სხვა).

#### აქტივობები

68. ილუსტრაციებზე დაკვირვებით ქართული და უცხოური ნუგბარის ამოცნობა და შესაბამის კალათებში ჩალაგება.
69. დღესასწაულებიათვის შესაბამისი მორთულობის დაკავშირება (მაგალითად, ნაძვის ხე, აღდგომის კვერცხი და ა.შ.).
70. საახალწლო ნაძვის ხეზე ნაცნობი ნივთების დაკიდება.
71. სააღდგომო კურდღლის ნაკვალევის მიხედვით მდელოზე (ილუსტრაციაზე) და-მალული სააღდგომო კვერცხის პოვნა.
72. სააღდგომო კვერცხების შეერთებით მიღებული ილუსტარციის ამოცნობა/და-სახელება.
73. ქართული და უცხოური ზღაპრის გმირების ამოცნობა/განსხვავება.
74. სამიზნე ქვეყნის დროშის ფერების დასახელება.
75. ილუსტაციაზე გამოხატული დროშის, ნაციონალური კოსტუმის, ღირშესანიშნაობის, დედაქალაქის დაკავშირება სამიზნე ქვეყანასთან.
76. ერთი და იმავე უცხოური ზღაპრის გმირების ამოცნობა (მაგალითად. ნითე-ლქუდა, ბებია, მგელი...) და ისრით/ხაზით შეერთება.

## მინისტრის მინისტრობის

### დ. III-დ. IV

#### მინისტრობის მოსმენა

**შედეგი:** უცხ. დ. III.2. მოსწავლეს შეუძლია მოსმენილი ილუსტრირებული მინი-დიალოგების/მონოლოგების გაეჩინა.

#### შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- ხმის ტემპრით ამოიცნობს პერსონაჟებს;
- რეპლიკებს აკავშირებს პერსონაჟებთან;
- ამოკრებს დიალოგიდან კონკრეტულ დეტალებს (ვინ, სად, რამდენი, როგორი და სხვა);
- ინტონაციით გამოხატულ ემოციებს უკავშირებს ილუსტრირებულ პერსონაჟთა გამომეტყველებას;
- ამოიცნობს ნასწავლ სიტყვებს, გამოთქმებს, ენობრივ ფორმულებს და მათზე დაყრდნობით რეპლიკებსა და წინადადებებს აკავშირებს შესაბამის ილუსტრაციასთან.

#### აქტივობები

1. მოსმენილი მინიდიალოგის საფუძველზე პერსონაჟის, საგნის, ნახატის, ფრაზის ან კომიქსის რეპლიკის აღმოჩენა და შემოხაზვა/მონიშვნა ილუსტრაციაზე.
2. მოსმენის შედეგად დიალოგის მონაწილისთვის/პერსონაჟისთვის ინტონაციის, ხმის ტემპრით გამოხატული ემოციის შესაბამისი ღიმილაკის მიხატვა.
3. ტექსტის მოსმენის შედეგად ილუსტრაციების ან კომიქსის "ბუჭტების" შევსება ნაცნობი სიტყვებით, გამოთქმებით.
4. მოსმენილი ჩანაწერის მიხედვით ილუსტრაციაზე დეტალური ინფორმაციის მონიშვნა/გახაზვა (ვინ? სად? რა? როდის? რამდენი? როგორი?).
5. მოსმენილ ტექსტსა და ილუსტრაციაზე დაყრდნობით "სწორია/მცდარია" დავალების შესრულება იმის გასარკვევად, თუ რა გაიგო მოსწავლემ საგნის, ცხოველის ან პერსონაჟის შესახებ.
6. მოსმენილი ტექსტისა და ილუსტრაციის მიხედვით წინადადებების დასრულება.
7. მოსმენილი მინიდიალოგის/მონოლოგის მიხედვით ციფრების მონიშვნა, ჩანაწერი (მაგალითად, ტელეფონის ნომრებში გამოტოვებული ციფრების შევსება).

**შედეგი:** უცხ. დ.III.3. /უცხ. დ.IV.3. მოსწავლეს შეუძლია მოსმენილი ილუსტრირებული აღნერითი/ნარატიული ხასიათის ტექსტის გაგება.

**შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:**

- ამოიცნობს აღნერილ პერსონაჟს, ცხოველს, საგანს სხვადასხვა ნიშნის მიხედვით (მაგალითად, ადგილმდებარეობა, ზომა, ფერი, ფორმა, რაოდენობა და სხვა);
- ასახელებს პერსონაჟებს;
- ამოიცნობს მათ შეგრძნებებს, ემოციურ დამოკიდებულებებს (მაგალითად, ეშინია, უხარია, სტკივა, სცივა);
- ამოიცნობს პერსონაჟების მოქმედებებს (ვინ რას აკეთებს);
- ამოიცნობს მოსაუბრეს (ვის ეკუთვნის ესა თუ ის ნათქვამი);
- ამოიცნობს ამბის განვითარების ეტაპებს (როგორ დაიწყო, რა მოხდა, როგორ დამთავრდა);
- პერსონაჟთა საქციელიდან გამომდინარე, გამოაქვს დასკვნა მათი ხასიათის,
- თვისების შესახებ (მაგალითად, კეთილია, ბოროტია, ძუნწია, გულადია, მშიშარაა, ზარმაცია);
- მოვლენათა თანამიმდევრულობის მიხედვით განალაგებს/ნომრავს სურათებს;
- ტექსტის დამუშავების შემდეგ მასწავლებლის თხრობის კვალდაკვალ ახორციელებს ამბის ინსცენირებას.

### აქტივობები

8. მოსმენილ ჩანაწერში ამოცნობილი საგნის, ცხოველის, პერსონაჟის, ილუსტრაციის გაფერადება მითითებული ფერით.
9. მოსმენილი აღნერილობის მიხედვით ილუსტრაციაზე პერსონაჟის ან საგნის პოვნა/მონიშვნა.
10. მოსმენილი ტექსტის მიხედვით ცხოველების, პერსონაჟების ან საგნების ადგილმდებარეობისა და მოქმედებების ამოცნობა და შესაბამის ილუსტრაციებთან დაკავშირება.
11. მოსმენილი ტექსტის საფუძველზე არეულად მოცემული კომიქსის/ილუსტრაციების თანმიმდევრობით დანომრვა.
12. წინადადებების მრავალჯერადი მოსმენის შემდეგ იმ წინადადების შესაბამისი ილუსტრაციის პოვნა/ამოცნობა/მითითება, რომელიც გამოტოვა მთხობელმა.
13. ტექსტის მოსმენის შედეგად ილუსტრაციაზე საგნების/პერსონაჟების პოვნა, დასახელება და აღნერა.

14. რა შეეძლა მხატვარს? ორ ილუსტრაციას შორის განსხვავებების დასახელება.
15. მითითებული ფერის მიხედვით თანაკლასელებისთვის გაცვლით ერთი და იმავე ფერის ბარათების შეგროვება ("მომეცი, გეთაყვა, ლურჯი", "აი, თეთრი ბარათი"...).
16. გარეგნობის აღნერის მოსმენის შედეგად პერსონაჟის დასახელება, მისი ილუსტრაციის ამოცნობა.
17. მოსმენილი ტექსტის მიხედვით ილუსტრირებული ლოტოს შევსება.
18. მოსმენილი ტექსტისა და ილუსტრაციის მიხედვით იმის ამოცნობა, თუ რა აწუხებს/უხარია პერსონაჟს და შესაბამისი ღიმილაკების მიხატვა.
19. მოსმენილი ტექსტის მიხედვით პერსონაჟის მოქმედების განსახიერება.
20. ტექსტის მოსმენის შემდეგ განსხვავებული მოქმედების პოვნა და გადახაზვა.
21. არეულად მოცემული წინადადებების დანომრვა/დალაგება მოსმენილი ტექსტის შინაარსის ან ქრონოლოგიური თანმიმდევრობის მიხედვით.
22. მოსმენილის მიხედვით ცხრილის ფაქტობრივი ინფორმაციით შევსება.

### მიმართულება: კითხვა

**შედეგი:** უცხ.დ.III.6./უცხ.დ.IV.5. მოსწავლეს შეუძლია ილუსტრირებული ტექსტების გაგება და მათში ინფორმაციის მოძიება.

### შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- ნაცნობ სიტყვებსა და ილუსტრაციებზე დაყრდნობით ამოიცნობს ორ-სამწინადადებიანი მიკროტექსტის შინაარსს;
- მოსმენისას დამუშავებულ ტექსტში მოიძიებს ნაცნობ სიტყვებს წინასწარ მიცემული ინსტრუქციის მიხედვით (მაგალითად, პერსონაჟთა სახელებს, სათამაშოების ან ცხოველების აღმნიშვნელ სიტყვებს და ა.შ.);
- ტექსტში პოულობს ილუსტრაციის შესაბამის მონაკვეთს;
- ტექსტში მოცემულ ინფორმაციაზე დაყრდნობით ასრულებს კონკრეტულ ქმედებას (დაასრულებს ნახატს, პოულობს შესატყვის ილუსტრაციას და სხვა);
- ტექსტში მოიძიებს კონკრეტულ ინფორმაციას (მაგალითად, სად, როგორი, ვინ, ვისი).

**აქტივობები**

23. ტექსტის წაკითხვის შედეგად შესაბამის ილუსტრაციაზე პერსონაჟების ამოცნობა, შემოხაზვა ან მათი სახელების გაფერადება ტექსტში, მაგალითად, წითლად, მათი მოქმედებისა კი - ლურჯად.
24. წაკითხული ტექსტის მიხედვით ილუსტრაციების დალაგება ტექსტში მოცემული ქრონოლოგიის მიხედვით.
25. საკითხავ ტექსტში მოცემული აღნერის მიხედვით რამდენიმე ნახატიდან ისეთის პოვნა/შემოხაზვა, რომელიც შეესაბამება/არ შეესაბამება ტექსტს.
26. კომიქსის წაკითხვა და რეპლიკის ილუსტრაციასთან დაკავშირება (ისრით/ ხაზით).
27. წაკითხული ტექსტის შინაარსის ამოცნობა და შესაბამისი ნახატის დახატვა.
28. წაკითხული ტექსტიდან გამომდინარე, ნახატებში იმის მონახვა, რაც პერსონაჟს უყვარს/არ უყვარს.
29. ტექსტში ნაცნობი სიტყვების მოძებნა და ცხრილში მათი თემატურად დალაგება (მაგალითად, ცხვველები, სათამაშოები, სასკოლო ნივთები და სხვ.)
30. სიტყვის ნახატთან დაკავშირება.
31. ილუსტრაციაზე დაკვირვება და ტექსტის შესაბამის მონაკვეთთან მისი დაკავშირება.
32. ილუსტრირებული მოკლე ტექსტის/კომიქსის წაკითხვის შემდეგ "სწორია/ მცდარია" დავალების შესრულება.

**შედეგი:** უცხ.დ. IV.6. მოსწავლეს გამომუშავებული აქვს ხმამაღალი კითხვის ელემენტარული უნარ-ჩვევა.

**შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:**

- თავისუფლად კითხულობს მცირე ზომის ნაცნობ ტექსტს; ხმამაღლა, გამართულად უკითხავს თანაკლასელებს სასურველ/შერჩეულ ნაწყვეტს ნაცნობი ტექსტიდან;
- ცდილობს, დაიცვას შესაბამისი ინტონაცია სხვადასხვა მოდალობის წინა-დადების წარმოთქმის დროს;
- მონაწილეობს დიალოგის, სკეტჩის გუნდურ კითხვაში.

**აქტივობები**

33. ტექსტში სასვენი ნიშნების დასმა.
34. სხვადასხვა ხასიათის ნაცნობი ტექსტის (ლექსის, ენის გასატეხის, პატარა

მოთხოვთ იგავის, ზღაპრების და ა.შ.) ხმამაღლა და მკაფიოდ წაკითხვა და სასვენეო ნიშნებით გამოხატული პაუზების გაკეთება აღმავალი და დაღმავალი ინტონაციის გათვალისწინებით.

35. დიალოგის, ტექსტის, კომიქსის მენცვილესთან ერთად როლებში წაკითხვა.
36. ტექსტის შინაარსის მიხედვით კომიქსის პერსონაჟების გახმოვანება.
37. ტექსტში იმ ხმოვნების/თანხმოვნების გახაზვა/მონიშნვა, რომლებიც არ კითხება.
38. ენის გასატეხის წაკითხვა ჯერ ნელა და გარკვევით, სიტყვებზე დაკვირვებით, შემდეგ უფრო და უფრო სწრაფად.
39. წაკითხულის ჩანერა (აუდიოფირზე), მოსმენა და ხარვეზების გამოსწორებაზე მუშაობა.
40. კონკურსი ხმამაღლა კითხვაში (თანაკლასელებთან, გუნდის წევრებთან).

## მიმართულება: წერა

**შედეგი:** უცხ.დ.IV.8. მოსწავლეს შეუძლია მცირე ზომის ტექსტების შედგენა.

### შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- მოცემულ ყალიბს ავსებს განსხვავებული შინაარსით;
- მოდელის მიხედვით წერს ღია ბარათს;
- ამატებს ტექსტში ნაკლულ ინფორმაციას;
- ავსებს გაკვეთილების ცხრილს, დღის განრიგს.

### აქტივობები

41. ნიმუშის მიხედვით საკუთარი ოთახის აღწერა.
42. მოცემულ სიტყვებზე/ ილუსტრაციებზე/ სათაურზე დაყრდნობით ტექსტის შედგენა.
43. საკუთარი ჰობის, ინტერესების შესახებ ნიმუშის მიხედვით ტექსტის შედგენა.
44. ადამიანების, საგნების, მოვლენების წერილობით აღწერა.

## მიმართულება: ლაპარაკი

**შედეგი:** უხც. დ.III.9. მოსწავლეს გამომუშავებული აქვს საბაზო ფონოლოგიური უნარ-ჩვევები.

### შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- განარჩევს მსგავსი ულერადობის ბგერებს;
- სიტყვას ჰქონდებად, მარცვლებს ამთლიანებს სიტყვებად;
- ამოიცნობს მარცვლების რაოდენობას და შესაბამისი სიმბოლოებით ნარ-მაღადგენს მათ (მაგალითად, ერთმარცვლიან სიტყვას ერთი რკალით, ორ-მარცვლიანს - ორი რკალით და ა.შ.);
- ამოიცნობს სიტყვაში მარცვლის ადგილმდებარეობას (დასაწყისში, შუაში, ბოლოში) და სიმბოლურად გამოსახავს მას (მაგალითად, სამმარცვლიანი სი-ტყვის გამომხატველი სამი რკალიდან აფერადებს მითითებული მარცვლის შესაბამის რკალს);
- სიტყვებს აჯგუფებს თავკიდურა/ბოლოკიდურა ბგერის მიხედვით;
- სიტყვებს შლის ბგერებად და პირიქით - ბგერებს ამთლიანებს სიტყვებად;
- ერთსა და იმავე ბგერას ამოიცნობს სხვადასხვა სიტყვაში;
- სიმბოლურად გამოხატავს სიტყვებს და მათში შემავალი მარცვლების რაო-დენობას (მაგალითად, ორმარცვლიანი სიტყვა - ერთი ხაზი ორი რკალით (↔↔);
- სიტყვის შიგნით სათანადო მარცვალში პოულობს ბგერის ადგილმდებარეო-ბას და გამოხატავს მას სიმბოლური კოდით (მაგალითად, სიტყვას - ხაზით, მარცვალს - რკალით, ბგერას - წრით).

### აქტივობები

45. მოსმენილ სიტყვაში ხმოვნის ამოცნობა და შესაბამისი ასოს სურათზე მონიშ-ვნა, გახაზვა ან გაფერადება.
46. მოსმენილ სიტყვაში გამოტოვებული მარცვლის პოვნა და სიტყვაში ჩასმა.
47. თამაში: მასწავლებელი ასახელებს ბგერას და უგდებს ბურთს მოსწავლეს, რო-მელიც ასახელებს ამ ბგერით დაწყებულ სიტყვას და უბრუნებს ბურთს მასწავ-ლებელს; შემდეგ ის უგდებს ბურთს სხვა მოსწავლეს და ა.შ.
48. დამარცვლული სიტყვის გამოცნობა: ერთი მოსწავლე მარცვლავს ილუსტრი-რებულ ბარათზე გამოსახულ ნაცნობ სიტყვას, მეორე კი ამოიცნობს და ასახ-ელებს მას მთლიანად.
49. სიტყვის დასახელება და მისი დამარცვლით ნარმოთქმა, რიტმული ხმაურით/ტაშით მარცვლების რაოდენობის აღნიშვნა.

50. მოსმენის შედეგად ორმარცვლიანი სიტყვების გაფერადება/შემოხაზვა, მაგალითად, წითლად, სამმარცვლიანისა - ლურჯად და ა.შ.
51. წინადადებაში სიტყვების რაოდენობის აღნიშვნა ტაშით.
52. მასწავლებელთან ერთად ბერების, მარცვლების, სიტყვების, ფრაზების გამეორება და სიტყვების დამარცვლა.
53. რამდენჯერმე მოსმენის შემდეგ დამოუკიდებლად, ჯგუფთან ერთად ან კარაკეს თანხლებით გათვლის, ენის გასატეხის, სიმღერის ან ლექსის გამეორება შესაბამისი უესტიკულაციისა და მიმიკის გამოყენებით.

**შედეგი:** უცხ.დ.III.10. მოსწავლეს შეუძლია ტექსტების ზეპირად თქმა და ლექსიკური ცოდნის გამოვლენა.

#### შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- ზეპირად კითხულობს ლექსებს, გათვლებს, ასრულებს სიმღერებს;
- ზეპირად გაითამაშებს მარტივ დიალოგებსა და სცენებს;
- იმეორებს მასწავლებლის მიერ წარმოთქმულ ბერებს, სიტყვებს, მოკლე ფრაზებს, ენის გასატეხებს;
- ტექსტების წარმოთქმისას იცავს შესაბამის ინტონაციას, მახვილებს, რიტმულ სეგმენტებს;
- ადეკვატურად უსადაგებს არავერბალურ მეტყველებას ტექსტის შინაარსს (ინტონაციას, მიმიკას, უესტიკულაციას, რიტმულ მოძრაობებს);
- ასახელებს ლექსიკურ ერთეულებს.

#### აქტივობები

54. დამუშავებული/მოსმენილი დიალოგის მიხედვით მარტივი სიმულაციური სიტუაციის თანაკლასელებთან ერთად გათამაშება.
55. თემატური სურათის აღწერა და აღწერის დროს მარტივი ზედსართავების გამოყენება (კარგია, ცუდია, ლამაზია, დიდია, პატარაა...).
56. რამდენჯერმე მოსმენის შემდეგ დამოუკიდებლად, კლასთან ერთად ან კარაკეს თანხლებით გათვლის, ენის გასატეხის, სიმღერის, ლექსის გამეორება შესაბამისი უესტიკულაციის, მიმიკის გამოყენებით.
57. მასწავლებლის ან თანაკლასელის მიერ მითითებულ ილუსტრაციაზე გამოსახული პერსონაჟის, საგნის დასახელება.
58. წივთების დახატვა, გამოჭრა, რვეულში/სამუშაო ფურცლებზე ჩაკვრა და დასახელება.

59. თამაში: წრიულად დალაგებულია სკამები. მასწავლებელი ასახელებს უცნობ სიტყვებს. სიტყვების ჯაჭვში ურევს ნაცნობ სიტყვებს, რომელთა გაგონებაზე წრეზე მოსიარულე მოსწავლეები სხდებიან სკამებზე. რომელი მოსწავლეც ვერ ასწრებს დაჯდომას, ეთიშება თამაშს.
60. ლექსის წაკითხვა მოწყენილი, მხიარული ან გაბრაზებული ადამიანის ინტონაციით; ნელი ან სწრაფი ტემპით შესაბამისი მიმიკებისა და ჟესტების გამოყენებით.
61. ლექსის, ზღაპრის ან მოთხოვის ზეპირად თქმა და მისი პერსონაჟების/ აღნერილი მოქმედებების განსახიერება.
62. გამოცანების, შარადების, ენის გასატეხების, გათვლების ზეპირად თქმა და გამოცნობა (შესაძლოა, მიეცეს კონკურსის სახე).

### **შედეგი: უცხ.დ.III.11. მოსწავლეს შეუძლია მარტივ ინტერაქციაში მონაწილეობა.**

#### **შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:**

- მოკლედ პასუხობს კითხვებს მისთვის ნაცნობ თემატიკაზე ან რეაგირებს მათზე არავერბალური სამუალებებით;
- პასუხობს კითხვებს კონკრეტულ საკლასო სიტუაციასთან დაკავშირებით (მაგალითად, დაამთავრე? დიახ/არა; სად არის ფანქარი? აქ, მაგიდა ზე);
- პასუხობს ზეპირმეტყველებაში ნასწავლი ტექსტის შინაარსის გარშემო დასმულ მარტივ კითხვებზე (მაგალითად, რა პერსონა, რა აქცეს, როგორია, რას აკეთებს და სხვა).

#### **აქტივობები**

63. ილუსტრაციაზე დაკვირვება და მითითებული პერსონაჟის, ნივთის ან საგნის დასახელება.
64. საკუთარი თავის, პერსონაჟის ან გამოჩენილი ადამიანის წარდგენა/როლის გათამაშება.
65. მარტივი ენით თანაკლასელების/მეგობრების აღნერა.
66. ნივთის თვალახვეული ამოცნობა და დასახელება (ხელით მოსინჯვის შედეგად).
67. სქემატურ ნახატზე დაყრდნობით (მაგალითად, ჩემი ოჯახი, ჩემი ოთახი და ა.შ.) კითხვებზე მოკლე პასუხების გაცემა.
68. გუნდური თამაში: ერთი გუნდი ჩაიფიქრებს თანაკლასელს ან ცნობილ ადამიანს, მეორე კი გარკვეული რაოდენობის კითხვების საფუძველზე ამოიცნობს მას.

### **შედეგი: უცხ.დ.IV.12. მოსწავლეს შეუძლია ილუსტრაციების აღწერა.**

#### **შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:**

- ასახელებს პერსონაჟს, ცხოველს, საგანს;
- აღწერს მათ სხვადასხვა ნიშნის მიხედვით (მაგალითად, ადგილმდებარეობა, ზომა, რაოდებობა, ფერი და სხვა);
- ასახელებს მოქმედებებს.

#### **აქტივობები**

69. კომიქსის/ილუსტრაციის მიხედვით პერსონაჟის მოქმედების აღწერა.
70. საკუთარი ოჯახის წევრების, ზღაპრის საყვარელი გმირის ან კომიქსის პერსონაჟის დახატვა და მარტივი ენით აღწერა.
71. წინდებულების გამოყენებით ილუსტრაციებზე დფაყრდნობით მარტივი წინა-დადებების შედგენა.
72. თამაში: სად იმაღება კატა? კატის სამალავის (მაგალითად, კარადაში, კარადის თავზე და ა.შ.) დასახელება და აღწერა (შესაბამისი წინდებულების გამოყენებით).

#### **მიმართულება: კულტურათა დიალოგი**

### **შედეგი: უცხ.დ.III.12. მოსწავლეს შეუძლია ინფორმაციის ამოცნობა კულტურის სფეროდან, უცხო და მშობლიური სოციოკულტურული გარემოს ერთმანეთთან შედარება.**

#### **შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:**

- აკვირდება და ამოცნობს სასწავლო მასალაში მოცემული კულტურის, სოციოკულტურის რეალიებს (მაგალითად, სადღესასწაულო ზნე-ჩვეულება, კინობითი ფორმები, უესტიკულაცია და სხვა);
- პოულობს სოციოკულტურულ კონტექსტებში (მაგალითად, დღესასწაულები, სკოლა, გართობა, ოჯახი და სხვა) გამოვლენილ კონკრეტულ მსგავსებებსა და განსხვავებებს.

#### **აქტივობები**

73. უცხოელი თანატოლისა და საკუთარი საუზმის, სადილისა და ვახშმის შედარება.
74. სხვადასხვა ქვეყნის კერძების დალაგება-განცალკევებაში რესტორნის მზარეულისთვის დახმარების გაწევა.

75. უცხო ქვეყნისთვის დამახასიათებელი სუვენირების მოძიება/შექმნა.
76. ახალი წლის შეხვედრის უცხოური და ქართული წეს-ჩვეულებების, სადღესას-წაულო სუფრის შედარება და მსგავსება-განსხვავებებზე საუბარი.
77. ქართული და უცხოური სახელებითა და გვარებით ცხრილის შევსება და მს-გავსება-განსხვავებების აღმოჩენა (მაგალითად, იოანე, Jean, Johann, John, Иван).
78. ქართველი და უცხოელი მოსწავლის გაკვეთილების ცხრილის ერთმანეთთან შედარება.
79. ქართული და უცხოური ზღაპრის საყვარელი პერსონაჟის დახატვა.
80. ცნობილი ადამიანების, პერსონაჟების, ღირსშესანიშნაობების, საბავშვო გა-დაცემებისა თუ ზღაპრის გმირების დაჯგუფება ქვეყნების მიხედვით.
81. ცხოველების, ფრინველების, სასკოლო ნივთების, ხილის, ბოსტნეულისა და სხვ. დასახელებების შედარება ქართულ და უცხოურ ენაზე, მსგავსება - განსხვავებების აღმოჩენა უღერადობაში, წარმოთქმასა და დაწერილობაში.

**შედეგი:** უცხ.დ. IV.16. მოსწავლეს შეუძლია უცხოურ ენაზე სხვადასხვა ტიპის პროექტის (მაგ., თანაკლასელების ნახატების / ნაკეთობების გამოფენის მოწყობა; სპექტაკლის დადგმა, უცხოური სამზარეულოს სხვებისთვის გაცნობა და სხვა) განხორციელება.

#### შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- მასწავლებელთან ერთად აყალიბებს პროექტის წარმატებით განხორციელების კრიტერიუმებს;
- გუნდის წევრებთან და მასწავლებელთან ერთად გეგმავს პროექტის განხორციელების ეტაპებს;
- გუნდის წევრებისა და მასწავლებლის დახმარებით განსაზღვრავს და ინაწილებს ფუნქციებს;
- გუნდის თითოეულ წევრთან ერთად ასრულებს მისთვის მიკუთვნებულ ფუნქციას;
- მასწავლებლის, მშობლის ან სხვა პირის დახმარებით მოიძიებს სათანადო რესურსებს;
- გუნდის წევრებისა და მასწავლებლის დახმარებით შეარჩევს და დაამუშავებს მოძიებულ მასალას;
- მასწავლებლის დახმარებით აუმჯობესებს და ასრულებს პროექტს.

**აქტივობები**

82. თოჯინების თეატრის სპექტაკლის დადგმა ნასწავლი ზღაპრების მიხედვით/ უცხოური ზღაპრის გმირების მონაწილეობით.
83. ქართულ - უცხოური პოეზიის საღამოს მოწყობა.
84. უცხოური კერძის რეცეპტისთვის შესაბამისი ქართული ინგრედიენტების მისაღაება.
85. ცნობილი ადამიანების პორტრეტების, სამიზნე ქვეყნის ღირსშესანიშნაობების ნახატების ან ნაკეთობების შექმნა, მათი დასათაურება და გამოფენის მოწყობა.

## გესამი ნაწილი

### ღ. V-ღ. VI

#### მიზანთულება: მოსმენა

**შედეგი:** უცხ.ღ.V.1. მოსწავლეს შეუძლია მოსმენილი მცირე ზომის დიალოგის გაგება.

#### შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- ამოიცნობს სასაუბრო თემას, კონტექსტს (მაგალითად, დაბადების დღე, ახალი წელი, მაღაზიაში, ზოოპარკში);
- ამოკრებს დიალოგიდან კონკრეტულ დეტალებს (მაგალითად, ვინ, სად, რამ-დენი, როდის, როგორი და სხვა);
- ამოიცნობს თანამოსაუბრებსა და მათ ემოციებს, დამოკიდებულებებს (მა-გალითად, რისი ეშინია/არ ეშინია; რა აინტერესებთ/არ აინტერესებთ; რა მოსწონთ/არ მოსწონთ და სხვა);
- განარჩევს თანამოსაუბრეთა მიერ ინტონაციით გამოხატული ნათქვამის მოდალობას (თხოვნა, მოთხოვნა, შეკითხვა, ბრძანება);
- განარჩევს თავაზიან და ფამილარულ ფორმულებს.

#### აქტივობები

1. მოსმენილი დიალოგის მიხედვით სიტყვების წინასწარ მოცემულ ჩამონათვალში გამოტოვებული სიტყვის აღნიშვნა.
2. მოსმენილის მიხედვით ახალი წინადადების შედგენა (აზრის გაგრძელება).
3. ორი ფრაზის მოსმენა და შედარება (რა დაემატა/რა აკლია ერთ-ერთ მათგანს).
4. მოსმენილი დიალოგის შედეგად ამა თუ იმ პერსონაჟის რეპლიკების გაფერადება/ილუსტრაციებთან დაკავშირება (ხაზით, ისრით).
5. დიალოგის მოსმენა და მისი მოკლე შინაარსის გადმოცემა.
6. მოსმენილი დიალოგის მიხედვით შესაბამისი ილუსტრაციების დანომრვა ქრონოლოგიური თანმიმდევრობით.
7. მოსმენილი დიალოგის მიხედვით კითხვებზე პასუხის გაცემა: კი/არა.
8. მოსმენილი დიალოგის მიხედვით ცხრილის შევსება: ვინ მიდის არდადეგებზე დასასვენებლად? სად? როდის? რამდენი ხნით? და ა.შ.
9. მოსმენილი დიალოგის მიხედვით დასახელება: რა გამორჩა/რისი ყიდვა დაავინუდა პერსონაჟს?

10. მოსმენილი დიალოგის მიხედვით ფამილიული და თავაზიანი რეგისტრის ამოცნობა (თანატოლს ესაუბრება პერსონაჟი თუ უფროს ადამიანს?).

**შედეგი:** უცხ.დ.V.2/ უცხ.დ.VI.3. მოსწავლეს შეუძლია მოსმენილი თხრობითი ხასიათის ილუსტრირებული ტექსტის გაგება (მაგ., აღაპტირებული ზღაპარი, მოთხრობა, ამბავი).

### შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- ასახელებს პერსონაჟებს;
- ამოიცნობს მათ ემოციურ დამოკიდებულებებს;
- ამოიცნობს პერსონაჟების მოქმედებებს (ვინ რას აკეთებს);
- ამოიცნობს მოსაუბრეს (ვის ეკუთვნის ესა თუ ის ნათქვამი);
- ამოიცნობს ამბის განვითარებას (როგორ დაიწყო, რა მოხდა, როგორ დამთავრდა);
- განსაზღვრავს მოქმედებათა დროსა და ადგილს (მაგალითად, დილით, საღა-მოს, ზაფხულში, ტყეში, ცირკში);
- ამოიცნობს პერსონაჟის დამახასიათებელ ნიშან-თვისებებს;
- პერსონაჟთა საქციელიდან გამომდინარე, გამოაქვს დასკვნა მათი ხასიათის, თვისების შესახებ (მაგალითად, კეთილია, ბოროტია, ძუნწია, გულადია, მში-შარაა, ზარმაცია);
- ტექსტის დამუშავების შემდეგ მასწავლებლის თხრობის კვალდაკვალ ახორ-ციელებს ამბის ინსცენირებას;
- ქმნის ტექსტის ილუსტრაციებს.
- ადგენს მარტივ გეგმას, ამოინერს საკვანძო სიტყვებს, ენობრივ კონსტრუქ-ციებს და მათზე დაყრდნობით მარტივი ენობრივი საშუალებებით გადმოს-ცემს ტექსტის ძირითად შინაარსს.

### აქტივობები

11. ტექსტის მოსმენის შედეგად იმ სიტყვების/სიტყვათშეთანხმებების ჩამოწერა, რომლებიც მიეკუთვნება შესასწავლ თემას.
12. სიტყვათშეთანხმებების დასაწყისის მოსმენა და მათი დასრულება.
13. ტექსტის მოსმენა და ხმაურის მიხედვით მოქმედების ადგილის ამოცნობა.
14. მოსმენილის მიხედვით მოქმედების განსახიერება.
15. სიმღერის, მოთხრობის ან ზღაპრის მოსმენის შედეგად გამოტოვებული ადგ-ილების შევსება სავარჯიშოში.

16. ტექსტის მოსმენა და საკვანძო სიტყვების აღწერისთვის საჭირო სიტყვებისა და სიტყვათშეთანხმებების ჩამონერა.
17. ტექსტის თემატიკის დადგენა ტექსტიდან წინადადებების ან ფრაგმენტის მოსმენის შედეგად.
18. ტექსტის მოსმენა და მისი შინაარსის 2-3 წინადადებით გადმოცემა.
19. მოსმენილი ტექსტის მიხედვით ილუსტრაციის შექმნა, ჩანახატით შინაარსის გადმოცემა.
20. მოსმენილი ტექსტის მიხედვით პერსონაჟის მახასიათებელი ნიშან-თვისებების, მოქმედების აღწერა.
21. მოსმენილი ტექსტის მიხედვით ილუსტრაციების, ფრაზების, ტექსტის ნაწილების თანმიმდევრულად განლაგება.
22. მოსმენილი ტექსტის მიხედვით რომელიმე პერსონაჟის ან სიტუაციის შესახებ საუბარი, ტექსტის ნაწყვეტის აღწერა.
23. რამდენიმე ილუსტრაციიდან ისეთის ამორჩევა, რომელიც ყველაზე მეტად ასახავს მოსმენილი ტექსტის შინაარსს.
24. გამოჩენილი ადამიანების აღწერილობის მოსმენა და მათი ილუსტრაციასთან დაკავშირება.
25. ტექსტის ან მისი ფრაგმენტის მოსმენა და კითხვებზე მართებული პასუხის არჩევა.

**შედეგი:** უცხ.დ. V3. მოსწავლეს შეუძლია მოსმენილი ამინდის მარტივი პროგნოზის გაგება.

#### შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- ამოიცნობს მისთვის ნაცნობ გეოგრაფიულ დასახელებებს;
- ამოიცნობს ატმოსფერულ მოვლენებსა და ტემპერატურას.

#### აქტივობები

26. ტექსტის მოსმენის შედეგად „სწორია/მცდარია“ დავალების შესრულება.
27. ამინდის პროგნოზის მოსმენა და შესაბამისი ილუსტრაციის პოვნა (ავდარი, დარი, თოვა და სხვა).
28. ამინდის მოსმენილი პროგნოზის შესაბამისი ნახატის დახატვა (ავდარი, დარი, თოვა და სხვა).
29. მოსმენილი ტექსტის მიხედვით იმ ბუნებრივი მოვლენების ჩამოთვლა, რომლებზეც საუბარია ტექსტში.

30. მოსმენილი ტექსტის მიხედვით გეოგრაფიული დასახელებების რუკაზე დატანა: ამოჭრილი/დახატული სიმბოლოების (მზე, ღრუბელი, ფანტელი, 0 გრადუსი, - 15 გრადუსი, +27 გრადუსი...) ჩაწებება ამა თუ იმ ქალაქთან/გეოგრაფიულ დასახელებასთან.
31. მოსწავლეთა 4 ჯგუფად დაყოფა - აღმოსავლეთი, დასავლეთი, ჩრდილოეთი, სამხრეთი და თითოეული გუნდის მიერ მოსმენილის მიხედვით ამინდის პროგნოზის ჩანაშვნა შესაბამის მხარეში.

**შედეგი:** უცხ.დ. VI.4. მოსწავლეს შეუძლია საბავშვო გადაცემათა ჩანაწერების ძირითადი შინაარსის გაგება.

#### შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- ამოიცნობს ნაცნობ სიტყვებს, ფორმულებს, ენობრივ კონსტრუქციებს და მათზე დაყრდნობით გამოაქვს დასკვნა ანიმაციური ფილმის შინაარსის შესახებ;
- უყურებს საბავშვო გასართობ-შემეცნებით გადაცემებს, „იჭერს“ ნაცნობ სიტყვებს, გამოთქმებს, ამოიცნობს კონკრეტულ ინფორმაციას (მაგალითად, მონაწილე კონკურსანტის ინტერვიუ – ვინ არის, სად სწავლობს, რა გატაცებები აქვს და სხვა).

#### აქტივობები

32. ტექსტის დასაწყისის მოსმენა და ვარაუდის გამოთქმა, რა მოხდა შემდგომ.
33. ტექსტის ფრაგმენტის მოსმენა და შინაარსზე დაყრდნობით თემის დასახელება.
34. მოცემული წინადადებებიდან ისეთის ამოცნობა, რომელიც არ შეესაბამება მოსმენილი ტექსტის თემას.
35. მოსმენილი ტექსტის ან მისი ნაწილების დასათაურება.
36. ტექსტის მოსმენა და გამოტოვებული სიტყვების ჩაწერა.
37. ტექსტის ორ მოსმენილ ფრაგმენტს შორის განსხვავებების აღმოჩენა/დასახელება.
38. მოსმენილი ტექსტის მიხედვით „სწორია/მცდარია“ დავალების შესრულება.
39. მოსმენილი სატელევიზიო პროგრამის მიხედვით ცხრილის შევსება (საათი, გადაცემის ტიპი, ხანგრძლივობა...).
40. მოსმენილი ჩანაწერის მიხედვით სავარაუდო პასუხებიდან სწორის მონიშვნა (პერსონაჟების, მათი საქმიანობის, ადგილ-სამყოფელის, გემოვნების შესახებ და ა.შ.).

41. რადიო-გადაცემის მოსმენილი ჩანაწერის მიხედვით ინტერვიუს რესპონდენტის ან მთავარი გმირის მონაცემების ანკეტაში შეტანა.
42. ზღაპრიდან ნაწყვეტის მოსმენა: ა) მთავარი პერსონაჟების; ბ) მოქმედების ადგილის; გ) ზღაპრის სათაურის ამოცნობა/დასახელება.

### მიმართულება: კიოთხვა

**შედეგი:** უცხ.დ.V.5. მოსწავლეს შეუძლია ლია ბარათის, პირადი წერილის (ელექტრონული) წაკითხვა და გაგება.

**შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:**

- ამოიცნობს ავტორს, ადრესატს (თანატოლს, უფროსს);
- ამოიცნობს კორესპონდენციის მიზანს (მაგალითად, მილოცვას, მოკითხვას, დაპატიჟებას);
- ამოიცნობს კონკრეტულ ინფორმაციას (სად, რამდენი, როდის და სხვა).

### აქტივობები

43. ლია ბარათის/წერილის წაკითხვა და
- ა) კონკრეტული ინფორმაციის (მიზნის, ადრესატის, თარიღის და სხვა) ამოცნობა და სავარაუდო პასუხებიდან სწორის პოვნა, მონიშვნა ან შემოხაზვა;
- ბ) კითხვებზე ზეპირი ან წერილობითი პასუხის გაცემა;
- გ) „სწორია/მცდარია“ ტიპის დავალების შესრულება.
44. წერილის არეულად მოცემული ფრაგმენტების სწორი თანმიმდევრობით დალაგება.
45. ლია ბარათის/წერილის წაკითხვა და მისი ტიპის განსაზღვრა: მილოცვა, სამადლობელი, მიპატიჟება და სხვა.
46. რამდენიმე შესაძლო ვარიანტიდან ლია ბარათის საპასუხო ვერსიის პოვნა/მისადაგება.

**შედეგი:** უცხ.დ.V.6. მოსწავლეს შეუძლია მოსმენილი ტექსტის წაკითხვა და გაგება.

**შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:**

- ტექსტში პოულობს რეპლიკებს და მათ ავტორებს;

- პოულობს მითითებულ ეპიზოდებს;
- აკავშირებს მასწავლებლის მიერ მიცემული გეგმის ცალკეულ პუნქტს სათანადო მონაკვეთებთან;
- მოიძიებს და ამოკრებს დამატებით დეტალებს (როგორი, სად, რამდენი და სხვა), რომლებიც მოსმენისას გამორჩა;
- გეგმაზე დაყრდნობით გადმოსცემს ზოგად შინაარს.

#### აქტივობები

47. ტექსტის ფრაგმენტის მოსმენა და საკითხავ ტექსტში მისი პოვნა.
48. პერსონაჟის დაკავშირება მოსმენილ რეპლიკასთან; შეკითხვებზე პასუხი: ვინ თქვა...?
49. ტექსტის მოსმენა და ნაწყვეტების თანმიმდევრულად დაწყობა/დანომრვა.
50. ორ მსგავს ტექსტში განსხვავების, ზედმეტი სიტყვის, ფრაზის პოვნა, გახაზვა ან მონიშნვა.

**შედეგი:** უცხ.დ. VI.6. მოსწავლეს შეუძლია ახსნა-განმარტებითი ხასიათის ტექსტების, ინსტრუქციების წაკითხვა და გაგება (მაგ., თამაშის წესი, როგორ გავაკეთოთ ესა თუ ის ნაკეთობა და სხვა).

#### შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- პირველ რიგში, აკვირდება ტექსტის კომპოზიციას, არასიტყვიერ და სიტყვიერ მაორგანიზებელ ელემენტებს (მაგალითად, სათაურებს, რუბრიკებს, ილუსტრაციებს, სქემებს, ისრებს, ლოგოებს, წარწერებს, ძირითადი ტექსტის განლაგებას, ტიპოგრაფიულ მახასიათებლებს და სხვა) და განსაზღვრავს, ტექსტის რომელ ნაწილში უნდა ეძებოს ესა თუ ის ინფორმაცია;
- ამოიცნობს კონკრეტულ ინფორმაციას (მაგალითად, საჭირო მასალას, მის მახასიათებლებს, რაოდენობას, მოქმედების ადგილს და სხვა);
- ამოიცნობს მითითებებს;
- ამოიცნობს მოქმედებათა თანმიმდევრობას.

#### აქტივობები

51. მოცემული ინსტრუქციის მიხედვით საახალწლო სათამაშოს ან სუვენირის დამზადება.
52. თამაშის წესების წაკითხვა და როლების განაწილება.
53. სათამაშოს (მაგალითად, ბზრიალას) დამზადებისთვის საჭირო ინსტრუქციის შედგენა: საჭირო იარაღები, მასალა, მოქმედებები და ა.შ.

54. ილუსტრაციების მიხედვით ინსტრუქციის (თამაშის წესის) თანმიმდევრობის აღდგენა.
55. ინსტრუქციაზე დაყრდნობით მოთამაშის ფინიშამდე მისაყვანი გეგმის შედგენა.
56. ფილმების/მულტიპლიკაციური ფილმების ანოტაციის წაკითხვის შედეგად მათი აფიშების ამოცნობა.
57. გამოცანების, რებუსების, თავსატეხების გამოცნობა.

**შედეგი:** უცხ.დ.V.7./უცხ.დ.VI.7. მოსწავლეს შეუძლია შემეცნებითი ხასიათისი-ლუსტრირებული ტექსტების წაკითხვა და გაგება (მაგ., ისტორიის, მითოლოგიის სფეროდან).

#### შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- ამოცნობს, რომელ რუბრიკაში, ტექსტის რომელ ნაწილში უნდა ეძებოს ესა თუ ის ინფორმაცია;
- ტექსტში ეძებს და პოულობს კონკრეტულ ინფორმაციას;
- ამოცნობს სხვადასხვა ინფორმაციას შორის არსებულ მარტივ ლოგიკურ კავშირებს.
- ამოცნობს პერსონაჟებსა და მათ მოქმედებებს.
- ეძებს და პოულობს, რომელ რუბრიკას, ქვესათაურს უკავშირდება ილუ-სტრაცია, წარწერა;
- ამოცნობს ტექსტის სხვადასხვა მონაკვეთს შორის არსებულ ლოგიკურ კავშირს;
- ექსპლიციტურ ინფორმაციაზე დაყრდნობით გამოაქვს დასკვნა.

#### აქტივობები

58. ილუსტრაციების მიხედვით ტექსტის სათაურის/შინაარსის განსაზღვრა.
59. ტექსტის სათაურის წაკითხვა და ილუსტრაციებზე დაკვირვებით მისი შინაარ-სის შესახებ აზრის გამოთქმა.
60. ტექსტის წაკითხვა და გარკვეული ნაწილების მიხედვით მოცემულ კითხვებზე (ვინ, სად, როდის და ა.შ.): ა) მართებული პასუხის არჩევა, მონიშნვა ან შემოხა-ზვა; ბ) ზეპირად პასუხის გაცემა.
61. ტექსტზე მუშაობა: ა) ტექსტის აბზაცებად დაყოფა; ბ) აბზაცების ილუსტარა-ციებთან დაკავშირება; გ) ილუსტრაციების დანომრვა; დ) ილუსტრაციებიათ-ვის წარწერების მისადაგება.
62. ილუსტრაციის ან გეგმის მიხედვით ცალკეული მონაკვეთებისგან ტექსტის აწყობა.

63. წაკითხული ტექსტის გეგმის შედგენა.
64. ტექსტისა და ილუსტრაციის შედარება და განსაზღვრული რაოდენობის (4,6...) შეცდომის პოვნა.
65. მოცემული წინადადების წაკითხვა, მისი პოვნა ტექსტში და შესაბამისი აბზა-ცის მითითება.

**შედეგი:** უცხ.დ.V.8./ უცხ.დ.VI.8. მოსწავლეს გამომუშავებული აქვს ხმამაღლი კითხვის ელემენტარული უნარ-ჩვევა.

#### შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- თავისუფლად კითხულობს მცირე ზომის ნაცნობ ტექსტს;
- ხმამაღლა, გამართულად უკითხავს თანაკლასელებს სასურველ/შერჩეულ ნაწყვეტს ნაცნობი ტექსტიდან;
- ცდილობს, დაიცვას შესაბამისი ინტონაცია სხვადასხვა მოდალობის წინა-დადების წარმოთქმის დროს;
- მონაწილეობს დიალოგის, სკეტჩის გუნდურ კითხვაში.

#### აქტივობები

66. ტექსტში სასვენი ნიშნების დასმა.
67. სხვადასხვა ხასიათის ნაცნობი ტექსტის (ლექსის, ენის გასატეხის, პატარა მოთხრობის, იგავის, ზღაპრების და ა.შ.) ხმამაღლა და მკაფიოდ წაკითხვა და სასვენი ნიშნებით გამოხატული პაუზების გაკეთება აღმავალი და დაღმავალი ინტონაციის გათვალისწინებით.
68. დიალოგის, ტექსტის, კომიქსის მეწყვილესთან ერთად როლებში წაკითხვა.
69. ტექსტის შინაარსის მიხედვით კომიქსის პერსონაჟების გახმოვანება.
70. ტექსტში იმ ხმოვნების/თანხმოვნების გახაზვა/მონიშნვა, რომლებიც არ კითხება.
71. ენის გასატეხის წაკითხვა ჯერ ნელა და გარკვევით, სიტყვებზე დაკვირვებით, შემდეგ უფრო და უფრო სწრაფად.
72. წაკითხულის ჩანერა (აუდიოფირზე), მოსმენა და ხარვეზების გამოსწორებაზე მუშაობა.
73. კონკურსი ხმამაღლა კითხვაში (თანაკლასელებთან, გუნდის წევრებთან).

## მიმართულება: წერა

**შედეგი:** უცხ.დ.V.10./უცხ.დ.VI.11. მოსწავლეს შეუძლია ღია ბარათის, პირადი (ელექტრონული) წერილის მარტივი ენით დაწერა.

### შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- იცავს კორესპონდენციის ფორმალურ მხარეს;
- ადრესატის ვინაობის გათვალისწინებით არჩევს მიმართვისა და მისალმება-დამშვიდობების სათანადო ფორმულებს;
- აღწერს ადამიანებს, საგნებს;
- გამოხატავს საკუთარ დამოკიდებულებას;
- სასურველი ინფორმაციის მოსაპოვებლად სვამს შეკითხვებს (მაგალითად, როგორი ამინდია? რომელ საათზე იძინებ?).

### აქტივობები

74. მეგობრისთვის, ახლობლისთვის, მასწავლებლისთვის განკუთვნილ ღია ბარათში წერილში გამოტოვებული ადგილების შევსება.
75. შეცდომებით მოცემული წერილის შესწორება.
76. ღია ბარათისთვის საჭირო რეგისტრის შერჩევა სხვადასხვა ადრესატის გათვალისწინებით (მასწავლებელი, კლასელი და სხვა).
77. ღია ბარათში მიმართვის და მისალმება-გამომშვიდობების ფორმების შესწორება სხვადასხვა ადრესატის გათვალისწინებით (თანატოლი, უფროსი...).
78. მეგობრისთვის დაბადების დღის მილოცვა ღია ბარათით მისი კომპოზიციის დეტალების ზუსტად განსაზღვრა და შესაბამისი მიმართვის ფორმების შერჩევა;
79. ყველა საჭირო ფორმალობის დაცვით მოსაწვევის შედგენა მეგობრის წვეულებაზე დასაპატიუებლად.
80. გატარებული არდადეგების შესახებ თანატოლისთვის წერილის მიწერა შესაბამისი ტექსტის სახეობისთვის ტიპობრივი ფორმალობების მაქსიმალური დაცვით.

**შედეგი:** უცხ.დ.V.11. მოსწავლეს შეუძლია მცირე ზომის ტექსტის შექმნა.

### შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- მოცემულ ყალიბს აცსებს განსხვავებული შინაარსით;
- ასრულებს ამბავს ან ცვლის მოცემულ დასასრულს საკუთარი წარმოსახვით, ილუსტრაციაზე დაყრდნობით და სხვა;
- აღგენს წარწერებს ილუსტრაციებისთვის;

- ქმნის მარტივ კომიქსს, რომლითაც გადმოსცემს მომხდარ ან გამოგონილ ამბავს.

#### აქტივობები

- ნაკითხული ტექსტის ილუსტრაციებზე შესაბამისი წარწერების გაკეთება.
- ნიმუშების მიხედვით (მეგობრისთვის, ახლობლისთვის, მასწავლებლისთვის) ღია ბარათის/წერილის მიწერა.
- საკუთარი ჰობის, ინტერესების შესახებ ნიმუშის მიხედვით ტექსტის შედგენა.
- სახელმძღვანელოში მოცემული პერსონაჟის აღწერის მიხედვით საყვარელი პერსონაჟის, სპორტსმენის, მსახიობის, მომღერლის და ა.შ. აღწერა; მისი ფოტოს/სურათის მოძიება და წარმოდგენა.
- ნიმუშის მიხედვით საკუთარი ოთახის აღწერა.
- მოცემულ სიტყვებზე/ ილუსტრაციებზე/ სათაურზე დაყრდნობით ტექსტის შედგენა.

**შედეგი:** უცხ.დ.VI.12. მოსწავლეს შეუძლია ნიმუშის მიხედვით მცირე ზომის თხზულებისშექმნა.

#### შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- შეარჩევს თემას;
- აგროვებს, თავს უყრის ინფორმაციას;
- განსაზღვრავს რუპრიკებს (მაგალითად, ფიზიკური მონაცემები, საკვები, საცხოვრებელი ადგილი და სხვა);
- ქმნის მცირე მოცულობის ტექსტებს თითოეული რუპრიკისთვის;
- ქმნის ან მოიძიებს ილუსტრაციებს (ნახატს, ფოტოს, ცხრილს);
- წერს ტექსტის სრულ ვარიანტს, ყურადღებას აქცევს დიზაინს, ტექსტის კომპოზიციურ აგებულებას, სიტყვიერი და არასიტყვიერი ნაწილების განლაგებას.

#### აქტივობები

- დღის განრიგის, გაკვეთილების ცხრილის, სკოლის ნივთების კატალოგის, ტელეპროგრამის შედგენა.
- სურათის აღწერა.
- ამბის მოფიქრება და მის მიხედვით რამდენიმე ილუსტრაციისგან შედგენილი კომიქსის შექმნა:

ა) კომიქსის ილუსტრაციებისთვის ტექსტის მიწერა;

ბ) კომიქსის ტექსტისა და ილუსტრაციების შედგენა.

90. ტექსტის/ამბის დასრულება ილუსტრაციებზე დაყრდნობით.

### მიმართულება: ლაპარაკი

**შედეგი:** უცხ.დ. VI.15. მოსწავლეს შეუძლია მარტივ ინტერაქციაში მონაწილეობა.

#### შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- სვამს/პასუხობს კითხვებს მისთვის ნაცნობი თემის გარშემო (მაგალითად, სტუმრად ქალაქში/სოფელში, ჩემი ეზო/სახლი, ოჯახი/მეგობრები, საყვარელი საქმიანობა/გართობა და სხვა);
- პასუხობს ნასწავლი ტექსტის შინაარსის გარშემო დასმულ კითხვებს;
- გამოთქამს დამოკიდებულებას გარკვეულ საკითხთან დაკავშირებით, მოჰყავს მაგალითები პირადი გამოცდილებიდან;
- გამოხატავს ემოციას, განწყობას, სურვილს;
- მონაწილეობს სიმულაციურ სიტუაციაში (მაგალითად, ტელეფონით შეხვედრის დანიშვნა; კაფეში; მოწმეების გამოკითხვა და სხვა).

#### აქტივობები

91. დამალული საგნის, ჩაფიქრებული სიტყვის გამოცნობა კითხვა-პასუხის დაყრდნობით.

92. სიმულაციური სიტუაციების გათამაშება, მაგალითად, მაღაზიაში, კინოში, ინტერვიუს აღება, გზააბნეული მგზავრის დაკვალიანება და ა.შ.

93. ნაცნობი თემების გარშემო მარტივი შეკითხვების დასმა და შეკითხვებზე პასუხი.

**შედეგი:** უცხ.დ. V.16./ უცხ.დ. VI.16 მოსწავლეს შეუძლია გაბმულად მეტყველება.

#### შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- აღწერს გარემოს (ოთახს, ქუჩას, სურათს);
- ყვება ამბავს ილუსტრაციებზე დაყრდნობით;
- ყვება ნანახ, თავს გადამხდარ პატარა ამბავს;
- საუბრობს მისთვის ნაცნობ თემებზე (მაგალითად, ოჯახში, ნათესავების/მეგობრების შესახებ, თავისუფალ დროს და სხვა).
- სურათებზე დაყრდნობით აგებს და ყვება მარტივ ამბავს;

- გეგმის მიხედვით ყვეპა მოსმენილი/წაკითხული ტექსტის მოკლე შინაარსს.

### აქტივობები

94. საკვანძო სიტყვებისა და ნაცნობი ლექსიკურ-გრამატიკული ერთეულების გამოყენებით შინაარსის გადმოცემა ან ილუსტრაციის აღწერა.
95. ორი მოსმენილი მოთხრობის მსგავსება-განსხვავებაზე საუბარი.
96. მოსმენილი ტექსტის/ნაწყვეტის დასასრულის მოფიქრება და მოყოლა.
97. საცხოვრებლის, ქალაქის, ოჯახის და ა.შ. აღწერა ნახატების დახმარებით.
98. საუბარი რაიმე თავგადასავლის, დღის განრიგის, გატარებული შაბათ-კვირის, არდადეგების და ა.შ. შესახებ.
99. „ჯაჭვური თხრობა“: მოსმენილი ფრაზების გამეორება და ტექსტის გაგრძელება თითო წინადადებით (მოსწავლეთა ჯაჭვში).
100. სკოლისკენ ან სახლისკენ მიმავალი გზის აღწერა გეგმაზე დაყრდნობით.
101. ნანახი სპექტაკლის, ფილმის სიუჟეტის გადმოცემა.

**შედეგი:** უცხ.დ.VI.17./ უცხ.დ.VI.17. მოსწავლეს გამომუშავებული აქვს ელემენტარული ენობრივი უნარ-ჩვევები და შეუძლია მათი გამოყენება.

**შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:**

- ინტერაქციისას შეარჩევს საკომუნიკაციო სიტუაციის შესატყვის მიმართვის ფორმებს, გამოთქმებს, კლიშეებს, ენობრივ კონსტრუქციებს;
- მართებულად იყენებს მეტყველების თავაზიან და ფამილარულ ფორმებს;
- სათანადო იყენებს სხვადასხვა შინაარსის (თხრობითი, კითხვითი, ძახილის) მქონე წინადადებას;
- იცავს შესაბამის ინტონაციას სხვადასხვა მოდალობის წინადადებების წარმოთქმის დროს;
- იყენებს ადგილმდებარეობის გამომხატველ მარტივ ენობრივ საშუალებებს;
- იცავს ელემენტარულ სინტაქსურ მიმართებებს წინადადებების წევრებს შორის (ზმნის სათანადო პირსა და რიცხვს);
- სათანადო იყენებს ნასწავლ ლექსიკურ ერთეულებს.

### აქტივობები

102. დიალოგში, ტექსტში მიმართვის თავაზიანი და ფამილარული ფორმების, სხვადასხვა შინაარსის მქონე წინადადებებისა და მათთვის დამახასიათებელი სასვენი ნიშნების მონიშვნა.
103. სიტუაციების გათამაშებისას თავაზიანი და ფამილარული ფორმების ან შესაბამისი ენობრივი კონსტრუქციების გამოყენება.
104. მადლობის გადახდის, მისალმების, დამშვიდობების ფორმულების მისადაგება აღწერილი სიტუაციებისთვის დიალოგების გათამაშებისას.
105. წაკითხული დიალოგიდან\ტექსტიდან ენობრივი კონსტრუქციების ამოკრეფა და ცხრილში შეტანა.

### მიმართულება: კულტურათა დიალოგი

**შედეგი:** უცხ.დ.V.19./ უცხ.დ.VI.19. მოსწავლე იჩენს ინტერესს კულტურული განსხვავებების მიმართ.

### შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- ავლებს პარალელებს უცხო და მშობლიური კულტურულ და სოციოკულტურულ კონტექსტებს შორის და პოულობს მსგავსება-განსხვავებებს (მაგალითად, ლეგენდა, კერძები, სასკოლო კალენდარი, სუვენირები, ვალუტა და სხვა);
- გამოთქვამს საკუთარ მოსაზრებებს, დამოკიდებულებებს;
- მოიძიებს დამატებით ცნობებს;
- პოულობს ნასწავლი ანდაზის ანალოგიურს მშობლიურ ენაში და ადარებს გამოხატვის ფორმებს.

### აქტივობები

106. მშობლიურ ენაში შემოჭრილი უცხოური სიტყვების პოვნა და მათი ორთო-გრაფიული ხატის შედარება უცხოურ ენაში არსებულ ხატთან.
107. უცხოენოვანი ზღაპრისთვის, ამოცანისთვის, ანდაზისთვის მსგავსება-განსხვავებების პოვნა მშობლიურ ენაში.
108. უცხოურენოვან ანდაზაში ფრაზეოლოგიზმის გამოყოფა, მისი ანალოგის მშობლიურ ენაში პოვნა და გამოხატვის ფორმების შედარება.
109. უცხო და მშობლიური ქვეყნისათვის ტიპური სასმელის, კერძის, სპორტის სახეობის, ტანსაცმლის, გართობის სახეობის, ღირსშესანიშნაობის, პერსონაჟის და ა.შ. დასახელება.

110. დროშების ქვეშ მოცემული ღირსშესანიშნაობების, სუვენირების, ეროვნული სიმბოლიკის, ფულადი ერთეულის გამოსახულების დაჯგუფება, შედარება და მსგავსება-განსხვავებების პოვნა.
111. მშობლიური და უცხოური სადღესასწაულო ტრადიციების, ჩაცმულობის, კერძების შედარება და მსგავსება-განსხვავებების პოვნა.
112. უცხოელი ტურისტისთვის რჩევების მიცემა საქართველოში ჩამოსვლის წინ.

### **მიმართულება: უცხოური ენის პრაქტიკული გამოყენება**

**შედეგი:** უცხ.დ.V.20./უცხ.დ.VI.20. მოსწავლეს შეუძლია უცხოურ ენაზე სხვა-დასხვა ტიპის პროექტის განხორციელება (მაგ., ზეიმის მოწყობა, გენეალოგიური ხის შედგენა, ზღაპრის დადგმა და სხვა).

#### **შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:**

- მასწავლებელთან ერთად აყალიბებს პროექტის წარმატებით განხორციელების კრიტერიუმებს;
- გუნდის წევრებთან, მასწავლებელთან ერთად გეგმავს პროექტის განხორციელების ეტაპებს;
- გუნდის წევრებთან ერთად, მასწავლებლის დახმარებით განსაზღვრავს და ინაწილებს ფუნქციებს;
- გუნდში ასრულებს მისთვის მიკუთვნებულ ფუნქციას;
- მასწავლებლის, მშობლის ან სხვა პირის დახმარებით მოიძიებს სათანადო რესურსებს;
- გუნდის წევრებთან ერთად, მასწავლებლის დახმარებით შეარჩევს და
- დაამუშავებს მოძიებულ მასალას;
- მასწავლებლის დახმარებით აუმჯობესებს და ასრულებს პროექტს.

#### **აქტივობები**

113. საკლასო ზეიმის/თემატური საღამოს ჩატარება (ახალი წელი, გაზაფხულის ზეიმი...).
114. ოჯახის გენეალოგიური ხის შედგენა.
115. ნასწავლი ზღაპრისთვის თოჯინური წარმოდგენის გამართვა.
116. კლასში დამუშავებული მოთხოვნის (მაგალითად, ზღაპრის, ალბომის ...) ფოტოებით/ ილუსტრაციებით გაწყობა და პრეზენტაციის ჩატარება.

## თავი IV.

### ინდისური ენის სწავლება

#### უოროლოგიური უნარ-ჩვევები

კოგნიტურ ფსიქოლოგიაში ჩატარებულმა კვლევებმა დაადასტურა მჭიდრო კავშირი ფონოლოგიურ უნარ-ჩვევებსა და კითხვის სწავლებას შორის. მოსწავლე, რომელსაც განვითარებული აქვს ფონემური ცნობიერება, წარმატებულად ეუფლება კითხვას. ეს განპირობებულია შემდეგი მიზეზით: ანბანური სისტემის პრინციპის გასააზრებლად, მოსწავლემ პირველ რიგში უნდა გააცნობიროს, რომ ასო გამოხატავს ბგერას. ამის აღსაქმელად კი მან უნდა გაიგოს, რა არის ბგერა. უფროსებს ხშირად ავინუდებათ, რომ ბავშვები ზეპირ ტექსტს აღიქვამენ, როგორც უწყვეტ სიტყვიერ ნაკადს. ისინი ვერ აცნობიერებენ, რომ ზეპირი ტექსტი შედგება წინადადებისგან, წინადადებები - სიტყვებისგან, სიტყვები - მარცვლებისგან, მარცვლები კი - უმცირესი ერთეულებისგან, ბგერებისგან. მოსწავლე, რომელმაც ბგერა არ იცის, ვერ გაიგებს ასოს არსა - ასო ხომ ბგერას გამოხატავს! ამდენად, კითხვის სწავლების დაწყებამდე ძალზე მნიშვნელოვანია, რომ მოსწავლეს აღმოვაჩენინოთ და გავაცნობიერებინოთ სიტყვის შემადგენელი უმცირესი ერთეული - ბგერა, იგივე ფონემა, რომლის გამოხატულებაცაა ასო. ფონემური ცნობიერება სწორედ ფონემების გაცნობიერებას, მათზე დაფიქრებისა და მათი გამოყენების უნარს გულისხმობს. ფონემური ცნობიერების ფორმირება ფონოლოგიური უნარების განვითარების გზით ხდება.

ფონოლოგიური უნარების განვითარება ორ ძირითად ეტაპად იყოფა: პირველ ეტაპზე მოსწავლეს ვთავაზობთ აქტივობებს, რომლებიც ეხმარება მას სიტყვის შემადგენელი ზეპირი მარცვლების (და არა ბგერების) აღქმაში; მეორე ეტაპზე კი მოსწავლეს უკვე ბგერების აღქმაზე ვავარჯიშებთ. საბოლოოდ, მოსწავლემ თავისუფლად უნდა შეძლოს ზეპირი სიტყვების მარცვლებად და ბგერებად დაშლა, აწყობა თუ ტრანსფორმირება. მოსწავლეს, რომელიც თავისუფლად ამუშავებს სიტყვის ხმოვან, ანუ აკუსტიკურ ხატს, შემდეგ ერთიორად უადვილდება ნაწერი სიტყვის ანალიზი და სინთეზი - სიტყვაში მარცვლებისა თუ ასოების გამოყოფა, ასოების გამთლიანება მარცვლებად, მარცვლებისა - სიტყვებად და სხვა.

სიტყვების ფონოლოგიური ანალიზი გარკვეულ სიძნელეებს უქმნის 5-6 წლის მოზარდებს, რადგან მათი ყურადღება მთლიანად სიტყვის სემანტიკური ასპექტებისკენ არის მიმართული. აქედან გამომდინარე, ამ ასაკის მოზარდებს უჭირთ ფორმალური, აზრისგან დაცლილი ერთეულების - ზეპირი მარცვლებისა და ბგერების აღქმა და/ან ამ ერთეულებთან დაკავშირებული სავარჯიშოების შესრულება. ამიტომ ფონოლოგიურ უნარებზე მუშაობისას უნდა გამოვიყენოთ ისეთი სტრატეგიები, რომლებიც ხელს შეუწყობს მოსწავლეთა ყურადღების გადატანას სიტყვის მნიშვნელობიდან მისი (სიტყვის) ფონოლოგიური ანალიზისკენ. სტრატეგიების შერჩევისას გასათვალისწინებელია შემდეგი:

- ფონოლოგიურ სავარჯიშოებში აუცილებელია კარგად ნაცნობი სიტყვების გამოყენება. წინააღმდეგ შემთხვევაში, მოსწავლის ყურადღება და

ძალისხმევა, მისდა უნებურად, სიტყვის შინაარსობრივი ასპექტების წვდომისკენ იქნება მიმართული.

- აქტივობათა მექანიზმი უნდა იყოს მკაფიო და განმეორებადი, რათა მოსწავლე ჩაწერდეს თითოეული მათგანის მიზანს. თუ მოსწავლეს შეუძლია განჭვრიტოს, რას ითხოვენ მისგან, მისი ჩართულობის ხარისხი მაღლდება.
- თითოეული მოსწავლის წარმატების უზრუნველსაყოფად, მათ უნდა შევთავაზოთ ისეთი ტიპის აქტივობები, რომლებიც ბიძგს მისცემს აზროვნების პროცესს და მოსწავლეებს სხვადასხვა სააზროვნო უნარს განუვითარებს (ასეთებია, მაგალითად, გარკვეული წესის მიხედვით სიტყვების კლასიფიცირება; აღმოჩენა იმ კანონზომიერებისა, რომლის მიხედვითაც სიტყვებია დაჯგუფებული; ფიქტიური მოსწავლის მიერ დაშვებული შეცდომების შესწორება; მსგავსი ფონოლოგიური პრინციპით შერჩეულ სიტყვებში განსხვავებულის აღმოჩენა და სხვა).

ქვემოთ გთავაზობთ ფონოლოგიურ აქტივობათა რამდენიმე წყებას, რომლებიც ეტაპობრივად მიიყვანს მოსწავლეს ყველაზე მარტივი ოპერაციიდან (მასწავლებლის მიერ დამარცვლით ნათქვამი სიტყვის ამოცნობა თვალსაჩინოებაზე დაყრდნობით) ყველაზე რთულ ოპერაციამდე (მარცვალში ბერების ადგილის იდენტიფიცირება, ანუ განსაზღვრა იმისა, ბერა მარცვლის თავშია, შუაში თუ ბოლოში). აღნიშნული ფონოლოგიური აქტივობების წყება კონკრეტული ფონოლოგიური უნარის განვითარებას ემსახურება. ეს უნარებია:

I ეტაპი - გარცვლებით რაორისახა	II ეტაპი - ბერებით რაორისახა
<ol style="list-style-type: none"> <li>1. სიტყვის დამარცვლა; დამარცვლილი სიტყვის გამთლიანება სურათზე დაყრდნობით; საყრდენი სურათის გარეშე; მარცვლების დათვლა;</li> <li>2. მარცვლების რაოდენობათა კოდირება;</li> <li>3. მარცვლების იდენტიფიცირება, სიტყვაში ლოკალიზება და კოდირება;</li> <li>4. სიტყვების ტრანსფორმირება/ გარდაქმნა მარცვლების ჩამოცილება-დამატებითა და განმეორებით;</li> </ol>	<ol style="list-style-type: none"> <li>1. ბერების იდენტიფიცირება და ლოკალიზება (სიტყვის დასაწყისში, ბოლოში);</li> <li>2. სიტყვების ტრანსფორმირება/ ბერების ჩანაცვლება-დამატებით, ჩამოცილებით, განმეორებით;</li> <li>3. სიტყვების შედარება და საერთო ბერის პოვნა;</li> <li>4. ერთ, ორ და მეტმარცვლიანი სიტყვების ბერებად დაშლა და შეერთება ახალი სიტყვის მიღების მიზნით;</li> <li>5. ბერების ლოკალიზება სიტყვასა და მარცვალში;</li> <li>6. ბერების დათვლა სიტყვაში;</li> <li>7. ბერის მარცვალში ლოკალიზება.</li> </ol>

კიდევ ერთხელ შეგახსენებთ, რომ ფონოლოგიურ უნარებზე მუშაობა უმნიშვნელოვანესია კითხვის წარმატებით დაწყებისთვის. განსაკუთრებით კი მაშინ, როცა საქმე ეხება 5-6 წლის მოსწავლეებს.

### აქტივობები:


**გასავითარებელი უნარები** - სიტყვის დამარცვლა; დამარცვლილის გამთლიანება სურათზე დაყრდნობით და საყრდენი სურათის გარეშე; მარცვლების დათვლა

- დამარცვლა** - სურათის ამოცნობა - მასწავლებელი აკრავს ოთხ-ხუთ სურათს. ერთ-ერთ სურათზე გამოსახული საგნის აღმნიშვნელ სიტყვას დამარცვლავს. მოსწავლეებმა უნდა ამოიცნონ, რომელი სიტყვა დამარცვლა მასწავლებელმა და გაამთლიანონ ის.
- დამარცვლა სურათებზე დაყრდნობით** - მასწავლებელი ერთ-ერთ სურათზე გამოსახული საგნის აღმნიშვნელ სიტყვას დამარცვლავს და თითოეულ მარცვალზე ტაშს უკრავს, შემდეგ იმავეს აკეთებს მოსწავლეებთან ერთად.
- დამარცვლილის გამთლიანება** - მასწავლებელი მარცვლავს მოსწავლის სახელებს, მოსწავლეები ამოიცნობენ, ვისი სახელი დამარცვლა მან.
- საკუთარი სახელის დამარცვლა** - მოსწავლეები საკუთარ სახელებს მარცვლავენ.
- მარცვლების დათვლა** - მოსწავლეები საკუთარ სახელებს მარცვლავენ ტაშის დაკვრით და ითვლიან. თუ დათვლა უჭირთ, იქმნება სამკაციანი ჯგუფები. ჯგუფის ერთი წევრი მარცვლავს, მეორე ტაშს უკრავს, მესამე ითვლის. (მხოლოდ 1-3 - მდე, იქამდე, სანამ თვლა სამამდე იციან, ითვლიან 1-3-მდე);
- მოსწავლის გამოძახება ტაშით, თამაში "ვინ გამოვიძახე?"** - მასწავლებელი ჩაიფიქრებს ერთ-ერთ სახელს და იმდენჯერ დაუკრავს ტაშს, რამდენი მარცვალიც აქვს ჩაიფიქრებულ სახელს. დაფასთან უნდა გავიდეს სამმარცვლიანი სახელის მქონე ყველა მოსწავლე.
- მოსწავლის მიერ დამარცვლილი სიტყვის გამოცნობა** - თამაში "დაფარული ბარათი" - მოსწავლე სხვებისგან დაფარულად ილებს სურათიან ბარათს, სურათზე წარმოდგენილი საგნის აღმნიშვნელ სიტყვას ამბობს დამარცვლით. სხვებმა უნდა გამოიცნონ წარმოთქმული სიტყვა და გაამთლიანონ იგი.
- გამთლიანება საყრდენი სურათის გარეშე** - მასწავლებელი დამარცვლით ამბობს ნაცნობ სიტყვებს, მოსწავლეები ამოიცნობენ და ამთლიანებენ მათ.
- სიტყვაში მარცვალთა რაოდენობის დათვლა სურათზე დაყრდნობით** - მოსწავლეები სურათზე დაყრდნობით მარცვლავენ სიტყვას, ტაშს უკრავენ და ითვლიან (თუ დათვლა უჭირთ, იქმნება სამკაციანი ჯგუფები, ჯგუფის ერთი წევრი მარცვლავს, მეორე ტაშს უკრავს, მესამე ითვლის (მხოლოდ 1-3 - მდე, ვიდრე თვლა სამამდე იციან).

**10. სიტყვაში მარცვალთა რაოდენობის დათვლა საყ-  
რდენის გარეშე - მასწავლებლის მიერ ნათევამ სიტყ-  
ვას მოსწავლეები მარცვლავენ საყრდენი სურა თის გარეშე.**

**გასავითარებელი უნარები - მარცვლების რაოდენობათა კოდირება**

**11. მარცვლებისა და რკალების დაკავშირება - მასწავლებე-  
ლი ამზადებს სამ ბარათს: პირველზე ერთი დიდი რკალია გა-  
მოსახული, მეორეზე - ორი გადაბმული რკალი, მესამეზე - სამი  
(შემდეგ ოთხ-ხუთრკალიანებიც მომზადდება). მაგალითად,**



კედელზე გაკრულია სხვადასხვა სურათი. სურათებზე გამოსახულია საგნე-  
ბი, რომელთა სახელები სხვადასხვა რაოდენობის მარცვლებისგან შედგება.  
პირველად მასწავლებელი მარცვლავს და მოსწავლეებთან ერთად ითვლის  
მარცვლების რაოდენობას. თუ სიტყვა ორმარცვლიანია, მასწავლებელი  
იღებს ორრკალიან ბარათს და ადებს სათანადო სურათს. იმავეს იმეორებს  
ერთმარცვლიანი და სამმარცვლიანი სიტყვების შემთხვევაში – სათანადო  
სურათებს ადებს ერთ ან სამრკალიან ბარათებს. იმავეს იმეორებს ერთ და  
სამმარცვლიანი სიტყვების შემთხვევაში. მაგალითის ჩვენების შემდეგ,  
მოსწავლეები აკეთებენ იმავეს, კერძოდ: მასწავლებელი მიუთითებს კედ-  
ელზე გაკრულ ერთ-ერთ სურათზე, ერთ-ერთი მოსწავლე მარცვლავს სიტყ-  
ვას, მეორე (ან იგივე მოსწავლე) იღებს ბარათს სათანადო რაოდენობის მქონე  
რკალების გამოსახულებით და ადებს შესაბამის სურათს.

**12. სურათების დაჯგუფება შესაბამის ყუთებში მარცვალთა რაოდენობის  
მიხედვით - მომზადებულია სამი ყუთი. I ყუთი გამიზნულია ერთმარცვლიანი  
სიტყვებისთვის, II - ორმარცვლიანებისთვის, III - სამმარცვლიანებისთვის. ეს  
ყუთები მოინიშნება მოსწავლეებისთვის გასაგები სიმბოლიკით (მაგალითად,  
ციფრი 1, 2, 3, ან რკალების შესაბამისი რაოდენობა). მოსწავლეთა პატარა  
ჯგუფებს ურიგდება სურათები. მათ უნდა დამარცვლონ სიტყვები და მარცვალ-  
თა რაოდენობის მიხედვით ჩააწყონ სურათები შესაბამის ყუთებში. დასასრულ,  
ჩატარებული სამუშაოს შედეგები მოწმდება მასწავლებელთან ერთად.**

**13. მარცვლების კოდირება** - მასწავლებელი ერთ-ერთი ყუთიდან იღებს სურათს და აჩვენებს მოსწავლეებს. ერთ-ერთი მოსწავლე ასახელებს სიტყვას, გამოდის დაფასთან, მარცვლავს და ყოველი მარცვლისთვის თითო რკალს ხაზავს (პირველად ამ აქტივობას მასწავლებელი ასრულებს). დაფაზე უნდა გამოისახოს იმდენი რკალი, რამდენი მარცვალიცაა დასახელებულ სიტყვაში.

- **ვარიანტი 1 - რკალები და თითები** - ერთი მოსწავლე მარცვლავს სიტყვას. მეორე მოსწავლე, რომელიც დაფას არ უყურებს, თითებზე ითვლის მარცვლების რაოდენობას, მესამე მოსწავლე ხაზავს მარცვლების რაოდენობის გამომსახველ რკალებს. ბოლოს შემონმდება, ემთხვევა თუ არა ერთმანეთს თითებით დათვლილი და რკალებით გამოისახული მარცვლების რაოდენობა.
- **ვარიანტი 2 - გვარ-სახელების გამოსახვა რკალებით** - ერთი მოსწავლე მარცვლავს ცალ-ცალკე საკუთარ სახელსა და გვარს, მეორე თითებზე ითვლის მარცვლებს, მესამე - დაფაზე შესაბამისი რაოდენობის რკალებს ხაზავს. დასასრულ, შედეგები მოწმდება მასწავლებელთან ერთად.

**14. მარცვლების კოდირება რვეულში** - სურათების ქვეშ უნდა დასვან/დახაზონ იმდენი რკალი, რამდენი მარცვალიცაა ცალკეულ სურათზე გამოსახული საგნის აღმნიშვნელ სიტყვაში.

**15. თამაში - „გამოიცანი, რომელია?“**- „გაკრულია სურათები. ერთ-ერთ სურათზე გამოსახული საგნის აღმნიშვნელი სიტყვის მარცვალთა რაოდენობის შესატყვისად, მასწავლებელი უკრავს ტაშს. მოსწავლეები ითვლიან და ამოიცნობენ მასწავლებლის მიერ ჩაფიქრებულ სიტყვას/სურათს.

**გასავითარებელი უნარები** - მარცვლების იდენტიფიცირება, სიტყვაში ლოკალიზება და კოდირება

**16. მარცვლის ამოცნობა მარცვალთა ჩამონათვალში** - მასწავლებელი ასახელებს სამოდელო მარცვალს. მაგალითად, მა-ს. ამეორებინებს მას მოსწავლებს და უესტიკულაციით აგებინებს, რომ ეს მარცვალი უნდა დაიმახსოვრონ (უესტების ენით, „თავში უნდა ჩაიდონ“). შემდეგ ასახელებს მა-ს და უკრავს ტაშს, მერე კი - სხვა მარცვალს, მაგ., კუ-ს და არ უკრავს ტაშს. რამდენიმე მაგალითის ჩვენების შემდეგ, მოსწავლეები იგებენ, რომ მხოლოდ სამოდელო მარცვლის გაგონებისას უნდა დაუკრან ტაში.

- **პირველი ეტაპი** - მასწავლებელი ასახელებს მა - სგან ძალიან განსხვავებულ მარცვლებს. მაგ., შო, კუ, ხო და სხვ. გარკვეული პერიოდულობით, მასწავლებელი ხმამაღლა ჩამოთვლის მარცვლებს და მათი ჩამოთვლისას, გარკვეული პერიოდულობით, „ჩაურთავს“ მარცვალს (მა-ს);
- **მეორე ეტაპი** - მასწავლებელი პერიოდულად ცვლის სამოდელო მარცვალს (მაგალითად, შო, კუ და სხვ.) და ყოველ ჯერზე იმავე უესტიკულაციის გამოყენებით აგებინებს მოსწავლეებს, რომ ახლა ეს მარცვალი

უნდა "ჩაიდონ თავში", რათა ამ უკანასკნელს შეადარონ სხვა ჩამოთვლილი მარცვლები. მოსწავლეებმა იმავე პრინციპით უნდა დაუკრან ტაში სამოდელო მარცვლის გაგონებისას;

- **მესამე ეტაპი** - როცა მოსწავლეები კარგად აუღებენ ალლოს ამ აქტივობას, შეიძლება მისი გართულება სამოდელო მარცვლის ფონოლოგიურად მსგავსი მარცვლების ჩართვით (მაგალითად, კუ/ქუ, გუ; ჭი/ჯი, ჩი, ცი და სხვ.).

#### 17. მარცვლის ამოცნობა სიტყვის დასაწყისში

- **პირველი ეტაპი** - მასწავლებელი ასახელებს სამოდელო მარცვალს და უესტიებით აგებინებს მოსწავლეებს, რომ ეს მარცვალი „თავში უნდა ჩაიდონ“ (იხ. აქტივობა 16). შემდეგ მასწავლებელი წარმოთქვამს სიტყვებს. სამოდელო მარცვალზე დაწყებული სიტყვის მოსმენისას მოსწავლეებმა ტაში უნდა დაუკრან. ამ აქტივობის პრინციპის უკეთ გაგების მიზნით მოსწავლეები თავდაპირველად მასწავლებელთან ერთად ასრულებენ მას.
- **მეორე ეტაპი** - მასწავლებელი პერიოდულად ცვლის სამოდელო მარცვალს და ყოველ ჯერზე უესტებით იმავეს უხსნის მოსწავლეებს (ამჯერად ეს მარცვალი უნდა „ჩაიდონ თავში“), შემდეგ მასწავლებელი წარმოთქვამს სიტყვებს. იმავე პრინციპით, მოსწავლეები ტაშს უკრავენ სამოდელო მარცვლის გაგონებისას.
- **მესამეეტაპი** - როცა მოსწავლეები კარგად აუღებენ ალლოს ამ აქტივობას, შეიძლება მისი გართულება სამოდელო მარცვლის ფონოლოგიურად მსგავს მარცვლებზე დაწყებული სიტყვების გამოყენებით (მაგალითად, კუ/კუდი, ქუდი, კურდლელი; პა/პატარა, ფაფა, პაპა, ფანჯარა და სხვა).
- **ვარიანტი 1.** მოსწავლეებმა სამოდელო მარცვალი უნდა ამოიცნონ საკუთარ სახელებში. ამ მიზნით, მასწავლებელი ამახსოვრებინებს სამოდელო მარცვალს, შემდეგ ხმამღლა წარმოთქვამს სამ საკუთარ სახელს, სამოდელო მარცვლის გაგონებისას, მოსწავლეები ტაშს უკრავენ (მაგალითად, სუ/სურმანი, შუშანიკი, სუსანა);

#### 18. მარცვლის ადგილის ლოკალიზება და კოდირება

- **რესურსის მომზადება** - მასწავლებელი ამზადებს სამ ბარათს.
- **ბარათი 1.** - გამოსახულია ორი გადაბმული რკალი. პირველი რკალი გაუფერადებულია (ან გაფერადებულია წითლად, ), მეორე რკალი კი შავადაა გაფერადებული).
- **ბარათი 2.** გამოსახულია ორი გადაბმული რკალი. მეორე რკალი გაუფერადებულია (ან გაფერადებულია წითლად, პირველი რკალი კი შავადაა გაფერადებული).
- **ბარათი 3.** ამავე პრინციპით ამზადებს სამ სამრკალიან ბარათს სამი განსხვავებული ვარიანტით (წითელი რკალი დასაწყისში, შუაში, ბოლოში).
- **პირველი ეტაპი** - წითელი რკალი აღნიშნავს სამოდელო მარცვალს. ეს

რომ გააგებინოს მოსწავლეებს, მასწავლებელი ორსვეტიანი ცხრილის პი-რველ სვეტში წითელ რკალს ხატავს, მეორე სვეტში - ორ ცალ ორკალიანს. ერთს პირველი რკალი აქვს წითელი, მეორეს - მეორე რკალი. მასწავლებელი მიუთითებს მარცხენა სვეტის რკალზე და ამბობს: „ეს არის მარცვალი დი“. შემდეგ მოსწავლეები უნდა მიხვდნენ, მეორე სვეტში რომელი რკალები გამოხატავს იმავე მარცვალს (წითლად გაფერადებულები);

- **მეორე ეტაპი** - მასწავლებელი ასახელებს სამოდელო მარცვალს. ასახელებს სიტყვებს, რომლებიც სამოდელო მარცვლით იწყება ან სრულდება. მოსწავლეებმა უნდა მიუსადაგონ შესაბამისი სურათი (მაგალითად, სამოდელო მარცვალი დი/დივანი, ქუდი, კუდი, ვარდი).
  - **მესამე ეტაპი** - მასწავლებელი ამზადებს იმავე ტიპის სამ ბარათს სამი რკალით (წითელი რკალით თავში, შუაში, ბოლოში), ასახელებს სამოდელო მარცვალს და სიტყვებს, რომლებიც შეიცავს სამოდელო მარცვალს თავში, შუაში ან ბოლოში (მაგალითად, **მა - მანქანა, წვიმა, სურმანი**).
- 19. თამაში ”აფრინდა, აფრინდა”** - მოსწავლეები ხელებს მაღლა ასწევენ, როცა ესმით მასწავლებლის მიერ ჩამოთვლილ სიტყვებში სამოდელო მარცვალი.
- 20. მოძებნე სათანადო სურათი** - გაკრულია სურათები. მასწავლებელი სამოდელო მარცვალს წარმოთქამს, მოსწავლეები სურათებს აკვირდებიან და ასახელებენ იმ სიტყვას, რომელიც სამოდელო მარცვალს შეიცავს. შეიძლება მოსწავლეებს ვთხოვოთ დაზუსტება იმისა, თუ რომელ ადგილზეა მარცვალი დასახელებულ სიტყვაში (რკალიანი ბარათების გამოყენებით).
- 21. სამოდელომარცვლის შემცველისიტყვათადაჯგუფება**-მოსწავლეებს ეძლევათ/ურიგდებათ სურათები და სამოდელო მარცვალი. მათ ყუთში უნდა ჩადონ მხოლოდ სამოდელო მარცვლის შემცველი სიტყვების შესაბამისი სურათები.

**გასავითარებელი უნარები** - სიტყვების ტრანსფორმირება/გარდაქმნა მარცვლების დამატება-გამოკლება-განმეორებით.

- 22. **წესი 1. მარცვლის დამატება** - მოსწავლეებმა მიცემულ სიტყვებს ყოველ ჯერზე უნდა დაუმატონ ერთი და იგივე სამოდელო მარცვალი (მაგალითად, კუ/ბანანიკუ, ვაშლიკუ, კუკუ, ქუდიკუ, მზეკუ და სხვა).

  - **ვარიანტი 1.** იგივე აქტივობა ტარდება საკუთარ სახელებზე.

- 23. **წინადადების ყოველი სიტყვის სიტყვისთვის ერთი და იმავე მარცვლის დამატება** (მაგალითად, ორი დიდი ბურთი - შო/ორიშო დიდიშო ბურთიშო).
- 24. **თამაში ”გამოიცანი, რომელი სიტყვაა გარდაქმნილი!”**
  - **პირველი ეტაპი** - მასწავლებელი სიტყვებს უმატებს მარცვალს, მოსწავლეებმა უნდა გამოიცნონ, რომელია საწყისი სიტყვა.
  - **მეორე ეტაპი** - მოსწავლე იღებს სურათიან ბარათს (სხვა მოსწავლეებს ამ ბარათს არ უჩვენებს); სურათზე გამოსახული საგნის აღმნიშვნელ სიტყ-

ვას უმატებს მარცვალს. სხვებმა უნდა გამოიცნონ, რომელი სიტყვაა (სწორი ფორმით).

**25. წესი 2. ბოლო მარცვლის გამეორება** - მასწავლებელი აწარმოებს სიტყვებს მათი ბოლო მარცვლის დამატებით/რედუპლიცირებით. (მაგალითად, ვაშლიშლი, ქუდიდი, ფისოსო, ქოლგაგა და სხვა). შემდეგ, ახალი სიტყვების გამოყენებით, იმავეს იმეორებს მოსწავლეებთან ერთად. ბოლოს კი მასწავლებელი ასახელებს სიტყვებს, მოსწავლეები იმავე წესის გამოყენებით (სიტყვის ბოლო მარცვლის გამეორებით) აწარმოებენ სიტყვებს.

**26. თამაში ”გამოიცანი, რომელი სიტყვაა!”**

- **პირველი ეტაპი** - მასწავლებელი სიტყვების ბოლო მარცვალს იმეორებს, მოსწავლეებმა უნდა გამოიცნონ, რომელია საწყისი სიტყვა.
- **მეორე ეტაპი** - მოსწავლე იღებს სურათიან ბარათს (სხვა მოსწავლეებს ამ ბარათს არ უჩვენებს); სურათზე გამოსახული საგნის აღმნიშვნელ სიტყვას მიუმატებს ამ სიტყვის ბოლო მარცვალს (იხ. წესი 2. ბოლო მარცვლის გამეორება) და შემდეგ ხმამაღლა წარმოთქვამს მიღებულ სიტყვას. სხვებმა უნდა გამოიცნონ, რომელია საწყისი სიტყვა.

**27. წესი 3. პირველი მარცვლის გაუქმება/ჩამოცილება**

- **პირველი ეტაპი** - მასწავლებელს მოჰყავს მაგალითი: ასახელებს რომელიმე სიტყვას, შემდეგ ამბობს იმავე სიტყვას პირველი მარცვლის გარეშე (მაგალითად, ზღარბი - რბი; ბიჭი - ჭი, დათო - თო, რეზო - ზო). შემდეგ რამდენიმე მაგალითს მასწავლებელი და მოსწავლეები ერთად აკეთებენ.
- **მეორე ეტაპი** - მასწავლებელი ასახელებს სიტყვებს, რომლებიც იწყება ერთსა და იმავე მარცვალზე; მოსწავლეები ამ სიტყვებს ”აჭრიან” პირველ მარცვალს (მაგალითად, ბა/ ბა-ნანი, ბა-ყაყი, ბა-ლი და სხვ.).

**28. თამაში ”რომელი მარცვალი აკლია?”** - მასწავლებელი ასახელებს სიტყვას, რომელსაც „ჩამოჭრილი“ აქვს პირველი მარცვალი. მოსწავლეები უნდა მიხვდნენ, რომელი მარცვალია ჩამოჭრილი (თუ ეს მათოვის ძნელი აღმოჩნდება, შეიძლება მოვიშველიოთ ამ სიტყვების შესატყვისი სურათები, რომლებიც მოსწავლეებს საყრდენებად გამოადგებათ).

**29. წესი 4. ბოლო მარცვლის ჩამოცილება**

- **პირველი ეტაპი** - მასწავლებელს მოჰყავს მაგალითი: ასახელებს სიტყვას, შემდეგ იმეორებს იმავე სიტყვას ბოლო მარცვლის გარეშე (მაგალითად, ზღარბი - ზღა; ბიჭი - ბი, დათო - და, რეზო - რე). შემდეგ რამდენიმე მაგალითს მასწავლებელი და მოსწავლეები ერთად აკეთებენ.
- **მეორე ეტაპი** - მასწავლებელი ასახელებს სიტყვებს, რომლებიც სრულდება ერთსა და იმავე მარცვალზე, მოსწავლეები ”აჭრიან“ ბოლო მარცვალს (მაგალითად, თი/ ბურ-თი, საა-თი, ერ-თი და სხვ.).

**30. საკუთარი სახელის ბოლო მარცვლის ჩამოჭრა** - მოსწავლეები საკუთარ სახელებს ამბობენ ბოლო მარცვლის გარეშე.

### 31. წესი 5.მარცვალთა გადანაცვლება

- **პირველი ეტაპი** - მასწავლებელი იძლევა მაგალითს: ასახელებს ორ-მარცვლიან სიტყვას, შემდეგ ადგილებს შეუცვლის მათ (**მაგალითად, ზღარბი - რბიზღა; ბიჭი - ჭიბი, დათო - თოდა, რეზო - ზორე**). შემდეგ რამ-დენიმე მაგალითს ერთად აკეთებენ.
- **მეორე ეტაპი** - მასწავლებელი ასახელებს სიტყვებს, მოსწავლეები გადაანაცვლებენ მარცვლებს.

### 32. მარცვლით სიტყვის გარდაქმნის წესის ამოცნობა - სიტყვათა გარდამქმნელი ყუთი (შენიშვნა - ეს აქტივობა რომ შესრულდეს, აუცილებელია, მას-წავლებელი მოსწავლეთა მშოლიურ ენაზე ლაპარაკობდეს) - მოსწავლემ უნდა ამოიცნოს, რა წესის მიხედვით გარდაიქმნა სიტყვა. ამისთვის მოსწავლე ირჩევს სურათს, რომელსაც ყველას აჩვენებს. იქვე დგას ყუთი, რომლე-საც ორი მხრიდან აქვს კარი. მოსწავლე ერთი კარიდან სიტყვას ჩასრუჩეულებს, მასწავლებელი მეორე კართან "უგდებს ყურს" და შემდეგ ხმამაღლა იმეორებს ყუთის მიერ „გარდაქმნილ“ სიტყვას. იმავე წესით „გარდაიქმნება“ 4-5 სიტყვა (აუცილებელია, მასწავლებელმა რამდენიმე მაგალითი მიაწოდოს მოსწავლეებს, რათა მათ შეძლონ წესის ამოცნობა). მოსწავლეებმა უნდა ამოიცნონ, რომელი წესი გამოიყენა ყუთმა სიტყვის საწარმოებლად (მაგალი-თად, თაგვი, თაგვიგვი, სოკო-სოკო, უირაფი-უირაფიფი და ასე შემდეგ);

### 33. წინადადებაში სიტყვის ამოცნობა - მასწავლებელი წარმოთქ-ვამს წინადადებას. წინადადების ერთ რომელიმე სიტყვაში იგი ერთი სიტყვის მარცვლებს გადაანაცვლებს (მაგალითად, მაიმუნს უყ-ვარს ნანიბა). მოსწავლემ უნდა ამოიცნოს, რომელია საწყისი სიტყვა.

**გასავითარებელი უნარები** - ბგერების ინდენტიფიცირება და ლოკალი-ზება.

### 34. სურათების დახარისხება პირველი ბგერის (და არა მარცვლის) მიხედვით

- მოსწავლეს ურიგდება სურათები და სამოდელო ბგერა, რომელზეც უნდა იწყებოდეს სიტყვა. სამოდელო ბგერაზე დაწყებული სიტყვის შესატყვისი სურათი მოსწავლემ უნდა ჩადოს ყუთში, რომელიც სპეციალურად ამ მიზ-ნითაა დადგმული. აქტივობის პრინციპის უკეთ გასაგებად, თავდაპირველად მოსწავლეები მას მასწავლებელთან ერთად ასრულებენ.

### 35. სიტყვაში პირველი ბგერის ამოცნობა

- **პირველი ეტაპი - მასწავლებელი ასახელებს სამოდელო ბგერას; შემდეგ უეს-ტიებით აგებინებს მოსწავლეებს, რომ მათ ეს მარცვალი „თავში უნდა ჩაიდონ“ (შდრ. აქტივობები: 16, 17 და სხვ.). მოსწავლეებმა იმავე მარცვალზე დაწყე-ბული სიტყვის მოსმენისას ტაში უნდა დაუკრან. აქტივობის პრინციპის უკეთ გასაგებად, თავდაპირველად მოსწავლეები მას მასწავლებელთან ერთად ას-რულებენ (მაგალითად, მ/მანქანა, მზე, კუ, მთა, მერცხალი, ტყე, მზე და სხვა).**

**შენიშვნა:** თუ მოსწავლეს უჭირს ბგერის გამორჩევა, 1) მასწავლებელმა განსაკუთრებულად უნდა გამოკვეთოს ბგერები სიტყვის წარმოთქმისას; 2) გაამეორებინოს მოსწავლეს სიტყვა პირველ მარცვალზე აქცენტირებით; 3) წარმოთქმის შემდეგ გაამეორებინეთ პირველი ბგერა.

- **მეორე ეტაპი** - მასწავლებელი პერიოდულად ცვლის სამოდელო მარცვალს. ყოველ ჯერზე იმავე ჟესტიკულაციის გამოყენებით აგებინებს მოსწავლეებს, რომ ახლა თავში ეს მარცვალი უნდა „ჩაიდონ“, რათა მას შედარონ ჩამოთვლილი სიტყვების პირველი ბგერა. მასწავლებელი წარმოთქვამს სიტყვებს. მოსწავლეებმა ტაში უნდა დაუკრან სამოდელო მარცვლის გაგონებისას.
  - **მესამე ეტაპი** - როცა მოსწავლეები გაინწროვნებიან ამ აქტივობები, შეიძლება მისი გართულება სამოდელო მარცვლის ფონოლოგიურად მსგავს მარცვლებზე დაწყებული სიტყვების გამოყენებით (მაგალითად, კუ/კუდი, ქუდი, კურდლელი; პა/პატარა, ფაფა, პაპა, ფანჯარა, ფანჯარი და სხვა).
  - **ვარიანტი 1** - მოსწავლეებმა სამოდელო მარცვალი საკუთარ სახელებში უნდა ამოიცნონ. ამისათვის, მასწავლებელი ამასხსოვრებინებს სამოდელო მარცვალს, შემდეგ სამ საკუთარ სახელს ეუბნება, სამოდელო მარცვლის გაგონებისას ტაშს უკრავენ (მაგალითად, სუ/სურმანი, შუშანიკი, სუსანა);
36. „აფრინდა-აფრინდა“ - მოსწავლეებმა ხელები მაღლა უნდა ასწიონ მხოლოდ იმ სიტყვების მოსმენისას, რომლებიც იწყება სამოდელო ბგერაზე.
37. ”რა აქვთ საერთო?“ - მასწავლებელი ამბობს 5-6 სიტყვას, რომლებიც ერთ ბგერაზე იწყება და მოსწავლეები პოულობენ, რა აქვთ მათ საერთო.
38. **სიტყვაში ბოლო ბგერის ამოცნობა** - მასწავლებელი ასახელებს სამოდელო ბგერას. ჟესტებით აგებინებს მოსწავლეებს, რომ ეს მარცვალი მათ „თავში უნდა ჩაიდონ“. მოსწავლეებმა იმავე მარცვალზე დაწყებული სიტყვის მოსმენისას ტაში უნდა დაუკრან.
39. **სიტყვაში ბოლო/პირველი ბგერის ამოცნობა სურათზე დაყრდნობით** - მოსწავლეებს ურიგდებათ სურათები. მათ უნდა გამოარჩიონ ის სურათები, რომლებიც სამოდელო ბგერაზე იწყება/მთავრდება და გვერდით მიუწყონ გაკრულ სურათს.
40. **აქტივობა ”დავალაგოთ“** - გამოკრულია ორი მოდელი. მოსწავლეებმა მათ ქვემოთ უნდა მიუწყონ შესაბამისი სურათები (მაგალითად, მარცხნივ - ო-ზე დამთავრებული სიტყვების შესატყვისი სურათები, მარჯვნივ - ა - ზე დამთავრებული სიტყვების შესატყვისი სურათები):

ბარათი - სოკო	ბარათი - მანქანა
ფისო	წვიმა
გოგო	კატა
ყაყაჩო	(ცა ჩანთა)

- 41. „იპოვე შეცდომა“** - მოსწავლეებს ვაძლევთ ცხრილს, რომელიც შევსებულია ფიქტიური მოსწავლის მიერ და ვთხოვთ მათ ცხრილში დაშვებული შეცდომების პოვნას (ფიქტიური მოსწავლის მიერ შევსებულ ცხრილში ერთორი სიტყვაა გადასანაცვლებელი ერთი სვეტიდან მეორეში). მასწავლებელი კარნახობს მოსწავლეებს შეცდომების პოვნის გზებს. (მოსწავლეებმა ჯერ უნდა შეამონმონ ცხრილის პირველ სვეტში წარმოდგენილი სიტყვების შესაბამისობა პირველ წესთან, - ანუ მთავრდება თუ არა ისინი ო-ზე. შემდეგ უნდა შეამონმონ ცხრილის მეორე სვეტში წარმოდგენილი სიტყვების შესატყვისობა მეორე წესთან - ანუ მთავრდება თუ არა ისინი ო-ზე. თუ აღნიშნული შესატყვისობა დარღვეულია, მოსწავლეები სიტყვებს შესაბამის სვეტში გადაანაცვლებენ). იმ შემთხვევაში, თუკი შეთავაზებული სიტყვები არ შეესაბამება არც ერთს აღნიშნული წესებიდან, მოსწავლეები მოხსნიან და გვერდზე გადადებენ ამ სიტყვასთან დაკავშირებულ სურათს. მნიშვნელოვანია, მოსწავლეები დავაფიქროთ დაშვებულ შეცდომაზე და გავაანალიზებინოთ იგი (სურათზე ასახული სიტყვა სხვა ეგონა, წესი დაავიწყდა და სხვ. მოსწავლეებისთვის ძალზე სასარგებლო იქნება, თუკი დავაფიქრებთ ცხრილში დაშვებულ შეცდომებზე. ამისთვის ვთხოვოთ ფიქტიური მოსწავლის მიერ დაშვებული შეცდომის ანალიზი - მათი აზრით, რატომ დაუშვა ფიქტიურმა მოსწავლემ შეცდომები - ვერ დააკავშირა სურათი სიტყვასთან, წესი დაავიწყდა თუ აქვთ სხვა ვერსია.
- 42. სამ სიტყვაში სამოდელო სიტყვის შესატყვისის ამორჩევა** (მაგალითად, ბიჭი / კატა , გემი, ბალი; ხბო/რუ, სოკო, მთა). მასწავლებელი მიუთითებს, რომელ მარცვალს მიაქციონ ყურადღება, პირველია თუ ბოლო.
- 43. რითმების შექმნა საკუთარი სახელით** - მოსწავლეები ეძებენ სიტყვებს, რომლებიც ირითმება მათ სახელებთან (მაგალითად, მე ვარ ია, მაქვს ლამაზი ია).
- 44. იპოვე ზედმეტი** - ჩამონათვალია საერთო კანონზო-  
მიერებით, ერთია განსხვავებული და უნდა მიაგნონ;

**გასავითარებელი უნარები** - სიტყვების ტრანსფორმირება ბგერების ჩანაცვლება-დამატებით, ჩამოცილებით, განმეორებით

- 45. პირველი ბგერის ჩანაცვლება** - მოსწავლეებმა უნდა ჩანაცვლონ პირველი ბგერა სამოდელო ბგერით. მასწავლებელი ასახელებს სამოდელო ბგერას; ჟესტებით აგებინებს მოსწავლეებს, რომ ეს ბგერა „თავში უნდა ჩაიდონ“ და ამ ბგერით უნდა ჩანაცვლონ მიცემული სიტყვის პირველი ბგერა. აქტივობის პრინციპის უკეთ გასაგებად, თავდაპირველად, მოსწავლეები მას მასწავლებელთან ერთად ასრულებენ (მაგალითად, კ / შოკოლადი - კოკოლადო, ბურთი - კურთი და ასე შემდეგ).

- 46. ბოლო ბგერის ჩანაცვლება** - მოსწავლეებმა უნდა ჩანაცვლონ შეთავაზე-

ბული სიტყვის ბოლო ბგერა სამოდელო ბგერით. მასწავლებელი ასახელებს სამოდელო ბგერას. ჟესტიკულაციის გამოყენებით აგებინებს მოსწავლეებს, რომ მათ ეს ბგერა „თავში უნდა ჩაიდონ“, რადგან ამ ბგერით უნდა ჩაანაცვლონ მიცემული სიტყვის ბოლო ბგერა. აქტივობის პრინციპის უკეთ გასაგებად, თავდაპირველად, მოსწავლეები მას მასწავლებელთან ერთად ასრულებენ (მაგალითად, ა / ქარი- ქარა, ხოკ - ხოკა და ასე შემდეგ).

#### 47. სიტყვის პირველი ბგერის ჩამოცილება

- I ეტაპი - მოსწავლემ სიტყვა უნდა წარმოთქვას პირველი ბგერის გარეშე. აქტივობის პრინციპის უკეთ გასაგებად, თავდაპირველად, მოსწავლეები მას მასწავლებელთან ერთად ასრულებენ. მასწავლებელს გამოჰყავს მოსწავლე, აძლევს ბარათს, მოსწავლე ასახელებს საგანს, რომელიც ბარათზეა გამოსახული. მასწავლებელი იმეორებს ამ სიტყვას პირველი ბგერის ჩამოცილებით (მაგალითად, შოკოლადი - ოკოლადი, ვაშლი - აშლი და სხვ). შემდეგ ამას მოსწავლეებთან ერთად აკეთებს.
- II ეტაპი - მასწავლებელი ასახელებს სიტყვას, მოსწავლეები პირველი ბგერის ჩამოცილებით წარმოთქვამენ იმავე სიტყვას. აღნიშნულ აქტივობას ასრულებენ სურათზე დაყრდნობით.
- III ეტაპი - აქტივობას ასრულებენ საყრდენი სურათის გარეშე.

#### 48. პირველი ბგერის ალდეგენა

- მასწავლებელი სიტყვას ამბობს პირველი ბგერის ჩამოცილებით, მოსწავლეები ამოიცნობენ ბგერას, რომელიც აკლია და ასახელებენ სიტყვას სრულად. ეს აქტივობა ტარდება ჯერ სურათზე დაყრდნობით, შემდეგ სურათის გარეშე.

#### 49. ბგერის დამატება სიტყვის დასაწყისში

- მოსწავლეები სამოდელო ბგერას ამატებენ სიტყვის დასაწყისში (მაგალითად, უ - უვაშლი, უ-შოკოლადი, უბალი და სხვა)

#### 50. მოსწავლეთა სახელების წარმოთქმა პირველი ან ბოლო ბგერის ჩამოცილებით

- მასწავლებელი წარმოთქვამს ერთ-ერთი წესით წარმოებულ სახელს. მოსწავლე, რომელიც თავის სახელს ამოიცნობს, ხელს აწევს.

#### 51. ბგერის დამატება სიტყვის ბოლოში

- მოსწავლეები სამოდელო ბგერას ამატებენ სიტყვის ბოლოში (მაგალითად, ა - შოკოლოადია, ვაშლია, ბალია, ცაა და სხვა).

#### 52. ბგერების სიტყვის გარდაქმნის წესის პოვნა

- მასწავლებელი ერთ-ერთი წესის გამოყენებით აწარმოებს 8-9 სიტყვას. მოსწავლეებმა უნდა აღმოაჩინონ წესი (ან ბგერის დამატება სიტყვის დასაწყისში/ბოლოში, ან ბგერის ჩამოცილება, ან ბგერის გამეორება სიტყვის ბოლოს). შემდეგ იმავე წესით თითოეულმა მოსწავლემ უნდა აწარმოოს სიტყვა. სხვა მოსწავლეებმა უნდა ამოიცნონ, რომელია საწყისი სიტყვა. ჩაფიქრებული სიტყვა უნდა შეესატყვისებოდეს კლასში არსებულ რომელიმე საგანს.

**გასავითარებელი უნარები - სიტყვების შედარება და საერთო ბგერის პოვნა**

53. სიტყვების შედარება და საერთო ბგერის პოვნა სიტყვის დასაწყისში ან ბოლოში -
- I ეტაპი - მასწავლებელი დაფაზე გამოაკრავს სურათს, რომელზეც გამოსახულია, მაგალითად, ბალი. სურათის ქვემოთ მოთავსდება სამი ბარათი, თითო ბარათზე წერია თითო სიტყვა, რომელთაგან მხოლოდ ერთ იწყება ბგერაზე "ბ" (მაგალითად, კატა, ბუ, კუ). მოსწავლემ უნდა ამოიცნოს, რომელი სიტყვა იწყება იმავე ბგერაზე.
  - II ეტაპი - მასწავლებელი გამოაკრავს ორ სვეტად სამოდელო და სამიზნე სიტყვებს და არ აზუსტებს, საერთო ბგერა დასაწყისშია თუ ბოლოში. მაგალითად:

სამოდელო სიტყვები	ფანქარი	გოგო
სამიზნე სიტყვები	ვაშლი პეპელა ფისო	სოკო ქოლგა კუდი

სიტყვების შედარება; საერთო ბგერის პოვნა სიტყვის დასაწყისში ან ბოლოში საყრდენის გარეშე - როდესაც მოსწავლეები კარგად დაეუფლებიან წინა სავარჯიშოს, შეიძლება გავართულოთ და იგივე სავარჯიშო შევასრულებინოთ საყრდენი სურათების გარეშე.

54. განსხვავებულის პოვნა - მოსწავლეები აკვირდებიან სურათების მწკრივს და პოულობენ იმ ერთადერთს, რომელიც საერთო კანონზომიერებას არ შეესაბამება (მაგალითად, ბიჭი, ბალი, ქარი, ბუ, ბურთი, ბანანი; / სოკო, დათო, ჭავჭავი, ფისო, ყაყაჩი); იმავე აქტივობის ჩატარება შეიძლება სიტყვის ბოლო ბგერის მიხედვით.
55. სიტყვების დომინო - მასწავლებელი აკრავს დაფაზე ერთ სურათს და მაგიდაზე დებს რამდენიმე სურათს. მოსწავლეებმა უნდა დაადონ დაფაზე გაკრულ სურათს ის სურათები, რომლებიც იწყება ან სრულდება იმავე ბგერაზე (მაგალითად, სოკო/ შეიძლება დავადოთ საათი, სამი - პირველი ბგერის მიხედვით და ასევე - გოგო, ყაყაჩი, ფისო, ბოლო ხმოვნის მიხედვით).

**გასავითარებელი უნარები - ერთ და მეტმარცვლიანი სიტყვების ბგერებად დაშლა და აწყობა.**

56. ბგერების სიტყვებად გაერთიანება სურათზე დაყრდნობით - წავარჯიშების მიზნით, მასწავლებელი ცალ-ცალკე წარმოთქვამს ორ ბგერას და შემდეგ აერთიანებს მათ; იმავეს აკეთებინებს მოსწავლეებს. ამის შემდეგ მასწავლებელი გამოაკრავს ერთმარცვლიანი სიტყვების სურათებს და ცალ-ცალკე წარმოთქვამს სათანადო ბგერებს. მოსწავლეებმა უნდა ამოიცნონ, რომელი

სურათი შეესატყვისება წარმოთქმულ ბგერებს და სიტყვა გაამთლიანონ.

57. **ბგერების სიტყვებად გაერთიანება საყრდენი სურათის გარეშე** - მასწავლებელი დანაწევრებულად ასახელებს ერთმარცვლიანი სიტყვის ბგერებს და მოსწავლეები სიტყვად ამთლიანებენ მათ.
58. **ერთმარცვლიანი სიტყვების ბგერებად დაშლა** - იმავე სიტყვებს მოსწავლეები ბგერებად შლიან; შემდეგ მასწავლებელი მათ დასაშლელად აძლევს სხვა ერთმარცვლიან და ორმარცვლიან სიტყვებსაც.
59. **ორ და მეტმარცვლიანი სიტყვების ბგერებად დაშლა** - მოსწავლეები შლიან ორ და მეტმარცვლიან სიტყვებს.
60. **ბგერების სიტყვებად გამთლიანება** - მასწავლებელი ბგერებად ანაწევრებს ორ და მეტმარცვლიან სიტყვებს, მოსწავლეები ამთლიანებენ მათ. ესაა უმნიშვნელოვანესი უნარი, რომელსაც შემდგომში მოსწავლე დაეყრდნობა სიტყვების წაკითხვისას –კითხვის დროს მოსწავლე ასოებს ახმოვანებს ბგერებად და ბგერებს ამთლიანებს სიტყვებად (სინთეზი). ამიტომ ამ უნარს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს.

**გასავითარებელი უნარები** - ბგერების ლოკალიზება სიტყვასა და მარცვალში


61. **სამოდელო ბგერის ადგილის ამოცნობა სიტყვის თავსა და ბოლოში საყრდენი სურათის გარეშე** - მასწავლებელი ასახელებს სიტყვებს, რომელთაგან ზოგიერთს თავში აქვს მითითებული მარცვალი, ზოგიერთს - ბოლოში. ორივე ტიპის შესატყვისი სურათი გაკრულია დაფაზე ერთამენთის გვერდით. თუ ნათქვამი სიტყვა პირველ ტიპს განეკუთვნება, მოსწავლე მარჯვენა სვეტზე მიუთითებს, თუ მეორე ტიპს - მარცხენაზე.
62. **სამოდელო ბგერის ადგილის ამოცნობა სიტყვის თავში, შუაში და ბოლოში** - მოსწავლეებმა უნდა ამოიცნონ, სად არის სამოდელო ბგერა განთავსებული, რისთვისაც იყენებენ რკალების ბარათებს. მასწავლებელი ამბობს სამოდელო ბგერას და ასახელებს ორ-სამმარცვლიან სიტყვებს, რომლებშიც სამოდელო ბგერა სხვადასხვა პოზიციაზეა, ზოგჯერ კი ორ ადგილზეა წარმოდგენილი (მაგალითად, ორი, ყაყაჩო, ფისო, ფოთოლი, ქოლგა). მასწავლებელი ამზადებს მარცვლების რაოდენობათა შესაბამის რკალებიან ბარათებს და სიტყვების მიხედვით იმ რკალებს ასვამს წერტილს, რომლებშიც არის სამოდელო ბგერა. მაგალითად,

სიტყვის


"ორი"

კოდი

სიტყვა



ფისო



სიტყვის

"ფოთოლის"

კოდი



მოსწავლემ უნდა იპოვოს ნათქვამი სიტყვის შესაბამისი - ბარათებზე გამოსახული - კოდირება. მასწავლებელი ეხმარება მას, რამდენჯერმე იმეორებს სიტყვას, გამოკვეთს სიტყვაში ბგერას, დამარცვლისას დაფაზე ხაზავს ბგერებს კითხვის მიმართულებით - მარცხნიდან მარჯვნივ. მოსწავლეც მარცვლავს სიტყვას, ითვლის მარცვლების რაოდენობას, პოულობს სამოდელო ბგერას და ირჩევს შესაბამის კოდირებას.


#### გასავითარებელი უნარები - ბგერების დათვლა სიტყვაში

63. სიტყვების გადახარისხება ბგერების რაოდენობის მიხედვით - მოსწავლეებს ვაძლევთ ერთ და ორმარცვლიანი სიტყვების სურათებს. ვამზადებთ ოთხ ყუთს ორ, სამ, ოთხ და ხუთბგერიანი სიტყვებისთვის. მოსწავლეებმა უნდა დაანაწევრონ სიტყვები ბგერებად, დაითვალონ ბგერების რაოდენობა და სურათები ჩადონ შესაბამის ყუთში (მაგალითად, ია, ლია, ვაშლი, ბალი, კუ, ბუ, ტყე, თაგვი, მთა და სხვა).

#### გასავითარებელი უნარები - ბგერის მარცვალში ლოკალიზება

64. ბგერის ადგილის პოვნა მარცვალში - მოსწავლეებმა უნდა იპოვონ ერთმარცვლიან სიტყვაში სამოდელო ბგერის ადგილმდებარეობა და მიუთითონ შესაბამისი კოდირება. მაგალითად, სამოდელო ბგერა მ - მთა, ძმა, მზე

65. სიტყვის „მთა“ კოდი



66. სიტყვის „ძმა“ კოდი



## კითხვის სეავლება 5-6 ცლის ასაკის მოსწავლეთათვის

ადრეულ, 5 წლის ასაკში კითხვის სწავლება სპეციფიკურ მიღგომას მოითხოვს. აუცილებელია 5 წლის ასაკის მოსწავლეების ფსიქიკური განვითარების კანონზომიერებების გათვალისწინება, რათა მათ არ შევთავაზოთ შეუფერებელი აქტივობები, არ წავუყენოთ არაადეკვატური მოთხოვნები. ამ კანონზომიერებათა გაუთვალისწინებლობით მოსწავლეებში გამოვიწვევთ ფსიქოლოგიურ სტრესსა და სხვა სერიოზულ დაბრკოლებებს.

კითხვის პროცესის სწორად წარსამართად, პირველ რიგში, უნდა განვასხვავოთ სწავლების ამ ეტაპისთვის აქტუალური რამდენიმე უნარი და გავიაზროთ ამ უნარების განვითარებასთან დაკავშირებული პრობლემატიკა. ეს უნარებია:

1. ასობგერითი მიმართებების ჩამოყალიბება;
2. სიტყვის გრაფიკულ და აკუსტიკურ ხატებს შორის არსებული მიმართების გაგება;
3. მთელ-მთელი სიტყვების კითხვა, ანუ სიტყვის ორთოგრაფიული ხატის დამახსოვრება-ამოცნობა;
4. სიტყვების გაშიფრა;
5. კითხვის მოქნილობა;
6. წაკითხვა-გაგება.

მოკლედ მიმოვიხილოთ თითოეული:

1. **ასობგერითი მიმართებების ჩამოყალიბება** - მოსწავლემ უნდა გაიგოს, რა კავშირია ბერასა და ასოს შორის;
2. **სიტყვის გრაფიკულ და აკუსტიკურ ხატებს შორის არსებული მიმართების გაგება** - მოსწავლემ უნდა გააცნობიეროს, რომ ნათქვამი წინადადება შედგება სიტყვებისგან და ნაწერი სიტყვა ნათქვამი სიტყვის წერილობითი გამოხატულებაა.
3. **მთელ-მთელი სიტყვების კითხვა, ანუ სიტყვის ორთოგრაფიული ხატის დამახსოვრება-ამოცნობა** - მოსწავლე კითხვის მთლიანობითი მეთოდის გამოყენებით ვიზუალურად იმახსოვრებს სიტყვის ორთოგრაფიულ ხატს და, ამდენად, იგი დანახვისთანავე აკავშირებს ამ ნაწერს სიტყვის მნიშვნელობასთან. ამგვარი ხერხით მას შეუძლია სიტყვის ამოცნობა მისი დანაწევრება-გამთლიანების გარეშე (იხ. ქვემოთ "გაშიფრა"), ე.წ. პირდაპირი გზით. აღნიშვნული ხერხი კითხვის სწავლების ერთ-ერთი შემამზადებელი აქტივობაა, რომელიც განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს კითხვის სწავლებისას ადრეულ - 5 წლის ასაკში. **კითხვის დაუფლებისას მოსწავლეებისთვის ყველაზე დიდ სიძნელეს წარმოადგენს თანამიმდევრულად აღქმული ასოების სიტყვებად გამთლიანება** - სწორედ ეს არის კითხვის სწავლებისას მთავარი სირთულე. ეს აქტივობა მოსწავლის მხრიდან უზარმაზარ ძალისხმევასა და დროს მოითხოვს; არადა, მას აინტერესებს კოდირებული ში-

ნაარსის ამოცნობა. მთელ-მთელ სიტყვათა კითხვის მეთოდით კი იგი განსაკუთრებული ძალისხმევის გარეშე "აღმოჩენის" სიტყვის მნიშვნელობას. ასეთი "აღმოჩენები" მას ახარებს და კითხვის პროცესს მისთვის სახალისოსა და მიმზიდველს ხდის, რაც, თავის მხრივ, მოსწავლეს დადებით დამოკიდებულებას უყალიბებს საკითხავ აქტივობათა მიმართ. მოტივაციის ამაღლების გარდა, გრაფიკული ხატების დამახსოვრებასთან დაკავშირებული ვარჯიშები (იხ. ქვემოთ) ხელს უწყობს ხედვითი აღქმის გაუმჯობესებას და მხედველობითი მეხსიერების განვითარება-გაფართოებას. მოსწავლე თანდათანობით გამოანაწევრებს ასოებს მთელი სიტყვიდან, რომელსაც დაუნაწევრევებლად აღიქვამს.

**4. სიტყვების გაშიფრა** - გულისხმობს ნაწერი სიტყვის (ორთოგრაფიული ხატის) ხმოვან ხატად გარდაქმნას/კონვერტირებას. ეს არის მრავალსაფეხურიანი აქტივობა, რომელიც დიდ სიძნელეს უქმნის ახალბედა და მკითხველს, მით უფრო - ხუთნლიანს. გაშიფრის დროს თვალი აღიქვამს ჯერ ერთ ასოს, აკავშირებს მას ბგერასთან, რომელსაც ვოკალური სიმები ახმოვანებს, იმახსოვრებს ბგერას, გადადის მომდევნო ასოზე, აკავშირებს მას კვლავ ბგერასთან და საბოლოოდ, დამახსოვრებულ ბგერებს ამთლიანებს სიტყვად (ამიტომ არის მნიშვნელოვანი ნინმსწრებად ფონოლოგიურ უნარებზე, განსაკუთრებით კი ბგერების გამთლიანებაზე მუშაობა). ხშირად ისეც ხდება, რომ სანამ მოსწავლე სიტყვას ბოლომდე ამოიკითხავს, მისი ხანმოკლე მეხსიერება ვერ უძლებს დატვირთვას, ვეღარ იტევს მანამდე დამახსოვრებულს და ნაკითხულს „შლის“ ცნობიერებიდან. ამიტომ არის, რომ ხშირად ახალბედა მკითხველი ვერ ამბობს, რა წაიკითხა – მისი გონება მთლიანადაა დაკავებული ასოების ბგერებთან დაკავშირებითა და დამახსოვრებით, ანუ ნაწერის გახმოვანებით და ამდენად, მოსწავლე ვერ იაზრებს ნაკითხულს. როგორც აღვნიშნეთ, , გაშიფრა ყველაზე რთული აქტივობაა ხუთ-ექვსწლიანებისთვის. მნიშვნელოვანია ნევროლოგიური ფაქტორის გათვალისწინებაც - ზოგიერთი მათგანი ჯერ კიდევ მოუმწიფებელია თვალის მოძრაობის დასამორჩილებლად და ამგვარი ამოცანების დასაძლევად. ამის გათვალისწინებით, გაშიფრაზე მუშაობას დიდი სიფრთხილით უნდა მოვეკიდოთ: ვინც ამგვარი აქტივობისთვის ჯერ კიდევ უმწიფარია, უნდა ვაცადოთ და მოგვიანებით შევთავაზოთ სისტემური ვარჯიში. ამდენად, მასწავლებელმა უნდა გაითვალისწინოს მოსწავლეთა ფიზიოლოგიური თავისებურებები და კითხვის სწავლებისას ყველას თანაბარი მოთხოვნები არ უნდა წაუყენოს. ამგვარი დიფერენცირებული მიდგომით თითოეულ მოსწავლეს მიეცემა კითხვის უნარის ბუნებრივი რიტმის მიხედვით განვითარების საშუალება.. ნაადრევი ძალადატანება და აჩქარება ძალიან ცუდ შედეგებს გამოიღებს - გამოიწვევს მოსწავლეთა ფსიქოლოგიურ დაბრკოლებას და შესაძლოა, კიდევ დიდი ხნის განმავლობაში ვერ წაიკითხონ გამართულად. კითხვის მოქნილობა - გულისხმობს გაშიფრის უნარის ავტომატიზაციას, ავტომატურად დაუფლებას. როდესაც დეკოდირების, ანუ გაშიფრვის უნარი

ავტომატიზებულია, მოკლევადიანი/მუშა მეხსიერება აღარ არის დაკავებული ასოების ბერებთან დაკავშირებით და მოსწავლე უკვე იყენებს კითხვას, როგორც ინფორმაციის მიღების საშუალებას. ამიტომაც ცდილობს ყველა, რაც შეიძლება სწრაფად აათვისებინოს მოსწავლეს ეს უნარი. კითხვის მოქნილობის დაუფლება ინტენსიურ და სისტემურ ვარჯიშს მოითხოვს. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, წარუმატებლობა და მარცხის განცდა მოსწავლეში იმედგაცრუებას გამოიწვევს. ამდენად, ძალზე მნიშვნელოვანია ამგვარი ინტენსიური კურსის შესაფერის დროს შეთავაზება მოსწავლისთვის. გვახსოვს, რომ იაკობ გოგებაშვილის მიერ შემუშავებული სისტემური კითხვის კურსი 7-8 წლის მოსწავლეებისთვის იყო გამიზნული.

**5. ნაკითხვა-გაგება** - ეს მოქნილობისგან განსხვავებული უნარია. შესაძლებელია, მოსწავლემ ძალიან სწრაფად წაიკითხოს პატარა ტექსტი, მაგრამ აზრი ვერ გამოიტანოს. საქმე ისაა, რომ მოქნილობაზე ვარჯიშისას ხმა მისდევს თვალების მოძრაობას, მოსწავლე კითხულობს იმას, რასაც ხედავს და არა იმას, რასაც იაზრებს. მოქნილობაზე მუშაობისას მას არ უვითარდება შინაარსის გაგება-წვდომისთვის აუცილებელი სააზროვნო უნარ-ჩვევები. **ამ ფაქტორის გათვალისწინებით, აუცილებელია, გაიმიჯნოს ეს ორი უნარი და მოსწავლეს შევთავაზოთ გაგებაზე მიმართული საკითხავი ამოცანებიც, თუმცა ასეთ შემთხვევაში მას მოქნილად კითხვა არ უნდა მოვთხოვოთ. მოსწავლე კონკრეტული ამოცანით უნდა მივიდეს ტექსტთან და გააზრებულად, ჩუმი კითხვის ტექნიკის გამოყენებით ეცადოს დასმული ამოცანის გადაჭრას. ამგვარი აქტივობები ხელს უწყობს აქტიური მკითხველის ჩამოყალიბებას.**

## აპტივობები უნარების მიზანით

ასობგერითი მიმართებების ჩამოყალიბება

**1. ანბანის ხმამაღლა კითხვა** - მასწავლებელი სისტემატურად კითხულობს კლასში გამოკრულ ანბანს შემდეგი წესით - აჩვენებს კედელზე გაკრული ანბანის ერთ ასოს და ახმოვანებს მას, ანუ ამბობს შესაბამის ბგერას. მოსწავლეებს არ მოეთხოვებათ ანბანის დამახსოვრება. ამ აქტივობის მიზანია, მოსწავლეებმა აღიქვან კავშირი ასოსა და ბგერას შორის, გააცნობიერონ, რომ კონკრეტული ასო კონკრეტულ ბგერას გამოხატავს.

სიტყვის გრაფიკულ და აკუსტიკურ ხატებს შორის არსებული მიმართების გაგება

**1. სურათის ქვემოთ წარმოდგენილი წარწერის წაკითხვა** - მასწავლებელი გამოაკრავს ან გამოიყენებს სახელმძღვანელოს სურათებს შესაბამისი წარწერებით (მაგალითად, ხატია ბურთი, ნახატის ქვემოთ წერია „ბურთი“). მასწავლებელი მიუთითებს ერთ-ერთი სურათის ქვემოთ მოთავსებულ წარწერაზე და ხმამაღლა კითხულობს მას. შემდეგ გადადის

სხვა სურათებზე, ეკითხება მოსწავლეებს, რა არის გამოსახული სურათზე, მიუთითებს სურათების ქვემოთ წარმოდგენილ წარწერებზე და ეკითხება მოსწავლეებს: „აქ რა წერია?“. ჯერ სურათზე ეკითხება, რა არის, შემდეგ აჩვენებს წარწერებს და ეკითხება მოსწავლეებს - „აქ რა წერია?“ მოსწავლეები ხვდებიან, რომ წერია ის, რაც ხატია და, ამგვარად, სიტყვის ნაწერ ხატს აკავშირებენ ხმოვან ხატთან.

**2. ნაწერ წინადადებაში სიტყვების დათვლა** - მასწავლებელი დაფაზე გამოაკრავს მოსწავლეთათვის ნაცნობ ტექსტს, ხმამაღლა წაიკითხავს მას და თან თითს მიადევნებს, რასაც კითხულობს. კარგია ასევე დაფაზე დაიწეროს სამ-, ოთხ-, ხუთსიტყვიანი წინადადებები და ისინი იმავე მეთოდით წავუკითხოთ მოსწავლეებს. შემდეგ მოსწავლეები დაფასთან უნდა გამოვიყვანოთ, დავათვლევინოთ სიტყვები, წავუკითხოთ რომელიმე წინადადება, რომელსაც თვითონ მიადევნებს თითს. ასეთ შემთხვევაში ყოველი სიტყვის შემდეგ მცირე პაუზას ვაკეთებთ.

**3. მოსწავლის ნაკარნახევის დაფაზე დაწერა** - მოსწავლე კარნახობს მასწავლებელს სიტყვებს, მასწავლებელი წერს დაფაზე, შემდეგ კითხულობს ნაწერს და თან აჩვენებს იმ სიტყვას, რომელსაც კითხულობს.

**4. (მეორე ან უცხოური ენისათვის)** - მოსწავლე კარნახობს მასწავლებელს მარტივ წინადადებას "მე ვარ წინო". მასწავლებლი წერს დაფაზე და შემდეგ კითხულობს თითის მიდევნებით.

**გასავითარებელი უნარები - აქტივობები დამახსოვრების ხელშესაწყობად  
(გავარჯიშების ფაზა)**

**1. დიდი ლოტო საყრდენი წარწერით:** მასწავლებელი გამოაკრავს რამდენიმე სურათს, რომლებსაც ქვემოთ ამსენელი წარწერები ახლავს (**მაგალითად, ხატია მზე, სურათს ქვემოთ აწერია მზე**). იგი მოსწავლეებს აჩვენებს ბარათს, რომელზეც ერთ-ერთი სურათის წარწერა მოცემული. მოსწავლე ბარათი შესაბამის სურათთან უნდა მიიტანოს. დანარჩენი მოსწავლეები აზრს გამოთქვამენ : სწორად შესრულდა თუ არა დავალება.


**2. იპოვე და შემოხაზე** - მოსწავლემ ჩამონათვალში უნდა იპოვოს და შემოხაზოს სამოდელო სიტყვის ანალოგიური სიტყვა (მოსწავლეს საყრდენად აქვს სურათი და სანიმუშო სიტყვა).

მზე (ნახატი)	
მზე	ბურთი ხე მზე მანქანა


**3. გადახაზე განსხვავებული** - მოსწავლე კითხულობს, ადარებს და გადახაზავს განსხვავებულს (აქ საყდენად შეთავაზებულია მხოლოდ სამოდელო სიტყვა, ანუ აქტივობა ოდნავ გართულებულია)

- ხე - ხე
- ხე - ია
- ხე - ხე
- ხე - ხე

**4. იპოვე, რამდენია** - სიტყვათა „გროვაში“ სამოდელო სიტყვის შემოხაზვა:



**5. ნაიკითხე და დააკავშირე:** შეერთება ორ მნკრივად წარმოდგენილ სიტყვებს შორის მოთავსებულ ნახატთან.



**6. კლასელთა სახელების წაკითხვა** - კლასში მუდმივად უნდა იყოს გამოკრული მოსწავლეთა სურათები შესაბამისი სახელებით და ცალკე მომზადებული ბარათები წარწერებით. ყოველდღიურად 2-3 წერთი შეიძლება დაეთმოს სახელების წაკითხვას.

**7. დღეს ვინ არ არის?** - მოსწავლეებს ვთხოვთ, ერთად დაალაგონ მათი სახელები, ვინც იმ დღეს არ ესწრება გაკვეთილს. ერთად დაალაგებული სახელებიდან ვთხოვთ გოგონების სახელების ცალკე გამოყოფას.

**8. ეს ვისი სახელია?** - დაფაზე წერთ დიდი ასოებით რომელიმე

მოსწავლის სახელს. მოსწავლეებმა უნდა შეადარონ თავიანთ სურათებთან გაკრულ ბარათებს და იპოვონ, ვისი სახელია.

**9. ვინ ასრულებს ინსტრუქციას** - მასწავლებელი დაფაზე წერს კონკრეტული მოსწავლის სახელს და იძლევა ინსტრუქციას (მაგალითად, გამოდი დაფასთან!). მოსწავლემ უნდა ამოიცნოს თავისი სახელი და ინსტრუქცია შეასრულოს.

**10. ნაიკითხე და დააკავშირე** - მოსწავლე ნახატის გარეშე აერთებს ერთნაირ სიტყვებს

- გია                  • ბუ
- ხე                  • მანქანა
- მზე                  • ხე
- ბუ                  • გია
- მანქანა                  • მზე

**11. ფოტოგრაფიული კითხვა** - ბარათებზე წერია ის სიტყვები, რომელთა ორთოგრაფიული ხატის დამახსოვრებაზე მოსწავლეები მუშაობენ. მასწავლებელი მოსწავლეებს სწრაფ-სწრაფად აჩვენებს ბარათებს, მათ უნდა ამოიცნონ სიტყვები.

## აქტივობები განმატების ფაზისთვის

1. **დიდი ლოტო საყრდენი წარწერის გარეშე** - სრულდება იგივე აქტივობა, რღონდ სურათებს ქვემოთ აღარ აქვთ წარწერები. მოსწავლემ სურათს უნდა შეუსაბამოს წარწერა. ეს გამოიყენება განმტკიცების ფაზაში, როცა მოსწავლეებს მეტ-ნაკლებად უკვე დამახსოვრებული აქვთ სიტყვის ორთოგრაფიული ხატი.
2. **დააკავშირე ნახატან** - მასწავლებელი ხატავს საგანს და გვერდით წერს სამ სიტყვას, რომელთაგან მხოლოდ ერთი შეესაბამება ნახატს. მოსწავლემ უნდა ამოიცნონ მართებული ვარიანტი.
3. **დაფიქრება კითხვის პროცედურაზე** - მოსწავლეს ვაძლევთ სიტყვების სიას და ვთხოვთ ერთ-ერთი სიტყვის ამოცნობას და შემდგომ განმარტებას, როგორ და რა ნიშნით ამოიცნო იგი. შეცდომის დაშვების შემთხვევაში, მოსწავლე უნდა დავაფიქროთ და დავეხმაროთ შეცდომის თავად აღმოჩენაში.
4. **ტექსტში სიტყვების ამოცნობა** – მოსწავლეებს ვთხოვთ პოვნა და გამოყოფა (ხაზის გასმით) ისეთი სიტყვებისა, რომელთა ამოცნობაზეც უკვე უვარჯიშიათ. (მაგალითად, იპოვეთ და ხაზი გაუსვით შემდეგ სიტყვებს: სპილო, დათვი, მაიმუნი).

5. **უცნობი სიტყვის გადახაზვა** - მასწავლებელი დამახსოვრებული სიტყვების გათვალისწინებით წერს ნაცნობ სიტყვებს და შეურევს ისეთებს, რომლის წაკითხვაც მოსწავლეებმა ჯერ არ იციან. მოსწავლემ უნდა იპოვოს და გადახაზოს მისთვის უცნობი სიტყვები (ცხადია, სიტყვის მთლიანობითი წაკითხვის მეთოდით).
  6. **მოსწავლემ ტაში უნდა დაუკრას სათანადო სიტყვის ამოცნობისას** - მასწავლებელი მოსწავლეებს გააცნობს აქტივობის პირობას, მაგალითად, მე დავწერ სიტყვებს, თქვენ კი ტაში უნდა დაუკრათ, თუ წაკითხავთ ხილის სახელს. ამის შემდეგ მასწავლებელი დაფაზე წერს სიტყვებს, რომელთაგან ზოგიერთი ხილის სახელია, ზოგი - არა.
  7. **ნაცნობი სიტყვები ტექსტში** - მასწავლებელი ამზადებს ტექსტს, რომელიც შეიცავს მოსწავლეებისთვის ნაცნობ სიტყვებს და გამოაკრავს დაფაზე. (სასურველია, რომ ასოების სიდიდე იყოს 8 სმ). შემდეგ კონკრეტული ინსტრუქციით აძებნინებს ნაცნობ სიტყვებს („წაკითხე მესამე სტრიქონის მეორე სიტყვა“; ან „მოძებნე სიტყვა ”ვაშლი“ მეორე სტრიქონზე”).
  8. **„თევზაობა“.** **მიმღინარეობა:** თამაშობს ორი ან ოთხი მოსწავლე სიტყვების ბანქოთი. თითოეულს აქვს 6 ბარათი. ერთი დადებს მაგიდის ცენტრში ბანქოს რაიმე სიტყვით და ამბობს, რა სიტყვა (კითხულობს). შემდეგი მოთამაშე იღებს თავის ბარათს, თუ მასზე იგივე სიტყვაა დაწერილი და დაუდებს გვერდით პირველ ბარათს. თუ არა ქვს ასეთი ბარათი, მიდის „სათევზაოდ“ და იღებს ახალ ბარათს. თუ იქაც არ არის ეს სიტყვა, სვლა გადადის შემდეგ მოთამაშესთან, რომელმაც უნდა დადოს ბარათი იმავე სიტყვით და წარმოოქვას ეს სიტყვა ხმამაღლა. თუ ვერ ამბობს, ბარათები მიაქვს იმას, ვინც იტყვის. მოგებულია ის, ვისაც ყველაზე მეტი ბარათი აქვს. ე.ი. თითოეულმა მოთამაშემ უნდა შეადგინოს 2X2 ან 4X4 ერთნაირსიტყვიანი კომპლექტი. იხ. სქემა 7.
- მასალა:** ბანქოს ზომის ბარათები, რომლებზეც ცალკეული სიტყვები წერია.

### სქემა 7.

სირბილი	მაღალი	ბურთი	ფანქარი	ლამაზი	ცურვა
---------	--------	-------	---------	--------	-------

9. **„პასიანსი“.** ბარათების მთელი ნაკრები უნდა გადმოვატრიალოთ და დავაწყოთ 5-6 რიგად. თითოეული მოთამაშე იღებს ორ ბარათს, დაანახებს სხვა მოთამაშეებს მათ და თუ ერთნაირი არ იქნება, ისევ უკან დებს. მასწავლებელი: “თამაშის მიზანია, დაიმახსოვრო, რომელი სიტყვა სად დევს და ამოიღო შენი ჯერის მოსვლისას. , ორი ერთნაირი ბარათის პოვნის შემთხვევაში, ბარათებიც და შემდეგი სვლაც შენია. ყველა გადმოტრიალებული ბარათი ხმამაღლა უნდა წაიკითხო”. **მასალა:** ნაკრები ბანქოს ზომის ბარათებისა, რომლებზეც ცალკეული სიტყვები წერია.

**შესრულებული სიტყვის ორთოგრაფიული ხატის ანალიზი**

1. **ასოს ამოცნობა სხვა სიტყვებში** - მოსწავლეს ვთხოვთ ამოცნობილ სიტყვა-ში ერთ-ერთი ასოს, ვთქვათ, ნითლად გაფერადებას. შემდეგ სხვა სიტყვებში უნდა მოძებნოს იგივე ასო და იმავე ფერად (ნითლად) გააფერადოს შერჩეული ასოს შემცველი სხვა სიტყვები.
2. **სიტყვების შედარება** - დაფაზე იწერება სიტყვები, რომელთა ხატის დამახსოვრებაზეც მოსწავლეებს უკვე უმუშავით. მოსწავლეები ერთმანეთს ადარებენ სიტყვებს, მასწავლებლის დახმარებით პოულობენ მსგავსებებს (საერთო ასო, მარცვალი, მათი მდებარეობა).
3. **სიტყვის გაფერადება შემადგენელი ასოს გათვალისწინებით** - მასწავლებელი გამოაკრავს დაფაზე ორ ასოს და თითოეულს შეუსაბამებს რაიმე ფერს. მაგალითად, ხ - ნითელი ფერისაა, ვ - მწვანე. შემდეგ მასწავლებელი მოსწავლეებს შესთავაზებს ცხრილში ჩასმულ ნაცნობ სიტყვათა ჩამონათვალს. ხ-ს შემცველი სიტყვები მოსწავლეებმა წითლად უნდა გააფერადონ, ხოლო ვ-ს შემცველი სიტყვები - მწვანედ. მაგალითად:

ზღარბი	ზღვა	წვიმა
ბიჭი	ღრუბელი	ბურთი
თაგვი	თევზი	ყვავილი
ყვავი	ვარდი	ბაყაყი

4. **ასოზე ნადირობა** – ანბანში ავირჩევთ ერთ-ერთ ნაცნობ ასოს, მოსწავლეებს მივცემთ რაიმე ნიგნს და ვთხოვთ, იპოვონ ეს ასო გარკვეული რაოდენობით (ვინც ხალისით ეკიდება ასეთი ტიპის აქტივობებს, იმას მეტ რაოდენობას განვუსაზღვრავთ, ვისაც უჭირს - ნაკლებს. სიაზეც იგივე ითქმის – შესაძლებლობების და მიდრეკილებების მიხედვით, მოსწავლეებს ამოსაცნობ სიტყვათა სიაში სხვადასხვა რაოდენობისა და სირთულის სიტყვებს შევთავაზებთ).
5. **ასოს დაკავშირება შესაბამის სურათთან** (ასო უნდა გამოხატავდეს ნახატზე გამოსახული საგნის პირველ ასოს).
6. **დიდ სიტყვაში პატარა სიტყვის პოვნა** (მაგალითად, მახე).
7. „**აფრინდა, აფრინდა**“ - მასწავლებელი დაფაზე წერს სიტყვებს, მოსწავლეები ხელს ასწევენ მხოლოდ მაშინ, როცა მასწავლებელი წინასწარ მითითებულ ასოს დაწერს.
8. **სიტყვაში მარცვლის იდენტიფიცირება** - მასწავლებელი მოსწავლეებს აძლევს სამ სვეტში გადანაწილებულ სამ მარცვალს (მაგალითად: გა, ტი.

გო ) და ისეთ სიტყვათა ჩამონათვალს, რომლებიც ამ მარცვლებიდან ერთ-ერთს მაინც შეიცავს. მოსწავლეებმა უნდა იპოვონ სიტყვებში ეს მარცვლები და სათანადო სვეტში გადაანაწილონ ისინი.

- **ვარიანტი -** შეიძლება იმავე ტიპის სავარჯიშო გაკეთდეს ასოების (და არა მარცვლების) გათვალისწინებით.
- 9. **სიტყვაში ასოების იდენტიფიცირება.** თამაში - "ქურდს უნდა . . ." - მოსწავლეებს ვაძლევთ ტექსტს ან სიტყვათა ჩამონათვალს და ვეუბნებით, რომ ქურდს სურს მოპარვა სიტყვებისა, რომლებშიც არის ესა თუ ის ასო/ასოები. მასწავლებელი მოსწავლეებს სთავაზობს: „იპოვეთ და ხაზი გაუსვით ამ სიტყვებს და ქურდი მათ ვერ წაიღებს“.

**უნარი** - სიტყვების, მოკლე წინადადებების გაშიფრვა, ანუ გამთლიანება, სიტყვის ორთოგრაფიული ხატის სინთეზი და ანალიზი, კითხვის მოქნილობა

1. **ხმამაღალი კითხვა;**
2. **სიტყვის აწყობა მოძრავი ანბანით** - მოსწავლე სიტყვის აკუსტიკურ, ანუ ხმოვან ხატს ბეჭრებად დაშლის (ანალიზი); დაადგენს, რა ასოები დასჭირდება მას ამ სიტყვის ასაწყობად, შემდეგ სიტყვის ბეჭრით თანმიმდევრობას გადაიტანს ასოების თანმიმდევრობაში (სინთეზი) და წაიკითხავს სიტყვას.
3. **სიტყვის აწყობა** - მასწავლებელი მოსწავლეთა ჯგუფებს დაურიგებს ერთი რომელიმე სიტყვის შესაბამის ასოებს. თვითონ კი ყველას დასანახად ხელში უჭირავს ბარათი, რომელზეც ეს სიტყვაა დაწერილი. მოსწავლეებმა დარიგებული ასოები ისე უნდა განააღმართონ, რომ საჭირო სიტყვა გამოვიდეს (ამ დროს შეიძლება რამდენიმე ჯგუფმა იმუშაოს პარალელურად).
4. **სიტყვის შეცვლა ერთი ასოს ჩანაცვლებით** - მოსწავლეებს ვთავაზობთ სიტყვებს, რომლებიც ერთი ასოს ჩანაცვლებით იცვლიან მნიშვნელობას (მაგალითად, ხარი-ბარი; ქარი-კარი). მივუთითებთ მათ ჩასანაცვლებელ ასოზე და ვთხოვთ, რომ მის ნაცვლად „ჩასვან“ ისეთი ასო, რომ სხვა სიტყვა მივიღოთ.
5. **არეული თანამიმდევრობით ასოების მიცემა.**
6. **რეპუსების ამოცნობა.**
7. **ახალი სიტყვების შედგენა მოცემული სიტყვის ასოებით ან მოცემული ასოებით** - ვარიანტი - რამდენიმე წუთში იპოვონ განსაზღვრული რაოდენობის ორ/სამმარცვლიანი სიტყვები.
8. **ზედმეტი სიტყვის პოვნა** - დახატულია საგნები, ნაცნობი პერსონაჟები. სურათის ქვემოთ წერია ყველა შესაბამისი სიტყვა + ერთი ზედმეტი - მოსწავლემ ზედმეტი სიტყვა უნდა იპოვოს.

9. სიტყვების ჩამონათვალს აკლია მარცვალი - მოსწავლეებმა უნდა გადაიწერონ სიტყვები და ჩამატონ საჭირო მარცვალი.

აკლია მარცვალი	ნაკული სიტყვა თავიდან დაწერე სრულად
თუ.... ყუში	თუთიყუში
ყვა.... ლი	

- ვარიანტი - გაადვილების მიზნით, შეიძლება მოსწავლეს შევთავაზოთ ნაკლული მარცვლებიც. მაგალითად:  
მაიმუნს ძალიან უყვარ... ნანი  
ანას უნდა ნა... ნი.  
**პირობა** - შეავსე სიტყვები შემდეგი მარცვლების გამოყენებით: ბა, ყი  
**შენიშვნა** - იგივე აქტივობა ტარდება ასოზე (და არა მარცვალზე).

10. არეული მარცვლების დაკავშირება ცხრილში არეულადა მოცემული სიტყვის მარცვლები - მოსწავლემ უნდა ამოიცნოს სიტყვა და გადაიწეროს იგი.

თი	ში
ყუ	თუ

11. არეული მარცვლებით სიტყვის შედგენა - მასწავლებელი მოსწავლეებს შემდეგ ინსტრუქციას აძლევს: „დაალაგე მარცვლები ისეთი თანმიმდევრობით, რომ გამოვიდეს სიტყვა; მიღებული სიტყვა გადაიწერე“.
12. მარცვლების პოვნა სიტყვებში - მასწავლებელი მოსწავლეებს აძლევს სამგანსხვავებულ მარცვალს, განაწილებულს სამ სკეტში (მაგალითად: გა, ტი. გო ), აგრეთვე ჩამონათვალს იმ სიტყვებისა, რომლებიც ამ სამი მარცვლიდან ერთ-ერთს მაინც შეიცავს. მოსწავლეებმა უნდა იპოვონ სიტყვებში ეს მარცვალი/მარცვლები და გაანაწილონ სიტყვები სათანადო სკეტებში.
13. სიტყვების ანბანური რიგით დაწყობა - მოსწავლეებმა სიტყვათა ჩამონათვალში მოცემული სიტყვები უნდა განალაგონ ანბანური რიგით (ანბანი ხელმისაწვდომი უნდა იყოს).
14. მოცემული მარცვლებით სიტყვების შედგენა (ან რაც შეიძლება მეტი სიტყვის შედგენა).
15. მარცვლების გამთლიანება და სიტყვის გადაწერა - ცხრილში „გახლეჩილად მოცემული მარცვლები (უმჯობესია, ორმარცვლიანი სიტყვების შერჩევა)

მოსწავლეებმა უნდა გაამთლიანონ და გადაიწერონ სიტყვები (უფრო რთული ვარიანტი - „გახლეჩილი“ მარცლები მოცემულია არეულად, თანამიმდევრობის დარღვევით).

### პირველი ვარიანტი

გაამთლიანე სიტყვები და დანერე (I და II კლასები)		
ვა	შლი	ვაშლი
ბურ	თი	

### მეორე ვარიანტი

გაამთლიანე სიტყვები და დანერე (I და II კლასები)		
ბა	ტი	ვაშლი
ბუშ	გა	
ქოლ	ლი	

16. **სიტყვების გადაწერა სიგრძის მიხედვით** - მოსწავლეებს ეძლევათ სხვადასხვა სიგრძის სიტყვები. მათ უნდა განალაგონ და გადაიწერონ სიტყვები მათი შემადგენელი ასოების რაოდენობის მიხედვით მზარდი ან კლებადი სახით.
17. **საერთო ასოს პოვნა** - მოსწავლეს ვაძლევთ სიტყვათა ჩამონათვალს და ვთხოვთ, იპოვოს და შემოხაზოს ის ასო, რომელიც საერთოა ყველა სიტყვისთვის.
18. **შესაბამისისიტყვისპოვნადაგადაწერა**-მოსწავლეებსვაძლევთხუთსვეტიან ცხრილს. პირველსვეტშიმოთავსებულიასურათი. მისგანვრივ, ამავემწკრივის 4 უჯრაში წერია სიტყვები, რომელთაგან მხოლოდ ერთი შეესაბამება სურათს. მოსწავლემ უნდა იპოვოს, რომელია შესაბამისი სიტყვა და გადაიწეროს იგი.

დათვი (ნახატი)	დათო	დალი	დათვი	ბალი
ბუშტი ა (ნახატი)	ბურთი	კუდი	ქუდი	ბუშტი
ჟირაფი (ნახატი)				

- (ქართულ/მშობლიურისთვის) - მოსწავლეებს ვაძლევთ ზმნისწინებს და ზმნა-თა ჩამონათვალს. მათ ამ ზმნისწინებით უნდა აწარმოონ ახალი ზმნები (**მაგალითობა, გადა, წამო, გა — სვლა, ხტომა, ტარება და სხვა**).
- 19. სიტყვების გარკვეული ნიშნით გადაწერა** - მოსწავლეებმა ტექსტიდან უნდა გადმოიწერონ სიტყვები გარკვეული ინსტრუქციის მიხედვით. **პირობა:** გადაიწერე სიტყვები, რომლებიც იწყება „ბ“ ასოზე; გადაიწერე სიტყვები, რომლებსაც დეფისი აქვთ; გადაიწერე ოთხასოიანი სიტყვები და სხვა.
  - 20. მცდარი სიტყვები** - მასწავლებელი დაფაზე ხატავს ნახატების ერთ წყებას და ქვემოთ მიუწერს სათანადო სახელს, ზოგიერთს მიუწერს მცდარად. **პირობა:** გადაიწერე მხოლოდ იმ ნახატების სიტყვები, რომლებიც ნახატს შეესაბამება.
  - 21. შინაარსობრივი წყვილები** - მოსწავლემ უნდა დააწყვილოს სიტყვები, რომლებიც შინაარსობრივად უკავშირდება ერთმანეთს. მაგალითობა, ცხრილის მარცხენა სვეტში წერია - მეპურე, მეყვავილე, მეხორცე და ა.შ. მეორე სვეტში არეულადაა მოცემული ხელობის აღმნიშვნელი ამ სახელებთან დაკავშირებული სიტყვები: პური, ხორცი და სხვ. მოსწავლემ უნდა დააკავშიროს პური მეპურესთან, ხორცი მეხორცესთან და ა.შ.
  - 22. შესაბამისობების ცხრილი** - დაწყვილება სუბიექტების შესაბამის მოქმედებებთან (მაგალითობა, კატა - კნავის; მერცხალი დაფრინავს და ა. შ.). ცხრილის პირველ ვერტიკალურ სვეტში სუბიექტებია მოცემული (მაგალითობა, ცხოველები); ზედა პორიზონტალურ სვეტში – შესაბამისი მოქმედებები. მოსწავლემ უნდა მონიშნოს შესაბამისი უჯრა. შეიძლება ერთი და იგივე მოქმედება რამდენიმე სუბიექტს უკავშირდებოდეს. შესაბამისად, ერთ სვეტში შეიძლება რამდენიმე უჯრა მოინიშნოს. (ინტერაქციაში - უცხოური ან მეორე ენის გაკვეთილზე, მოსწავლეები ცხრილზე დაყრდნობით ისაუბრებენ. მშობლიური ენის გაკევთილზე კი მოსწავლეებმა აგრეთვე უნდა განმარტონ, რატომ მონიშნეს ესა თუ ის უჯრა. განსხვავებული აზრის გამოთქმის შემთხვევაში კი დაასაბუთონ საკუთარი თვალსაზრისი).
  - 23. სიტყვის ტრანსფორმირება ინსტრუქციის მიხედვით** - მოსწავლეს ვაძლევთ ოთხ-ხუთ სიტყვას და ინსტრუქციას, რომლის მიხედვითაც ზოგ სიტყვას უუმატებთ ასოს, ზოგს ვაკლებთ, ზოგს კი ვუცვლით (მაგალითობა, სიტყვა ვაშლი - სიტყვის ბოლოს დაუმატე ასო "ა" და ისე დაწერე).
  - 24. დიდ სიტყვაში პატარა სიტყვის პოვნა** - მასწავლებელი ჩამონერს სიტყვებს, რომელთა ნაკითხვაზეც მოსწავლეებს უვარჯიშიათ. შემდეგ მათ აძლევს მცირე ზომის სიტყვებს. ინსტრუქცია: „იპოვე დიდ სიტყვებში პატარა სიტყვები და ხაზი გაუსვი“ (მაგალითობა: ხე ალი და ია კი თუ არ – მახე; თვალი; დათვის; გალია; ზოოპარკი; არწივი; თუთიყუში და სხვა).
  - 25. სიტყვების მოძებნა და გადაწერა ინსტრუქციის მიხედვით** - მოსწავლეებმა ტექსტიდან უნდა გადმოიწერონ სიტყვები გარკვეული ინსტრუქციის მიხედვით. **ინსტრუქცია:** „გადაიწერე სიტყვები, რომლებიც იწყება „ბ“ ასოზე“; „გა-

დაიწერე სიტყვები, რომელსაც აქვს დეფისი“; „გადაიწერე ოთხასოიანი სიტყვები“ და სხვა.

26. **სიტყვების გადაწერა და ნაკარნახევი სიტყვების მათთან დაწყვილება -** მოსწავლეები გადაიწერენ 5-6 სიტყვას დაფიდან. შემდეგ მასწავლებელი ამ 6 სიტყვიდან კარნახობს ორს ან სამს. მოსწავლემ ნაკარნახევი სიტყვები უნდა მიუწეროს სათანადო სიტყვას.
27. **იდუმალი სიტყვა -** სიტყვათა ჩამონათვალიდან მოსწავლეებმა უნდა ამოიცნონ და გადმოიწერონ იდუმალი სიტყვა. **ინსტრუქცია:** „იდუმალი სიტყვა იწყება “თ” ასოთი და სრულდება ასო “ა”-თი“; ან „იწყება “ს” ასოთი და აღნიშნავს ცხოველს“ და სხვა.
28. **წაკითხული წინადადების შესაბამისის პოვნა სამი ვარიანტიდან -** მოსწავლე კითხულობს ერთ წინადადებას. შემდეგ მას სთავაზობენ ამ წინადადების სამ ვარიანტს. მოსწავლემ უნდა ამოიცნოს, რომელია მის მიერ მანამდე წაკითხული ვარიანტი.

## 29. “ჰიცა”


**მიზანი:** მარცვლების გამთლიანება სიტყვებად

**მასალა:** ერთჯერადი თევზი, ბარათები, სამაგრები.

**მიმდინარეობა:** ერთჯერადი თევზის შუაში დავაკრათ სიტყვის ძირი, თავსართი ან ბოლოსართი. ცალკე ბარათებზე წერია სხვადასხვა დაბოლოება. მოსწავლემ უნდა იპოვოს შესაბამისი ბარათი და სამაგრით მიამაგროს იგი თევზს (იხ. დიაგრამა 1.).

**კავშირი სტანდარტთან -** შედეგი: ქართ. I.6; ქართ. I.7; უცხ.დ. 01.5

## დიაგრამა 1.



## გაგება - ამოცნობა

1. ნახატის შესაბამისი წინადაღების არჩევა - მოცემულია ნახატი, რომელის გასწორივ წერია ნახატის შესაძლო სათაურის სამი-ოთხი ვარიანტი. ამ ვარიანტებიდან მხოლოდ ერთი შეესატყვისება ნახატს. მოსწავლეებს ვთხოვთ, იპოვონ ნახატის შესატყვისი ვარიანტი და გადაიწერონ იგი. (შენიშვნა - შერჩეული სურათი შესწავლილ მასალას უნდა ეფუძნებოდეს).

ფეხბურთის ბურთი (ნახატი)	1. დიდი მოედანი 2. ფეხბურთის ბურთი 3. ფეხბურთის თამაში 4. ტენისის ბურთი
თეთრი დათვი (ნახატი)	1. დიდი სპილო 2. მურა დათვი 3. თეთრი დათვი 4. პატარა ცხოველი 5. საშიში ძალლი
და ასე შემდეგ	

2. I-II კლასები - სწორია თუ მცდარი - განვლილ მასალაზე დაყრდნობით მას-ნავლებელი დაფაზე წერს წინადაღებას, რომელთაგან ზოგი სწორია, ზოგი კი - მცდარი. მოსწავლემ უნდა მონიშნოს სწორი ვერსია.

3. I კლასი - ინსტრუქციის ნაკითხვა - მასწავლებელი დაფაზე წერს ინსტრუქ-ციას (რაიმე სახის დავალებას/თხოვნას), რომელიც გამიზნულია კონკრეტ-ული მოსწავლისთვის. მაგალითად, „გააღე კარი, კოკა!“ - კოკამ ხელი უნდა ასწიოს და დავალება შეასრულოს; „წიგნი ჩანთაში ჩადე, მანანა!“, „ფანჯარა გააღე, გია!“ ან მთელი კლასისთვის - „ყველანი ფეხზე ადექით“ და სხვ.

- I-II კლასები - ინსტრუქციის კითხვა - მოსწავლემ ინსტრუქციის მიხედვით უნდა შეარჩიოს და გადაიწეროს წარმოდგენილი სი-ტყვები. მაგალითად, მოცემულია შემდეგი სიტყვები - თუთი-ყუში, დათვი, მერცხალი, ბანანი, ბალი, ძალლი, ვაძლი, ჩაქუჩი.

- იქვე მოცემულია შემდეგი ინსტრუქციები:
  - ამ ხაზზე გადაიწერე ხილის სახელები: -----.
  - ამ ხაზზე გადაიწერე ცხოველების სახელები-----.
  - და სხვა.

**შენიშვნა -** წარმატებული მოსწავლეებისთვის აქტივობა შეიძლება გართულ-დეს შემდეგნაირად:

- ამ ხაზზე გადაიწერე ერთი ცხოველისა და ერთი იარაღის სახელი.
- ამ ხაზზე გადაიწერე ავეჯის სახელი (ანუ დავავალებთ იმ სახელებსაც, რომლებიც სიაში არ არის წარმოდგენილი).

4. **ადრეულად I-II კლასები - გადაადგილე პირობის მიხედვით - ცხრილში ხატია მოსწავლეთათვის ნაცნობი პერსონაჟები, რომლებიც მოსწავლემ უნდა გადაადგილოს ისრის გამოყენებით პირობის მიხედვით. მაგალითად:**

	თევზი (ნახატი)		
		კუ (ნახატი)	
		თუთიყუში (ნახატი)	
	ძალლი (ნახატი)		

- თევზი „მიდის“ მარჯვენა უჯრედში.
- კუ „ადის“ ზედა ჯრედში.
- თუთიყუში „ჩადის“ ქვედა უჯრედში.
- ძალლი „ჩადის“ თუთიყუშის მარჯვენა უჯრედში

5. **I-II კლასები - ორი ტექსტის შედარება მესამესთან, „გამქრალი“ან დამ-ატებული სიტყვების გადაწერა.** მოსწავლეს მიერნოდება ნასწავლი მოკლე ტექსტის ორი ვარიანტი. ერთი ვარიანტი ზუსტად იმეორებს ნასწავლ ტექსტს, მეორეში ზოგიერთი სიტყვა გამოტოვებული, ზოგი - დამატებული, ზოგი კი შეცვლილია. მოსწავლე ასრულებს შემდეგ ინსტრუქციას:

- გადაიწერე ის სიტყვები, რომლებიც „გამქრალია“ მეორე ტექსტში;
- გადაიწერე ის სიტყვები, რომლებიც დამატებულია მეორე ტექსტში;
- გადაიწერე ის სიტყვები, რომლებიც შეცვლილია;

6. I-II კლასები - გამოცანის წაკითხვა და ამოცნობა, საკითხავი გამოცანა - მასწავლებელი დაფაზზე წერს რამდენიმე ფრაზას, რომლებიც აღწერს/ახასიათებს საგანს, პერსონაჟს (მაგალითად, ვინ არის? მას აქვს . . . , ის ატარებს. . . ; ის არის . . . - -----). მოსწავლემ უნდა ამოცნოს, ვინ/რა არის და პასუხი რვეულში ჩაწეროს (მშობლიურ ენაში ამ აქტივობას უნდა მოჰყვეს მსჯელობა - მოსწავლეებმა უნდა დაასაბუთონ საკუთარი პასუხები. რატომ იფიქრეს ასე, მოსწავლებებმა უნდა დაასაბუთონ თავიანთი პასუხი). მაგალითად, ვინ ვარ? მაქვს ბეწვი, ვცხოვობ ბუნაგში, მიყვარს თაფლი . . . მე ვარ -----).
7. I-II კლასები - ასოციაციური თამაში - მოსწავლემ ნასწავლი ტექსტიდან უნდა ამოკრიფოს და გადაინტეროს კონკრეტულ თემასთან დაკავშირებული ლექსიკა (მასწავლებელი თემას შეარჩევს ტექსტის შინაარსიდან გამომდინარე. ეს შეიძლება იყოს არდადეგები, სიცხე, სიცივე, ქალაქი, სოფელი და სხვა).
8. ტექსტში სიტყვების მოძებნა ინსტრუქციის მიხედვით - კითხვის ერთი მონაკვეთის დასრულებისას, შესაძლოა მოსწავლეებისთვის ასეთი თამაშის შეთავაზება: ვეუპნებით, რომ ისინი არიან მაძიებლები და შინაარსზე დაყრდნობით უნდა იპოვონ ზოგიერთი სიტყვა. პირობა: ამა და ამ გვერდზე იპოვე სიტყვა, რომელიც აღნიშნავს ამას და ამას.
  - **სხვა ვარიანტი:** ამა და ამ გვერდზე იპოვე ორი ყვავილის (ან სამი ცხოველის და სხვ.) სახელი;
  - **სხვა ვარიანტი:** რამდენი ცხოველის სახელია ამა და ამ გვერდზე? გადმოიწერე.
9. ერთი სემანტიკური ველის სიტყვების მოძებნა - მოსწავლეებს ურიგდებათ შესწავლილი ტექსტის ქსეროასლი, მათ ხაზი უნდა გაუსვან ერთი სემანტიკური ველის სიტყვებს (პერსონაჟები, ცხოველები, ტანსაცმელი და სხვა). პირობა: ხაზი გაუსვით ამინდის აღმნიშვნელ სიტყვებს.
10. ნახატთან შესაბამისი სიტყვების მოძებნა - მასწავლებელი დაფაზე ხატავს ნახატების ერთ წყებას და მათ ქვემოთ სათანადო, ზოგან კი მცდარ სახელებს მიუწერს. პირობა: „გადაინტერე მხოლოდ იმ ნახატების სიტყვები, რომლებიც ნახატს ესადაგება“.
11. ტექსტთან შესაბამისი ნახატის პოვნა - მასწავლებელი ამზადებს რამდენიმე მსგავს ნახატს. მოსწავლეებს დაურიგებს წერილობით აღწერას, რომელიც მხოლოდ ერთ ნახატს შეესაბამება. პირობა: „იპოვე, რომელი ნახატია აღწერილი და გააფერადე“ (მაგალითად, სახლს წითელი სახურავი აქვს. სახლის წინ მაღალი ხეა. სახლის გვერდით ბაღია).
12. აპზაცის მოძებნა და მისი შინაარსის შესაბამისი ნახატის დახატვა - მასწავლებელი წაკითხული ტექსტიდან შეარჩევს აპზაცს, რომელიც ნახატების

შექმნის შესაძლებლობას იძლევა. პირობა: „ამა და ამ გვერდზე წაიკითხე აბზაცი, რომელიც იწყება ასე :”...“. „დახატე, რას მოგვითხრობს ეს აბზაცი/ ნაწყვეტი“.

13. **ორი ტექსტის მესამესთან დაკავშირება** - მასწავლებელი მოსწავლეებს შეს-თავაზებს წაკითხული ტექსტის ორ ვარიანტს. ერთ-ერთში მცირე ცვლილე-ბებია შეტანილი. პირობა: „გადაიწერე, რომელი სიტყვებია აკლია ტექსტში“; „გადაიწერე, რომელი სიტყვებია დამატებული ტექსტში“.
14. **შეპარული წინადადებება** - კლასში წაკითხულ ტექსტს მასწავლებელი გადაწერს და შიგადაშიგ შეაპარებს სხვა წინადადებებს. **ინსტრუქცია:** „გახ-აზე წინადადებები, რომლებიც წაკითხულ შინაარსს არ შეესაბამება“.

## სასწავლო სტრატეგიები

70-იან წლებში, როცა მოსწავლე ზეორიენტირებულ სწავლებასთან დაკავშირებით დიდაქტიკაში გაჩნდა ახალი მიმდინარეობები და მიღებომები, დიდი დაინტერესება გამოიწვია სასწავლო სტრატეგიებმა. რა მიზეზები განაპირობებს წარმატებას თუ წარუმატებლობას სწავლაში; როგორ და რატომ ხდება, რომ ერთნი ბევრს ითვისებენ, მეორენი - ცოტას, მესამენი კი - ვერაფერს. აი, საკითხები, რომელთა კვლევა-ძიებაც წარმოიწყეს დიდაქტიკოსებმა. პირველი იყო სტერნი, რომელიც შეეცადა წარმატებული მოსწავლის პროფილის შედგენას, ანუ დაედგინა ის თვისებები, ქცევები, რომლებიც სწავლაში წარმატებების საწინდარია. მისმა გამოკვლევებმა ბიძგი მისცა ახალ ტალღას კვლევა-ძიებისა, რომელთა საგანი სასწავლო სტრატეგიები გახდა.

მრავალნლიანი დაკვირვებისა და ექსპერიმენტული გამოკვლევების შედეგად, დიდაქტიკამ დაადგინა, რომ წარმატებული სწავლის გარანტი არის სტრატეგიული კომპეტენცია, უნარი სასწავლო სტრატეგიების გამოყენებისა. სწორედ ეს არის წარმატებული და წარუმატებელი მოსწავლის განმასხვავებელი მახასიათებელი. მასწავლებელს შეუძლია დიდი წვლილის შეტანა მოსწავლეთა სასწავლო უნარების განვითარებაში. ამისთვის მას მოუწევს მოსწავლეთა აზროვნებასთან დაკავშირებულ პროცესებზე დაკვირვება, რათა განსაზღვროს და შემდეგ განიხილოს მათი დამოკიდებულებები, მიღებომები სპეციფიკური დავალების მიმართ (მაგალითად, დამახსოვრების, სიახლის აღქმის და სხვა ხერხები). განხილვის მიზანია მოსწავლეებისთვის სასწავლო სტრატეგიების მრავალფეროვანი სპექტრის გაცნობა და მათი პრაქტიკული გამოყენება, რადგან წარმატება სწავლების განსხვავებული სტრატეგიების ფლობითა და კონკრეტულ შემთხვევაში მისთვის ყველაზე ეფექტურის არჩევით განისაზღვრება.

უცხოური ენების საგნობრივ სტანდარტებში მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა მოსწავლეთა კომუნიკაციური უნარების განვითარებისთვის საჭირო სასწავლო სტრატეგიულ კომპეტენციებს. წინამდებარე გზამკვლევი გთავაზობთ მოკლე აღწერას იმ სასწავლო სტრატეგიებისა, რომლებიც აქტიურად გამოიყენება დაწყებითი საფეხურის სხვადასხვა დონეზე.

**მოსწავლეს შეუძლია შინაარსის გასაგებად სათანადო სტრატეგიების გამოყენება.**  
**უცხ.დ. I.4.; უცხ.დ. II.4; დ.III.4; დ.IV.4; დ.V.4; დ.VI.**

### ვარაუდის გამოთქმა

ვარაუდის გამოთქმა გარკვეულ ცხოვრებისეულ გამოცდილებას უკავშირდება. მოცემულ საფეხურზე მოზარდთა მოკრძალებული გამოცდილება, რომელიც, ძირითადად, სათამაშოებით, ილუსტრირებული საბავშვო წიგნებით, ფილმებით და ა.შ. შემოიფარგლება, სწავლების პროცესში მნიშვანელოვან საყრდენს წარმოადგენს მასწავლებლისთვის.

მასწავლებელი ათავსებს დაფაზე პოსტერს მოურთავი ნაძვის ხის ილუსტრაციით (ან დემონსტრირებისთვის იყენებს პატარა ნაძვის ხეს), შემდეგ მაგიდაზე დგამს ყუთს წინასწარ მომზადებული რეალიებით/ნახატი-პარათებით (ნაძვის ხის მოსართავი სათამაშო ფიგურებით, მაგალითად, ფიფქები, ბურთები, თოჯინები და ა.შ.).

- პირველ ეტაპზე მოზარდებს ევალებათ გაკვეთილის თემატიკის გამოცნობა (აღნიშნულ შემთხვევაში - ახალი წელი);
- მათი მომდევნონ დავალებაა, გამოიცნონ, საახალწლო ნაძვის ხის რა მოსართავი ატრიბუტებია მოთავსებული ყუთში. ყველა მოსწავლე, რომელიც სწორ ვარაუდს გამოთქვამს, თავად ამოიღებს სათამაშოს ყუთიდან და მიამაგრებს პოსტერს ან ჩამოკიდებს ნაძვის ხეზე.
- გ) მესამე ეტაპზე მოსწავლები ისმენენ ტექსტს მათ მიერ ამოცნობილ თემატიკაზე, რომელიც წინასწარ გამეორებულ და განხილულ ლექსიკასა და ენობრივ სტრუქტურებს შეიცავს.
- დ) შემდეგი ეტაპი, შესაძლოა, შედგებოდეს ტრადიციული სავარჯიშოებიან, რომლებიც მოსმენილი ტექსტის გაგებას ამონდებს.

#### **კომენტარი:**

ვარაუდის გამოთქმა თემატიკის ან ტექსტის შინაარსის შესახებ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სტრატეგიაა, რომელიც მოსწავლეს განაწყობს დასახელებულ თემაზე საფიქრების და გამოცდილების სათაურს თუ ილუსტრაციაზე ასახულ თემას. ამ ტიპის ცოდნისა და გამოცდილების გააქტიურება საგრძნობლად ამარტივებს მოსწავლისთვის აქტივობის მიზნის მიღწევას, ანუ მოსმენილი ტექსტის შინაარსის გაგებას, შესაბამისად, ამაღლებს მათ მოტივაციას.

**მოსწავლეს შეუძლია საკომპენსაციო საშუალებების გამოყენება.**  
**უცხ.დ.IV.13; დ.V.18; დ.VI.18.**

#### **საკომპენსაციო საშუალებების გამოყენება**

სწავლების საწყის საფეხურზე ისეთი არავერბალური საშუალებების გამოყენება, როგორიცაა, მაგალითად, სიტყვის განსახიერება სხეულის ენით ან სხვა სახის მინიშნებებით, ემოციებისა და სათქმელის გადმოცემაში ეხმარება მოსწავლეს.

#### **სანიმუშო აქტივობები: განასახიერე (სიტყვა, წინადადება) და გამოიცანი**

- დაფასთან ზურგით მდგომი მოსწავლის დავალებაა მოსწავლეების მიერ სხეულის ენით განსახიერებული სიტყვა/წინადადების გამოცნობა, რომელიც მასწავლებელმა დაფაზე დაწერა.

2. მასწავლებელი აწვდის მოსწავლეებს კალათს წინასწარ მომზადებული სიტყვა-ბარათებით. მოსწავლეებს ინდივიდუალურად ევალებათ ყუთიდან ამოღებულ ბარათზე აღნიშნული სიტყვის განსახიერება. 2-3 ჯგუფად გაყოფილი მოზარდები შეეცდებიან თანაკლასელების მიერ წარმოდგენილი დავალებების გამოცნობას.

**შენიშვნა:** ა) მოსწავლეთა წასახალისებლად, აქტივობას შეიძლება მიეცეს ჯგუფებს შორის შეჯიბრის ფორმა; ბ) სასურველია, მასწავლებელმა შეარჩიოს ისეთი ლექსიკა, რომლის განსახიერება მოსწავლეებს არ გაუჭირდებათ.

### კომენტარი:

მოზარდებს სისტემატურად უხდებათ ირგვლივ მყოფი ადამიანების მიერ სხვა-დასხვა ნიშნებით გამოხატული ემოციების/სურვილის ამოცნობა და ასეთივე გზით საკუთარის გამოხატვა. ამ აქტივობების მიზანია მოსწავლეთათვის წათელი გახდეს, რომ უცხოური ენის შესწავლისას ამგვარი სრატეგიის გამოყენება დახმარებას გაუწევს მათ ენობრივი დეფიციტის დაძლევაში და სწავლების საწყის ეტაპზე ელემენტარული კომუნიკაციის დამყარების საშუალებას მისცემს.

**მოსწავლეს შეუძლია სხვადასხვა ხერხის გამოყენება ლექსიკური მასალის ასათვისებლად. უცხ.დ. IV.21; უცხ.დ. V.25; უცხ.დ. VI.22;**

### სტრატეგიები ლექსიკის შესასწავლად

ლექსიკური მასალის ათვისება უცხოური ენის სწავლების უმნიშვნელოვანესი ნაწილია. მოსწავლეები დიდ დროს ანდომებენ სიტყვების გაცნობასა და დამახსოვრებას განსხვავებული სწავლების სტრატეგიებისა და ხერხების გამოყენება დააჩქარებს და შედეგიანს გახდის ამ პროცესს.

### სანიმუშო აქტივობა:

მოსწავლეები კითხულობენ ნაწყვეტს უცნობი ტექსტიდან, ასრულებენ ლექსიკურ სავარჯიშოებს. მასწავლებელი ამონმებს მათ მიერ ახალი სიტყვებისას დაუფლების ხარისხს. მომდევნო ეტაპზე მოსწავლეები წყვილებში, ჯგუფებში და შემდეგ კლასში ხმამაღალი ფიქრის, განხილვის სტრატეგიის გამოყენებით ერთმანეთს უზიარებენ საკუთარ გამოცდილებას იმის შესახებ, თუ რომელი ხერხია მათვის ხელსაყრელი ახალი სიტყვების შესწავლისას. მასწავლებელი აჯამებს შედეგებს, მოპყავს დამატებითი მაგალითები და მომდევნო გაკვეთილებზე შესაძლებლობას აძლევს მოსწავლეებს, გამოსცადონ ისინი სხვადასხვა აქტივობაში.

### კომენტარი:

ენის სწავლა-სწავლების მეთოდიკაში არ არსებობს ახალი ლექსიკის დაუფლების ერთი უნივერსალური სტრატეგია, ამიტომ ის გვთავაზობს განსხვავებულ მოდელებს. მაგ.:

სიტყვის მრვალგზის გამეორება, სპეციალურ აქტივობათა სერია (სიტყვებით თამაში), თარგმნა, განმარტება, ილუსტრაცია, ლექსიკონის გამოყენება, სიტყვის

განსხვავებულ კონტექსტში გამოყენება, სიტყვის ავთენტურ კონტექსტში წაკითხვა, დაკავშირება ნასწავლ ლექსიკასთან, სინონიმებისა და ანტონიმების მოშველიება, რამე საგანთან ასოცირება, საუბრების/სიმღერების მოსმენა, ფონოლოგიური ანალიზი და სხვა. მოსწავლეთათვის სტრატეგიების გაცნობა მიზნად ისახავს, დააფიქროს ისინი სწავლის პროცესის ორგანიზების მნიშვნელობაზე.

ლექსიკის გამდიდრებაზე ზრუნვა მჭიდროდ უკავშირდება შინაარსიან კონტექსტზე დაფუძნებული სწავლების პრინციპებს, კერძოდ - კითხვის უნარების განვითარებას. სხვადასხვა ტიპის ტექსტების კითხვა ამდიდრებს მოსწავლეთა ლექსიკურ მარაგს, ეს კი, თავის მხრივ, კითხვისას აიოლებს ინფორმაციის აღქმის პროცესს. შესაბამისად, ლექსიკის შესასწავლი სტრატეგიების გამოყენება მნიშვნელოვანია და დიდ ყურადღებას საჭიროებს.

### მოსწავლეს შეუძლია კითხვის სტრატეგიების გამოყენება.

**უცხ.დ.IV.7; უცხ.დ.V.9; უცხ.დ.V.10;**

#### კატეგორიზაცია:

კატეგორიზაცია გულისხმობს საგანთა გარკვეული ჯგუფების შექმნას მათი საერთო თვისებების მიხედვით. ამ სტრატეგიის გამოყენება ენის შესწავლისას ინფორმაციის აღქმის, დამახსოვრების და დახარისხების საუკეთესო საშუალებაა. იმის მიხედვით, თუ რა მიზანს ისახავს მასწავლებელი, მოსწავლებს შეიძლება დაევალოთ სხვადასხვა ტიპის შინაარსობრივი ჯგუფების შედგენა. ინფორმაციის დახარისხება შესაძლებელია მოხდეს შინაარსის, გრამატიკული კატეგორიების, სიტყვიერი და არასიტყვიერი მაორგანიზებელი ელემენტების და ა.შ. მიხედვით.

#### სანიმუშო აქტივობა: მოძებნე და დაახარისხე

მასწავლებელი კალათიდან მაგიდაზე/იატაკზე ყრის სიტყვა ბარათებს/სურათებს შესწავლილი/ახალი თემებიდან. მაგალითად:

- საკვები, ტანსაცმელი, სასწავლო ნივთები;
- მოძრაობის, საგნის, საგანთა თვისების და ა.შ. აღმნიშვნელი სიტყვები;
- სასვებნი ნიშნები - წერტილი, ტირე, ორი წერტილი და ა.შ.;
- ფრაგმენტები სხვადასხვა ტიპის ტექსტიდან (წერილი, რეკლამა, სტატია და ა.შ.) და სხვა.

დავალების მოთხოვნაა, მოსწავლეებმა დააჯგუფონ ისინი გარკვეული კატეგორიების მიხედვით.

#### კომენტარი:

აღწერილ აქტივობაში ჩამოთვლილი ელემენტების დასაჯგუფებლად კატეგორიზაციის სტრატეგიის გამოყენება ხელს უწყობს კითხვის სტრატეგიების განვითარებას, ტექსტზე მუშაობის ელემენტარული უნარების დაუფლებას.

**მოსწავლეს შეუძლია გრამატიკულ მოვლენებში გასარკვევად სათანადო  
სტრატეგიების გამოყენება. უცხ.დ. V.26. უცხ.დ. V.23.**

**გრამატიკის სწავლება ინდუქციური მეთოდის გამოყენებით**

მოსწავლეთა გრამატიკულ მოვლენებში გასარკვევად ორი მეთოდი გამოიყენება: ფედუქციური, რომლის დროსაც მასწავლებელი განმარტავს გრამატიკულ წესს, და ინდუქციური, როცა მოსწავლეები მოდელზე დაყრდნობით თავად აყალიბებენ მას.

**სანიმუშო აქტივობა:**

მოსწავლეები ჯგუფებად მოშაობისას განიხილავენ რომელიმე გრამატიკულ კატეგორიას რომელიმე ენობრივი სტრუქტურის მაგალითზე და წარუდრგენენ კლასს საკუთარ მოსაზრებებს. მათი განხილვისას მასწავლებელი განმარტავს/დამატებით განმარტავს საკითხს. დასაშვებია ტესტის გამოყენება შედეგის შესამოწმებლად.

**კომენტარი:**

ინდუქციური მეთოდით გრამატიკული მოვლენების განხილვისას შეიმჩნევა მოსწავლეთა განსაკუთრებული დაინტერესება სასწავლო პროცესით. მაღალია მათი მოტივაციის დონე, რაც იწვევს ყურადღების სრულ კონცენტრირებას და მუშაობაში აქტიურად ჩართვას. შედეგად, მოსწავლე უკეთ ერკვევა ენის სისტემაში და ამუნარებს იშველიერს დაშვებული შეცდომების გასააზრებლად.

**იფიქრებმაღლა**

ხმამაღლა ფიქრის სტრატეგია ენის სწავლების მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია, რადგან მისი საშუალებით შესაძლებელია მოსწავლეთა აზროვნების პროცესზე დაკვირვება. მეთოდი შედეგიანია თითოეული მოსწავლის მიერ საკუთარი სწავლის სტრატეგიების აღწერისას და წარმატებულად გამოიყენება ახალი სიტყვების ამოცნობის, გრამატიკული მოვლენების ან სხვა საზროვნო პროცესებზე დაკვირვებისას (იხ. სტრატეგიები ლექსიკის შესასწავლად).

**ჩანაწერების/ჩანიშვნების გაკეთება**

ჩანაწერების სტრატეგია გულისხმობს ინფორმაციის მოსმენისას საკვანძო სიტყვების, მნიშვნელოვანი ინფორმაციის, ძირითადი კონცეფციების ჩანიშვნას გრაფიკულად ან ციფრების სახით, რომლის გამოყენება შესაძლებელია სხვადასხვა მიზნით.

**სანიმუშო აქტივობა:**

დავალების პირობა მოითხოვს, მოსმენილი/წაკითხული თხრობითი ტექსტის შინაარსზე დაყრდნობით მოსწავლემ შეადგინოს მინიტექსტი. მოსმენის/კითხვის დროს მოსწავლე აკეთებს მოკლე ჩანაწერებს გარკვეული სისტემით (მაგალითად,

ქრონოლოგიის დაცვით, მოვლენების/საკვანძო სიტყვების/თარიღების მონიშვნით, და ა.შ.). შემდეგ ახდენს საჭირო ლექსიკის და ენობრივი სტრუქტურების მობილიზებას და თხზავს მინიტექსტს.

### **კომენტარი:**

ჩანაწერების მომზადება მოსმენის/წაკითხვის პარალელურად მნიშვნელოვან რესურსს წარმოადგენს შემდეგი დავალების შესასრულებლად. ის ხელს უწყობს მოსწავლეს მიღებული ინფორმაციის დამახსოვრებასა და ორგანიზებაში. მოსმენილი ან წაკითხული ტექსტიდან მთვარი ინფორმაციის ამოკრეფა თუ საკვანძო სიტყვების ამოცნობა რთული პროცესია. ამ სტრატეგიის დაუფლებას ხანგრძლივი ვარჯიში ესაჭიროება მასწავლებლის კონტროლის ქვეშ. სისტემატური ვარჯიშის შემთხვევაში სასურველია, მოსწავლემ მასწავლებლის მეთვალყურეობით, წერითი ნამუშევრის დახვენაზე იზრუნოს, შესაბამისად, უპირველესად, შავი ვარიანტი უნდა შედგეს, , საკუთარ ჩანაწერებზე და სხვა რესურსებზე დაყრდნობით ნაწერი უნდა შემოწმდეს. შესწორდეს და გადათეთრდეს. (უცხ.დ.III.15-IV.15.).

**პირველი ნაირი  
დოკები I-II  
სანიტარიუმი აქტივობები**

**მიზანი - მოსმენა**

უცხ.დ.I.2. მოსწავლეს შეუძლია მოსმენილი ილუსტრირებული მინიდიალოგების / მონოლოგების გაგება.

**აქტივობა #1**

Title/instruction of the activity	Who's speaking?
Objectives	<ul style="list-style-type: none"> <li>• Improve listening skills;</li> <li>• Identify the speakers in a dialogue</li> </ul>
Materials/Resources	A dialogue, CD player, character flashcards.
Grouping pupils	Whole class
Procedure	<p>Step 1. Demonstrate the character flashcards, elicit and drill the names (e.g. Tom, Mary, Fluffy);</p> <p>Step 2. Play/read the dialogue (See the appendix); Take out one character flashcard each time you hear the relevant character speaking. (e.g. each time you hear Mary speaking, take out the Mary flashcard);</p> <p>Step 3. Play/read the dialogue again and ask the pupils to do the same;</p> <p>Step 4. Play/read again and repeat the procedure with another character (e.g. Fluffy);</p> <p>Step 5. Pupils repeat the Procedure;</p> <p>Step 6. Do the same with the third character;</p> <p>Step 7. Play the recording or read the dialogue once more and this time pupils use all three character flashcards and hold them up each time they hear the relevant character speaking.</p>

**Appendix**

*Sample dialogue:*

*Tom: Hi Mary, Hi Fluffy!*

*Mary: Hello Tom!*

*Fluffy: Woof, woof!*

*Tom: Where are you going?*

*Mary: Oh, to the vet!*

*Fluffy: To the VET??? Oh no!*

*Tom: Ok, see you later. Good luck Fluffy!*

*Fluffy: Wouf, wouf!*

*Mary: See you!*

<p>განმავითარებელი შეფასება</p> <p>Formative Assessment</p>	<ul style="list-style-type: none"> <li>● განმავითარებელი შეფასება სწავლება/სწავლის პროცესის მნიშვნელოვანი ნაწილია, რომლის მიზანი მოსწავლეთა ნინსვლისთვის ზრუნვაა.</li> <li>● მოცემული დავალების ფორმატი ამარტივებს შეფასების პროცესს. დიალოგის ყოველ მოქმედ პირთან სწორად ან არასწორად შესიტყვებული სურათი-ბარათის ჩვენება თვალითათველს ხდის რეალურ შედეგს.</li> <li>● უკეთესი შედეგის მისაღწევად სასურველია, მასწავლებელმა დამატებითი დრო დაუთმოს მასალის მოსმენას და დაიცვას ინტერვალები დიალოგის ფრაზებს შორის.</li> <li>● მნიშვნელოვანია, მასწავლებელმა წახალისების ფორმების გამოყენებით, სამიზნე ჯგუფის წევრები აქტიურად ჩააბას ალტერნატული დავალების შესრულებაში. მაგალითად, ყოველ მოსწავლეს მიანიჭოს თითოეული გმირის როლი. მოსწავლე A - Tom, მოსწავლე B - Mary, მოსწავლე C - Fluffy. შესაბამისად, ისინი წამოდგებიან ყოველ ჯერზე, როცა მათი გმირები ლაპარაკობენ.</li> <li>● მნიშვნელოვანია, არც ერთი მოსწავლე დარჩეს მასწავლებლის ყურადღების მიღმა, საჭიროების შემთხვევაში, აუცილებელია მოსწავლესთან ინდივიდუალური მუშაობის ჩატარება.</li> </ul>
<p>მეთოდიკური კომენტარები</p> <p>Methodological Comments</p>	<ul style="list-style-type: none"> <li>● ამ ტიპის აქტივობა ხელს უწყობს მოსმენის უნარის განვითარებას.</li> <li>● მნიშვნელოვანია, საწყის ეტაპზე მასწავლებელმა თავად შეასრულოს დავალების ერთი პუნქტი, რათა მისი შინაარსი უფრო ნათელი და ადვილად გასაგები გახდეს მოსწავლეთათვის.</li> <li>● წახატი-ბარათების დაკავშირება დიალოგის მოქმედ პირებთან და მათი მიზნობრივად დემონსტრირება მოსწავლეთათვის საყრდენს წარმოადგენს ტექსტის შინაარსის გასაგებად. ამიტომ, ისინი უფრო დიდი ყურადღებით ისმენენ ტექსტს, რაც მიზნის წარმატებით მიღწევის ერთი საწინდარია.</li> <li>● მოსწავლეთა აქტიური ჩართვა პროცესში ინვევს აქტივობით დაინტერესებას და ხელს უწყობს დავალების ინსტრუქციაზე სწრაფ რეაგირებას.</li> </ul>

	<ul style="list-style-type: none"> <li>თუ მასნავლებელს არ მოეპოვება შესაბამისი ნახატი-ბარათები, შესაძლებელია მოსწავლეებმა თავად დახატონ ისინი ან მოამზადონ სიტყვა-ბარათები პერსონაჟების სახელებით (Mary, Tom, Fluffy). სიტყვებს ისინი გადაიხატავენ/გადაწერენ ბარათებზე მასწავლებლის მიერ წინასწარ მომზადებული პოსტერიდან ან დაფიდან.</li> </ul>
--	---

## აქტივობა #2

Title/instruction of the activity	Puppet Show
Objectives	<ul style="list-style-type: none"> <li>Introduce the new language or revise the learned one;</li> <li>Practice listening and comprehension skills;</li> <li>Develop phonological awareness;</li> <li>Communicate through minimal interaction.</li> </ul>
Materials/Resources	A Puppet/ A toy.
Grouping pupils	Whole class/individual
Procedure	<p>Step 1. Bring in a toy. Introduce it as your friend e.g. “Charles”;</p> <p>Step 2. Role-play the dialogue with “Charles”. Try to imitate different voices and intonation (See the appendix);</p> <p>Step 5. Change roles. Class repeats “Charles” lines;</p> <p>Step 6. Pupils role-play the dialogue with each other. (Alternatively, pupils may have their own friend - toys and they may imitate those voices).</p>

### Appendix

Sample dialogue:

*T: Hallo, Charles*

*Ch: Hi, (... your name...)*

*T: How are you today?*

*Ch: I'm fine and you?*

*T: I'm Ok, What a lovely day, isn't?*

*Ch: Yeeeeeh, Nice day to go fishing!....etc*

*Step 3. Tell pupils now they have to talk to “Charles”. Drill the phrases as many times as needed as a whole class and individually;*

*Step 4. Class role-play the dialogue with “Charles” For example:*

*P: Hallo, Charles*

*Ch: Hi, (... your name...)*

*P: How are you today?*

*Ch: I'm fine and you?....etc*

განმავითარებელი შეფასება  Formative Assessment	<ul style="list-style-type: none"> <li>წარმოდგენილ აქტივობაში შეფასების საგანი მოსწავლეთა ფონოლოგიური შესაძლებლობებია. ჩვეულებრივ, მოზარდებს უჭირთ უცხოური ბერების/ფრაზების გამოთქმა, ამიტომ მოცემულ ეტაპზე აღნიშნული უნარების სწორად განვითარებას დიდი ყურადღება და დრო უნდა დაეთმოს.</li> <li>ახალ ლექსიკურ მასალას მასწავლებელი, უპირველესად, ამუშავებს ყველა მოსწავლესთან ინდივიდუალურად, მხოლოდ შემდეგაა შესაძლებელი ჯგუფური ვარჯიშის ფორმების გამოყენება.</li> <li>მნიშვნელოვანია, მოსწავლეები გრძნობდნენ მასწავლებლის თანადგომას და არ ჰქონდეთ შიშისა და სირცხვილის განცდა არასწორად წარმოთქმული ბერების/სიტყვების გამო.</li> </ul>
მეთოდიკური კომენტარები  Methodological Comments	<ul style="list-style-type: none"> <li>თოჯინებით/სათამაშოებით თამაში, მათთან ურთიერთობა და კომუნიკაცია 5-6 წლის მოზარდების ყოფის ბუნებრივი ნაწილია, ამიტომ უცხოური ენის სწავლებისას მათ გამოყენებას მასწავლებელმა მიზნობრივი დატვირთვა შეიძლება შესძინოს. მოსმენისა და ლაპარაკის უნარ-ჩვევის განვითარების პროცესში „გაცოცხლებული“ თოჯინა/სათამაშო საუკეთესო მოდელია ინგლისურ ენაზე დიალოგის წარმართვისთვის.</li> <li>თოჯინას/სათამაშოს, ზოგადად, შეიძლება დაეკისროს მასწავლებლის თანაშემწის ფუნქცია. მისი დახმარებით (მათთან დიალოგის სიმულირებით) ბევრად იოლია დავალებისა და ინსტრუქციის დემონსტრირება. ამასთანავე, მინიმუმამდეა დაყვანილი მშობლიური ენის გამოყენების აუცილებლობა ახალი მასალის ახსნის პროცესში.</li> <li>სიმულაციური სიტუაციების ინსცენირება თოჯინის/სათამაშოს დახმარებით მოსწავლეებს კომუნიკაციაში ჩართვის ბუნებრივ პირობებს უქმნის.</li> <li>ასეთი ტიპის აქტივობა მოხერხებული და მოქნილია, რადგან მასწავლებელს აძლევს საშუალებას, დიალოგი ან მონოლოგი ნებისმიერ შესაფერის თემატიკას დაუკავშიროს.</li> </ul>

- ერთი და იმავე სათამაშოს გამოყენება შესაძლებელია სისტემატურად, განსხვავებული ენობრივი ამოცანების გადასაჭრელად. მაგ. შესაძლოა, მასწავლებელმა თო-ჯინა/ სათამაშო წარმატებულად გამოყენოს მოსწავ-ლეთა ფონოლოგიური უნარების გასავითარებლად, თუ ის მოდელირებული დიალოგის პროცესში მოსწავლეთა ყურადღებას უშუალოდ სწორ გამოთქმასა და ინტონაციას მიაპყრობს (უცხ.დ.I.8./ უცხ.დ.II.8.).
- ზოგჯერ სათამაშოს ნაცვლად შეიძლება ხელის გამოყ-ენება, რომელსაც, მაგალითად, დაარქმევთ სახელს და წარადგენთ თქვენს მეგობრად. ასევე მოიქცევიან მოსწავ-ლეები. ეს მათ ერთობ გაახალისებს.

### აქტივობა #3

Title/instruction of the activity	<b>Listen, Mime, Order</b>
Objectives	<ul style="list-style-type: none"> <li>• Improve listening skills;</li> <li>• Revise action verbs.</li> </ul>
Materials/Resources	A CD player, a relevant picture story.
Grouping pupils	Individual/pair/group work
Procedure	<p>Step 1. Play the recording (see the appendix) or read the text and mime the actions to demonstrate the activity to the class. (e.g. Mary wakes up – mime the action; Mary has breakfast – mime the action; etc.);</p> <p>Step 2. Play the recording again and encourage students to mime the actions;</p> <p>Step 3. Play the recording again and ask the pupils to put the small pictures in the right order. (see the appendix);</p> <p>Step 4. Ask the pupils to compare the order in pairs. Monitor and help as necessary;</p> <p>Step 5. Pupils listen again and check their order finally.</p>

*Appendix*

Sample tapescript/text:

**Mary's Monday**

On Monday Mary wakes up at 8 o'clock. She gets dressed and then she has breakfast; she eats a biscuit and an apple. After breakfast Mary goes to school. In the evening she watches TV and she goes to bed at 10. Mary likes to sleep with Lilly – her doll.

<b>განმავითარებელი შეფასება</b>  <b>Formative Assessment</b>	<ul style="list-style-type: none"> <li>● მოსწავლეთა მონიტორინგი დავალების შესრულების პროცესში განმავითარებელი შეფასების მნიშვნელოვანი ნაწილია.</li> <li>● მასწავლებელი ყურადღებით ადევნებს თვალს აქტივობის მესამე ეტაპზე დავალების შესრულების პროცესს, როცა მოსწავლებს მოქმედებების აღმნიშვნელი ილუსტრაციების განლაგება ევალებათ მოსმენილი ტექსტის მიხედვით და შეუძლია შემდეგი სტრატეგიების გამოყენება:           <ul style="list-style-type: none"> <li>ა) მაგ.: შესრულებული დავალების შესამონმებლად ისეთ ნივილებს შეარჩევს, რომელთაგან ერთ-ერთს უშეცდომოდ აქვს დავალება შესრულებული და დაეხმარება მეწყვილეს სწორი ვერსიის განხილვაში;</li> <li>ბ) ჯგუფური მუშაობის დროს მასწავლებელი შეეცდება ჯგუფის წევრების აზროვნება შეკითხვების ან რაიმე მინიშვნებების გამოყენებით სწორი ვერსიისკენ წარმართოს.</li> </ul> </li> </ul>
<b>მეთოდიკური კომენტარები</b>  <b>Methodological Comments</b>	<ul style="list-style-type: none"> <li>● ამ ტიპის აქტივობა ხელს უწყობს მოსმენილი ნარატიული/ აღწერითი ტექსტის გაგებას, ახალი ლექსიკური მასალის სწავლებასა თუ გამეორებას.</li> <li>● უცხოური ენის სწავლების საწყის ეტაპზე მასწავლებლის მიერ არავერბალური ელემენტების გამოყენებას მოსმენილი მასალის სწორად აღქმისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. მიმიკისა და ჟესტიკულაციის ენით სიტყვების მნიშვნელობათა მინიშნება ისეთივე საყრდენს წარმოადგენს მოსწავლეთათვის, როგორც ილუსტრაციები.</li> <li>● მასწავლებლის ჟესტიკულაციის თანხლებით ტექსტის რამდენჯერმე მოსმენის შემდეგ მოსწავლე უფრო იოლად ახერხებს სიტყვების დამახსოვრებას და მომდევნო ეტაპზე მათ ადეკვატურ, ილუსტრირებულ ეპიზოდებთან დაკავშირებას.</li> <li>● არავერბალური ელემენტების დემონსტრირება განსაკუთრებით ეფექტიანია მოქმედების აღმნიშვნელი სიტყვების სწავლებისა თუ გამეორებისას.</li> </ul>

- მოსწავლეთა აქტიური ჩართვა სასწავლო პროცესში, მათ მიერ სხეულის ენის გამოყენება (მოქმედებების იმიტირება) ახალი მასალის შესწავლის განსხვავებულ გამოცდილებას შესძენს მოსწავლეებს. აღნიშნული სტრატეგია სწავლის გარკვეულ პერიოდში ელემენტარული კომუნიკაციის დამყარებისას დიდ დახმარებას გაუწევს მათ.

#### აქტივობა #4

Title/instruction of the activity	Story Time
Objectives	<ul style="list-style-type: none"> <li>Focus on listening comprehension;</li> <li>Practice structures: <i>Is there....? Are there?... Yes, there is; No, there isn't etc.</i></li> </ul>
Materials/Resources	Image flashcard sets
Grouping pupils	Pair work, whole class
Procedure	<p>Step 1. Distribute the cards with relevant images on them;</p> <p>Step 2. Elicit ideas what the story could be about or ask them to identify familiar character names. Try to involve the whole class;</p> <p>Step 3. Tell pupils that they have to cross out/circle the image or the character they hear and recognize;</p> <p>Step 4. Read the story twice;</p> <p>Step 5. Pupils check in pairs;</p> <p>Step 6. Check as a whole class by asking Yes/No questions e.g. Is there Mary in the picture? Are there Mary's friends? etc.</p>
განმავითარებელი შეფასება	<ul style="list-style-type: none"> <li>შეკითხვების დასმა, როგორც სწავლების მნიშვნელოვანი სტრატეგია, განმავითარებელი შეფასების ერთ-ერთი ფორმაა.</li> <li>შინაარსიან კონტექსტზე დაფუძნებული სწავლებისას მიზნობრივი შეკითხვების დასმა ეხმარება მასწავლებელს მოსწავლეთა სუსტი მხარეების გამოვლენაში, შესაბამისად, მას ექნება საშუალება, დასახოს შედეგის მიღწევის კონკრეტული გეგმა.</li> <li>მოცემულ აქტივობაში მასწავლებელი იყენებს შეკითხვებს, რომლებიც მოსწავლეთა აზროვნებას წარმართავს სასურველი თემატიკისკენ (Step 2, Elicit ideas...) .</li> </ul>
Formative Assessment	

	<ul style="list-style-type: none"> <li>მოცემულ ეტაპზე მასწავლებელმა შეიძლება თავად გამოიყენოს ის შეკითხვები (Is there. . . ?, Are there. . . ?), რომლის სწავლებას ემსახურება მოცემული აქტივობა და ასე დაეხმაროს მოსწავლეებს მომდევნო დავალების შესრულებაში.</li> </ul>
მეთოდიკური კომენტარები Methodological Comments	<ul style="list-style-type: none"> <li>შინაარსიან კონტექსტზე დაყრდნობით ახალი მასალის აღქმა უფრო მარტივია. მოთხრობა, მოცემულ შემთხვევაში, საინტერესო და მოქნილი სასწავლო რესურსია. გაკვეთილის თემატიკის შესატყვისად შერჩეული მოთხრობის გამოყენება შედეგიანია ახალი ლექსიკის წარდგენის/განმტკიცებისას. ამავდროულად, მოთხრობა წარმოადგენს ენობრივი სტრუქტურების სწავლების ბუნებრივ წყაროს (მოცემულ შემთხვევაში - „there is/there are“).</li> <li>აქტივობაში შემოთავაზებული სწავლის სტრატეგია - ვარაუდის გამოთქმა ილუსტრაციებზე დაყრდნობით (Step 2), მოსწავლეს წარმოსახვის უნარს უწვითარებს და საშუალებას აძლევს მას თავისი გამოცდილება კონკრეტული გაკვეთილის თემას დაუკავშიროს.</li> <li>მოცემული აქტივობა შეიძლება განვითარდეს შემდეგნარად: მოსწავლეები წყვილებად მუშაობისას წარმართავენ დიალოგს და იყენებენ კონსტრუქციებს: Is there....? Are there...? Yes, there is; No, there isn't etc. ასეთი დავალების მიზანი მოსწავლის მარტივ ინტერაქციაში მონაწილეობაა, რომელიც უცხ.დ. II. 10. შედეგს შეესაბამება.</li> <li>შერჩეული მოთხრობის ილუსტრაციებად შეიძლება სახელმძღვანელოში წარმოდგენილი თვალსაჩინო მასალის გამოყენება.</li> </ul>

## აქტივობა #5

Title/instruction of the activity	Mime the Action
Objectives	<ul style="list-style-type: none"> <li>Understand simple instructions;</li> <li>Understand particular lexical/grammatical constructions.</li> </ul>
Materials/Resources	None
Grouping pupils	Whole class

Procedure	<p>Step 1. Show the class how to mime each action, e.g. run on the spot; jump on the spot; climb; lifting arms and legs; fall; raising arms and leaning sideways;</p> <p>Step 2. Ask the class to stand up;</p> <p>Step 3. Tell the pupils that they should follow Teacher's instructions: e.g. mime climbing when you say "Start climbing!" and stop immediately when you say "Don't climb!" Those who fail to follow the instructions sit down;</p> <p>Step 4. Start giving instructions;</p> <p>Step 5. The last pupil remaining standing is the winner;</p>
განმავითარებელი შეფასება	<ul style="list-style-type: none"> <li>● მასწავლებელი მოვალეა, ყურადღებით დააკვირდეს პროცესს და დააზუსტოს, რომელ მოსწავლეებს აქვთ მოსმენილი მითითებების გაგების პრობლემა, რათა მომავალი სავარჯიშოს შესრულებისას ძირითადი ყურადღება მათკენ მიმართოს.</li> <li>● მასწავლებლის მითითებების და სავარჯიშოს ინსტრუქციების მოსმენა მოსწავლეებს ყოველ გაკვეთილზე უწევთ, ამიტომ მასწავლებლის მოვალეობაა, სწავლების ხანგრძლივი პროცესის განმავლობაში დააკვირდეს თითოეული მოსწავლის აღქმის ხარისხს, განსაკუთრებით - "დუმილის" (მოსმენის) პერიოდში, სანამ მოსწავლეს შეეძლება ენის აქტიური გამოყენება. გამარჯვებული მოსწავლისთვის სიმბოლური პრიზი/ჯილდოს გადაცემა მოსწავლეთა მოტივაციას მეტად აამაღლებს.</li> <li>● წარმატებული მოსწავლის შექება, მისთვის სიმბოლური პრიზის/ჯილდოს გადაცემა მოსწავლის მოტივაციის ამაღლების საწინდარია.</li> </ul>
მეთოდიკური კომენტარები	<ul style="list-style-type: none"> <li>● მოცემული ასაკის მოსწავლეებს განვითარებული აქვთ ტაქტილურ/კინესთეტიკური არხი, რაც იმაზე მიუთითებს, რომ მათი აღქმის უნარი მოძრაობებთან მჭიდროდ არის დაკავშირებული. აღნერილი აქტივობა სანიმუშო მოდელია იმისა, თუ როგორ შეიძლება მასწავლებლის მითითებებზე მოსწავლეთა ფიზიკური რეაგირების გამოყენება ინგლისური ენის სწავლის უნარების გასავითარებლად.</li> <li>● აქტივობაში მასწავლებლის მიერ დემონსტრირებული მოქმედებების დაკავშირება ცალკეულ მითითებასთან (მაგალითად, run on the spot; jump on the spot, etc.) მარტივად გასაგებს ხდის მოსმენილი ფრაზების მნიშვნელობას და რეგულარულად გამეორების შემთხვევაში, ხელს უწყობს მათ</li> </ul>

	<p>დამახსოვრებას. ამავე დროს, მოსწავლეებს უვითარებს მოსმენილი მითითებებისა და სავარჯიშოების ინსტრუქციების გაგების უნარს;</p> <ul style="list-style-type: none"> <li>● აქტივობაში გამოყენებული მეთოდი (TPR-Total Physical Responses) - მასწავლებლის მითითებებზე ფიზიკური რეაგირება, უშუალოდ მოცემული შედეგის მოთხოვნებს აკმაყოფილებს და განსაკუთრებით ეფექტიანია კინესთეტური სწავლის სტილის მქონე მოსწავლეებისთვის.</li> <li>● ასეთი სახის აქტივობა გადაჭარბებულ ხმაურს იწვევს, ამიტომ მის ჩასატარებლად, სასურველია, გაკეთილის შესაფერისი დროის შერჩევა.</li> <li>● შეჯიბრის ელემენტების შეტანა აქტივობაში სახალისო ელფერს აძლევს მსვლელობას. გამარჯვებული მოსწავლის გამოვლენის პროცესი მოზარდების უმრავლესობას პირველობის სურვილს უღვივებს. ეს სწავლება/სწავლის დადებითი ფაქტორია.</li> </ul>
--	---

### მიმართულება - კითხვა

უცხ. დ.1.5. მოსწავლეს შეუძლია ნაცნობი და ხშირად გამოყენებული სიტყვების ორთოგრაფიული ხატის პირდაპირი გზით (გაშიფვრის გარეშე) ამოცნობა.

### აქტივობა #1

Title/instruction of the activity	Choose and match the words to the relevant images.
Objectives	<ul style="list-style-type: none"> <li>• Recognize and identify the written script of the familiar word;</li> <li>• Vocabulary revision.</li> </ul>
Materials/Resources	Image flashcards, word cards, <a href="http://www.kids-pages.com">www.kids-pages.com</a>
Grouping pupils	Individual, pair work
Procedure	<p>Step 1. Demonstrate the image flashcards (e.g. cat, dog, train, doll etc) elicit and drill the words. (If there are 6 words to recognize, display 12 image flashcards);</p> <p>Step 2. Show the word cards one by one. Help pupils to recognize the script by showing them the matching image flashcard, if they cannot recognize the word;</p>

	<p>Step 3. Demonstrate the matching activity by organizing the image flashcards and the word cards in two lines on the board;</p> <p>Step 4. Choose the matching pair and fix the cards together on the board;</p> <p>Step 5. Distribute the image flashcards and relevant word cards.</p> <p>(Alternatively, pupils may have this type of activity in their text books);</p> <p>Step 6. Pupils work individually and do the matching;</p> <p>Step 7. Pupils work in pairs and compare their answers. Go round and observe the process;</p> <p>Step 8. As a feedback, rearrange the image flashcards and word cards in the right pairs on the board. Make sure the pupils check their own answers;</p> <p>Step 9. To check whether pupils managed to rearrange the cards correctly, do the same matching activity orally by showing the word card and eliciting the word.</p>
განმავითარებელი შეფასება	<ul style="list-style-type: none"> <li>● განმავითარებელი შეფასება ითვალისწინებს მოსწავლეთა ჩართვას შეფასების პროცესში თანაკლასელების და/ან თვითშეფასების ფორმების გამოყენებით, რაც მასწავლებლის კონტროლის ქვეშ ხორციელდება (შტეპ 5). შესაძლებლობების ფარგლებში, „შემფასებლის“ ფუნქცია საშუალებას აძლევს მათ, დაუკვირდნენ საკუთარ მოქმედებასა და შეცდომებს.</li> <li>● შეცდომის აღმოჩენის შემთხვევაში, მოსწავლეთათვის შეფასების პროცესი უმტკიცნეულო და შეუმჩნეველი უნდა იყოს.</li> <li>● მონიტორინგის დროს მასწავლებელი განსაზღვრავს, რომელ მოსწავლეს რა სახის სირთულე ჰქონდა დავალების შესრულებისას, რათა შემდეგ მათთან მუშაობისას განსხვევებული სტრატეგიები გამოიყენოს პრობლემათა დასაძლევად.</li> </ul>
მეთოდიკური კომენტარები	<ul style="list-style-type: none"> <li>● აქტივობაში შემოთავაზებულია მთლიანობითი კითხვის მეთოდი, რომლის გამოყენებისას მოსწავლე სიტყვის ულერადობას/ვიზუალურ და ორთოგრაფიულ ხატს ერთ-მანეთს უკავშირებს და ლექსიკურ ერთეულს აღიქვამს არა როგორც ცალკეულ ასოთა ნაკრებს, არამედ როგორც ერთ მთლიანს.</li> <li>● მოცემული სავარჯიშოს მიზანია აღწერილი მეთოდის გამოყენება აღნიშნული შედეგის მისაღწევად - სიტყვის ორთოგრაფიული ხატის, ანუ ერთი ლექსიკური ერთეულის გაშიფრის, ცალკეული ასოს ამოკითხვის გარეშე ამოცნობა.</li> </ul>

უცხ. დ.I.6. უცხ. დ.II.5. მოსწავლეს შეუძლია სიტყვების, წინადადებების გაშიფრა-წაკითხვა.

### აქტივობა #2

Title/instruction of the activity	<b>Tick the right sentence!</b>
Objectives	Read/identify the sentence; Revise colours.
Materials/Resources	Coloured pictures of three objects.
Grouping pupils	Individual/whole class.
Procedure	<p>Step 1. Ask the pupils to look at the pictures of the objects. (See the appendix). Ask questions to revise colours/adjectives: e.g. Is the ball green? Is the ball hard? Elicit yes/no answers;</p> <p>Step 2. Pupils read the sentences and tick the correct sentence for each object;</p> <p>Step 3. Pupils compare in pairs;</p> <p>Step 4. Check with the whole class.</p>

#### Appendix. Look at the pictures. Read the sentences. Tick the correct sentence.

		
(red)	(yellow and orange)	(bright yellow)
<p>My ball is quite big, it's new and shiny, its colour is green.</p> <p>My ball is pink, it is big and quite hard.</p> <p>My ball is yellow, it is made of rubber, it is a beach ball.</p>	<p>My bag is black and white, it's really huge.</p> <p>My bag is red and blue with green straps, it's quite small.</p> <p>By bag is yellow and orange, it has two side pockets.</p>	<p>My umbrella is really shiny – it is bright yellow.</p> <p>My umbrella is red with some green stripes.</p> <p>My umbrella is brown and it has a red handle.</p>

<p>განმავითარებელი შეფასება</p> <p>Formative Assessment</p>	<ul style="list-style-type: none"> <li>დავალების შედეგების შემოწმების შემდეგ მასწავლებელმა მოსწავლეთა გარკვეულ ჯგუფს სავარჯიშოს შესრულებისას შეიძლება, შესთავაზოს გამორიცხვის მეთოდის გამოყენება (სწორი პასუხის მისაღებად კითხულობს არა სრულ ტექსტს, არამედ ანაწევრებს და აანალიზებს თითოეულ წინადადებას). მასწავლებელი განმარტავს მეთოდის არსს და აძლევს მოსწავლეებს მისი პრაქტიკულად გამოიყენების შესაძლებლობას. სწავლის ამ ტექნიკის გამოყენება საჭიროებს დეტალურ განხილვას როგორც პროცესში, ისე მისი დასრულების შემდეგ.</li> </ul>
<p>მეთოდიკური კომენტარები</p> <p>Methodological Comments</p>	<ul style="list-style-type: none"> <li>წინადადების გაშიფვრა/წაკითხვა ავითარებს კითხვის ელემენტარულ უნარს და ამზადებს მოსწავლეებს მომდევნო ეტაპზე უფრო რთული დავალებების შესასრულებლად;</li> <li>ამ ტიპის აქტივობის შესრულების დროს მნიშვნოებლოვანია, მოსწავლემ შეძლოს მარტივი ტექსტიდან, ილუსტრაციის დახმარებით მისთვის საჭირო, ინფორმაციის ამოცნობა, რაც კითხვის ელემენტარული უნარების განვითარების საწყისი საფეხურია;</li> <li>ამ აქტივობის შესასრულებლად დასაშვებია, მოსწავლეებისთვის შეზღუდული დროის მიცემა. ამ შემთხვევაში მოსწავლე მიზანმიმართულად შეეცდება დროის ლიმიტის დაცვას და წინადადებების გაშიფრვისას მისთვის უცნობი სიტყვების ამოცნობას.</li> </ul>

### მიმართულება - წერა

უცხ. დ. I.7. მოსწავლეს შეუძლია ასოების, სიტყვების წერა.

#### აქტივობა #1

Title/instruction of the activity	Find and copy
Objectives	<ul style="list-style-type: none"> <li>Improve pre-writing skills/primary writing skills;</li> <li>Revise vocabulary.</li> </ul>
Materials/Resources	Word cards. Relevant images (in the textbook.) Image flashcards.
Grouping pupils	Individual/whole class

Procedure	<p>Step 1. Put up several word cards on the board;</p> <p>Step 2. Elicit the words. Help by showing the relevant image flashcard if necessary. (For further challenge it is possible to show two different image flashcards for each word card and ask the pupils to guess which one is the matching flashcard);</p> <p>Step 3. Ask the pupils to find relevant images of the words in their textbooks and write the word under/next to the image;</p> <p>Step 4. Monitor and help as necessary.</p>
განმავითარებელი შეფასება  Formative Assessment	<ul style="list-style-type: none"> <li>● მოცემულ საფეხურზე არ ფასდება მოსწავლის მიერ შესრულებული წერითი სამუშაო, მოწმდება, რამდენად ზუსტად ახერხებს მოზარდი სიტყვის წერას ფურცელზე.</li> <li>● ნასწავლი სიტყვის გახსენება, მისი ორთოგრაფიული ხატის მოძებნა, მასთან დაკავშირება და წერა ზოგადად, ამ ასაკის მოზარდთათვის დასაძლევი, მაგრამ რთული კოგნიტური ამოცანაა. შესაბამისად, მასწავლებელი აკვირდება მოსწავლებს დავალების შესრულებისას და:             <ul style="list-style-type: none"> <li>ა) ყურადღებას ამახვილებს ლექსიკის ცოდნაზე, შესაბამისად, მეტ დროს უთმობს მასზე ვარჯიშს;</li> <li>ბ) აკონტროლებს სიტყვების წერის პროცესს და ინდივიდუალურად ეხმარება ყველა მოსწავლეს სათანადო რჩევებით.</li> </ul> </li> </ul>
მეთოდიკური კომენტარები  Methodological Comments	<ul style="list-style-type: none"> <li>● წერა ყველაზე რთული ლინგვისტური უნარია დაუფლების თვალსაზრისით, ამიტომ მის სისტემურ სწავლებას წინ უძღვის მზადების ხანგრძლივი პერიოდი.</li> <li>● აქტივობის მსვლელობა რამდენიმე ამოცანისგან შედგება. მოსწავლე ცდილობს, გაიხსენოს სიტყვა, იპოვოს მისი შესაბამისი ნახატი და სწორედ იმ ნახატს მიუსადაგოს სიტყვა, რომლის წერა ევალება მას მომდევნო საფეხურზე. ამგვარად, მის მიერ შესრულებული მოქმედება თანმიმდევრული, მიზანმიმართული და სწორედ შედეგის მოთხოვნაზეა ორიენტირებული.</li> <li>● თუ სახელმძღვანელო არ გვთავაზობს ამ ტიპის აქტივობის განხორცილებისთვის საჭირო რესურსებს, შესაძლებელია, მასწავლებელმა გამოიყენოს მის ხელთ არსებული წებისმერი თვალსაჩინო მასალა.</li> <li>● ამ აქტივობის ერთ-ერთი ვარიაცია ასეთია: სიტყვების ამოცნობის შემდეგ სთხოვეთ მოსწავლეებს შესაბამისი საგნის დახატვა და ნახატის ქვეშ სიტყვის მიწერა. ეს რეცეფციული უნარების განვითარების აქტიური ეტაპია.</li> </ul>

## აქტივობა #2

Title/instruction of the activity	Word Ladder
Objectives	<ul style="list-style-type: none"> <li>Vocabulary revision;</li> <li>Write letters to make a word;</li> <li>Distinguish between capital and small letters;</li> <li>Distinguish between vowel and consonant sounds.</li> </ul>
Materials/Resources	Coloured crayons
Grouping pupils	Individual
Procedure	<p>Step 1. Write several letters on the board (e.g. a, l, o, g, d, e, b, t, r, s, etc.);</p> <p>Step 2. Ask pupils make a word ladder with these letters – every new word begins with the last letter of the previous word. e.g.</p> <p style="text-align: center;">Leg Goal Log God Doll Letter Role Easter, etc.</p> <p>Step 3. Ask pupils to underline capital letters with yellow crayons and small letters with brown ones;</p> <p>Step 4. Ask pupils to underline the vowel sounds with the red crayon, consonant sounds with the blue ones;</p> <p>Step 5. The winner is the one who makes the longest ladder.</p>
განმავითარებელი შეფასება  Formative Assessment	<ul style="list-style-type: none"> <li>თუ მოსწავლეებზე დაკვირვებამ გამოავლინა, რომ მოცემული ფორმატით დავალება რთული შესასრულებელია, მის გასამარტივებლად მასწავლებელს მომზადებული უნდა ჰქონდეს სათადარიგო გეგმა (Plan B), მაგალითად, წინასწარ გაფორმებული სიტყვა-ბარათების ნაკრები. ამ შემთხვევაში საჭირო იქნება მხოლოდ სიტყვების სწორად შერჩევა „სიტყვების კიბის“ შესადგენად.</li> </ul>
მეთოდიკური კომენტარები  Methodological Comments	<ul style="list-style-type: none"> <li>აქტივობა ემსახურება წერის და კითხვის ელემენტარული უნარ-ჩვევების განვითარებას: სიტყვებით თამაში სახალისოა და ამარტივებს სიტყვების დამახსოვრებას;</li> </ul>

	<ul style="list-style-type: none"> <li>• თამაში, როგორც სწავლების ერთ-ერთი ფორმა, ხელს უწყობს მოსწავლეს, დაიმახსოვროს მთავრული ასოების გამოყენების შემთხვევები, გაიაზროს განსხვავება მთავრულ და არამთავრულ ასოებს შორის. ამ ამოცანის გადაჭრაში თამაშის ვიზუალურ მხარეს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს (Word ladder);</li> <li>• იმისათვის, რომ ეს აქტივობა უფრო სახალისო და თვალსაჩინო გახდეს, შესაძლებელია მოსწავლეებმა განსხვავებული ასოები განსხვავებული ფერებით აღნიშნონ/დაწერონ;</li> <li>• მოცემულ აქტივობაში შეჯიბრის ფორმის გამოყენება აამაღლებს მოსწავლეთა მოტივაციას. გამარჯვებულს შეიძლება გადაეცეს სიმბოლური ჯილდო;</li> <li>• ასეთი დავალების შესასრულებლად შესწავლილი ლექსიკის გამოყენებაა რეკომენდებული;</li> <li>• დავალების განვითარების მომდევნო ეტაპზე სასურველია ისეთი დავალების შეთავაზება, სადაც მოსწავლე: ა) დააწყვილებს მთავრულ და არამთავრულ ასოებს, ბ) თავად გადაწყვეტს, რა შემთხვევაში შეიძლება გამოიყენოს ერთი ან მეორე.</li> </ul>
--	---

### მიმართულება - ლაპარაკი

უცხ.დ.I.8. უცხ.დ.II.8. მოსწავლეს გამომუშავებული აქვს ელემენტარული ფონოლოგიური უნარ-ჩვევები.

#### აქტივობა #1

Title/instruction of the activity	Rhyme Time
Objectives	<ul style="list-style-type: none"> <li>• Develop basic phonological skills;</li> <li>• Focus on intonation/stress.</li> </ul>
Materials/Resources	Realia (top, bag, cap)
Grouping pupils	Whole class/groupwork

Procedure	<p>Step 1. Drill the rhyme line by line and encourage the pupils to imitate the movements;</p> <p>Step 2. Say the first line and the class chants, then the second line, etc.;</p> <p>Step 3. Divide the class into two groups A and B;</p> <p>Step 4. Group A starts the rhyme, and group B chants;</p> <p>Step 5. Groups change roles;</p> <p>Step 6. Say the rhyme with the whole class (See the appendix).</p>
-----------	--

## Appendix

*Sample rhyme:*

*This is my top,*

*I hop, hop, hop.*

*This is my bag,*

*I bang, bang, bang.*

*This is my cap,*

*I clap, clap, clap.*

განმავითარებელი შეფასება	<ul style="list-style-type: none"> <li>მოცემულ აქტივობაში, ლექსის ფრაზებად (ზეპირად) წაკითხვის პროცესში, მასნავლებელი განმავითარებელი შეფასების ფორმატში ყურადღებით აკვირდება თითოეული მოსწავლის გამოთქმას და აქტივობის მსვლელობისას მთავარ აქცენტებს აკეთებს კონკრეტული ფრაზების ინტონაციისა და მახვილის დამუშავებაზე.</li> <li>საწყის საფეხურზე ფონოლოგიური უნარების განვითარებას მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობა, რაც მოსწავლესთან მხოლოდ ინდივიდუალური მუშაობის შედეგად მიიღწევა.</li> </ul>
Formative Assessment	<ul style="list-style-type: none"> <li>უცხოური ენის სწავლებისას დიდი მნიშვნელობა აქვს მოზარდის საბაზის ფონოლოგიური ჩვევების ფორმირებას, რადგან ის უშუალოდ უკავშირდება ისეთი უნარების განვითარებას, როგორიცაა მშობლიური ენისგან განსხვავებული ბგერების სწორად წარმოთქმა, სიტყვასა და წინადადებაში მახვილის მართებულად დასმა და სხვადასხვა მოდალობის გამოხატვა სათანადო ინტონაციით.</li> <li>ლექსებისა და ენის გასატეხების გამოყენება ახალი ლექსიკის სწავლებისა და ფონოლოგიური უნარების განვითარების ერთ-ერთი საუკეთესო საშუალებაა.</li> </ul>

	<ul style="list-style-type: none"> <li>● მოცემულ აქტივობაში მთავარი მიზანი სათანადო ინტონაციისა და მახვილის დახვეწაზე ზრუნვაა. დასაწყისში მოზარდი გაუაზრებლად იმეორებს მოსმენილ სიტყვებსა და ფრაზებს და ასეთი სახით სრულიად ძალდაუტანებლად იმახსოვრებს მათ. ამდენად, ძალიან მნიშვნელოვანია მასწავლებლის მიერ წაკითხული მოსასმენი ტექსტი თუ ჩანაწერი, სრულად შეესაბამებოდეს ფონოლოგიურ ნორმებს.</li> <li>● მიმიკისა და მოძრაობების შესიტყვებას მასალის შინაარსთან (hop, clap, bang) სხვადასხვა დატვირთვა აქვს: ა) მოსწავლეებისთვის ადვილად გასაგებია და შესაბამისად, ადვილად დასამახსოვრებელია მოსმენილი მასალა. ბ) მასწავლებელს საშუალება ეძლევა, მოსწავლეთა ფიზიკური ენერგია სასწავლო პროცესის სასარგებლოდ მიმართოს და ის უფრო ხალისიანი გახადოს.</li> <li>● ძალიან მნიშვნელოვანია, მოსასმენი მასალა შესრულებული იყოს ფონოლოგიურ ნორმების დაცვით.</li> </ul>
--	---

## აქტივობა #2

Title/instruction of the activity	<b>Word Chain – A memory game.</b>
Objectives	Focus on pronunciation.
Materials/Resources	A bag, appropriate realias or flashcards
Grouping pupils	Whole class
Procedure	<p>Step 1. Show a bag full of realia/flashcards (e.g. toys: <i>a ball, a doll, a teddy-bear, yoyo, etc.</i>);</p> <p>Step 2. Take the realia/flashcards one-by one and say: <i>In my bag I've got a ball</i>, and the class repeats chorally;</p> <p>Step 3. Take another toy and say: <i>In my bag I have got a doll</i>. Continue until the bag is empty;</p> <p>Step 4. Put the realia/flashcards back into the bag;</p> <p>Step 5. A pupil stands up and names the first toy/flashcard the teacher takes from the bag: <i>In my bag I've got a doll</i>;</p>

	<p>Step 6. Take another toy (e.g. <i>a ball</i>), and the next pupil repeats the previous one adding the name of the second toy. E.g. <i>In my bag I've got a doll and a ball;</i></p> <p>Step 7. The game continues until the bag is empty;</p> <p>Step 8. Help the pupil who fails to pronounce the word or the phrase correctly, and ask him to go to the end of the line, so that he can have another chance to pronounce the word/words.</p>
განმავითარებელი შეფასება  Formative Assessment	<ul style="list-style-type: none"> <li>მოცემულ აქტივობაში მოსალოდნელი სირთულეები შეიძლება უკავშირდებოდეს სიტყვების/ფრაზების სწორად წარმოთქმას და მათ დამახსოვრებას. განმავითარებელი შეფასების პრინციპის გათვალისწინებით ამ პრობლემის დაძლევა შესაძლებელია მასწავლებელმა ახალი ლექსიკის სწავლებისას განსხვავებული სტრატეგიების დემონსტრირებით შეძლოს (მაგალითად, სიტყვის მრავალგზის სწორად წარმოთქმა, სიტყვის მარტივ წინადადებაში გამოყენება, სიტყვის სხეულით განსახიერება და სხვა). მისივე გადაწყვეტილებით, სასურველია, ყველაზე ეფექტური გზის შერჩევა სწავლის სხვადასხვა სტილის მქონე კონკრეტული მოსწავლეებისთვის.</li> <li>მასწავლებელი თამაშის ისეთ ორგანიზაციულ ფორმას მიმართავს, რომელიც ერთი აქტივობის ფარგლებში კონკრეტული სამიზნე მასალის მრავალჯერ გამეორების საშუალებას მისცემს მოსწავლეებს.</li> <li>ნახალისების ფორმების გამოყენება, როგორც შეფასების მნიშვნელოვანი ელემენტი, ხელს შეუწყობს მოსწავლეთა მოტივაციის გაზრდას. სასურველია, სიმბოლური ქულების მინიჭება ვარსკვლავების/ღიმილების სახით.</li> </ul>
მეთოდიკური კომენტარები  Methodological Comments	<ul style="list-style-type: none"> <li>აქტივობის მათვარი მიზანი ელემენტარული ფონოლოგიური უნარ-ჩვევის განვითარებაა.</li> <li>ის ეფექტურია ახალი ლექსიკური ერთეულების წარდგენის, ნასწავლის გამეორება/განმტკიცებისას და მეხსიერების განვითარების ხელშეწყობისთვის. ახალი ლექსიკისა და ფრაზების მრავალჯერ მოსმენასა და გამეორებას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მათი სწორად წარმოთქმისა და დამახსოვრებისთვის.</li> <li>შედეგის უკეთ მისაღწევად მასწავლებელმა ყოველი მე-4 ან მე-5 სიტყვის შემდეგ ახალი ჯაჭვი უნდა წამოიწყოს პროცესში ყველა მოსწავლის აქტიურად ჩართვის მიზნით. დასაშვებია იგივე ნივთების/ბარათების ახალი თანმიმდევრობით წარმოდგენა.</li> </ul>

	<ul style="list-style-type: none"> <li>ეს აქტივობა რეკომენდებულია მცირერიცხოვანი კლასებისთვის (არა უმეტეს 15 მოსწავლისა). სასურველია, მოსწავლეების წრეზე მოწყობა, თუ საკლასო ოთახი ამის შესაძლებლობას იძლევა.</li> <li>სასურველია, მასწავლებელმა შეიმუშავოს თამაშის წარმართვის საკუთარი წესი ზედმეტი ხმაურის/ქაოსის თავიდან ასარიდებლად.</li> </ul>
--	---

### აქტივობა #3

Title/instruction of the activity	Cup or Cups?
Objectives	<ul style="list-style-type: none"> <li>Practice pronunciation of sounds;</li> <li>Focus on identifying and pronouncing s-ending</li> <li>Plural nouns.</li> </ul>
Materials/Resources	Flashcards, paper, crayons
Grouping pupils	Individual, in teams.
Procedure	<p>Step 1. Give each pupil a blank piece of paper and crayons;</p> <p>Step 2. Ask different pupils to draw different things individually, e.g. two pupils draw a cup, three pupils draw a cat, four pupils draw an apple, five pupils draw a ball, etc.;</p> <p>Step 3. Display the pictures around the room. Arrange pictures of the same things together on the walls (e.g. 1/2 cup(s), 1/2 cat(s), 1/3 apple(s), 1/4 ball(s), etc.);</p> <p>Step 4. Emphasize the difference between singular and plural nouns by showing the relevant picture and modeling the pronunciation;</p> <p>Step 5. Drill the pronunciation of the words with the whole class;</p> <p>Step 6. Divide the class into teams. Select the first members of each team. Say: <i>Touch the apple/apples, point to the cat/cats, etc.</i>;</p> <p>Step 7. Pupils run to touch the right picture. The first one to do so wins a point for his or her team;</p> <p>Step 8. Select the next pupils. Say: <i>touch the cat/cats, and the pupils do so;</i></p> <p>Step 9. Continue the procedure by naming the things from the pictures.</p>

განმავითარებელი შეფასება  Formative Assessment	<ul style="list-style-type: none"> <li>შემოთავაზებული აქტივობის მსვლელობისას მნიშვნელოვანია, მასწავლებელი დააკვირდეს და შემდგომ დაადგინოს მოსწავლეთა მიერ დაშვებული შეცდომების მიზეზი. თუ მოსწავლემ ვერ გაიგო დავალების არსი და სიტყვის დაბოლოება (<math>n+3</math>) საგანთა სიმრავლეს ვერ დაუკავშირა, საჭირო იქნება უფრო მკაფიო განმარტების მიცემა ილუსტრაციებზე თუ სხვა, რეალურ მაგალითებზე დაყრდნობით.</li> </ul>
მეთოდიკური კომენტარები  Methodological Comments	<ul style="list-style-type: none"> <li>მოცემული აქტივობის მთავარი მიზანია, მოსწავლეებმა გრამატიკული კატეგორიების ახსნის გარეშე, მოსმენისას ამოიცნონ განსხვავება ერთი და იმავე არსებითი სახელის ორ ფორმას შორის (<i>noun - noun+s</i>). ამ მიზნით მოსწავლეთა ყურადღება გადატანილია ფონოლოგიურ მახასიათებლებზე (ბგერა -<i>S</i> არსებითი სახელის ბოლოს).</li> <li>საკითხის ასეთი სახით წარდგენა საშუალებას აძლევს მოსწავლეს, ძალდაუტანებლად ამოიცნოს და დაიმახსოვროს განსხვავება მხოლობითი და მრავლობითი რიცხვის სახელებს შორის (მხოლოდ წესიერი ფორმები);</li> <li>ეს აქტივობა ნაწილობრივ პასუხობს სტანდარტის უცხ. დ.II.9. შედეგსაც; შესაძლებელია მისი გართულებაც: მაგ. მასწავლებელმა წარმოთქვას სიტყვები სხვადასხვა კომბინაციებში (e.g. one cat and three balls, or two cups, five balls and an apple), სთხოვოს მოსწავლეებს ნახატების შესაბამისი კომბინაციებით დალაგება და მასწავლებლის მიბაძვით გამეორება.</li> <li>მოსწავლეთა ასაკის შესაბამისად, ეს აქტივობაც წარმოდგენილია თამაშის სახით. ის პასუხობს სხვადასხვა სწავლის სტილის მქონე მოსწავლეების შესაძლებლობებს (ვიზუალური - ნახატები, სმენითი - მასწავლებლის მიერ წარმოთქმული სიტყვების აღქმა, კინესთეტურ-ტაქტილური - ხატვის პროცესი).</li> </ul>

**უცხ. დ.I.10./ უცხ. დ.II.10. მოსწავლეს შეუძლია მარტივ ინტერაქციაში  
მონაწილეობის მიღება**

**აქტივობა #1**

Title/instruction of the activity	<b>What's on my head?</b>
Objectives	<ul style="list-style-type: none"> <li>Communicate through minimal interaction;</li> <li>Revise vocabulary/adjectives.</li> </ul>
Materials/Resources	Flashcards
Grouping pupils	Individual/whole class/team work
Procedure	<p>Step 1. Call out a pupil in front of a class or ask volunteers to come up;</p> <p>Step 2. Hold an image flashcard on top of the pupil's head, so that everyone can see the flashcard except the pupil</p> <p>Step 3. Encourage the class to help the pupil guess the word. They mustn't say the word itself but give some clues. (e.g. If the flashcard shows a train, the clues could be: red, black, big, choo-choo or miming.);</p> <p>If the pupil fails to guess the word, show the flashcard. Ask the class to say the word in case the pupil doesn't remember the word;</p> <p>Step 4. Repeat the activity with other pupils and different flashcards;</p> <p><b>Alternatively:</b></p> <p>Step 1. Divide the class into two teams;</p> <p>Step 2. Pupils from each team take turns to come up and guess the word. (Only their team members are giving them the clues);</p> <p>Step 3. Write up the score. (e.g. one point for one guess). The team with the most points is the winner;</p>
განმავითარებელი შეფასება	<ul style="list-style-type: none"> <li>აქტივობის მსვლელობა შეიცავს განმავითარებელი შეფასების ფაზებს (Step 3). მოსწავლეთა წახალისება წარუმატებლობის შემთხვევაში, მათი დახმარება და ამ პროცესში თანატოლების ჩართვა მნიშვნელოვან როლს ასრულებს შედეგის მისაღწევად.</li> </ul>
Formative Assessment	<ul style="list-style-type: none"> <li>გაუგებრობის თავიდან აცილების მიზნით, ამ აქტივობის მსვლელობისას მასწავლებელი ყურადღებას აქცევს, რამდენად ზუსტია მინიშნებები და/ან მიმიკა, რომლითაც მოსწავლეები საგანს ახასიათებენ.</li> </ul>

	<ul style="list-style-type: none"> <li>მასწავლებელი იყენებს ნახალსების განსხვავებულ ფორმებს წარმატებით შესრულებული დავალებისთვის.</li> </ul>
მეთოდიკური კომენტარები  Methodological Comments	<ul style="list-style-type: none"> <li>მარტივი კომუნიკაციის წარმართვისთვის, სასურველია. მასწავლებელმა მოსწავლეს შეუქმნას თანატოლებთან ურთიერთობის ბუნებრივი პირობები. მოცემული აქტივობის ფორმა საშუალებას აძლევს მოსწავლეებს, სწორედ ასეთ პირობებში აწარმოონ მარტივი ინტერაქცია ინგლისურ ენაზე ვერბალური და არავერბალური ელემენტების გამოყენებით.</li> <li>არავერბალური ელემენტების (მიმიკა, ჟესტიკულაცია) გამოყენება მნიშვანელოვანია, რადგან მეტყველების დეფიციტის პირობებში საკომპენსაციო ფუნქციას ასრულებს და საშუალებას აძლევს მოსწავლეს, დამოუკიდებლად მოახერხოს კომუნიკაციაში ჩართვა.</li> <li>პროცესის თამაშის ფორმით წარმართვა დადგებით მუხტს მატებს სწავლების პროცესს.</li> <li>ინტერაქციის დამოუკიდებლად წარმართვისთვის მოსწავლეს ესაჭიროება გარკვეული საყრდენი ილუსტრაციის, შეკითხვების თუ რაიმე სხვა ფორმით. მოცემულ შემთხვევაში ასეთ ფუნქციას ასრულებს ნახატი-ბარათები და მინიშნებები საგნის ფერის, ზომის ან სხვა თვისების შესახებ (მაგ.: a train- red, black, big, choo-choo).</li> <li>ალტერნატიული ვერსია, ანუ კლასის კონკურენტ ჯგუფებად დაყოფა აქტივობას შეჯიბრის ფორმას აძლევს, ინვევს მოსწავლეთა განსაკუთრებულ დაინტერესებას და მასში მთელი კლასის მიზნობრივად ჩართვას.</li> </ul>

## აქტივობა #2

Title/instruction of the activity	Find Someone Who...
Objectives	<ul style="list-style-type: none"> <li>Take part in a simple interaction;</li> <li>Ask and answer simple questions.</li> </ul>
Materials/Resources	Picture cards /photos
Grouping pupils	Whole class

Procedure	<p>Step 1. Pupils stand in a circle holding the cards/photos of celebrities so that two pupils have the same picture;</p> <p>Step 2. Pupils should look at their cards but they should not see each other's photos;</p> <p>Step 3. Pupils have to find their partners (the person with the same card) by asking simple questions: <i>Are you slim? Yes/No, Have you got long hair? Yes/No, etc.</i>;</p> <p>Step 4. When partners are found, The pair leave the circle and stand aside;</p> <p>Step 5. Redistribute the photoss and repeat the procedure.</p>
განმავითარებელი შეფასება  Formative Assessment	<ul style="list-style-type: none"> <li>● აქტივობის მსვლელობისას მოსწავლეებზე დაკვირვების პროცესში მასწავლებლის მიზანია გარკვევა, რომელ მოსწავლეს აქვს სირთულე თანატოლების გამოყითხვისას, შეკითხვებზე პასუხის გაცემისას.</li> <li>● ის ქმნის მუშაობის სისტემას ინდივიდუალურ მოსწავლესთან და მოსწავლთა ჯგუფთან რაც საბოლოოდ დაეხმარება მათ სტანდარტის შედეგის მოთხოვნათა განხორციელებაში.</li> </ul>
მეთოდიკური კომენტარები  Methodological Comments	<ul style="list-style-type: none"> <li>● აქტივობის მსვლელობა მოსწავლეს აძლევს სამეტყველო ფუნქციების მარტივ ინტერაქციაში გამოყენების შესაძლებლობას და მატებს თვითდაჯერებულობას კითხვის დასმის და მარტივ კითხვაზე პასუხის გაცემისას, რადგან ის ყველა მოსწავლესთან თანაბარ ვითარებაში გრძნობს თავს და არ უფრთხის დაშვებულ შეცდომებს.</li> <li>● მსვლელობის შესაბამისად, მოსწავლეები მრავალჯერ იმეორებენ ერთსა და იმავე ენობრივ სტრუქტურას, ვიდრე შესაბამის მეწყვილეს იპოვნიან, რაც ხელს უწყობს ამ სტრუქტურების დამახსოვრებასა და რეალურ ინტერაქციაში გამოყენებას.</li> <li>● მასწავლებელს საკუთარი შეხედულებისამებრ შეუძლია ნებისმიერი სახის შინაარსის აქტივობას მისცეს ასეთი სახე.</li> </ul>

უცხ. დ. II. 9. მოსწავლეს შეუძლია უცხოური ენის ბგერების, ჟღერადობის, ინტონაციის აღქმა, მიბაძვა-გამეორება.

### აქტივობა #1

Title/instruction of the activity	Rhyme Time
Objectives	<ul style="list-style-type: none"> <li>Recognize, copy and repeat foreign sound and intonation;</li> <li>Repeat familiar vocabulary;</li> <li>Practice question forms: <i>Where's...?</i></li> </ul>
Materials/Resources	Image flashcards
Grouping pupils	Whole class, in teams
Procedure	<p>Step 1. Read the rhyme, try to use the rising intonation and mime surprised face or falling intonation to show question, and use plenty of hand gestures to make it more clear what you mean (See the appendix);</p> <p>Step 2. Read the rhyme line by line and drill each line with the whole class as many times as needed;</p> <p>Step 3. Divide the class into two teams: A and B and role-play the rhyme;</p> <p>Step 4. Each team repeats relevant lines after the teacher. Encourage the right intonation gesturing the rising and falling intonation at the end of the questions;</p> <p>Step 5. Ask a volunteer to say the rhyme.</p>
განმავითარებელი შეფასება	<ul style="list-style-type: none"> <li>უცხოური ენის ბგერების, ჟღერადობის, ინტონაციის აღქმა, მიბაძვა-გამეორება რთული ამოცანაა მოზარდთათვის და ის მოსწავლეებთან მხოლოდ ინდივიდუალური მუშაობის შედეგად მიიღწევა.</li> <li>საწყის ეტაპზე მოსწავლეთათვის რთულია აღმავალი და დაღმავალი ინტონაციის გამოყენების პრინციპის დამახსოვრება, ამიტომ მნიშვნელვანია, მასწავლებელმა ყოველ ჯერზე ხელის მოძრაობით უკარნახოს მათ, რომელია მართებული.</li> </ul>
Formative Assessment	<ul style="list-style-type: none"> <li>ლექსის ფრაზებად წაკითხვის (ზეპირად) პროცესში მასწავლებელი, განმავითარებელი შეფასების ფორმატში, ყურადღებით აკვირდება თითოეული მოსწავლის გამოთქმას და აქტივობის მსვლელობისას მთავარ აქცენტებს აკეთებს კონკრეტული ფრაზების ინტონაციისა და მახვილის დამუშავებაზე.</li> </ul>

<p><b>მეთოდიკური კომენტარები</b></p> <p>Methodological Comments</p>	<ul style="list-style-type: none"> <li>● ამ საფეხურზე ღექსის შესწავლა სახალისო და საინტერესოა, განსაკუთრებით კი მაშინ, თუ ის ფიზიკური აქტივობის ელემენტებსაც შეიცავს, ანუ მასწავლებელი/ მოსწავლე განასახიერებს იმ მოქმედებას, რომელსაც წარმოთქვამს. წარმოთქმა მოძრაობის თანხლებით ღექსის აღქმას/დამახსოვრებას უწყობს ხელს.</li> <li>● რადგან აქტივობის მიზანი უცხოური ენის ბგერების, ულერადობის, ინტონაციის აღქმა, მიბაძვა-გამეორებაა, მასწავლებელი უნდა შეეცადოს, გასაგები ინტონაციითა და ზუსტი უესტიკულაციით გამოხატოს ღექსის ცალკეული ნაწილი.</li> <li>● დასახული მიზნის მიღწევა მრავალჯერადი, მექანიკური გამეორებისა და შესწორებების ფაზას საჭიროებს, ამიტომ მრავალფეროვნებისთვის, შესაძლოა, სურათების ან შესაბამისი რეალიების გამოყენება. აგრეთვე, შესაძლებელია</li> <li>● სიმულაციური სიტუაციის შექმნა და ინსცენირებულ დიალოგში მონაწილის სახით თოჯინის ან სათამაშოს შემოტანა.</li> <li>● მოცემული აქტივობა, რომელშიც ცალკეული მოსწავლე ან ჯგუფი მონაწილეობს ძალდაუტანებელი ფორმით, ინტერაქციის სახეს იღებს.</li> </ul>
---	---

## Appendix

*Sample rhyme*

**A:** A cat in the kitchen.

**B:** A cat in the kitchen? (Surprising intonation)



**ALL:** Where's the kitten? (Falling intonation)



**A:** A dog in the bedroom alone.

**B:** A dog in the bedroom alone?

**ALL:** Where is the bone?

**A:** A snake in the bathroom.

**B:** A snake in the bathroom?

**ALL:** BUBBLY-BUBBLY-BOOM!!!

## მიმართულება - კულტურათა დიალოგი

უცხ. დ. II.11. მოსწავლეს შეუძლია ინფორმაციის ამოცნობა კულტურის სფეროდან, უცხო და მშობლიური სოციო-კულტურული გარემოს შედარება.

### აქტივობა #1

Title/instruction of the activity	Merry Christmas!
Objectives	<ul style="list-style-type: none"> <li>Learn Christmas related vocabulary e.g. Merry Christmas;</li> <li>Christmas Tree; Christmas stocking; Snow Man; Flakes; Star;</li> <li>Get familiar with English culture;</li> <li>Revise the structures (What's this? What colour is it? It's...) and colours.</li> </ul>
Materials/Resources	Colour papers, pencil sets, scissors and glue
Grouping pupils	Individual
Procedure	<p>Step 1. Write: <b>Merry Christmas</b> on the board</p> <p>Step 2. Explain the meaning; highlight the pronunciation of the phrase and drill.</p> <p>Step 3. Demonstrate how to make a card. Ask students to copy Merry Christmas onto the card. Ask: What's this? What colour is it? Highlight the pronunciation of new words and drill.</p> <p>Step 4. Pupils cut out small Christmas items (Christmas Tree, Christmas stocking, Snow Man, Flakes, Star) and stick them on the card. Monitor and help</p> <p>Step 5. Ask: What's this? What colour is it?</p>
განმავითარებელი შეფასება	<ul style="list-style-type: none"> <li>შეფასება იმისა, თუ როგორ დაეზოდენ მოსწავლეები საშობაო თემასთან დაკავშირებულ ლექსიკას, შესაძლებელია - შეკითხვების საშუალებით (Step 5).</li> <li>გამოკითხვისას მასწავლებელი იკვლევს დაშვებული შეცდომების/ უზუსტობების სიხშირეს.</li> <li>გავარჯიშება/განმტკიცებისფაზაში მრავალფეროვნებისთვის, მასწავლებელს შეკითხვების ისე წარმართვა შეუძლია, რომ მოსწავლეს ერთ შემთხვევაში მარტივ ინტერაქციაში მონაწილეობის საშუალება მიეცეს, სხვა შემთხვევაში კი - საკუთარი ნამუშევრის აღწერისა.</li> </ul>
Formative Assessment	

<b>მეთოდიკური კომენტარები</b>  <b>Methodological Comments</b>	<ul style="list-style-type: none"> <li>● აქტივობის პირველ საფეხურზე ახალ ლექსიკაზე სავარჯიშოდ ყველაზე ფართოდ გავრცელებული ხერხი გამოიყენება - სიტყვების ხშირი გამეორება (drilling).</li> <li>● მოსწავლის მიერ ნამუშევრის შექმნა კეთებით სწავლის (Learning by Doing) ეფექტიანი საშუალებაა. მოცემული აქტივობა, რომელიც საშობაო ბარათის გაფორმებას გულისხმობს, ამ სტრატეგიის გამოყენებას გვთავაზობს ახალი ლექსიკის სწავლებისთვის.</li> <li>● საშობაო სიმბოლოების დახატვის, გამოჭრისა და დაწებებისას მოსწავლეები სიტყვების ორთოგრაფიულ ხატს მცნებასთან უფრო იოლად აკავშირებენ და შესაბამისად, სწავლება უფრო შედეგიანია.</li> <li>● ასეთი ტიპის აქტივობა იწვევს მოსწავლეთა დაინტერესებას იმ ქვეყნით/კულტურით, რომლის ენასაც სწავლობენ. ასევე, მათ უჩნდება შესაძლებლობა საკუთარი კულტურული თავისებურებების უცხო კულტურასთან დაკავშირებისა და ერთმანეთთან შედარებისა.</li> </ul>
---	---

**მეორე ნაწილი  
დონე დ. III-IV  
სანიტარული აქტივობები**

**მიზანითულება - მოსმენა**

უცხ. დ. III.2. მოსწავლეს შეუძლია მოსმენილი ილუსტრირებული მინიდიალოგების /მონოლოგის გაგება.

**აქტივობა #1**

Title/instruction of the activity	Listen and match!
Objectives	<ul style="list-style-type: none"> <li>• Listen to and understand short monologues;</li> <li>• Revise vocabulary.</li> </ul>
Materials/Resources	CD player, illustration
Grouping pupils	Individual/pair work
Procedure	<p>Step 1. Play the recording, or read the text. (See the appendix for sample tapescript). Pupils listen and match the characters to appropriate hobbies by drawing a line;</p> <p>Step 2. Play the recording or read again to allow double-checking;</p> <p>Step 3. Pupils compare their answers in pairs;</p> <p>Step 4. Check with the whole class.</p>

**Appendix**


Task A. Listen to Hana, Mary and Geogre. What are their hobbies? Draw a line!

Sample tapescript:

**Hana:** Hello, my name's Hana! I'm 9 years old. In my free time I like listening to music and reading books. My hobby is gardening.

**Mary:** Hello, my name's Mary. I'm 10 years old. In my free time I talk to friends on the phone, or watch TV. I also paint a lot, my hobby is art.

**George:** Hi, I'm George. I'm 8. I love playing computer games, I also like sport. My hobby is photography, I take a lot of photos!



<p><b>განმავითარებელი შეფასება</b></p> <p><b>Formative Assessment</b></p>	<ul style="list-style-type: none"> <li>• მოსწავლეთა შეფასებისას მასწავლებლის მიზანია:             <ol style="list-style-type: none"> <li>დააკორდეს რომელ მოსწავლეს აქვს მოსმენილი მასალის აღქმის პრობლემა;</li> <li>საჭიროების შემთხვევაში, განმეორებით განმარტოს და ლოგიური თანმიმდევრობით წარმოადგინოს მოსასმენი დავალების შესრულების ეტაპები, მოსწავლეთა ყურადღება მიაპყროს სამიზნე სიტყვებს და პარალელურად მიუთითოს მათ ამსახველ ნახატებზე. გამეოროს მოსასმენი ტექსტი, მისცეს მოსწავლეებს საშუალება საკუთარი ნამუშევრების შემოწმება-შესწორებისა;</li> </ol> </li> <li>• აღნიშნული ეტაპების სისტემური და რეგულარული დემონსტრირება დაეხმარება განსხვავებული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეებს არა მხოლოდ მოცემული აქტივობის, არამედ, ზოგადად, - მოსმენის უნარის განვითარებაში.</li> </ul>
<p><b>მეთოდიკური კომენტარები</b></p> <p><b>Methodological Comments</b></p>	<ul style="list-style-type: none"> <li>• Listen and match! ტიპური აქტივობაა მოსმენილი მასალის აღქმის შესამოწმებლად, რომლის განსხვავებული სირთულის ვერსიების გამოყენება სწავლების ნებისმიერ საფეხურსა და დონეზე შეიძლება;</li> </ul>

	<ul style="list-style-type: none"> <li>● მოცემულ ეტაპზე ტექსტის პერსონაჟებისა და მათი საყვარელი საქმიანობის ამსახველი სურათების დაკავშირება ერთმანეთთან მოსმენილი მასალის საფუძველზე მოზარდის ყურადღების სერიოზულ დაძაბვას საჭიროებს. ამ დროს მოსწავლე კი არ მიუთითებს უშუალოდ დასახელებულ საგანზე, არამედ გაიაზრებს, რომელი ნახატი ესადაგება სიმბოლურად პერსონაჟის მიერ აღნერილ საყვარელ საქმიანობას;</li> <li>● აქტივობის წარდგენამდე საჭიროა მოსწავლეთა წინასწარი მომზადება თემისათვის. მასწავლებელი განსაკუთრებულ აქცენტს აკეთებს თემასთან დაკავშირებულ ლექსიკაზე და მათგან დამოუკიდებლად, ნახატების თემატიკაზე;</li> <li>● სასურველია, დავალების თემატიკის განხილვისა და ლექსიკაზე ვარჯიშისას სხვადასხვა ხერხის გამოყენება (მაგალითად, მოსწავლეთა გამოკითხვა მათი საყვარელი საქმიანობის შესახებ, მოსასმენ ტექსტში არსებული ლექსიკის გააქტიურება მათი სხვა კონტექსტში გამოყენებით და ა.შ.);</li> <li>● თუ მოსწავლეთა უმრავლესობამ დავალება წარმატებით შეასრულა, აქტივობას შეიძლება ჰქონდეს შემდეგი გაგრძელება: მოსწავლეთა წყვილები ერთმანეთთან საუბრობენ ტექსტის პერსონაჟების შესახებ. ამ შემთხვევაში აქტივობის მიზანი სხვა შედეგს დაუკავშირდება (უცხ.დ.III.11. (უცხ.დ.III.11. IV.12.- მოსწავლეს შეუძლია მარტივ ინტერაქციაში მონაწილეობა.).</li> </ul>
--	--

## აქტივობა #2

Title/instruction of the activity	Whose present?
Objectives	<ul style="list-style-type: none"> <li>• Practice understanding a simple monologue/dialogue;</li> <li>• Match information to the pictures.</li> </ul>
Materials/Resources	<p>Santa-Puppet/Toy; worksheet with children's pictures on the left and toy pictures on the right.</p> <p><a href="http://learnenglishkids.britishcouncil.org/en/practise-listening/whose-present">http://learnenglishkids.britishcouncil.org/en/practise-listening/whose-present</a></p>
Grouping pupils	Individual

Procedure	<p>Step 1. Introduce Santa-puppet. Tell pupils that Santa has got a bag of presents for children, but he needs help to choose the right presents.</p> <p>Step 2. Distribute the worksheets to pupils;</p> <p>Step 3. Ask them to listen to what Santa says and choose the best presents for each child. (See appendix - Santa's speech);</p> <p>Step 4. Start speaking with the help of Santa-puppet;</p> <p>Step 5. Pupils listen and match the children to their presents on the worksheet;</p> <p>Step 6. Go around and check whether pupils have done the activity correctly.</p>
-----------	---

### Appendix.

Santa's Speach

Sample tapescript:

*Kyle likes reading stories, and he likes playing with cars too.*

*Lily likes skateboarding, but it's dangerous. So we'll give her a helmet too.*

*George likes taking photos. And he'll need a photo album too.*

*Alisha likes listening to music, and she likes playing music too.*

*Harry plays in a football team, so he will need a pair of boots and a new ball too.*

*Emily likes drawing and painting. Let's give her some nice paints and some crayons.*

განმავითარებელი შეფასება	<ul style="list-style-type: none"> <li>● მოსწავლეთა შეფასებისას მასწავლებლის მოვალეობაა თითოეული მოსწავლის მიერ შესრულებული დავალების გაკონტროლება პრობლემური შემთხვევების გამოსავალენად;</li> <li>● ამასთანავე, მასწავლებელი განსაზღვრავს შეცდომების მიზეზებს, რათა დასახოს მოსწავლეთა დახმარების გზები. მაგალითად, თუ მოსწავლეთა შეცდომები ლექსიკის ცუდად ცოდნას უკავშირდება, საჭიროა, დავალების წინა მოსამზადებელ პერიოდში, მეტი დრო დაუთმოს მასზე მუშაობას; თუ მოსწავლეთა უმრავლესობისთვის მიზეზი დავალების შესასრულებლად გამოყოფილი დროის სიმცირეა, სასურველა, მისი სწორად განსაზღვრა. თუ მოსწავლეს უჭირს მარტივი დიალოგის წარმართვა მასწავლებელთან ან თანატოლებთან, წახალისების ფორმების გამოყენებით უნდა ჩავრთოთ ისინი ამ პროცესში დასხვა.</li> </ul>
-----------------------------	--

<p><b>მეთოდიკური კომენტარები</b></p> <p><b>Methodological Comments</b></p>	<ul style="list-style-type: none"> <li>• ამ აქტივობის მოძიება შესაძლებელია მითითებულ ვებ-გვერდზე;</li> <li>• სასურველია უცვლელი სახით აქტივობის საშობაო დღესასწაულის თემასთან დაკავშირება. ის დეტალი, რომ სანტას დახმარება ესაჭიროება საჩუქრების შერჩევისას, ძალიან მნიშვნელოვანია ამ ასაკის მოზარდების მოტივაციის ასამაღლებლად;</li> <li>• სანტას თოჯინის გამოყენება კომუნიკაციური სიტუაციის შექმნისა და წარმართვის ეფექტური საშუალებაა, ამავე დროს, ის მობილიზაციის საუცხოო გზაა, რაც დავალების წარმატებით შესრულების აუცილებელი პირობაა;</li> <li>• აღნერილი აქტივობის რეალურ სიტუაციასთან დაახლოება მარტივადაა შესაძლებელი. ასეთ შემთხვევაში კარგი იქნება ნეიტრალური თოჯინის გამოყენება. მაშინ სავარჯიშომ შეიძლება მიიღო ასეთი სახე: მოსწავლეები წინასწარ ჩაწერენ/დახატავენ ბარათებზე სასურველ საჩუქარს. მასწავლებელი მონოლოგის ფორმით გააცნობს მათ ყველა მოსწავლის სურვილს (მოსწავლეები ისმენენ და იგებენ მონოლოგს). შემდეგ, მათთან მარტივი კომუნიკაციის საშუალებით (კითხვა-პასუხი) დაადგენს, როგორ გაიგეს და დაიმახსოვრეს მოზარდებმა მოსმენილი ტექსტი;</li> <li>• თოჯინასთან „გასაუბრების“ შემდეგ შეიძლება აქტივობის მასწავლებელსა და მოსწავლეებს შორის მინიდიალოგის სახით წარმოდგენა. მაგ.:  <p>Teacher: What present would you like to get from me, Nick?</p> <p>Nick: I like reading stories, and I like playing with cars too.</p> <p>Teacher: Here's a book for you, and a toy car.</p> <p>Nick: Thank you.</p> </li> <li>• ერთი აქტივობის ფარგლებში მოსასმენი ტექსტის განსხვავებული ფორმატის გამოყენება (მონოლოგი, დიალოგი), უფრო საინტერესოს ხდის აქტივობის მსვლელობას და ამარტივებს მოსმენილი ტექსტის აღქმას.</li> </ul>
--	--

**უცხ. დ. III.3. მოსწავლეს შეუძლია მოსმენილი ილუსტრირებული აღწერითი/ნარატიული ხასიათის ტექსტის გაგება.**

### აქტივობა #1

Title/instruction of the activity	<b>Listen and Draw</b>
Objectives	<ul style="list-style-type: none"> <li>• Listen to and understand a descriptive text;</li> <li>• Revise/introduce descriptive vocabulary;</li> <li>• Revise/introduce structures: Is there..? Are there....? and short answers;</li> <li>• Develop basic communicative skills.</li> </ul>
Materials/Resources	Coloured crayons, paper.
Grouping pupils	Individual/pair work/whole class
Procedure	<p>Step 1. Draw a plan e.g. bedroom on the board (or any other room) and elicit ideas which object pupils can find in a bedroom. Draw the objects they name;</p> <p>Step 2. Play /read out a recording describing a bedroom;</p> <p>Step 3. Ask pupils to draw the objects they hear;</p> <p>Step 4. Play/read out the recording again to let them check their answers or add more objects they have missed (It is not necessary for pupils to draw all the objects);</p> <p>Step 5. Pupils compare their answers;</p> <p>Step 6. Check by asking Yes/No questions e.g. Is there a bed in the room? Are there any chairs? etc.</p>
განმავითარებელი შეფასება Formative Assessment	<ul style="list-style-type: none"> <li>• დავალების ნარმატებით შესრულება ლექსიკის ცოდნაზე დამოკიდებული, ამიტომ, მოსწავლეთა პრობლემებიც ამ საკითხთან იქნება დაკავშირებული. ლექსიკაზე სავარჯიშოდ მასწავლებელმა, სასურველია, გამოიყენოს შემდეგი სტრატეგიები: მაგ., -სურათის ან კონტექსტის შეთავაზება სიტყვის ამოსაცნობად, სიტყვის მარტივი განმარტება, სიტყვის განსახიერება, ასოციაციური კავშირების გამოყენება და სხვა;</li> <li>• დავალების გამარტივებისთვის მოსწავლეებს თავდაპირველად დასახელებულ თემაზე ილუსტრაციების შექმნა საკუთარი შეხედულებისამებრ შეუძლიათ (კონკრეტულ აქტივობაში - საძინებელი ოთახის), შემდეგ კი უპასუხონ მასწავლებლის ან თანაკლასელების მიერ დასმულ შეკითხვებს (Step 6).</li> </ul>

<p><b>მეთოდიკური კომენტარები</b></p> <p>Methodological Comments</p>	<ul style="list-style-type: none"> <li>• მოსწავლეთა წინასწარი მომზადება (Pre-listening) აუცილებელი საფეხურია მოსასმენი დავალების შესასრულებლად. აღნერილი აქტივობისთვის ეს ეტაპი ლექსიკაზე (ახალი/ შესწავლილი) ვარჯიშს შეიცავს;</li> <li>• მნიშვნელოვანია, მოსწავლეებმა ტექსტის მოსმენამდე იცოდნენ შესასრულებელი დავალების შინაარსი, რათა-მოსმენისას ყურადღება გააძინდონ სწორედ იმ სიტყვებზე, რომელთა დახატვაც ევალებათ;</li> <li>• ხატვის პროცესი მოზარდთათვის სამყაროს აღქმის ერთ-ერთი საშუალებაა, ამიტომ მას სოლიდური ადგილი ეთ-მობა უცხოერი ენის სწავლებისას. მოსმენილი ტექსტის საფუძველზე ნახატის შექმნა, სიტყვების ულერადობის მის ვიზუალურ ხატთან დაკავშირება ლექსიკის დამახსოვრების საუკეთესო საშუალებაა;</li> <li>• მოსწავლეთა წყვილების მიერ ერთმანეთის ნამუშევრების შედარება/შეფასება მათ მარტივ ინტერაქციაში მონაწილეობის ბუნებრივ მოთხოვნილებას უჩენს. სწორედ ამიტომ, წინასწარ დაგეგმილი კომუნიკაციის წარმატებით წარმართვისთვის საჭირო ენობრივი სტრუქტურების (Is there..? Are there....? short answers) გამოყენება აქტივობის ერთ-ერთ მიზანია;</li> <li>• ამ ტიპის დავალება შეიძლება ნებისმიერ თემატიკას დაუკავშირდეს. მომდევნო ეტაპზე მოსწავლეებმა შეიძლება მოსასმენ ტექსტში (რომელიც წინასწარ დაურიგდებათ) გახაზონ ან მონიშნონ მათ მიერ შექმნილი ნახატების ლექსიკური შესატყვისები. ამ გზით ისინი სიტყვის ორ-თოვრაფიულ ხატს მის ვიზუალურ ხატს დაუკავშირებენ.</li> <li>• აგრეთვე შესაძლებელია, მოსწავლეებმა აღწერონ მათივე შექმნილი ილუსტრაცია, რაც სხვა შედეგის მოთხოვნას პასუხობს (უცხ.დ. IV.12. მოსწავლეს შეუძლია ილუსტრაციების აღწერა).</li> </ul>
---	--

**აქტივობა #2**

Title/instruction of the activity	<b>A drawing dictation</b>
Objectives	<ul style="list-style-type: none"> <li>Provide practice in listening comprehension;</li> <li>Draw illustrations for the listening text;</li> <li>Practice prepositions of place and construction there was/there were.</li> </ul>
Materials/Resources	Paper, crayons
Grouping pupils	Individual, pairs
Procedure	<p>Step 1. Tell pupils that you are going to read/tell them a story;      Step 2. Ask them to draw what they hear as you read: e.g. There was a man/ a little boy, etc. They draw a man/a boy;      Step 3. Continue with the story: Stop after each sentence to give pupils time to draw;      Step 4. Repeat each sentence several times while they are drawing.          Help if required;      Step 5. After finishing the story, ask pupils to work in pairs and tell each other the story according to their drawings.</p>

**Appendix.***A sample story:*

*The man/the boy had a big house. The house had a door and two windows. There was a garden in front of the house. There were flowers/trees in the garden. The man/boy had a dog/cat. It liked playing in the garden, etc.*

განმავითარებელი შეფასება	<ul style="list-style-type: none"> <li>პრობლემურ სიტუაციაში, მონიტორინგის შედეგების შესაბამისად, მასწავლებელი დავალებას ჰყოფს ეტაპებად და ცალკეული ეტაპის დამუშავებას უთმობს სჭირო დროს. მაგ.,              ა) პირველ ეტაპზე მოსწავლეები ახდენენ მოთხოვნების არა სრული სიუჟეტის ილუსტრირებას, არამედ მხოლოდ პერსონაჟების და საგნებისა;              ბ) მომდევნო ეტაპზე მოსწავლეები ადგენენ ცალკეულ წინადადებას სურათის მიხედვით;              გ) ბოლო ეტაპზე შეიძლება, მოახერხონ სიუჟეტის ასახვა ილუსტრაციით.</li> </ul>
Formative Assessment	

<p><b>მეთოდიკური კომენტარები</b></p> <p>Methodological Comments</p>	<ul style="list-style-type: none"> <li>• კარნახი ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული და ნაცადი სერხია მოსმენის უნარის გასავითარებლად;</li> <li>• მოსმენის პარალელურად, ხატვის ელემენტის შეტანა დავალებაში ხელს უწყობს მოსწავლის შემოქმედებითი უნარების გააქტიურებას მოსმენის პროცესში, ნარატიული ტექსტის სიუჟეტის უკეთ გაგებასა და შესაბამისად, მოთხოვთ შესატყვისი ილუსტრაციის შექმნას;</li> <li>• ხატვის პროცესში მონიტორინგის დროს მასწავლებელს საშუალება აქვს, მყისიერად დააფიქსიროს, რამდენად სწორად გაიგეს მოსწავლეებმა მოსმენილი ტექსტი;</li> <li>• აქტივობა ესადაგება განსხვავებული სწავლის სტილის მქონე (მხედველობითი, სმენითი, კინესთეტიკური) მოსწავლეების შესაძლებლობებს, საჭიროებებს/მოთხოვნებს;</li> <li>• ამგვარი აქტივობა შესაძლებელია მიესადაგოს ნებისმიერი თემატიკის აღწერითი თუ ნარატიული ხასიათის ტექსტის შინაარსს, აქტივობის მიზნის გათვალისწინებით;</li> <li>• შესაძლებელია მისი გავრცობა: <ul style="list-style-type: none"> <li>ა) წერით აქტივობად - მოსწავლეები მათ მიერ დახატულ ნაცნობ საგნებს მიუწერენ შესაბამის სიტყვებს;</li> <li>ბ) სამეტყველო აქტივობად - მოსწავლეები აღწერენ შექმნილ სურათს. აღწერისას, აქტივობის მიზნიდან გამომდინარე, მათი ყურადღება ორიენტირებულია ადგილის წინდებულებისა და სტრუქტურების სწორად გამოყენებაზე.</li> </ul> </li> </ul>
---	---

უცხ. დ.IV.3. მოსწავლეს შეუძლია მოსმენილი მცირე ზომის აღწერითი/ ნარატიული ხასიათის ილუსტრირებული ტექსტის გაგება.

### აქტივობა #1

Title/instruction of the activity	<b>My Best Friend</b>
Objectives	<ul style="list-style-type: none"> <li>• Listen to and understand a short descriptive text;</li> <li>• Revise/introduce adjectives for describing appearance</li> </ul>
Materials/Resources	CD player, pictures.
Grouping pupils	Individual/pair work/whole class

Procedure	<p>Step 1. Play the recording and ask the pupils to match the speakers with the pictures. (See the sample tapescript and the sample activity in the appendix);</p> <p>Step 2. Play the recording again to let the pupils double-check their answers;</p> <p>Step 3. Ask the pupils to compare their answers in pairs. To prove their answers they take turns to describe the appearance of each girl in the picture;</p> <p>Step 4. Check the answers with the whole class.</p>
-----------	---

**Appendix.**

Look at the pictures. Listen to 3 speakers and match the speakers with the pictures.

Sampe tapescript:

*Speaker 1. My best friend Julia is 10 years old. She has long curly hair; she is blonde. She has got brown eyes and a big mouth. She often smiles.*

*Speaker 2. My best friend is called Jane, she is 9. She has a round face and blue eyes. She has fair hair; her hair is short and straight.*

*Speaker 3. My best friend Miu-Miu is 8 years old. She is not very tall. She has dark skin and dark, straight hair.*

*Speaker 1 – Picture ...*

*Speaker 2 – Picture ...*

*Speaker 3 – Picture ...*

A



B



C



<p><b>განმავითარებელი შეფასება</b></p> <p><b>Formative Assessment</b></p>	<ul style="list-style-type: none"> <li>დავალების შესრულებისას წარუმატებლობა, სავარაუდოდ, ლექსიკის, კონკრეტულად ადამიანის აღწერისთვის საჭირო ზედსართავი სახელების არცოდნას დაუკავშირდება. შედეგი უფრო ეფექტური იქნება, თუ მოსწავლე სამიზნე ლექსიკის შესწავლას საკუთარი გარეგნობის აღწერით დაინტებს. სასწავლო მასალის/პროცესის დაკავშირება მოზარდის პირად გამოცდილებასა და გარემოცვასთან (პერსონალიზაციის სტრატეგია) შედეგიანია ენის სწავლებისას ნებისმიერ ფაზაში.</li> </ul>
<p><b>მეთოდიკური კომენტარები</b></p> <p><b>Methodological Comments</b></p>	<ul style="list-style-type: none"> <li>მოსასმენი ტექსის პერსონაჟების დაკავშირება სურათებთან მათი აღწერილობის მიხედვით ტიპური აქტივობაა მოსმენის უნარის გასავითარებლად;</li> <li>აქტივობის მიზნიდან გამომდინარე, შესაძლოა, აქტივობამ მოსმენის უნარის განვითარება/განმტკიცებასთან ერთად, განსხვავებული ფუნქციებიც იტვირთოს - მაგალითად, ენობრივ სტრუქტურებზე, სხვადასხვა თემატურ ლექსიკაზე ვარჯიში და ა.შ.;</li> <li>ამ ტიპის აქტივობა, გარკვეულწილად, ავითარებს მოსმენისას კონკრეტული ინფორმაციის მოძიების უნარს, როგორც მოსმენის ერთ-ერთ სტრატეგიას. დავალების წარმატებულად შესრულების მთავარი გასაღები ზედსართავი სახელების ცოდნაა;</li> <li>ასეთი დავალება, როგორც წესი, განვლილ ლექსიკურ მასალას ეფუძნება, თუმცა, სასურველია, ტექსტის მოსმენამდე მასწავლებელმა გადაამოწმოს მოსწავლეთა ლექსიკური კომპეტენცია;</li> <li>აქტივობა მოსწავლეთათვის უფრო საინტერესო სახეს მიიღებს, თუ მათ დაევალებათ თანაკლასელების/ მეგობრების გარეგნობის აღწერა. ასეთი დავალება არ გამორიცხავს იუმორისტულ გადახვევებს, რაც მოსწავლეთათვის უფრო სახალისოს და დასამახსოვრებელს გახდის მთელ პროცესს.</li> </ul>

## აქტივობა #2

Title/instruction of the activity	<b>Picture to Story</b>
Objectives	<ul style="list-style-type: none"> <li>• Practice listening skills;</li> <li>• Predict the contents of the story;</li> <li>• Arrange the illustrations of the story in a chronological order.</li> </ul>
Materials/Resources	One sheet of the full illustration of the story, 3-4 sets of cut up illustration cards, the text and recording of the story.
Grouping pupils	Whole class, small groups.
Procedure	<p>Step 1. Show one of the cut up illustration pictures to the pupils;</p> <p>Step 2. Ask questions to let the pupils predict what the story is going to be about. The questions might be the following: Who is the man? How old is the man? Where does he live? Who is he talking to? What is he talking about? What is he saying? How does he feel? Why is he looking worried? What will happen to him?</p> <p>Step 3. Divide the pupils into groups of 4. Distribute the cut up illustration cards – 1 set for each group;</p> <p>Step 4. Ask them to listen carefully to the recording or to your reading, and arrange the illustrations in chronological order;</p> <p>Step 5. Give them the full illustration (in the right order) and ask them to compare with what they have done;</p> <p>Step 6. Ask questions to check the comprehension and to compare their predictions to the real story. E.g. Is it right that the man was worried because he lost his dog? Does he really live in the village or in the city? etc.</p>
განმავითარებელი შეფასება	<ul style="list-style-type: none"> <li>• ჯგუფურ მუშაობაზე დაკვირვებისას მნიშვნელოვანი ფაქტორია, თითოეული მოსწავლე გრძნობდეს მასნავლებლის მხარდაჭერას საკუთარ შესაძლებლობაში დასარჩმუნებლად. ამავე დროს, მასნავლებლი უნდა მოუწოდებდეს მოზარდებს სიმშვიდის, ერთმანეთისადმი პატივისცემისა და თანამშრომლობისკენ;</li> <li>• ვარაუდის გამოთქმა შემოქმედებითი პროცესია და მასში უკლებლივ ყველა მოსწავლის ჩართვა დიდწილადაა დამოკიდებული მასნავლებლის მიერ გამოყენებული სწავლების მეთოდებზე. სათანადო ინფორმაციის მოსაპოვებლად, მოცემული ასაკის მოზარდებთან ყველაზე შედეგიანია შეკითხვების დასმის სტრატეგია, რომელიც ისეთ მიზან-მიმართულ, მაორიენტირებულ კითხვებს გულისხმობს, რომლებიც გააქტიურებს მოსწავლეთა აზროვნებას და სწორი/სასურველი პასუხის მიღებაში დაეხმარება (Elicit).</li> </ul>
Formative Assessment	

<b>მეთოდიკური კომენტარები</b>  <b>Methodological Comments</b>	<ul style="list-style-type: none"> <li>• აქტივობა, ძირითადად, ორიენტირებულია მოსმენის უნარ-ჩვევის განვითარებაზე. პარალელურად მასში გათვალისწინებულია დავალებები: ა) ილუსტრაციებზე დაყრდნობით, ტექსტის შინაარსის შესახებ ვარაუდის გამოთქმა, ბ) მოსმენილი ტექსტის მიხედვით ილუსტრაციების ქრონოლოგიური, თანმიმდევრული განლაგება, მოსწავლეს უვითარებს წარმოსახვისა და შემოქმედებითი აზროვნების უნარს;</li> <li>• ჯგუფური ორგანიზება ხელს უწყობს მოსაზრებების გაზიარებისა და ერთმანეთის მოსმენის ელემენტარული უნარის გამომუშავებას, თუმცა სასურველია, მუშაობის ეს ფორმა მასწავლებლის მკაფიო კონტროლის ქვეშ მიმდინარეობდეს, რადგან მოცემულ ასაკში მოსწავლეებს ჯგუფური მუშაობის დამოუკიდებელად მართვის გამოცდილება არ გააჩნიათ;</li> <li>• აქტივობის შესასრულებლად ნებისმიერი ილუსტრირებული ტექსტის გამოყენებაა შესაძლებელი, თუ მას მასწავლებელი გაახმოვანებს;</li> </ul>
---	--

### მიზანთულება - კითხვა

უცხ.დ.III.6. მოსწავლეს შეუძლია მცირე ზომის ტექსტების გაშიფვრა-წაკითხვა.

#### აქტივობა #1

Title/instruction of the activity	Listen, Read and Complete the Chart
Objectives	<ul style="list-style-type: none"> <li>• Check listening and reading comprehension;</li> <li>• Revise the vocabulary of the lesson using a Spiral Method (Vocabulary practice).</li> </ul>
Materials/Resources	A text/conversation; recording
Grouping pupils	Individual, pairss
Procedure	<p>Step 1. Tell pupils they are going to listen to the conversation;</p> <p>Step 2. Draw on the board the Chart with names of the participants in horizontal boxes and topical information e.g. (city, village, garden, flat etc.) in vertical boxes (See Appendix A);</p> <p>Step 3. Ask pupils to draw the chart from the board in their notebooks;</p>

	<p>Step 4. Ask pupils to put ticks and crosses based on the information they hear;</p> <p>Step 5. Play the recording/read aloud the text;</p> <p>Step 6. Pupils mark the information appropriately;</p> <p>Step 7. Give the texts to the pupils. Ask them to read and check their answers in pairs;</p> <p>Step 8. Check answers with the whole class.</p>
--	--

**Appendix A**

	Tata	Nika
town	x	✓
village	✓	x
garden	✓	x
flat	x	✓
house	✓	x

**Appendix B** Sample text:

*Hello, Nika!*

*- Hello, Tata!*

*- Where did you go last weekend?*

*- I went to Sighnaghi, a very beautiful town in Kakheti.*

*- Did you stay in a house or a flat?*

*- I stayed in a flat with my uncle. He works in Sighnaghi. And where did you go, Tata?*

*- I went to Saguramo. It's a nice village not far from Tbilisi. I stayed in my grandma's house with a beautiful garden.*

*- Did you enjoy your weekend?*

*- Yes, it was great!*

განმავითარებელი შეფასება  Formative Assessment	<ul style="list-style-type: none"> <li>• მოსწავლეთა ჩართვა შეფასების პროცესში განმავითარებელი შეფასების ერთ-ერთი ფორმაა. მისი შედეგების განხილვა მოსწავლეთა გამოცდილების გაზიარების საშუალებაა, რაც მათ ცოდნასა და უნარების დაუფლებაზე დადებითად მოქმედებს.</li> </ul>
მეთოდიკური კომენტარები  Methodological Comments	<ul style="list-style-type: none"> <li>• მოსმენილი და წაკითხული ტექსტის გაგება (ზოგადი/დეტალური ინფორმაციის ამოცნობა) მსგავსი სტრატეგიების გამოყენებით შეიძლება, რადგან ორივე შემთხვევა რეცეფციული უნარების განვითარებაზეა ორიენტირებული. ამდენად, თუ მოსწავლე ფლობს მოსმენილი ტექსტის გაგების უნარს, მას ასეთივე წარმატებით შეუძლია მისი გამოყენება წაკითხული ტექსტის გასაგებად და პირიქით.</li> </ul>

	<ul style="list-style-type: none"> <li>● მისი გამოყენება წაკითხული ტექსტის გასაგებად და პირიქით.</li> <li>● მოცემული აქტივობა კომბინირებული ხასიათისაა. ის თანაბრად ავითარებს/ამონტებს მოსწავლეთა მოსმენისა და კითხვის უნარებს. ამავე დროს, ის მიმართულია ლექსიკური მასალის გამეორებასა და განმტკიცებაზე.</li> <li>● ცხრილების ან რაიმე სხვა სახის გრაფიკული მოდელების გამოყენება ასეთი ტიპის აქტივობებში ინფორმაციის ორგანიზებაში ემარტება მოზარდებს. ამ სახის მასალა განსაკუთრებით საინტერესოა მხედველობითი სწავლის სტილის მქონე მოსწავლეთათვის.</li> <li>● საბაზისო ლექსიკის სწავლება მნიშვნელოვანია ყველა საფეხურზე, რისთვისაც მასწავლებელმა განსხვავებული სტრატეგიები უნდა გამოიყენოს. ერთ-ერთი ეფექტური საშუალება ამისთვის სპირალური მეთოდის გამოყენებაა (Spiral Method - teach and re-teach later in greater depth), რომლის მიზანია მოსწავლის მიერ ნასწავლი სიტყვების განსხვავებულ, თავისუფალ კონტექსტში გამოყენება.</li> </ul>
--	--

უცხ.დ.III.6. უცხ.დ.IV.5. მოსწავლეს შეუძლია ილუსტრირებული ტექსტების გაგება და მათში ინფორმაციის მოძიება.

### აქტივობა #1

Title/instruction of the activity	<b>Animal Farm</b>
Objectives	<ul style="list-style-type: none"> <li>• Improve reading skills;</li> <li>• Identify familiar words and group them;</li> <li>• Develop basic interactive skills.</li> </ul>
Materials/Resources	Illustration of a farm
Grouping pupils	Individual/whole class
Procedure	<p>Step 1. Ask pupils to read the text and answer the question in Task A (See the appendix);</p> <p>Step 2. Check the answer as a whole class;</p> <p>Step 3. Pupils fill in the table with relevant animals and birds in the right column (Task B);ie.</p>

	<p>Step 4. Pupils check with their partner;</p> <p>Step 5. Draw a similar Table as in Activity B on the board;</p> <p>Step 6. Elicit answers and put them in the right column in the table (Task 3). Let Pupils check their answers;</p> <p>Step 7. Elicit more words and add those to the tab</p>
--	--

## Appendix.

Sample activities

**Task A.** Read the short text about Babe the piglet.

Answer the question: Why does Babe live in a sheep farm?

### Babe

The Higgins have a sheep farm near a village. One day there is a party in the village, and Mrs. Higgins wins a piglet! She is happy and calls the piglet Babe.

She takes Babe to her sheep farm. Sheep are not very glad to see Babe in their farm, but Fly the sheepdog likes Babe and helps her to learn different things.

Babe likes the farm. She has never seen so many animals and birds around: ducks, cows, horses, geese, chicken, and a little mouse, whose name is Steward. Babe and Steward become the best friends.

Everyone loves Babe. But sheep do not.

**Task B.** Fill in the table with the animals and birds that live in the sheep farm.

animals	birds

**Task C.** Work in pairs. How many more animals and birds can you name?

განმავითარებელი შეფასება  Formative Assessment	<ul style="list-style-type: none"> <li>აქტივობის შესრულებისას ზოგიერთი მოსწავლისთვის შეიძლება რთული აღმოჩნდეს ერთ, კონცეპტუალურ შეკითხვაზე პასუხის გაცემა, რაგდან ტექსტიდან მთავარი აზრის ამოცნობის უნარი მათ ჯერ კარგად განვითარებული არ აქვთ. ასეთ შემთხვევაში, შედეგის მისაღწევად მართებულია დეტალური შეკითხვის (Elicit) გამოყენება;</li> <li>თითოეული მოსწავლის შესაძლებლობების გათვალისწინებით, აქტივობის გამარტივების მიზნით, შესაძლებელია, პირველ ეტაპზე მოკლე, მოთელვის სავრჯიშოს შესრულება თემის გასაცნობად (ეად-ინ). ამ დავალების შედეგები იმთავითვე გახდის ნათელს, რომელი ეტაპის დამუშავება მოითხოვს მეტ ყურადღებას.</li> </ul>
--	--

<b>მეთოდიკური კომენტარები</b>  <b>Methodological Comments</b>	<ul style="list-style-type: none"> <li>● შინაარსიან კონტექსტზე დაფუძნებული დავალება მოზარდთათვის უფრო მარტივად გასაგები და დასაძლევია. მოთხოვთ საუკეთესო რესურსია ასეთი დავალებების შესასრულებლად, რადგან ის მათთვის ნაცნობ სამყაროს ასახავს და ბუნებრივ გარემოს ქმნის ახალი ლექსიკური ერთეულების და ენობრივი სტრუქტურების შესასწავლად;</li> <li>● თხრობითი ხასიათის ტექსტის გამოყენება სხვადასხვა მიზნის მისაღწევადაა შესაძლებელი. მოცემულ აქტივობა-ში ძირითადი ყურადღება მცირე ზომის ტექსტში სიტყვებისა და წინადადებების გაშიფრვაზეა ორიენტირებული, რაც უშუალოდ უკავშირდება კითხვის საბაზისო უნარების განვითარებას;</li> <li>● ამ კუთხით პირველი დავალება (Task A) მნიშვნელოვან დეტალს შეიცავს. ტექსტის წაკითხვის წინ დასმული შეკითხვა (Answer the question) სრულიად ძალდაუტანებლად ახდენს მოსწავლეთა ყურადღების მობილიზებას ტექსტის შინაარსზე. მოსწავლეები მონდომებით და ყურადღებით კითხულობენ, რათა უშეცდომოდ უპასუხონ შეკითხვას;</li> <li>● შინაარსიანი კონტექსტი საუკეთესო შესაძლებლობას იძლევა მასში არსებული ინფორმაციის მოსაძიებლად (Task B), რაც კითხვის სტრატეგიის განვითრების საწყისი საფეხურია;</li> <li>● აქტივობის დასასრულს მოსწავლეებს პრაქტიკული ცოდნის აქტივობის თემასთან დაკავშირების და მარტივი კომუნიკაციის საშუალებით თანატოლებისთვის გაზიარების შესაძლებლობა აქვთ. (Task C).</li> </ul>
---	---

### მიმართულება - წერა

უცხ.დ. I.9. მოსწავლეს შეუძლია მარტივი წერითი კომუნიკაციის განხორციელება.

#### აქტივობა #1

Title/instruction of the activity	Draw and Label
Objectives	<ul style="list-style-type: none"> <li>• Write names of the familiar words to the things.</li> </ul>
Materials/Resources	Paper, crayons, flashcards (if needed)
Grouping pupils	Individual/groupwork

Procedure	<p>Step 1. Distribute sheets of paper and crayons to the pupils (If you decide to make it a group work, give them a large sheet of paper);</p> <p>Step 2. Ask the pupils to draw their room/the classroom;</p> <p>Step 3. Ask to label the things they have drawn;</p> <p>Step 4. Help them with the words to write – you may provide some flashcards with pictures and words, or write the words on the board;</p> <p>Step 5. Display the drawings on the walls. Ask pupils/groups to present their drawings.</p>
განმავითარებელი შეფასება  Formative Assessment	<ul style="list-style-type: none"> <li>● მოცემულ საფეხურზე მოსწავლეებს ესაჭიროება დახმარება წერითი უნარების განსამტკიცებლად. მნიშვნელოვანია, ყველა დეტალი, რომელიც სიტყვების მართლწერის სწავლებას და წინადადებების წერას ეხება. ამიტომ, თითოეული მოსწავლის საქმიანობა უნდა მიმდინარეობდეს მასწავლებლის კონტროლის ქვეშ.</li> <li>● განსაკუთრებულ შემთხვევაში, მასწავლებელი წარწერიან სურათებს გამოიყენებს ან დაფაზე წარმოდგენილ ნახატებს მიუწერს შესატყვის სიტყვებს.</li> </ul>
მეთოდიკური კომენტარები  Methodological Comments	<ul style="list-style-type: none"> <li>● მოცემულ საფეხურზე წერითი უნარების განვითრებისთვის მოთხოვნა მინიმალურია. მოსწავლეებს ელემენტარული საკომუნიკაციო უნარების გამოვლენა ევალებათ. აქტივობა, რომელიც შესრულებულ ნახატებთან წარწერების მისადაგებას მოითხოვს, ამ მიზანს ემსახურება. აღნიშნული ეტაპი წერითი საკომუნიკაციო უნარების განვითარების წინაპირობაა;</li> <li>● ჯგუფური მუშაობის ფორმა დავალებას უფრო საინტერესოს ხდის. ბუნებრივად ჩნდება კონკურენტული გარემო. გამარჯვების დიდი სურვილი ჯგუფის წევრების სრულ მობილეზებას შეუწყობს ხელს;</li> <li>● მნიშვნელოვანია ინდივიდუალური/ჯგუფური ნამუშევრის წარდგენის პროცესი. მიუხედავად მნირი სამეტყველო რესურსებისა, ეს ეტაპი ძალიან ეფექტური საშუალებაა ელემენტარული სამეტყველო უნარების განვითარების საქმეში.</li> <li>● ცხადია, ნამუშევრების წარდგენა სიმბოლური პროცედურაა და ელემენტარულ მოთხოვნებს უყენებს მოსწავლეებს. ისინი იყენებენ მარტივ, მათთვის ნაცნობ კონსტრუქციებს, როგორიცაა, მაგალითად - This is my room, It is small and light, . . . I like my room etc. აქტივობის მოცემული ფორმა მომავალში პრეზენტაციის უნარების განვითარებას შეუწყობს ხელს.</li> </ul>

## მიმართულება - ლაპარაკი

უცხ. დ. III.3. მოსწავლეს შეუძლია მოსმენილი ილუსტრირებული აღწერითი/ნარატიული ხასიათის ტექსტის გაგება.

### აქტივობა #1

Title/instruction of the activity	One, Two or Three						
Objectives	<ul style="list-style-type: none"> <li>Identify number of syllables in the words;</li> <li>Improve pronunciation;</li> <li>Focus on stresses in the words.</li> </ul>						
Materials/Resources	None						
Grouping pupils	Individual/whole class						
Procedure	<p>Step 1. Draw up a table and put three words with different syllable numbers on the board e.g. dog, notebook, telephone.</p> <table border="1" style="margin-left: auto; margin-right: auto;"> <tr> <td>●</td><td>• •</td><td>• • •</td></tr> <tr> <td>dog</td><td>Note-book</td><td>Te-le-phone</td></tr> </table> <p>Step 2. Help pupils to count the number of syllables in each word by clapping and write the words in the table;      Step 3. Provide a list of words with different number of syllables;      Step 4. Pupils identify the number of syllables in the words and put them in the table;      Step 4. Pupils compare their answers in pairs;      Step 5. Choose the words randomly, ask pupils to identify the number of syllables and put them in the right column in the table.      Step 6. Pupils check their answers.</p>	●	• •	• • •	dog	Note-book	Te-le-phone
●	• •	• • •					
dog	Note-book	Te-le-phone					
განმავითარებელი შეფასება  Formative Assessment	<ul style="list-style-type: none"> <li>მოსწავლეებზე დაკვირვების დროს ადვილად შესამჩნევია, რომელი მოსწავლისთვისაა რთული ინგლისური ენისათვის დამახასიათებელი ბგერების გამოთქმა. ეს საკითხი სერიოზულ ყურადღებას მოითხოვს მასწავლებლის მხრიდან, რადგან მოსწავლეთა რეალური დახმარება მხოლოდ საწყის ეტაპზეა შესაძლებელი. უყურადღებობის შემთხვევაში, მეტყველების ხარვეზი შესაძლოა, გამოუსწორებელ პრობლემად იქცეს;</li> </ul>						

	<ul style="list-style-type: none"> <li>მასწავლებელი დარწმუნებული უნდა იყოს, რომ სიტყვების მარცვლებად დაშლის პრინციპი მოსწავლეთათვის გასაგებია (არა თეორიული განმარტებების, არამედ მოსმენის დონეზე), ნინააღმდეგ შემთხვევაში, მას დასჭირდება დამატებითი ფონოლოგიური სავარჯიშოების მოშველიება.</li> </ul>
მეთოდიკური კომენტარები  Methodological Comments	<ul style="list-style-type: none"> <li>ფონოლოგიური უნარ-ჩვევების გამომუშავებაზე ზრუნვა სწავლების საწყის ეტაპზე უნდა დაიწყოს, რადგან ის ხელს უწყობს მოსწავლეთა ფონოლოგიური ცნობიერების განვითარებას და ამზადებს ნიადაგს კითხვის უნარების დაუფლებისთვის;</li> <li>მოსწავლეთა მართებული გამოთქმის გამომუშავებისთვის, მოცემულ საფეხურზე ძალიან მნიშვნელოვანია სანიმუშო მოდელის მეტყველების (ჩანაწერი იქნება ეს თუ მასწავლებელი), ფონოლოგიურ ნორმებთან შესაბამისობა; ბოდეს;</li> <li>სიტყვის მარცვლებზე მუშაობისას ვიზუალური მოდელების (ცხრილები, ტაბულები) ან/და რაიმე ხმაურიანი მოქმედების (ტაში, ფეხის ბაკუნი, კაკუნი და სხვა) თანხლება თვალსაჩინოს და ხალისიანს ხდის სიტყვის ფონოლოგიური ანალიზის პროცესს და ხელს უწყობს მათ გააზრებას.</li> </ul>

## აქტივობა #1

Title/instruction of the activity	Draw and Say
Objectives	<ul style="list-style-type: none"> <li>Pronounce the words with similar sounds;</li> <li>Drill the sounds.</li> </ul>
Materials/Resources	Paper, crayons/markers; For tongue-twisters see: <a href="http://learnenglishkids.britishcouncil.org/en/tongue-twisters">http://learnenglishkids.britishcouncil.org/en/tongue-twisters</a>
Grouping pupils	Small groups/whole class
Procedure	Step 1. Draw a picture of a boy or a girl on the Board; give it a name (e.g. Frank/Fanny); Step 2. Say ‘Frank’, emphasizing the sound [f];

Procedure	<p>Step 3. Drill the sound chorally with the whole class;</p> <p>Step 4. Divide the class into small groups and ask each group to draw as many objects as they can, beginning with this sound (e.g. flag, friend, family, fish, foot, etc.);</p> <p>Step 5. Elicit the names of the things the pupils drew in each group.</p> <p>Step 6. Drill each word with the whole class;</p> <p>The winner is the group which has drawn the most things beginning with the sound [f];</p> <p>Step 7. Introduce the tongue-twister(s) on the same sound. e.g. “<i>Friendly fleas and fireflies.</i>” “<i>Fresh fried fish, fish fresh fried, fried fish fresh, fish fried fresh.</i>”;</p> <p>Step 8. Say the tongue-twister, slowly pronouncing each word, clearly emphasizing the particular sound;</p> <p>Step 9. Get Pupils repeat it chorally, then individually, choosing pupils randomly;</p> <p>Step 10. Repeat the same tongue-twister saying it faster;</p> <p>Step 11. Encourage individual students repeat it at the same speed (saying faster);</p> <p>Step 12. Get Pupils repeat it chorally.</p>
განმავითარებელი შეფასება  Formative Assessment	<ul style="list-style-type: none"> <li>● მოსწავლეთა დახმარება ფონოლოგიური უნარების გასავითარებლად მხოლოდ მათთან ინდივიდულაური მუშაობითა შესაძლებელი;</li> <li>● ენის გასატეხის გამოყენება მნიშვნელოვანი სტრატეგიაა ფონოლოგიური უნარების განსამტკიცებლად. ის ერთ-ერთი ეფექტური ინსტრუმენტია ხმოვან და თანხმოვან ბგერებზე სავარჯიშოდ ყველა მოსწავლისთვის;</li> <li>● ზოგადად, სამიზნე ენის ბგერების წარმოთქმაზე ვარჯიშისას შედეგიანია პარალელების გავლება მშობლიურ ენაში არსებულ ანალოგებთან.</li> </ul>
მეთოდიკური კომენტარები  Methodological Comments	<ul style="list-style-type: none"> <li>● ინგლისური ენის სწავლების პროცესში განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მოსწავლეთა ფონოლოგიური უნარების განვითარებას. აღნერილი აქტივობა ნიმუშია იმისა, თუ როგორ შეიძლება ამ ენისთვის დამახასიათებელი ცალკეული ბგერის წარმოთქმაზე ვარჯიში;</li> <li>● განვლილ მასალაში შესწავლილი ლექსიკის ორგანიზება სამიზნე ბგერის მიხედვით სიტყვის ფონოლოგიური ანალიზის მარტივი ფორმა, რომლის დაუფლება, ამავე დროს, მოსწავლეთა პროგნოზის უნარს ავითარებს;</li> </ul>

	<ul style="list-style-type: none"> <li>● ენის გასატეხი სავარჯიშოების გამოყენება საუკეთესო ფორმაა ბგერების წარმოთქმაზე სავარჯიშოდ. ასეთი სავარჯიშოები ენაცვლება გამეორების დაუსრულებელ და მოსაწყენ (drilling) პროცესს, სახალისოა და იწვევს მოსწავლეთა ინტერესს ფონოლოგიური თვალსაზრისით;</li> <li>● ენის გასატეხის მიზნობრივი გამოყენება მასწავლებელს უადვილებს ბუნებრივად და სრულიად ძალდაუტანებლად სასურველი შედეგის მიღწევას- ბგერების სწორად წარმოთქმას. მისი გამოყენება შეჯიბრის ფორმატით უფრო მეტად დააინტერესებს მოზარდებს;</li> <li>● მასწავლებელს შეუძლია ენის გასატეხების გამარტივება ან გართულება კლასის დონის გათვალისწინებით. მაგალითად, „Friendly fleas and fireflies.“ შეიძლება თავდაპირველად გასავარჯიშებლად მიეცეთ „fleas and fireflies“; შემდეგ - „Friendly fleas“; ამ ეტაპის წარმატებით დაძლევის შემდეგ შეიძლება მთლიანი ფრაზის მიცემა.</li> </ul>
--	--

#### უცხ.დ. III.11. მოსწავლეს შეუძლია მარტივ ინტერაქციაში მონაწილეობა.

##### აქტივობა #1

Title/instruction of the activity	I spy with my little eyes...
Objectives	<ul style="list-style-type: none"> <li>• Practice simple interaction skills;</li> <li>• Practice structure: <i>is it...?</i></li> <li>• Practice giving short answers.</li> </ul>
Materials/Resources	None
Grouping pupils	Whole class
Procedure	<p>Step 1. Tell the pupils you are going to play a game ‘I Spy’. Explain that spy here means; see;</p> <p>Step 2. Demonstrate the game by starting, say: <i>I spy with my little eyes something beginning with e.g. B.</i> (If the word is Board.) Note: this game can be played by using the objects which everyone in the classroom can actually see;</p> <p>Step 3. Explain that pupils have to ask you some questions to guess the word. But you can only give yes/no answers. Elicit questions like; <i>Is it big? Is it one in the classroom? Is it black... etc.</i> The first pupil who guesses the word continues the game;</p> <p>Step 4. Continue in the same manner. Provide help and guidance as necessary.</p>

განმავითარებელი შეფასება  Formative Assessment	<ul style="list-style-type: none"> <li>● აქტივობაში მონაწილე მოსწავლეებს შესაძლოა ორგვარი პრობლემა ჰქონდეთ. ა) არასწორად აგებდენ ენობრივ სტრუქტურებს; ბ) ვერ ბედავდენ კლასის წინაშე საუბარში მონაწილეობას. შესაბამისად, ერთ შემთხვევაში საჭიროა სტრუქტურებზე ვარჯიში სხვადასხვა სამეტყველო აქტივობის ჩართვით; მეორე შემთხვევაში, რომელიც წინას არ გამორიცხავს, მეტი მხარდაჭერა და წახალისებაა საჭირო როგორც მასწავლებლის, ისე თანაკლასელების მხრიდან.</li> </ul>
მეთოდიკური კომენტარები  Methodological Comments	<ul style="list-style-type: none"> <li>● ინტერაქციაში მონაწილეობა სწავლების კომუნკაციური მეთოდის შემადგენელი ნაწილია და ავითარებს ლაპარაკის უნარს;</li> <li>● თამაში კი მარტივი ინტერაქციის წარმართვის ერთ- ერთი მიღებული ფორმაა უცხოური ენის სწავლებისას;</li> <li>● წარმოდგენილი თამაში საყოველთაოდ ცნობილია და ხშირად გამოიყენება სხვადასხვა ენობრივ სტრუქტურზე სავარჯიშოდ (კონკრეტულ შემთხვევაში - მარტივი კითხვა-პასუხის სტრუქტურა);</li> <li>● თამაშის წესებს მასწავლებელი შეხედულებისამებრ ცვლის - ან ამარტივებს, ან ართულებს მათ (იგულისხმება რთულ და მარტივ ენობრივ სტრუქტურებზე ვარჯიში). დავალების სირთულე აისახება იმაზე, თუ რამდენად ადვილია საგნის გამოცნობა. (აპსტრაქტული საგანია გამოსაცნობი თუ კონკრეტული);</li> <li>● თამაშის მიზანია, მოსწავლეებმა მაქსიმალურად გამოიყენონ სამიზნე ენა; გასცენ პასუხი დასმულ შეკითხვებს და ამ სახით ჩაერთონ მარტივ ინტერაქციაში.</li> <li>● თამაშის თემატიკა უნდა იყოს მოსწავლეთათვის ნაცნობი, არ უნდა შეიცავდეს მათთვის უცხო ლექსიკას.</li> </ul>

უცხ.დ. III.10. მოსწავლეს შეუძლია ტექსტების ზეპირად თქმა და ლექსიკური ცოდნის გამოვლენა.

### აქტივობა #1

Title/instruction of the activity	Saying Rhymes
Objectives	<ul style="list-style-type: none"> <li>Practice reciting rhymes;</li> <li>Focus on pronunciation and intonation;</li> <li>Revise vocabulary.</li> </ul>
Materials/Resources	Pictures or real objects, if necessary
Grouping pupils	Individual/whole class
Procedure	<p>Step 1. Say the rhyme slowly, dramatizing it, supporting the meaning with actions, pictures or real objects (See appendix);</p> <p>Step 2. If there are no set actions, invent simple actions (physical involvement helps memorization and the movement creates a ‘feel good’ factor);</p> <p>Step 3. Stress the important words and rhyming words and, where necessary, whisper a translation;</p> <p>Step 4. Once a new rhyme becomes well known, pupils are ready to take turns: you say a line, pupils repeat chorally;</p> <p>Step 5. After repeating several times, encourage pupils to say a rhyme by heart individually.</p>

### Appendix

#### Sample rhyme:

*Jeremiah, blow the fire, (teacher blows),  
Puff, puff, puff (teacher puffs),  
First you blow it gently... (teacher puffs gently),  
Then you blow it rough. (teacher puffs roughly).*

განმავითარებელი შეფასება	<ul style="list-style-type: none"> <li>მასწავლებლის მიერ ლექსის ნარდგენის მეთოდზე დიდ-ნილადაა დამოკიდებული, დაეხმარება თუ არა ის მოსწავლეს ლექსიკური ცოდნის გამოვლენასა და ტექსტის ზეპირად ნაკითხვაში, რაც თავისთავად ფონოლოგიური უნარების განვითარებას მოიაზრებს. აღნიშნული შედეგის მიღწევა შესაძლებელია ხანგრძლივი ვარჯიშისა და სწავლების სათანადო სტრატეგიების გამოყენებით.</li> </ul>
Formative Assessment	

<p><b>მეთოდიკური კომენტარები</b></p> <p>Methodological Comments</p>	<ul style="list-style-type: none"> <li>• დაწყებით საფეხურზე ლექსები ენის სწავლების ეფექტური ინსრუმენტია. შინაარსის, სისხარტის, ემოციური და ხალისიანი მუხტის გამო ისინი მოსწავლეთა ასაკის ადეკვატურია, ამიტომ იოლად ისწავლება და უფრო ხანგრძლივად რჩება მათ მეხსიერებაში;</li> <li>• ლექსები მელოდიურია, შეიცავს გარითმულ სიტყვებს, ერთნაირი ულერადობის ბერებს, მყარ შესიტყვებებსა და ფრაზებს, რაც მოსწავლეს აძლევს ენობრივი ერთეულების მთლიანობაში აღქმის საშუალებას, შესაბამისად, მნიშვნელოვანია ფონოლოგიური თვალსაზრისითაც;</li> <li>• ლექსის სტრუქტურა (მსგავსი ფრაზების მრავალჯერ გამეორება) ქვემეცნეულად, ბუნებრივად ეხმარება მოსწავლეს მართებული გამოთქმის ჩამოყალიბებაში;</li> <li>• მსგავსი ფრაზების ხშირად გამეორება მონაცვლეობით (მასწავლებელი - მოსწავლე) ხელს უწყობს აგრეთვე, მოსმენის უნარ-ჩვევების განვითარებას;</li> <li>• მასწავლებლის მიერ ლექსის წარდგენის მეთოდმა შეიძლება ლექსის სწავლებას კომუნიკაციური ფუნქცია შესძინოს, განსაკუთრებით იმ შემთხვევში, თუ ლექსი ხელების/თითების ან სხვა სახის მოძრაობების (სხეულის ენით) თანხლებით წაიკითხა. ამ დროს მოსწავლე არა მხოლოდ აქტიური მსმენელია, არამედ კომუნიკაციური სიტუაციის მონაწილეც;</li> <li>• ის ფაქტი, რომ მოზარდებს შეუძლიათ გარკვეული მონაკვეთის/სტროფის შეუფერხებლად წარმოთქმა, მეტ თავდაჯერებულობას ჰმატებს მათ და ძალინ კარგ სამოტივაციო ფაქტორს წარმოადგენს ენის შესწავლისთვის.</li> </ul>
---	---

#### უცხ.დ. IV. მოსწავლეს შეუძლია ილუსტრაციების აღწერა.

##### აქტივობა #1

Title/instruction of the activity	Find the differences
Objectives	<ul style="list-style-type: none"> <li>• Describe pictures;</li> <li>• Revise vocabulary and prepositions of place.</li> </ul>
Materials/Resources	Two situational pictures with some differences
Grouping pupils	Groupwork
Procedure	Step 1. Divide the pupils into groups; Step 2. Distribute two similar pictures to each group;

Procedure	<p>Step 3. Ask the pupils to work in groups to find the differences;</p> <p>Step 4. Go around and monitor. Provide support if required;</p> <p>Step 5. Get the whole class feedback asking the questions, e.g. <i>Where's the book in picture 1? Is the cat on the table or under the table in picture 2? etc.</i>;</p> <p>Step 6. The winner is the team which finds more differences.</p>
განვითარებელი შეფასება	<ul style="list-style-type: none"> <li>თუ მონიტორინგის შედეგების შესაბამისად აღმოჩნდა, რომ მოსწავლეებს რეალურ სიტუაციაში ენის გამოყენების პრობლემები აქვთ, მასწავლებელი მოვალეა, მეტი დრო დაუთმოს რეცეფციული უნარების განვითარების ფაზას (მაგალითად, ცალკეული სურათის აღწერას, წინადადების უარყოფითი ფორმების გამოყებას, რაც შემდეგ შედარებისას დაეხმარებათ. In this picture I see/ I don't see. . . ; ...there is/there is not. . . ).</li> </ul>
Formative Assessment	<ul style="list-style-type: none"> <li>მეტყველება მოცემულ საფეხურზე, ძირითადად, მასწავლებლის მიერ კონტროლირებული აქტივობების საშუალებით ვითარდება (ლექსები, სიმღერები და ა.შ.). კონკრეტული აქტივობა მომდევნო ეტაპისთვისაა რეკომენდებული, როცა მოსწავლეები შეძლებენ სწავლების ენის შედარებით თავისუფლად გამოყენებას იმ სამეტყველო რესურსებით, რომლებიც თითოეულ მათგანს გააჩნია (ჯგუფური სამუშაოს დროს, სურათების შედარებისას);</li> <li>დავალების შესრულებისას მთავარი საყრდენი შინაარსის შემცველი ილუსტრაციები და თემასთან დაკავშირბული ლექსიკის მაორგანიზებელი ფაქტორია;</li> <li>ილუსტრაციების ერთმანეთთან შედარება აძლიერებს მოსწავლეთა აზროვნების პროცესს და ააქტიურებს მათ სამეტყველო რესურსებს;</li> <li>ასეთი ტიპის აქტივობის მსვლელობისას მეტად მნიშვნელოვანია ჯგუფურ მუშაობაზე დაკვირვების შედეგები, რაც მიუთითებს მოსწავლეთა რეალურ ხარვეზებსა თუ პრობლემებზე. მოსწავლეთა დასახმარებლად მასწავლებელმა შეიძლება დაფაზე ჩამოწეროს ის სამეტყველო ფუნქციები და ლექსიკა, რომელიც დასჭირდება მოსწავლებს აქტივობის ინგლისურ ენაზე წარმართვისთვის.</li> </ul>

## მიმართულება - კულტურათა დიალოგი

უცხ.დ.III.12. მოსწავლეს შეუძლია ინფორმაციის ამოცნობა კულტურის სფეროდან, უცხო და მშობლიური სოციოკულტურული გარემოს ერთმანეთთან შედარება.

### აქტივობა #1

Title/instruction of the activity	When in Rome...
Objectives	<ul style="list-style-type: none"> <li>Get familiar with new culture;</li> <li>Focus on reading skills for general and specific information;</li> <li>Focus on basic interaction;</li> <li>Revise/introduce WH-questions (what, which, where, when, why).</li> </ul>
Materials/Resources	None
Grouping pupils	Individual/whole class
Procedure	<p>Step 1. Pupils work in pairs and make a list of popular sports in Georgia. (Go round and help as needed);</p> <p>Step 2 Pupils read the paragraphs ( Task A);</p> <p>Step 3. Check the answers as a whole class;</p> <p>Step 4. Pupils work individually and match the countries to the paragraphs (Task B);</p> <p>Step 5. Pupils compare their answers;</p> <p>Step 6. Check as a whole class. To check understanding, ask Wh questions e.g. <b>What's</b> the national sport of the USA? <b>How many</b> players play football? Etc.</p>

### Appendix

#### Sample activities:

**Task A.** Work in pairs and answer the question: Which sports are popular in Georgia? Make a list.

*Read the paragraphs about popular sports in three different countries. Are they similar to your list?*

1.

*Cricket is a popular sport in \_\_\_\_\_ and it's also a national sport of Australia, India and Pakistan.*

*It's a bat-and-ball game. Two teams play against each other on an oval-shaped field. There are 11 players in each team.*

2

*Basketball is a national sport of \_\_\_\_\_. This sport is also popular in many other countries such as Spain, France, Argentina. Basketball is a team sport. There are 5 players in each team. They gain scores by throwing or “shooting” a ball through top of a basketball hoop.*

3.

*Football is the most popular sport in \_\_\_\_\_. The national football team of \_\_\_\_\_ has won the FIFA World Cup Championship 5 times. Football is a team sport. There are 11 players in each team. Players can't use their hands, they can use their feet to kick the ball. Only goal keepers can use hands to catch the ball.*

**Task B.** Read the paragraphs again. Match the countries to the sports and fill in the gaps in A.

a. Brazil      b. The UK      c. The USA

განმავითარებელი შეფასება  Formative Assessment	<ul style="list-style-type: none"> <li>● მოსწავლეებზე დაკვირვებისას პრობლემები შეიძლება დაკავშირებული იყოს კითხვის ხერხების გამოყენებასა და ელემენტარული კომუნიკაციის დამყარებასთან. აღნიშნული უნარების განვითარება მოსწავლეთა დახმარებით ხანგრძლივი ვარჯიშისა და სწავლების სათანადო სტრატეგიების გამოყენებითაა შესაძლებელი. მასწავლებელი კი მოვალეა, ფლობდეს ინფორმაციას თითოეული მოსწავლის წარმატებისა თუ წარუმატებლობის შესახებ მათი დროულად დახმარების მიზნით.                 </li> </ul>
მეთოდიკური კომენტარები  Methodological Comments	<ul style="list-style-type: none"> <li>● უცხო და მშობლიური სოციოკულტურული გარემოს შედარება მოზარდთათვის სამყაროს შეცნობის საუკეთესო საშუალებაა;</li> <li>● უცხო კულტურის თემატიკა საინტერესო შინაარსიან კონტექსტს ქმნის ლინგვისტური უნარების გასავითარებლად. კონკრეტული დავალება ორიენტირებულია კითხვის სტრატეგიებისა (კითხვა ზოგადი და დეტალური ინფორმაციის მოსაძიებლად) და იმ ენობრივი სტრუქტურების/ლექსიკის გამოყენებაზე, რომლებიც მოცემულ თემაზე ელემენტარული კომუნიკაციის დამყარებისთვისაა მნიშვნელოვანი;                 </li> </ul>

